

1946



მნათობი

1

თბილისი
1946



მნათობი

124 / 4

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უკველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკულტიურ
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეხუთე

4/34

1



სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსაჩუაძია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაზაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ბალაჭტიონ
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ბელმოწერილია დასაბეჭდად 16/III-46 წ. ნაბეჭდ ფორმითა რაოდენობა 9.
შპ 00765. შეკვეთის № 362. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მჭაბლის № 13, მწერალთა კავშირი, ტელეფ. 3-04-64.
საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ვოროსის ქ. № 5.

ლენინ-სტალინის დიდი რკობით

აგვ. გ. თ. აღქსანდროვის მოხსენება 1946 წლის
21 იანვარს—ვ. ი. ლენინის გაკრძალვის
22 წლისთავისადმი მიძღვნილ საზოგადო-სამეცნიერო
სხდომაზე

ამხანაგებო! ყოველწლიურად ამ დღესა და ამ საათს ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანები პატივს სცემენ ისტორიის უდიდესი ადამიანის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

წარსულმა ხალხთა გონებრივ ცხოვრებაზე, სახელმწიფოთა განვითარების მსვლელობაზე დიდი ადამიანების თვალსაჩინო ზეგავლენის ცოტა მაგალითი როდი იცის. ზოგიერთ ამ მოღვაწეთაგანს დიდი მიღწევა აქვს მეცნიერებაში. მათი სახელები ნიშანსვეტებია, რომლებითაც ისტორია აღნიშნავს თავის თვალსაჩინო მონაპოვარს, სხვა მათგანი თავიანთი მოღვაწეობით დადებით ზეგავლენას ახდენდნენ თავისი ქვეყნების განვითარებაზე, სერიოზულად უწყობდნენ ხელს თავისი ხალხების პროგრესულ განვითარებას. ასეთი მოღვაწეების სახელები მიჯნებია, რომლებითაც ისტორია აღნიშნავს ხალხების მისწრაფებას თავი დააღწიონ ჩამორჩენილობას და წინ წაიწიონ.

ლენინისა და ბოლშევიკებისათვის საქმე ეხებოდა გაცილებით უფრო დიდ რამეს. ყოველი ისტორიული მაგალითი მკრთალია, როცა ლაპარაკობენ დიდი ლენინის მოღვაწეობისა და მოძღვრების, მისი სულის დაუცხრომელი რევოლუციური ძალის, ხალხთა განვითარებაზე მისი დიდი გარდამქმნელი ზეგავლენის შესახებ.

ლენინმა, ბოლშევიკებმა ამოცანად დაისახეს სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნათ მოსახლეობის უმცირესობის მიერ უმეტესობის ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოება, ძირფესვიანად შეეცვალათ რუსეთის განვითარების ისტორიული გზა, ჩამორჩენილი გზიდან დაეყენებინათ იგი პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე, სოციალიზმის გზაზე. მხოლოდ ამ გზით შეეძლო რუსეთს ჩამდგარიყო მოწინავე, უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში და გაეწყო მათთვის თავის წინსვლაში. ამისათვის რუსეთის ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური საზოგადოებრივი წყობილება უნდა შეცვლილიყო სხვა, უფრო მაღალი და მოწინავე წყობილებით—სოციალისტური წყობილებით, ძირფესვიანად გარდაქმნილიყო ადამიანთა წინანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს უდიდესი ამოცანა ყველა იმ ამოცანათაგან, რომლებიც ოდესმე დაუსახავს კაცობრიობას, მარტო ვაბედულად გამოცხადებული და მეცნიერულად დასაბუთებული როდი იყო. იგი განხორციელებულ იქნა. ამით ლენინიზმმა გაიმარჯვა, როგორც საზო-

გადობრივი მეცნიერების უმაღლესმა მიღწევამ, ხოლო ლენინის პრინციპების საფუძველზე აგებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ყველა განსაცდელს გაუძლო და დამკვიდრდა როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო მოწინავე, სრულყოფილი და განუყოფელი სისტემა.

II

ლენინიზმის გამარჯვება

მოწინავე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, რომლითაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია თავის საქმიანობაში, საუკუნოვანი ისტორია აქვს. ასი წლის წინათ მარქსმა შექმნა ახალი მსოფლმხედველობა. მაგრამ მარქსს არ დასცალდა ენახა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების განხორციელება.

ორი საუკუნის—XIX-XX—მიჯნაზე მარქსიზმი, როგორც თეორია, დიდი გამოცდის წინაშე იდგა. დამთავრდა ძველი ეპოქა, იწყებოდა ახალი. ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და გონებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. დღის წესრიგში პრაქტიკულად დადგა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნის საკითხი. მარქსის მიერ წარსული საუკუნის შუა წლებში გამოთქმული ზოგიერთი დებულება არ შეიძლებოდა გადატანილი ყოფილიყო ახალ ეპოქაში სერიოზული ცვლილებისა და განვითარების გარეშე. მუშათა კლასის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფუძემდებელნი მარქსი და ენგელსი მუდამ დასცინოდნენ ნაკითხ ასოკირაკიტა ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ რევოლუციური თეორია დოგმების კრებულად მიეჩნიათ. მარქსისა და ენგელსის აზრით, მოწინავე თეორია სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მსოფლიოს შემოქმედებითი შეცვლისათვის, რევოლუციური მოქმედებისათვის. განვითარების ახალ ეპოქაში ნამდვილი მარქსისტობა მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, განვითარებას ნიშნავდა. სწორედ ამიტომ იმპერიალიზმის ეპოქაში, პროლეტარული პარტიის პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ეპოქაში მოვლენების სწორად გაგებისათვის, მარქსიზმის დედაარსის ერთგულად დაცვისათვის სრულიადაც საკმარისი არ იყო XIX საუკუნის შუა წლებში მარქსის მიერ შემუშავებული ძველა დებულების შეუცვლელად მიღება. საკითხი ასე იდგა: ან მარქსიზმი განვითარდებოდა, გამდიდრდებოდა ახალი გამოცდილებით, ახალ-ახალი დებულებითა და აღმოჩენებით და მაშინ იგი შენარჩუნებულ იქნებოდა და განმტკიცდებოდა როგორც ცოცხალი, განვითარების უნარიანი მეცნიერება, ხოლო მუშათა კლასის პარტია შესძლებდა თავისი პოლიტიკა მის პრინციპებზე დაყრდნობით აეგო; ანდა მარქსისტული თეორიის ცალკეული დებულებანი გაიყინებოდნენ და გაქვევადებოდნენ, მისი მოქმედებული ფორმულები შებოჭავდნენ მუშათა კლასის პარტიის საქმიანობას ახალ პირობებში, ამით ეს პარტია მარქსიზმის შემოქმედებითს გაგებას დაშორდებოდა და მაშინ იგი თეორიულად ჩამორჩენილი, უმწეო ამლოჩნდებოდა და ვერ შესძლებდა აეგო თავისი პოლიტიკა მეცნიერულ საფუძველებზე. ამრიგად, საქმე ეხებოდა მარქსიზმის ბედს. და შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ მარქსიზმმა დირსეულად ჩააბარა ახალი გამოცდა და საესვებით შეინარჩუნა თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობა, ეს იმით მოხდა, რომ

მარქსიზმის დროშა მისი შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა პტკიცე და საიმედო ხელში, ლენინისა და მისი პარტიის ხელში. ლენინი იყო ნამდვილი მარქსისტი, რომელმაც შემოქმედებითად გაიგო მარქსის მოძღვრების რევოლუციური არსი, სრულყოფილად დაეუფლა მარქსიზმის თეორიას. ლენინი, როგორც მარქსის მოძღვრებას შემოქმედებითი განხილვის წარმომადგენელი, პირველი დაადგა მარქსიზმის შემდგომი განვითარების, მთელი რიგი მისი დებულებების გაუმჯობესების, მარქსისტული თეორიის ამ ახალი დასკვნებით შევსების გზას, რომლებიც ახალი ვითარებიდან და ახალი ამოცანებიდან გამომდინარეობდნენ. ფყრდნობოდა რა თვითონ მარქსიზმის მოთხოვნას, ლენინი ავითარებდა იმ აზრს, რომ მარქსისტებს არ შეუძლიათ მიიჩნდეთ მარქსის თეორია დასრულებულ და ზელუზლებელ რამედ. ამ თეორიამ, ამბობდა ლენინი, მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა განავითარონ ყველა მიმართულებით, თუ კი მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას.

განაგრძობდნენ რა მეცნიერული კომუნიზმის თეორიის შემუშავებას, ლენინი და სტალინი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ თეორია უნდა შეიცავდეს ახალ ისტორიულ გამოცდილებას, მუდამ მდიდრდებოდეს ამ გამოცდილებით, გარდამქმნელ გავლენას ახდენდეს საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქიდან გამომდინარეობდნენ, რომ მხოლოდ ასეთი ცოცხალი და შემოქმედებითი თეორიით შეიძლება ხელმძღვანელობა ბოლშევიკების პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში, რადგან ეს თეორია დამრანმველ და მორგანიზებელ გავლენას ახდენს საზოგადოების მოწინავე ძალებზე, შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ საზოგადოების ისტორიული განვითარების გზები და საზოგადოებრივი კლასების ბრძოლის შედეგები.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ეუბნებოდნენ რუსეთის მუშათა კლასსა და ხალხებს: როცა მუშათა მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, როცა ეს იდეები ფართოდ გავრცელდებიან და მუშათა კლასი შეცქმნის ძლიერ მებრძოლ პარტიას, რომელიც მუშათა დაქაჩულ ეკონომიურ ომს შეგნებულ კლასობრივ რევოლუციურ ბრძოლად გარდაქმნის, მაშინ რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტებს, დაამზობს ცარიზმს და წაევა აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ზელისუფლების დაპყრობისაკენ, დიდი სახალხო რევოლუციისაკენ, რომელიც გააცამტვერებს მუშებისა და გლეხების ჩაგვრანზე დაფუძნებულ დამპალ წყობილებას.

რუსეთის განვითარება ისე წარიმართა, როგორც ლენინიზმი გვასწავლიდა.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები დიდი საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხალხებს ეუბნებოდნენ: ამიერიდან დგება ახალი ზანა რუსეთის ისტორიაში. დიდი ოქტომბრის რევოლუციამ უნდა გამოიწვიოს და გამოიწვევს კიდევაც სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოების რესპუბლიკის შექმნა ბოლოს მოუღებს ჩვენი მეურნეობის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, პრაქტიკულად გვიჩვენებს ახალი, სოციალისტური საზოგადოების აგების გზას, ძველ რუსეთს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის.

საბჭოთა რესპუბლიკის განვითარება ისე წარიმართა, როგორც ლენინიზმი გვასწავლიდა.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები ეუბნებოდნენ ხალხს: სოციალისტურ საზოგადოებას, როგორც ყველაზე უფრო მოწინავე და პროგრესულ საზოგადოებას, მოეპოვება დიდი და უძლეველი ძალა. იგი ავითარებს და ამადლებს თავის ძლიერებას ხალხის ინტერესებისათვის. სოციალისტური საზოგადოება აგებულია მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის უკუერთად, ყველა ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა საზოგადოების მშრომელების ურთიერთდახმარებაზე. საზღვარგარეთის რეაქციის ძალები შეეცდებიან სამხედრო ჩარევის გზით გახადონ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მემამულის მათრახისა და ფაბრიკანტის თვითნებობის მსხვერპლი. მაგრამ არ შეიძლება იმ ხალხის დამარცხება, რომელმაც იგემა თავისუფლების ნაყოფი, შეიძინო სოციალიზმის შედეგები, შექმნა მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო. დაღუპვა ელის ყველას, ვინც ხელჰყოფს ჩვენი სამშობლოს წმიდა-თაწმიდა მიწა-წყალს.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები. ლენინიზმი არის მოძღვრება, რომელსაც ზედიზედ მოჰქონდა და მოაქვს ტრიუმფი ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის. მხოლოდ ცოცხალ, მძლავრ შემოქმედებითს მოძღვრებას შეეძლო მოეცა ესოდენ დიდი შედეგები.

უკვე საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა შესძლეს დაემორჩილებინათ ბუნების მრავალი მოვლენა, წარემართათ ისინი თავიანთი ინტერესებისათვის. მაგრამ საზოგადოების სამსახურში ხალხებისა და სახელმწიფოების ისტორიული განვითარების კანონების ჩაყენებისათვის ადამიანი უძლური იყო საზოგადოების განვითარებაზე მეცნიერულ შეხედულებათა წარმოშობამდე და ბოლშევიკების პარტიის მიერ ამ შეხედულებათა განხორციელებამდე. მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ გადასჭრა ეს დიადი ამოცანა. ლენინიზმის მეოხებით, პარტია, საბჭოთა ადამიანები, ეყრდნობიან რა საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უნარიანად მართავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ხალხის ინტერესებისათვის. ამრიგად, ლენინის მოძღვრება სინამდვილის შეცნობის არა მარტო გენიალური იარაღი, არამედ მისი პროგრესული გარდაქმნის უდიდესი საშუალებაც აღმოჩნდა.

ოცი წლის წინათ ამხანაგი სტალინი ლენინის პარტიის იდეური მონაპოვრის შესახებ ამბობდა:

„ჩვენი პარტიის ყველა მონაპოვართაგან ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასი მონაპოვარი არის მისი იდეური მონაპოვარი, მისი იდეური ბაგაეი, მისი პრინციპული ხაზი, მისი რევოლუციური პერსპექტივები“ (ამხანაგ სტალინის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1926 წლის 26 ოქტომბერს).

ისტორიაში უმაგალითოა ის დიადი მისია, რომელიც წილად ხვდა ლენინიზმს, წილად ხვდა ჩვენი პარტიის დამაარსებელსა და ბელადს დიდ ლენინს. უკვდავია ლენინის მოძღვრება, უკვდავია მისი საქმე. ამჟამად იფრიალებს ლენინის დროშა, რომელიც მტკიცე ხელში უჭირავს მის ერთგულ და უახლოეს მეგობარს ამხანაგ სტალინს. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ლენინისა და სტალინის მიერ დაარსებული საბჭოთა საზოგადოების დიადი ქალა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება შექმნილია ლენინისა და სტალინის გეგმით და ხელმძღვანელობით.

არ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ისტორიაში არ ყოფილა სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების ცდები. ასეთი ცდები იყო, მაგრამ მათგან არაფერი გამოსულა ან მათი უტოპიურობის გამო, ანდა იმის გამო, რომ ბევრი სოციალისტი მხოლოდ სიტყვით იყო სოციალისტი, მათ არ ჰქონიათ და არცა აქვთ სერიოზული და მტკიცე განზრახვა სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნან ბურჟუაზიული საზოგადოება, როგორც ამას ვხედავდით ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იმ ქვეყნებში, სადაც სოციალისტები არა ერთხელ ჩასდგომიან სათავეში ხელისუფლებას. ბოლშევიკური პარტია პირველი პარტია იყო, რომელმაც პრაქტიკულად გადასჭრა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა. ამიტომ ბოლშევიკების პარტიის, მისი დამაარსებლებისა და ბელადების საქმიანობა ახალ ეპოქას მოასწავებს კაცობრიობის ისტორიაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ლენინმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უწოდა ჩვენს სახელმწიფოს. საბჭოთა, რესპუბლიკას რომ უწოდებდა, ლენინი იმას აღნიშნავდა, რაც უკვე მოპოვებული ჰქონდათ პარტიასა და ხალხს; სოციალისტურ რესპუბლიკას რომ უწოდებდა, ლენინი აღნიშნავდა არა იმდენად მის აწმყოს, რამდენადაც მის მომავალს. როგორც სიახლის ბრძენი განმჭვრეტი და შემოქმედი, ლენინი ხედავდა, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის არა კმაროდა ზალხის უმრავლესობის დარწმუნება ამ წყობილების სამართლიანობასა და სარგებლიანობაში; ცოტაა აგრეთვე მტრის დამარცხება სამოქალაქო ომში და ახალი საზოგადოების საფუძვლების დაცვა გარედან თავდასწმისაგან; საჭიროა კიდევ ახლებურად, ე. ი. სოციალისტურად მოეწყოს ათეულმილიონობით ადამიანის ცხოვრება. ეს კი ყველაზე რთული, ყველაზე დიდი, მაგრამ აგრეთვე ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა, ვინაიდან, ამბობდა ლენინი, „მხოლოდ მისი გადაჭრის (უმთავრესად და ძირითადად) შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი გახდა არამარტო საბჭოთა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკაც“ (ე. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. თბზ., ტ. XXII, გვ. 442).

ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ახალი, სოციალისტური წყობილების ყლორტები გაიფურჩქნება და მოიცავს ხალხის ცხოვრების, ყოფის ყველა მხარეს. სწორედ ასეთ ამოცანას უსახავდა პარტიას ლენინი:

„ამჟამად საქმე ეხება იმას, — სწერდა ლენინი, — რომ ყოველი მხრიდან შეფუდვით იმ შენობის პრაქტიკულად აგებას, რომლის გეგმაც უკვე დიდი ხანია მოზაზული გვაქვს, რომლის ნიადაგისთვის საკმაოდ ენერჯიულად ვიბრძოდით და საკმაოდ მტკიცედ მოვიპოვეთ, რომლისთვისაც მასალა საკმაოდ რაოდენობით დავაგროვეთ; ახლა მას ხარაჩო უნდა შემოვარტყათ, ჩაეცივათ საშუალო ტანსაცმელი, რათა არ გვეშინოდეს, რომ გავგვესრება იგი სხვადასხვა დამხმარე მასალით. ზუსტად შევასრულოთ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა განკარგულებანი და ეს შენობა ვაშენოთ, ვაშე-

ნოთ და ვაშენოთ“. (ვ. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მომზადება ამოცანები. თხზ., ტ. XXII, გვ. 422).

რუსეთმა მაშინ ცარიზმიდან და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებიდან გზავნული ნახტომი გააკეთა საბჭოებისაკენ. ჩვენი მხარეში შედიან ლენინი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ ჩვენი საშუალოდ ხალხთა ამ ისტორიული მობრუნების ორგანიზატორი და ბრძენი მესაქე იყო.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ გავიდა 22 წელი, რომელთაგან თვითეული წინ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ხელმძღვანელობდა რა ლენინის მოძღვრებით ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობისა და გზების შესახებ, პარტიამ მჭიდვარე საქმიანობა გააჩაღა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შეაკავშირა და დარაზმა მთელი ხალხი ახალი საზოგადოების ასაშენებლად, მოაწყო ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, გააცემტვერა სხვადასხვა გამცემლური ელემენტები პარტიაში და მის გარეთ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ლენინური გეგმის შესრულება. სოციალიზმის აგების ამ გზაზე სერიოზული საფრთხე და დიდი სიძნელეები იყო. პარტია, ხალხი თავისი მასწავლებლის—ლენინის ღირსნი აღმოჩნდნენ. მათ წარმატებით გაიარეს ეს გზა. საშიშროებანი ლიკვიდირებულ იქნა, სიძნელეები დაძლეულ და გადაჭრილ იქნა. მხედველობიდან არ გამოპარვიათ არც ერთი შესაძლებლობა, ყველაფერი გამოყენებულ იქნა სოციალიზმისათვის. რასაც ლენინი ოცნებობდა, ასრულდა—ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად, ცხოვრებაში ვახდა არა მარტო საბჭოთა ქვეყანა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკაც.

ახლა ჩვენი სოციალისტური საზოგადოება ვითარდება საკუთარ საფუძველზე. საბჭოთა ხალხმა შექმნა თავისი სოციალისტური ინდუსტრია, სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა საზოგადოება ყოველდღე სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობით წარმოქმნის ადამიანთა სოციალისტურ ურთიერთობას, წარმოების იარაღს, საწარმოო გამოცდილებას და შრომის ახალ ჩვევებს. ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე მრავალგზის გაიზარდა 1917 წელთან შედარებით და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს სიმდიდრე თითქმის მთლიანად შექმნილია საბჭოთა ეპოქაში. სოციალისტური საზოგადოების სწახლხო შემოსავალი 1940 წლისათვის ექვსჯერ აღემატებოდა რუსეთის 1913 წლის სახალხო შემოსავალს, იგი 21 მილიარდიდან 128,3 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. ჩვენი საბჭოთა საზოგადოების განვითარების დაბასიათებისათვის დიდშნიშვნელოვანია აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ 193 მილიონი კაციდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობენ, 100 მილიონამდე დაიბადა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც ლენინისა და სტალინის პარტიამ სოციალისტური გადატრიალება მოახდინა, ჩამორჩენილი ქვეყანა რუსეთი, რომელსაც წარსულში არა ერთი სამხედრო დამარცხება განუცდია, მოწინავე, აღმავალი და ძლევამოსილი ქვეყანა ვახდა. პარტიამ და ხალხმა კარგად იციან, რომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ეს ძირითადი ცვლილება, მისი გამარჯვებანი მტერთან სამხედრო შეტაკებებში მიღწეულ იქნა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ განხორციელდა ლენინურ-სტალინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობის შესახებ, სოციალიზმის მშენებლობის გზებისა და საშუალებათა შესახებ. როგორც ცნობილია,

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს ორი სხვადასხვა მხარე აქვს, რომელთაგან ერთი მოიცავს საშინაო ურთიერთობის დარგს, მეორე—საგარეო ურთიერთობის დარგს. ჩვენს ქვეყანაში სტალინის პარტიის განვითარების მსვლელობამ გადალახა დაბრკოლებები სოციალიზმის აგების გზაზე: დაძლეულია რუსეთის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, დამარცხებული და გაცამტვერებულია ექსპლოატატორული კლასები, მოგვარებულია მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური თანამშრომლობა, შექმნილია საბჭოთა საზოგადოების მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელმაც მკაცრი გამოცდა გაიარა. ახლა ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს სოციალიზმის შემდგომი განვითარება და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლა. მაგრამ, როგორც ლენინიზმი გვასწავლის, ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგება ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, ესე იგი გამარჯვება, რომელიც თავისუფალია გარედან სამხედრო თავდასხმისა და კაპიტალიზმის აღდგენის ცდების საშიშროებისაგან. მეორე მსოფლიო ომის დაწყების ცოტა ხნით ადრე ამხანაგი სტალინი იძლეოდა გაფრთხილებას: სასაცილო და სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, „რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიამჩნონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების შემთხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ მიერ დაკავებულ რაიონებში და აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. განა დენიკინი ან კოლჩაკი არ აღადგენდნენ ხოლმე ბურჟუაზიულ წყობილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რით სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს?“ (ამხ. ივანოვის წერილი და ამხანაგ სტალინის პასუხი, გვ. 16-17, პარტგამომცემლობა, 1938 წელი).

სწორედ ამასთან დაკავშირებით დააყენა და დაამუშავა ამხანაგმა სტალინმა საკითხი სოციალიზმისა და კომუნისმის დროს სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი როლის შესახებ, სოციალისტური საზოგადოების განვითარების მსვლელობაში სოციალისტური სახელმწიფოს უქვეელი განმტკიცების შესახებ იმ პირობებში, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა მარტო ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში.

საკიროა გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით, რომ წარსულ საუკუნეში მარქსისტული მეცნიერება ემყარებოდა ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში სოციალიზმის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების წანამძღვარს. ამიტომ მარქსისტულ ლიტერატურაში აღიარებული და ფართოდ გავრცელებული იყო თითქმის ასი წლის წინათ გამოთქმული დებულება სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლისას სახელმწიფოს კვდომის შესახებ. სანამ სოციალიზმი მომავლის შორეული ოცნება იყო, ამ საკითხს არ ჰქონდა დადამყვანი პრაქტიკული მნიშვნელობა. მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, როცა ლენინმა დაამტკიცა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პრაქტიკული შესაძლებლობა, როცა საბჭოთა კავშირში აგებულ იქნა სოციალისტური საზოგადოება. ამ ახალ პირობებში სოციალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე სახელმწიფოს კვდომის იმ თეორიით ხელ-

მძღვანელობა, რომელიც წინათ გავოცლებული იყო მარქსისტულ მრეებ-
ში, ნიშნავდა საბჭოთა საზოგადოების განიარაღებას მისი მოხისხე მტრე-
ბის წინაშე. დიდმა სპამელო ომმა, რომელიც საბჭოთა კავშირის გამარჯ-
ვებით დამთავრდა, ცხადყო, რომ საბჭოთა სახელმწიფო მარქსისტული
როლი შეასრულა მტრის განადგურებაში. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა
შემუშავა და განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწი-
ფოს შესახებ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში. გვი-
ჩვენა, რომ არ შეიძლება საერთაშორისო ვითარებისაგან მოწყვეტა, რომ
სოციალისტურ ქვეყანას „უნდა ჰქონდეს თავისი საკმაოდ ძლიერი სახელ-
მწიფო, — მისათვის, რომ საშუალება ჰქონდეს დაიცვას სოციალიზმის მო-
ნაპოვარნი გარედან თავდასხმისაგან“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები,
მე-11 გამოც., გვ. 747).

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში სოციალიზმისა
და კომუნიზმის დროს სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცების
იდეამ, ამხანაგ სტალინის მიერ განვითარებულმა და დასაბუთებულმა, შეა-
იარაღა ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი და ლენინიზმის უდიდესი თეორიუ-
ლი და პოლიტიკური მონაპოვარი გახადა.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური თეორიის შინა-
არსი მოითხოვდა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს ჰყოლოდა ძლიერი,
კარგად გაწვრთნილი თანამედროვე არმია, ჰქონოდა შემუშავებული საბჭო-
თა სამხედრო მეცნიერება გარეშე მტრებისაგან სოციალისტური სახელ-
მწიფოს დაცვის შესახებ.

გარეშე მტრებისაგან სოციალისტური საზოგადოების დაცვასთან შეფარ-
დებით სამხედრო მეცნიერება ლენინისა და სტალინის ნაშრომებამდე შე-
მუშავებული არ ყოფილა. რამდენადაც მარქსისა და ენგელსის ეპოქაში მე-
შათა კლასს კიდევ არ ჰქონდა თავისი სახელმწიფო და არ ჰყავდა თავისი
არმია და ამასთან მარქსი და ენგელსი ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმი
გამარჯვებდა ერთსა და იმავე დროს უმრავლეს ქვეყნებში, სამხედრო სა-
კითხებს მარქსისტული მეცნიერების ფუძემდებელი თავიანთ ნაშრომებში
მთავარ ყურადღებას არ უთმობდნენ. მართალია, სამხედრო საკითხებზე მუ-
შაობდა ენგელსი, მაგრამ ეს საკითხები ენგელსის ნაშრომებში დეტალურად
დამუშავებული არ არის და, ამასთან, ჩვენი დროისათვის ჯნგელსის ზოგი-
ერთი სამხედრო ნაშრომი ძალიან მოძველებულია. საბჭოთა სამხედრო
მეცნიერების უქონლობას შეეძლო ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძა-
ლების განვითარების შეფერხება, მისი შესუსტება მძიმე სამხედრო განსაც-
დელის წინაშე. ლენინმა და სტალინმა სოციალისტური სახელმწიფოს ასე-
თი სამხედრო მეცნიერების შემუშავება დაიწყეს ჯერ კიდევ სამოქალაქო
ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში. ლენინმა და სტალინმა ჯერ
კიდევ იმ წლებში საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას,
იდეოლოგიურად, მორალურად შეიარაღეს პარტია და საბჭოთა ხალხი,
შეკმენეს და აღზარდეს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და წითელი
ფლოტი. იმ დროიდან პარტია, ამხანაგი სტალინი დაუღალავად განაგრძობ-
დნენ საბჭოთა სამხედრო მეცნიერების განვითარებას. შემუშავებულ იქნა
საკითხები საბჭოთა საზოგადოების შეიარაღებული ძალების მშენებლობის
შესახებ, პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შესახებ, რატ უზრუნ-
ველყოფდა სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვებას მის მტრებზე. მე-
მუშავებულ იქნა თანამედროვე ომის წარმოების სტრატეგია და ტაქტიკა.

ომის მსვლელობაში მტერზე უპირატესობის განუხრელად მოპოვების გზე-
ბი, მოპოვებული გამარჯვების სამხედრო და დიპლომატიური განმტკიცების
გზები, მიღწეულ სამხედრო წარმატებათა განმტკიცების გზები. სამხედრო
მეცნიერების, სამხედრო იდეოლოგიის საკითხები შემოქმედებულ იქნა მთლიან-
ნად საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების შესაქმნელად. მისი
მოძღვრების თვალსაზრისით.

პარტიის ამ მუშაობის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა განსაკუთრებული
სიძალით გამოჰქადაგდა, როცა გერმანიის ფაშისმმა სცადა საბჭოთა სო-
ციალისტური წყობილების განადგურება იარაღით და ჩვენს ქვეყანაში მო-
ნათმფლობელური იმპერიალიზმის რეაქციული წყობილების დამკვიდრება.
ცნობილია, თუ რა სავალალოდ დამთავრდა ფაშისმისათვის ეს ცდა. სო-
ციალისტურმა საზოგადოებამ არა მარტო ღირსეულად გაუძლო ომის გან-
საცდელს, მან გვიჩვენა შესანიშნავი უნარი—ომის კრიზისულ მომენტში,
მომაკვდინებელი საფრთხის მომენტში ებოვნა ხალხის შემოქმედების დამა-
ტებითი წყაროები, თავისი ძლიერების ზრდის წყაროები. სოციალიზმის
პოლიტიკურმა და შეიარაღებულმა ძლიერებამ აჯობა და გასრისა გერმა-
ნიის იმპერიალიზმის—ევროპული რეაქციის ცენტრის პოლიტიკური ძლიე-
რება. საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ, სამხედრო იდეოლოგიამ გვიჩვენა
თავისი უდიდესი უპირატესობა თანამედროვე ომში. ახლა ყველასათვის
ცხადია, ეს იმიტომ მოხდა, რომ საბჭოთა ხალხს თავისი საზოგადოების სა-
თავეში ჰყავს ნაცადი ბელადი და უდიდესი მხედართმთავარი გენერალი-
სიმუსი სტალინი (მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია ამხანაგ სტალინის პა-
ტივხაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან). ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელო-
ბით წითელმა არმიამ ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. სამხედრო ხე-
ლოვნების უდიდეს ნიმუშებს წარმოადგენენ ოპერაციები სტალინგრადის,
კორსუნ-შეფჩენკოვსკის, იასი-კიშინიოვის გარშემოსარტყმელად, გერმანიის
არმიების გარშემორტყმა ბელორუსიაში, აღმოსავლეთ პრუსიასა და ბერ-
ლინის რაიონში. სამხედრო მეცნიერებაში შესანიშნავ განძს წარმოადგენს
ოპერაციები მტრის ფრონტის გასარღვევად და დასამსხვრევად, რაც წი-
თელმა არმიამ განახორციელა ომის მსვლელობაში. ამხანაგმა სტალინმა მო-
გვცა სამხედრო მეცნიერების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემე-
ბის კონკრეტული გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია ჯარების გვარობა-
თა გამოყენებასთან და თანამოქმედებასთან, რომლებიც წარმოიშენენ თანა-
მედროვე სამხედრო ტექნიკის განვითარების საფუძველზე. ამხანაგმა
სტალინმა, მეთაურობდა რა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს,
ჩვენი ქვეყანა მიიყვანა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის
ბრძოლის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდ გამარჯვებამდე.

სამამულო ომის შედეგს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს სო-
ციალიზმის განვითარების პერსპექტივებისა და განმტკიცების თვალსაზრი-
სით. ახლა შეიძლება ითქვას, რომ, თუმცა სოციალისტურ სახელმწიფოს არა
აქვს სრული გარანტია, რომ მის წინააღმდეგ ვარედან სამხედრო თავდასხმა
არ მოხდება, მაგრამ სამამულო ომმა გვიჩვენა, რომ საერთაშორისო რეაქ-
ციის მეორე ცდაც—დაემარცხებინათ საბჭოების რესპუბლიკა ვარეშე სამ-
ხედრო ძალის დახმარებით, იძულებულყოფით ჩვენი ხალხი გადაეხვია გან-
ვითარების სოციალისტური გზიდან—დამთავრდა რეაქციული ძალების
უმაგალითო განადგურებით. მაშასადამე, სოციალიზმიდან კომუნისმისაკენ

ჩვენი საზოგადოების განვითარების პერსპექტივები ამჟამად კიდევ უფრო განმტკიცდა არა მარტო შინაგანი, არამედ გარეშე პირობების თვალსაზრისითაც. ყველაფერი ეს ცხადპყფს, რომ საბჭოთა ქვეყანა წარმოადგენს მხარდს, აღმავალ სახელმწიფოს, რომელსაც უნარი შესწევს ამოღებულ თავის და მოიგერიოს ყოველგვარი მტერი.

ლენინი და სტალინი ასწავლიან ჩვენს პარტიას—არ გაიტაცოს ფი გაზარჯეებამ, კი არ შეამციროს, არამედ, პირიქით, გააძლიეროს ენტუზიაზმი შრომაში, იყოს გამჭირაბი და ფბიზელი ჩვენი სამშობლოს ინტერესების დაცვაში, მტკიცედ შეინარჩუნოს გამარჯვების შედეგები. მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი მეურნეობის კიდევ უფრო გაძლიერებას, ჩვენი კულტურის კიდევ უფრო ამაღლებას. მშვიდობიანი მშენებლობის ხანაში, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო აღადგენს მეურნეობას იმ რაიონებში, სადაც შემოტყრილი იყო და მივინვარებდა მტერი, და მიიღწევს საბჭოთა ხალხების მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალ აღმავლობას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის, კეთილდღეობის აღმავლობას. ლენინიზმი ჩვენს ხალხს უჩვენებს ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი აყვავების ნათელ გზას, კომუნისმისაყენ მისი შემდგომი წინსვლის გზას.

ახლა მთელი ხალხისათვის ცხადია, რომ ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის მიერ განვლილი მთელი ეს გზა ერთადერთი სწორი, ისტორიულად საყსებით გამართლებული გზაა კომუნისმისაყენ. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იციან, რაოდენ ძნელი, რთული იყო ეს გზა, რა დიდი საფრთხე ელოდა საბჭოთა რესპუბლიკას ყოველ ნაბიჯზე. ამ ძნელ წლებში რომ საბჭოთა ქვეყანა დავაყვაცებული, მტკიცე გაეხალათ, რომ განეხორციელებინათ გიგანტური ნახტომი ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკიდან გამარჯვებული სოციალიზმის მძლავრი სახელმწიფოსაყენ, ბოლშევიკების პარტიას, ლენინის მოწაფეებს მოეთხოვებოდათ ქეშმარიტად ტიტანური ენერგია, გონების დიდი ძალა და შეუდრეკელი ნებისყოფა. და ლენინის პარტიის ეს თვისებები მთლიანად გამოვლინდა. პარტია წარმატებით, დარწმუნებით ახორციელებდა ლენინურ იდეებს და ამჟამად წინ მიდის ლენინის გზით, ბრძნულად, ოსტატურად წარმართავს რა მას საყვარელი ბელადი, ლენინის ერთგული თანამებრძოლო ამხანაგი სტალინი. (მქუხარე ტაში).

III

საგომთა დემოკრატია ლენინიზმის იდეების განხორციელება

ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა წყობილების ყველაზე ძლიერი მხარე, საზოგადოების ცხოვრების წინანდელ ფორმებთან შედარებით, არის მთელი ხალხის მონაწილეობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, რომ სოციალიზმი იმარჯვებს მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების დროს. ლენინიზმმა მოგვცა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ამ თავისებურების მეცნიერული ახსნა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წარსული წყობილება წარმოიშვებოდა ბოლმე ხალხის მასების შეგნებული მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, ბურჟუაზიული წყობილების განვითარება არ მოითხოვდა მასების შეგნე-

ბულ შემოქმედებას ან რომელიმე პარტიის ორგანიზატორულ მუშაობას, რადგან ეს წყობილება სტიქიურად წარმოიშვა ჯერ კიდევ ფეოდალური საზოგადოების წიაღში. სოციალიზმი კი წარმოიშობა და ვითარდება არა თავისთავად, არა სტიქიურად, მას შეგნებულად, გეგმით აშენებენ. ყველა ხალხი კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით. გასაგებია, რომ საზოგადოების აგება შეგნებულად, მთელი ხალხის ხელით, მრავალი მილიონი ადამიანის ცხოვრების საფუძვლების გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალების, ენერჯისა და ტალანტების გაშლით. აქედან გასაგებია ლენინის იდეა იმის შესახებ, რომ რამდენადაც ხალხის მასები ჩაბმული არიან აქტიურ ცხოვრებაში, ისტორიულ შემოქმედებაში, უნდა გაიზარდოს მოსახლეობის იმ მასის მოცულობაც, რომელიც წარმოადგენს შეგნებულ ისტორიულ მოღვაწეს. სწორედ საბჭოთა დემოკრატია გამოხატავს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ საბჭოთა ხალხი ვახდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შეგნებული შემოქმედი. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ხალხთა და სახელმწიფოთა ბედი სწყდება ახლა, უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად, მშრომელთა მილიონიანი მასების მიერ.

„მუშები და გლეხები, რომელნიც უხმაუროდ და უაურზაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მალარობებსა და რკინიგზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ჰქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აკმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გამორჩევი და ნამდვილი შემოქმედნი“. (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 527).

საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც არ არიან ერთიმეორისადმი მტრული კლასები და არ არის ერების ჩაგვრა, ხოლო სახელმწიფო სდგას ყველა მშრომელის ინტერესების სადარაჯოზე, ხალხი ნამდვილად ჰქმნის პოლიტიკას და ახორციელებს მას თავის შემოქმედებითს საქმიანობაში. საბჭოთა დემოკრატიის ამ თავისებურებით აიხსნება, თუ რატომ არის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების კანონი მისი სულ უფრო და უფრო მზარდი წინსვლა. ის ფაქტი, რომ საბჭოთა მუშებსა და გლეხებს, ინტელიგენციას შეგნებული აქვთ, რომ მათ ჰქვეყანას არ შეუძლია იდგეს ერთ ადგილას, რომ იგი განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, ის ფაქტი, რომ მთელი ჩვენი ხალხი ისწრაფვის თავისი შრომით დაეხმაროს მთელი საზოგადოების ამ წინსვლას, წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების უდიდეს შინაგან ძალას. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ ზარდონ შრომის ნაყოფიერება, რადგან სოციალიზმის პირობებში საზოგადოების სიმდიდრის გადიდება ნიშნავს აგრეთვე ყველა მისი წევრის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდას. მართალია, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მძიმე ომის პირობებში ჩვენი ქვეყანა ხალხის არსებობისა და მისი სოციალისტური მონაპოვრების დასაცავად იძულებული იყო მთელი ძირითადი საშუალებანი და ძალები მოეხმარებინა არმიისა და ფრონტის საჭიროებისათვის. ამ წლებში ცხოვრება ძნელი იყო, ყველამ იძულებული ვახდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ აუცილებელით და გაწევადა გაჭირვება. მაგრამ ეს ომის სიმძლეეები ჰარბად იქნა გამოსყიდული. ჩვენმა ხალხმა დაიცვა თავისი სიცოცხლე, თავისუფლება, სოციალისტური წყობილება, თავისი საბჭოთა დემოკრატია. ამით მან დაიცვა მთავარი პირობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოკლე ვადაში სწრაფად წასწიოს წინ ქვეყნის მთელი განვითარება, მნიშვნელოვნად აამაღლოს საბჭოთა

კავშირის ყველა მშრომელის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

ამრიგად, ლენინის იდეა თვით ხალხის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნებული შემოქმედების შესახებ პრაქტიკულ განხორციელებას უზღვევს ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი აღმავალი განვითარების საფუძველი, საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი ძალა, ხალხური საბჭოთა დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პირობა და გამოვლინება. ამაშივე მდგომარეობს ლენინის მითითების ღრმა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა დემოკრატია ამაღლებს, ზრდის, წვრთნის მშრომელი კლასების მთელ გიგანტურ მასას, „რომელიც აქამდე მთლიანად იდგა პოლიტიკური ცხოვრების გარეშე, ისტორიის გარეშე“ (ვ. ი. ლენინი— „შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“ თხზ. ტ. XXI, გვ. 258).

ჩვენი საბჭოთა დემოკრატიის ეს თავისებურება იწვევს დემოკრატიის გაფართოებისა და განვითარების მიხედვით საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივ განმტკიცებას. აქამდე პოლიტიკური განვითარების ისტორიული გამოცდილება, კერძოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხთა მასებს უხდებოდათ ბრძოლა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, რათა შეენარჩუნებინათ და დაცვათ უკვე მოპოვებული დემოკრატიული უფლებები. საბჭოთა საზოგადოებაში ხალხი და მისი სახელმწიფო ერთნაირად არიან დაინტერესებული დემოკრატიის გაფართოებითა და აყვავებით მშრომელებისათვის, რადგან, რაც უფრო ფართოდ იქნება ჩაბმული ყველა მშრომელი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო მტკიცე, უფრო მძლავრი ხდება საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა საზოგადოების ეს თავისებურება შესაძლებლობას იძლევა მუდმივად განავითაროთ და ყოველნაირად გავაფართოოთ საბჭოთა დემოკრატია სოციალიზმის განვითარების მსვლელობაში.

უკანასკნელ ხანს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების არც ერთ საკითხს არ გამოუწვევია იმდენი სხვადასხვაგვარი მსჯელობა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრში, როგორც საკითხს დემოკრატიის შესახებ. მაგრამ ამ მსჯელობისას ძალიან იშვიათად იღებდნენ მხედველობაში ჩემ უბრალო, მაგრამ გადაწყვეტ გარემოებას დემოკრატიის აზრისა და ხასიათის გასაგებად, რომ ყოველი დემოკრატიის შემოწმება უნდა ხდებოდეს საზოგადოებაზე მისი გავლენის, მასში ძირითადი სოციალური საკითხების გადაჭრაზე გავლენის ნამდვილი, ფაქტიური შედეგების მიხედვით. საბჭოთა დემოკრატიის სხვადასხვა მტრები და ორგულნი ამჯობინებენ დუმილს საქმის ამ უმნიშვნელოვანესი მხარის შესახებ, რადგან დემოკრატიაზე ყველა მათი მსჯელობისაგან პირდაპირ კვალიც კი არ ჩნება, თუ ფაქტებს მივმართავთ.

ავიღოთ ყოველი დემოკრატიის ძირითადი საკითხი—საკითხი მშრომელი ადამიანის პოლიტიკური უფლებების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია ის უსამართლო წესი, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, რომლის დროსაც ქარხნები, ფაბრიკები ეკუთვნიან არა იმათ, ვინც იქ მუშაობს, მიწა არის არა იმის განკარგულებაში, ვინც მას ამუშავებს, არამედ ეკუთვნის მას, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. საბჭოთა დემოკრატიის ძირითადი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მშრომელი ადამიანები, ხალხის მასები თვითონ ფლობენ წარმოების ყველა საშუალებებს, მთელ სიმდიდრეს, რომელსაც ისინი ქმნიან. გასაგებია, რომ თუ მშრომელ ადამიანებს მიანიჭათ ასეთი წყობილება ნამდვილ დემოკრა-

ტიულანდ და სამართლიანად, მაშინ იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სხვების შრომით, იგივე წყობილება არ სურთ სცნონ დემოკრატიულად. მაგრამ სწორედ ეს ააშკარავენს ნამდვილი დემოკრატიის მტრებს, რომლებიც თავიანთ ანგარებიან ინტერესებს აყენებენ ხალხის, საზოგადოების ინტერესებზე უფრო მაღლა.

აეილოთ მეორე საკითხი. როგორც ცნობილია, არც მეფის რუსეთში, არც თანამედროვე სახელმწიფოებში საზღვარგარეთ ნაციონალური საკითხი არ იყო პროგრესულად გადაწყვეტილი. ბევრ საზღვარგარეთულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ერების ურთიერთობა ხშირად წესრიგდება ხიშტითა და მათრახით, ხოლო თვით ასეთი სახელმწიფოები აგებული არიან გაბატონებული ერის მმართველი კლასების მიერ ყველა დანარჩენი ერების ჩაგვრასა და დამცირებაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ კი მოსაო ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, რაც სტანჯავდა რუსეთის განაპირა ქვეყნების ხალხებს, დაეხმარა და ეხმარება მათ მეურნეობისა და კულტურის ამაღლებაში ჩვენი ქვეყნის მოწინავე ცენტრალური ოლქების დონემდე, ეს ხალხები სრულუფლებიანებად გახადა. წინათ ჩაგრული განაპირა მხარეები ახლა გახდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები განვითარებული ეკონომიკითა და კულტურით. საბჭოთა ხელისუფლებამ ისტორიაში პირველად შესძლო საბჭოთა კავშირში შეექმნა ყველა ხალხთა გულწრფელი მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის ვითარება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათობით მილიონი ადამიანის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლება დემოკრატიის უდიდესი მიღწევაა. ცნობილია, რომ ომი არის ერებს, ხალხებს შორის დამყარებული კავშირის სიმტკიცისა და გულწრფელობის სერიოზული შემოწმება. და აი სამამულო ომის დროს ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან ხალხებს შორის ურთიერთობა ერთიანი მეგობრული ოჯახის წევრების ურთიერთობას ჰგავდა. განვლილ ომში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მისწრაფება ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი ბრძოლისაკენ სამშობლოს გადასარჩენად, ყველა ხალხთა მზადყოფნა ერთმეორის დასაცავად გამოვლინდა უდიდესი სიცხადითა და მომხიბვლელობით. საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაანახვეს მსოფლიოს ერთმეორისადმი ძმური ერთგულებისა და თავდადების უბადლო მაგალითები. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები დაირაზმნენ რუსი ხალხის, როგორც თავიანთი უფროსი ძმის, გარშემო და საერთო, ერთსულოვანი ღონისძიებებით დამარცხეს მტერი.

ასეთია საბჭოთა დემოკრატიის დიადი ნაყოფი.

აქედან სჩანს, რა ფასდაუდებელი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ლენინისა და სტალინის მიერ შემუშავებულ თეორიას, ყველა ერის ძმურ თანამშრომლობაზე, ხალხთა შეგნებულ და გულწრფელ მეგობრობაზე დამყარებულ მრავალეროვანი სოციალ-სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობის თეორიას.

დემოკრატიის ნამდვილი და არა მოჩვენებითი განხორციელება გულისხმობს აგრეთვე მთელი ხალხის ინტერესთა ერთიანობას, მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. მშრომელი მასების ასეთი ერთიანობა ლენინს მიაჩნდა სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად. ჩვენი წარმოდგენით, ამბობდა ლენინი, — სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერი შეგნებულად მიი-

ღონა. (ლენინი — სრულიად რუსეთის საბჭოების 11 ყრილობა, თხ. ტ. XXII, გვ. 18). განაზოგადებდა რა რუსეთის პოლიტიკური ისტორიის გამოცდილებას, ლენინი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ რაც უფრო მტკიცე პოლიტიკური თავისუფლება ქვეყანაში, რაც უფრო მტკიცე და დემოკრატიულია მისი წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, მით უფრო დიდხანს მასეებისათვის პოლიტიკის შესწავლა, ხოლო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობაა. სახელმწიფოს მართვაში ჩვენი ხალხის მონაწილეობის გამოცდილება და სამამულო ომში ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების თავდადებული დაცვა მოწმობს მოწინავე საბჭოთა იდეების სულისკვეთებით, სოციალიზმის სულისკვეთებით ლენინის პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას და მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას, რაც სულ უფრო და უფრო მტკიცდება.

ისტორიამ იცის მეცნიერებისა და კულტურის დიდი მოღვაწეების თავიანთი იდეებისადმი კეთილშობილური ერთგულების მრავალი მაგალითი. ვერც მუქარამ, ვერც უდიდესმა ტანჯვამ ვერ შესძლეს იძულებულყოფით ისინი — ხელი აეღოთ მოწინავე რწმენაზე. მაგრამ ისინი ცალკეული პიროვნებები იყვნენ. არც წარსულმა ისტორიამ, არც საზოგადოების თანამედროვე განვითარებამ არ იცის მაგალითი, როცა მთელი ხალხი, ამასთან დიდი ხალხი, როცა მთელი საზოგადოება, ამასთან მრავალმილიონიანი საზოგადოება იბრძოდეს ერთი მოწინავე მსოფლმხედველობის დრომით და იყოს პოლიტიკურად ერთიანი. ახლა ისტორიას აქვს ასეთი მაგალითი. ამ მაგალითს იძლევა საბჭოთა საზოგადოება. ამაშია საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, სოციალიზმის ცხოველუნარიანობა და უძლეველობა.

სწორედ ყოველივე ამით აიხსნება, თუ რატომ იცავენ თავგამოდებით საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც თვითონ შეიქმნეს ცხოვრების დემოკრატიული წესი, თავიანთ დემოკრატიას, თავიანთ ხელისუფლებას, რატომ არ ანებებენ ვისმეს შელახოს იგი და რატომ მიიჩნიათ ეს დემოკრატია თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების საუკეთესო და ყველაზე უფრო სრულ გამოხატულებად. ამითვე აიხსნება, თუ რატომ წარმოადგენს საზღვარგარეთის ბევრ სახელმწიფოში არჩევნები, ეთქვათ, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები, შეძლებულ კლასებს შორის ვაჭრობის საგანს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში უმაღლესი საბჭოს არჩევნები წარმოადგენენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს, თავისი პარტიისადმი, თავისი მთავრობისადმი, თავისი ძვირფასი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი ხალხის გულწრფელი ერთგულების, მადლობისა და უაღრესი ნდობის გამოხატულებას. (ხანგრძლივი ტაში).

ჯერ კიდევ ახსოვს ყველას, თუ წარსულ არჩევნებში რა შეთანხმებულად, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. მაშინ ამომარჩევლებმა თავიანთი ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკს. მას შემდეგ რვა წელი გავიდა. და ჩვენი ხალხი კიდევ და კიდევ დარწმუნდა, რომ ისეთ პარტიას, როგორც არის ბოლშევიკების პარტია, შეიძლება თამამად დაენდო — იგი დაიცავს ხალხის ინტერესებს, რომ ისეთი მთავრობის პოლიტიკას, როგორც არის ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანს შეუძლია თამამად მისცეს ხმა, ვინაიდან ეს პოლიტიკა აგებულია ხალხის სასარგებლოდ, სოციალიზმისათვის. ჩვენი საბჭოთა ადამიანები ამბობენ აგრეთვე:

მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენ მტკიცედ ვიდექით ლენინის—ჩვენი საბჭოთა წყობილების მამის დროშის ქვეშ. ეს იყო ნათელ ლენინურ გზაზე სამუდამოდ დამდგარი ხალხის სახელოვანი შემოქმედებითი შრომისა და თავდადებული ბრძოლის წლები. ამ გზამ აამალა ჩვენი ~~სხარტული~~ და გაამრავლა მისი ძალები. ჩვენ ვაპყობთ და ბედნიერი ვართ ~~ჩვენი~~ ეს გზა გამოვიარეთ ჩვენ, რომელთაც ბრძნულად წარგვმართავდა ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი. (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

ცოცხლობდეს და ჰყვარდეს ჩვენი დიადი სამშობლო, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება! (ხანგრძლივი ტაში).

დიდება ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომლებიც იმარჯვენენ ლენინიზმის დროშით! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ლენინიზმს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის დიდ ბელადს, ხალხის მასწავლებელს, ლენინის საქმისა და მოძღვრების განმგრძობს ჩვენს ამხანაგ სტალინს! (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციისაში გადადის. უველანი ფეხზე დგებიან. სხდომის მონაწილენი ფეხზე მდგომნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“).

4139



გიორგი კახაიძე

ღ ე ნ ი ნ ი

ღამით შეიჭრა ქალაქში მტერი,
სიკედილმა ყალყზე შემართა რაში...
ლენინის ძეგლი ბრინჯაოსფერი
დილით არ იდგა ქალაქის ბაღში.

შემკრთალ ყვავილებს აქნობდა სევდა,
მიწა კენესოდა მძიმედ დაჭრილი
და შურისგების გრიგალში ხვევდა
ქუჩებს ლენინის დიდი აჩრდილი.

ქვეყნად სიკეთის და ხალხთა მხსნელი
გზას ულოცავდა პარტიზან მხედარს,—
თან ეხებოდა მკურნალის ხელით
შვილის ცხედართან მომაკედავ დედას.

როცა განწირულ მტრის ურდოს აქაც
აღმოსავლეთის გრიგალი ტეხდა,
სტალინის ჯარებს ქალაქის კართან
დიდი ლენინის აჩრდილი შეხვდა.

ელვად აიჭრა ზეიმი ცაში,
სიხარულისგან ატირდა ბევრი
და კვლავ ამაღლდა ქალაქის ბაღში
ლენინის ძეგლი ბრინჯაოსფერი.

მზე დაუბრუნდა ქალაქს დევნილი,
მოპყვა სიცოცხლის სიო ახალი
და ყურს უგდებდა მის ხმას ლენინი —
ბრინჯაოსფერი ძეგლი მაღალი.

შალვა ღაღიანი

მენჯი-რობუ*

უცხოელები კი გარინდულნი იყვნენ. ეტყობოდათ, ცოტა არ იყოს, აკვირვებდათ წინანდელ ნასაუბრევიდანაც ვამეხის მომზადება, მისგან ხმარება საუბარში ევროპული ტერმინებისა და თითქოს მისდამი მოკრძალებით იმსჯელებოდნენ, მაგრამ ვოლკოვისა და ვამეხის ამ უკანასკნელ დიალოგში მაინც არ ერეოდნენ, თითქოს ნეიტრალიტეტს იცავენ და ელოდებიან „რა გამოვა რისაგანო“.

ქვეყანადის ხსენებაზე ვოლკოვი ვამეხს ასე გამოეხატა:

— პო, ეგ გვარი მახსენდება. აი ტურგენევი ერთ თავის რომანში იხსენებს ვინმე ქართველ კნიაზს ჩიჩაეჩაეჩიჩაეჩივაძეს... ეგ ის ხომ არ არის?

ბარანოვსკაია კვლავ შეკრთა. ბარონესას დაეტყო წყენა. მისი ქალიშვილი აქაც ვერ გაერკვია, თუმცა აქაც რაღაც არა სასიამოვნო ქარის მობერვას გრძნობდა. ევტიხა უკვე შემფოთებული იყო და მზად იყო თვითაც გამზადილიყო ვოლკოვის საპასუხოდ. თითქოს იფეთქაო ძველი მასწავლებლის ბუნებამ. მაგრამ ვამეხმა ხმა ისევ აიმაღლა და თუმცა ვოლკოვის რეპლიკით ამრეზბლიყო, ზრდილობით მაინც ასე შეუბრუნა.

— მე არ მახსოვს ტურგენევის ეგ ჩიჩაეჩი... შეიძლება მართლაც პყავდეს გამოყვანილი ასეთის სახელით რომელიმე ქართველი, მაგრამ ეს ან გამოუთქმელობის გამო მოუვიდა, ან უცხო სახელებს, უჩვეულ სახელწოდებებში, ყოველთვის სხვაგვარად გამოთქვამს გადამთიელი. აი მაგ საქართველოში არის ერთი კუთხე, რომელსაც ამ ეამად ქართულად ეწოდება შორაპანი, ბერძნები მას ძველად ეძახდნენ სარაბანდას, თქვენ რუსებმა კი დაარქვეით „შორაპან“. С мягким знаком, Шаропань,— განუგეორა ვამეხმა— მაშინ როდესაც ეს სახელი წარმოებულა ქართულის „შორი უბნიდან“, რადგან იქვე არსებობს „მარტოუბანი“, ან „შორი ფონიდან“, რადგან არსებობს დღევანდელი „ხესტაფონი“ (უთუოდ ძველად „ხედაფონი“) და ესეც იქვე არსებობს. ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება, არამც თუ საქართველოსი, არამედ სხვა ქვეყნების გადამაზინჯებულ სახელწოდებებშიაც. შეიძლება ტურგენესაც აგრე მოუვიდა. თვითონ ჩვენ დედაქალაქს თბილისს რუსები ტიფლისს ეძახით. ან და შეიძლება დაცინვითაც მოუვიდა ამ დიდ მწერალს ქართული გვარის გაკარიკატურება. უნდა გამოვტყდე, რომ რუს მწერლებს აქამდე საქართველოსადმი ზოგჯერ ეგეთი ავადებული მოპყრობა აქვთ. თვით დიდი ლერმონტოვიც ვერ აცდა ამ ველი-

*) გაკრძელება. იხ. „მნათობი“ № 11 — 12.

კოდერკაენიკულ თქმას, ის ლერმონტოვი, რომელიც თითქოს აღტაცებული იყო საქართველოს ბუნებით და ხალხით, მაინც სთქვა: „Безъали ринкше грузины“.¹ ეს ვერ არის მართებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უფრო ახლოს ჩვენი გაცნობა და დაკვირვება ამ მხარესაც გამოასწარებს.²

— უპ, შენი ჭირიმე შენი! რა კარგად უპასუხე! — გაბჭჭჭ... ~~მეგობრობა~~ ~~გეტყვი~~

— ეგ მომავლის საქმეა! — ხმა ამოიღო ერთმა უცხოელმაც.

ვაშხმა მაშინვე მიაგება:

— სწორედ. მართალი ბრძანეთ! მე მწამს, რომ ქართველობას დიდი მომავალი აქვს. მას იცნობენ ამ მომავალში და ღირსეულ ადგილსაც მიუჩენენ კაცობრიობის გაღვრებაში.

— ნეტარ არიან შორწმუნენიო, ამბობს სამღეთო წერილი, — მაინც არ დასცხრა ვოლკოვი და ცუდი დიმილით განაგრძო: — დღეს კი რამდენ ჩერქესიანს ენახავ, ვერიდები — თავის ხანჯლით არ გამომფუშოს-მეთქი!

— Se drolle, se drolle! — წარმოსთქვა ბარონესამ ფრანგულად, თან სიცილი დააყოლა, მაგრამ მარინამ და დამარამ კარგად შეამჩნიეს, რომ ის საეპარქიოდან ნაწყენი წამოდგა, გვერდით ვაშხს ჩაუარა და დამტკრეულის ქართულით, უფრო ფრანგულის აქცენტით ესე გადაულაპარაკა:

— უზრდელი კაცია... ხომ... ვავაგდებდი... სტუმარია, რა ვუყო? — და აიენისაყენ გაიარა. დამარა და ბარონესკაიაც თან გაჰყვნენ.

ვაშხმა კი ვოლკოვს არ შეარჩინა:

— აბა რა ბრძანეთ! ეგ ხომ ის თქვენი განთქმული კლიუკვაა ზერელე ვეროპელ მოგზაურებმა პეტერბურგის შუაგულ რომ აღმოაჩინეს. თქვენც იმ ჭორს აყოლინართ, ვითომდა ჩვენში კაცის კვლის მეტს არაფერს ვაკეთებდეთ. როგორ გეკადრებათ! რუსებს გმართებს ჩვენი უკეთ ცნობა... — და ვაშხიც სკამიდან წამოდგა.

ამაზე ვოლკოვმა ვაშხს არაფერი უპასუხა, მხოლოდ უცხოელებს ინგლისურად მიმართა:

— თუ, რა ყოყლოჩინები ყოფილან ეს ველური კულაბზიკები!

უცხოელი შეშფოთდა და მალე შეუბრუნა:

— დაჩუმდით ღვთის გულისათვის. ბარონესამ მშვენიერად იცის ინგლისური. თქვენ კი ჩემი ფიქრით მართებულად ვერ იქცევით. როგორ შეიძლება ასე პირდაპირი, უხეში ლაპარაკი...

მეორე უცხოელიც, რომელიც თითქოს უსიტყვო კაცი იყო, რადგან მას შემდეგ, რაც აქ მოვიდა, ამ დილით სულ ერთი-ორჯერ თუ დაილაპარაკა, მაგრამ ახლა კი საჭიროდ სცნო ჩარევა და ამანაც ინგლისურად გადაჭრით განაცხადა:

— ბატონმა ვოლკოვმა მასპინძლებთან ბოდიში უნდა მოიხადოს.

ვოლკოვმა ყურები ცქციტა:

— ბოდიში?

— სწორედ. — და უცხოელმა განაგრძო ფრანგულად, რადგან ეს ენა უფრო ეხერხებოდა, როგორათაც ტომით ბელგიელს. ამის გარდა ვაშხი მათთან უკვე ჩამოშორებული იყო და ეგტხისა და უკვე ფეხზე წამოდგარ მამა თედორეს ესაუბრებოდა. ამისათვის სასაიდუმლოდ ინგლისური აღარ სჭირდებოდა.

¹ „გაიტყნენ შხალი ქართველები“.

² „ეს სასაილოა, სასაილო“.

ის არწმუნებდა ვოლკოვს, რომ ისინი აქ საქმისათვის იყვნენ ჩამოსულნი და არა საბაჟეროდ და სალაზღანდაროდ. ან რა მათი საქმეა საქართველოზე ლაპარაკი, ვინ ეკითხებათ! თავიც უტეხნიათ, როგორც უნდათ, ისე, ვარაუდგინონ თავის თავი. მით უფრო ამათ დიპლომატიური მისიისა და ვიზიტის დავალებული, სავაჭროდ არიან მოსულნი და დამოკიდებულებას ნაკლებად წაიხდინონ, თუნდაც რუსეთის ნიჭიერი ინჟინრის შეხედულების გამო, — თავი მოუქონა ვოლკოვს ბელგიელმა — იმათთან, ვისთანაც მათ ამ ეპოქადა საქმე აქვთ.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ვოლკოვი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბოდიშს მარტო ბარონესასთან მოიხდიდა.

ამაზე უცხოელებს გაეცინათ და ერთმა ესეც კი უთხრა:

— ვიცი. ბარონესა გავლენიანი ქალი ყოფილა პეტერბურგში, შეიძლება თქვენც დაგვირდეთ. ამას გარდა... შეგატყვით, რომ მის ქალიშვილსაც ეტრფიალებით.

ვოლკოვმა უხუმარი სახე მიიღო და არაფერი არ სთქვა.

— იყოს ასე, საკმარისია — მარტო ბარონესასთან მოითხოვოთ ბოდიში. დაეთანხმენ უცხოელებიც და გასწიეს ქალებისაკენ.

იქ კი მარინა ეხვეწებოდა ბარონესას — რაიმე დაუკარი, რომ ეს უცხოელები გავამხიარულოთ და ვაცეკვოთო.

ბარონესა კი უარზე იღგა: „აბა მისმა მზემ ახლა ვოლკოვი თუ არ ვახტუნე, ისე არ დაედგებო“. მაგრამ ამ დროს მოუსწრეს უცხოელებმა, ვოლკოვმაც ბოდიში მოიხადა და საერთო მხიარულების შესაქმნელად ბარონესა დათანხმდა, რაიმე დაეკრა.

ის მიუჯდა დარბაზში მღვარ პიანინოს და გაისმა შმაგი ხმები ვენიავსკის მახურკისა.

ეს სწორედ ვოლკოვზე იყო ზედგამოჭრილი. ერთ დროს ოფიცრადაც ნამყოფი საერთოდ ცეკვაზე იყო გადაგებული, ინჟინრობა მხოლოდ შემდეგ შეისწავლა, რადგან ოჯახის სიღარიბის გამო ოფიცრის ჯამაგირი არ ჰყოფნიდა, ისიც პეტერბურგში, ამის გამო მაღალ წრეებში სიარული ხშირად არ შეეძლო და ესრედ წოდებულ „ოქროს ახალგაზრდობაში“ ძალა-უნებურად ვერ ერეოდა, თუმცა შთამომავლობით და აღზრდით მათი ტოლი იყო. ისინი მაინც როგორც ღარიბს და უსაძრავს ცხვირ აბზევით ეპყრობოდნენ, ეს კი თავმოყვარე ყმაწვილს მეტად სჩაგრავდა და ამიტომ გადასწყვიტა სამხედრო სამსახურისათვის თავის დანებება, მით უფრო, რომ იმ დროს ომის მოლოდინი რუსეთში მუდამ იყო, მაგრამ ვოლკოვის ახალგაზრდობის ხანაში, თითქმის ორმოცი წლის მანძილზე, ევროპაში თოფი არ გავარდნილა მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ჯერ ბისმარკის სახით და შემდეგ ვილჰელმ მე-II-სა იარაღს ხშირად აქლარუნებდა და ჯავშნიან მუშტსაც იღერებდა. ყველა ამის გამო ვოლკოვმა არჩია ინჟინრობა, როგორც უფრო სარფიანი ხელობა და აი დღეს ერთერთი ბელგიის კამპანიაში მთავარი სამთო-მადნო ინჟინერია. აქედან კი, მის ცხოვრების გამზირზე, კარგი მომავალი სჩანს. აქაც ამ „ველურ ქვეყანაში“ აგერ სად წააწყდა პეტერბურგის არისტოკრატიულ ბარონის ოჯახს და მის მშვენიერ ერთად-ერთ ქალიშვილს დაგმარას. ვოლკოვისათვის ეს არც ისე სახუმარო ამბავია და მართალი არიან უცხოელები, ბარონესასთან თავი მართლა უფრო წესიერად უნდა დაიკავოს, ან თუნდა მთელს მის ნათესაობას, აქაც, რად უნდა აწყენინოს და...

მგზნებარე პოლონურმა ხმებმა თითქო შეაზარხოშეს და ისიც გასრიალ-

და ქალის გამოსაწვევად. მხოლოდ... უცხოელების გასაკვირად დაგმარა კი არ გამოიწვია, მარინას მიადგა.

მარინა კი მისი ბოდიშის შემდეგ უკვე კეთილად იყო განწყობილი კოლკოვისადმი და მოხდენილად გაჰყვა.

უცხოელებმა ერთიმეორეს გაღუჭურჩულეს თავიანთი მწყაზარ ქალ-ვაყის ცეკვით:

— ძალიან შეენის ეს წყვილი ერთმანეთს. რა პლასტიტრები ყოფილან, როგორი ჰაეროვანი. ამათი ცეკვით კიდევ უფრო გავიგე მანურკის შინაარსი, იშვიათად დავეკვირვებივარ ასე. ეს ხომ ქალ-ვაყის მთელი პოემაა.

— შშვენნიერია! — შეუბრუნა მეორემაც. — აქებენ ამათ ცეკვასაც — ლეკურს. ამბობენ კიდევ უფრო ნაზი და კდემამოსილი ცეკვააო.

— არ მინახავს.

— აქ უთუოდ ამასაც გვაჩვენებენ... ავერ კნაზებიც მობრძანდნენ...

დარბაზში ბარამი და ბეგი შემოდით. ორთავენი ერთხანს შეჩერდნენ, მაგრამ ბოლოს ეტყობა ბეგის გულმა არ მოუთმინა და დაგმარა გააქროლა პოლონურით.

ესენიც კარგი მოცეკვავენი აღმოჩნდნენ. ბეგის ჩოხა-ახალუხმა და მაღალყელიანმა წაღებმა სულ სხვა, თითქოს რაღაც ეკზოტიური ელფერი მისცეს საცეკვაოს.

ვოლკოვი კი ცეკვის დროს მარინას ასე ესიტყვებოდა:

— მაშ ბოდიშის შემდეგ მომიტევეთ ჩემი „ცინიკობა“?

— ძალიან კარგად მოიქმედეთ, თორემ აბა რას ჰგავდა! ისე იქცეოდით, როგორც ბუშმენი.

— ბუშმენი? — წარმოსთქვა სიცილით ვოლკოვმა და დანოქილმა მარდად შემოივლო მარინა. ისიც კობტად გასრიალდა, თან მაინც გადაუსროლა ფრაზა:

— თქვენგან მაინც არ მოველოდი. გაზრდილი კაცი ხარო. ამბობთ, რომ გვარდიაში ოფიცრადაც ხართ ნამყოფი.

კვლავ შეერთდნენ ვოლკოვი და მარინა და ახლა ერთად გაინაგარდეს ფართო დარბაზის ერთი კუთხისაკენ.

მარინა მაინც არ ეშვებოდა ვოლკოვს თავის უხუშარი შენიშვნებით. თუმცა შორიდან მის მოღიმარს, მარილიან სახეს, ზოგჯერ სიცილდაყოლებულსაც და ვოლკოვის გამხიარულებულ გამომეტყველებას შორიდან ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქო ერთი მეორეს სატრფიალო გრძნობებს უზიარებნო.

მარინა ეუბნებოდა:

— მე ვიცი, წამიკითხავს, მიამბებს, რომ საქართველო წარსულში მეტად კულტურული ქვეყანა ყოფილა... უცხოეთის მწერლებს აქეთ აწერილი, ბერძნებს, ბიზანტიელებს, ფრანგ და იტალიელ კათოლიკე მისიონერებს.

ვოლკოვმა ხმაშემა და დაიხარხარა:

— თქვენ რა? ისტორიკოსი ხართ?

— არა, მაგრამ აქეთ რომ მოვდიოდი, გავეცან ცოტაოდნად აქაურობას. თქვენც, როგორც განათლებულ კაცს, არ უნდა გიკვირდეთ ახლანდელ დროში მაინც რომ აქ შეხედეთ გავერობილებულ მეგრულს...

— კი მაგრამ მაგათი საქმე მაინც წასულია: თუ ჩვენში სრულად არ გაითქვიფენ, ვერ გადარჩებიან. — ამაზე მარინამ ვერაფერი შეაგება და თითქოს დაეთანხმა კიდევ:

— ჰო ეგ სულ სხვაა!—და ამ დროს ვოლკოვმა შეუქცევთა და ბეგი და დაგმარას წყვილთან ერთად წრე გააკეთა, რომ გაერთიანებულად ეტყვნათ და შემდეგ თავიანთი ქალებიც საცეკვაოდ გაეცევიანთ.

ამაზე მარინამ გადაულაპარაკა.

— ახლა კი მიაღწიეთ მიზანს: დაგმარასთან იცეკვებით!

ეროვნული
გზაობისთვის

— შე თქვენ ძალიან მომწონხართ.

— ნუ ცრუობთ! მე თქვენი რომანის გმირი არა ვარ.—საუცხოო კბილების გაკრიალებით შეპღიმილა ბარანოვსკაიამ და თავად ბეგის ფართო ვაყვაცურ ხელს მიანდო მისი სათუთი, ნატიფი პატარა ხელები.

დარბაზში მყოფნი ერთხანს შესტკეპროდნენ იქ მოფრთქილავ ახალგაზრდებს და შემდეგ ისევ უბნა-უბნა იწყეს ჩუმი საუბარი.

ვამეხი კვლავ უცხოელებს შეუერთდა. ბარამი—ვეტჩისის და მამა თელორეს.

უცხოელმა გაიკვირვა:

— ბარონესა დიდნანს უძლებს დაკვრას!

— ოო, ბავშვობიდანვე ჰქონდა დაკვრის ნიჭი... ეგ რომ მაღალი წრის ქალი არ ყოფილიყო და ხელმწიფის კარზე არ მოხედრილიყო, მასწავლებლები თურმე ვირტუოზობას უჭადიდნენ... მხოლოდ არ იფიქროთ, რომ პარტო საცეკვაოებს უკრავს, ეგ ძალიან მაღალ ღირსების მუსიკალურ ნაწარმოებებსაც დღევანდლამდე საუცხოოდ ასრულებს.

— გიყვართ მუსიკა?

ვამეხს თითქო შერცხვავ, მაგრამ მაინც თამამად წარმოსთქვა:

— ტრფიალი ვარ.

— უთუოდ უკრავთ კიდეც.

— ჰო... — აქ კიდეე უფრო დაირცხვინა ვამეხმა, — ზოგჯერ ვაყვარებ.

— რა კარგი იქნება—გთხოვთ თქვენა, და ბარონესას შეგვისრულოთ ზოგი რამ.

— რატომ, სიამოვნებით! მხოლოდ ჯერ ვაცალოთ ახალგაზრდებს მხიარულება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — დაეთანხმნენ უცხოელებიც, მხოლოდ ერთმა ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა:

— ძალიან კარგი ინსტრუმენტი ჰქონია კნეინა ნექტარინას.

ვამეხს გაეცინა:

— თქვენ გიკვირთ, რომ აქ სადღაც „კავკასიის“ გადაკარგულს მიყრუებულ კუთხეში ხედვებით ასე თუ ისე ევროპულად გაფერილ ადამიანებს, ფრანგულს ენაზე მოლაპარაკე „ველურებს“ და... ასეთ საუცხოო ინსტრუმენტს, არა?

უცხოელი ცოტა შეწრფა და იუარა „მე ეგ სრულებით არ მინდოდა მეთქვაო“.

ვამეხმა კი აუხსნა, რომ ინსტრუმენტი ამ რამდენიმე წლის წინათ სწორედ ბარონესამ გამოუგზავნა თავის დას, რომ თუ ადგილობრივ ვერავინ შეისწავლიდა, მისი მოსვლის დროს მაინც დახვედროდა მისი სულიერ განწყობილების გამოზარებელი საკრავი და აქაც, ამ ბუნების უბრალოებაში ერთხელ კიდეე ზიარებოდა დიდებულ კომპოზიტორთა პოეტურ სიჩქურეს, თუ გნებავთ მათ ამამალღებელ ფილოსოფიურ აზროვნებასაც.

უცხოელებმა ერთიმეორეს შეხედეს: ვამეხმა ერთხელ კიდევ გააკვირვათ. მაგრამ ამაზე არა თქვეს რა. ერთმა კი ეს შენიშნა:

— პიანინო კი მშვენიერი მომართულია. ერთი სიყალბე არ გინიჭვა. თქვენ ხომ არ მართავთ?

ვამეხს კვლავ გაეცინა:

— არა, არც ამდენად დახელოვნებული ვარ. ამაზე ჩემი რძალი, კნენა ნექტარინა ზრუნავს მუდამ. ყოველ წლობით ქალაქ ქუთაისიდან... ხომ გაგოგონიათ? ჩვენი გუბერნიის ქალაქია... იქ ერთადერთი ასეთი ინსტრუმენტების გამმართველია, სხვათა შორის უცნაური გვარის პატრონი: ნებოიუშჩი და ის მოჰყავს.

— ჰა... მაგრამ, მართლა! კნენა ნექტარინა დღეს სადილობის შემდეგ უკვე აღარ გვინახავს, ხომ არ გვიწყრება?

— როგორ გეკადრებათ? მაგრამ ძალიან, საქმიანი ქალია და ნასადილევის ცოტა მოსვენების შემდეგ, საოჯახო საქმეებშია გართული.

— დიდებული სანახავი ქალია. შეშვენის მზრძანებლობა.

— დიაღ, მტკიცე ხასიათის ქალია. — თითქო დაუდასტუროთ ვამეხმა.

— მომიტყევთ და, — ჩაურთო მეორე უცხოელმაც, — ბარონესას ეხლა ცხვობია თავისი იერით და დედოფლური მიმზიდველობით...

— 9 —

ამასობაში მაზურკა დასრულდა და მოცეკვავე ქალები მათმა კავალრებმა სავარძლებზე ჩამოსხეს... უცხოელებმა და ბარამმა თავიანთი აღტაცება გამოსთქვეს მაზურკის საუცხოო შესრულების გამო და ქალებს ულოცავდნენ მათს სინარჩარეს და მოხდენილობას. ვეტიხმაც გაბედა და რაღაც სასიამოვნო ჩაილუღლულა.

ბარონესამ ერთი კი გადმოხედა დარბაზში შეჯგუფებულთ, შემდეგ თვალები სადღაც შორს წაუვიდა, მიუბრუნდა პიანინოს და თითქო კლავიშებს პირველად სინჯავსო, რამდენიმე საამური აკორდი აიღო და ბოლოს გადავიდა ლისტის რაპსოდიაზე.

ყველანი სმენად იქცნენ.

იმავ დროს სასახლის უკანა აივანზე ლევარსი და გუტატი საიდუმლო საუბარში იყვნენ გაბმულნი.

გუტატი ლმობიერად, მაგრამ მაინც საყვედურობდა:

— ნუ ჯანჯლობ, ნუ, ლევარსი! კარგად იცი კნენა ნექტარინას ნაშენის ყანა რა შემოსავლიანია. შენთვის რა არის ერთი ათასი მანეთი, ამ ყანის გირაოში, ნაშენი კი მაგ ფულს თავის სარგებლით თუ უფრო ადრე არა, ორი წლის განმავლობაში მაინც უთუოდ აგინაზღაფრებს. თუ არა და ხომ იცი, ხიზნების საქმე მოიგეს გვირგვინიანებმა, ახლა მერყევიანია მოდის და ხიზნების საცხოვრებელი საბოლოოდ გადმოვა კნენას ხელშიაც. აქედან კიდევ უფრო ადრე შეუძლიან ქალბატონს შენგან ნასესხები ფული გადაიხადოს. ნუ ხარ ჯანჯალი კაცი-მეთქო, ლევარსი!

— მე არ ვჯანჯლობ... — წარმოსთქვა ლევარსიმ და უნდოდა განეგრძო, მაგრამ გუტატიმ საჭიროდ დაინახა ერთი რამ კიდევ ეთქვა ლევარსის დასარწმუნებლად და უთხრა კიდევ.

— შენ კარგად იცი, ქალბატონს შეუძლიან ნაშენის ყანა კი არა, მთელი თავის მამული ბანკშიაც დააგირავოს. ერთხელ ჰქონდა კიდევ ასეთი ახრი,

მაგრამ ეს ეზარება, რადგან ხედავს, ჩვენს თავადებში, ვინაც კი ბანკს მიმართა, ნასესხი ფული შემოეხარჯათ და შემდეგ დარჩნენ ცარიელი, რადგან თავის დროზე უბრალო სარგებელიც კი ვერ შეიტანეს. მართალია კნენისას ასე არ მოუვა, კარგად იცოდა, რა თავიანთი საქმისაა, მაგრამ...

— რად შელაპარაკები ყველა მაგებებს, ვითომ კნენისა ნექტარინას შეუძლიან უჩემოდაც ფული იმოვნოს, არა? რასაკვირველია, მაგრამ მე კარგად ვარ მიშხვლარი, რომ კნენისას ეს ფული ახლა უნდა, სახელდახელოდ, აღდგომის დღესასწაულები მომდგარია, მეტად საჭირო და საპატიო სტუმრებიც ჰყავს. ბანკში დაგირავებას ახლა ვერც კი მოასწრებს: მაგას დროც უნდა და წინასწარი ხარჯიც. ეს ყველაფერი ვიცი...

— ჰო და აგაშენოს... — კვლავ შეენაცვლა გუტატი, — შენ შეგიძლიან ახლა ხელი მოგვიმართო, ჩვენც გირაოდ საუკეთესო ადგილს გაძლევთ. სხვა რა გინდა? ფული, ჯიბეზე ათასი მანეთი კი არა, მეტიც გეჭნება, მე ვიცი შენი ამბავი, თუ არა და გუაგზავენი კაცს ფოთში და მოვატანიებ... ეს არ გეაბრკოლებს... ამას გარდა, ავი რამდენჯერ თქვი, რომ ქალბატონის დიდი პატივისცემაცაა გაქვს.

— ნამდვილია! — შეუვალად წარმოსთქვა ლევარსიმ — კნენისა ნექტარინას ჩემი ბავშვობიდან პატივსაც ვცემ. მაგისთანა დიდებული კნენისა ყველაფრით, შეძლებით, პკუთით და გარეგნობით შემკული ამ სოფელში კი არა მთელს ამ არე-მარეზე არ მოიბოვება, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, კაცო! რა ვადაუწყვეტელი ყოფილხარ... ჩიხორტკა ნუ გამიჩინე...

ლევარსის გაცენია:

— ჩიხორტკა რას დაგაკლებს ვეშაპივით კაცი ხარ... მაგრამ რაც მამაკოლებს, ის რომ ვთქვა... შენ მაინც ვერ გეტყვი, ვერა!

— რა არის ვითომ ამისთანა უთქმელი?

— მაგას მხოლოდ კნენისას თუ ვეტყვი...

— ოჰო... შენ ჩემო ლევარსი... მზაკვრული რაღაც გიძევს გულში, მაგრამ, — ცოტა შეშფოთებით წარმოსთქვა გუტატიმ, — რაც შენ განგიზრახავს, ტყუილი იმედია, შენ კი არა პრინციც რომ მოვიდეს, ანგლიცკი პრინციც... აჰ, აჰ! მშრალზე დარჩება...

— აჰ, არა, ღმერთმა დამიფაროს — სრულიად გულწრფელად წარმოსთქვა ლევარსიმ. — ეს რა გიფიქრია! — აქ კი თავის სახე გუტატის ყურთან მიიტანა და ჩასჩურჩულა: — შენ მაინც ამაში ვინ შეგეცილება.

გუტატი შეინძრა, თავი მოაშორა და თითქო ხუმრობით, თითქო წყენიას ასე მიაყოლა:

— გადი, შე—წუპაკო, დამეკარგე!.. რეებს ლაპარაკობ, მეორედ აღარ გამიბედო!

გუტატის თავის თავი რაინდ კაცად მიიჩნდა და საერთოდ, როდესაც ასე პირდაპირ კი არა, ჩამოკრულადაც რომ უხსენებდნენ მის დამოკიდებულებას კნენისადმი, შეიძლება გულში უხაროდა, მაგრამ ძალიან შორს კი იჭერდა და ზოგიერთივით არასოდეს თავს არ იჭებდა.

ცოტა უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ რაკი გუტატის არაერთი გარკვეული პასუხი არ ჰქონდა ლევარსისაგან მიღებული, ფულის შოვნის საჭიროება კი დიდი იყო ნექტარინას ოჯახისათვის, კიდევ სცადა ლევარსისაგან ნამდვილი პასუხი მიეღო.

— აბა რას იტყვი საბოლოოდ? გირაოდ გეძღვევანაშენის ყანა ორი წლის ვადით. შენ გვაძლევ ათას მანეთს თავის სარგებლით.

— მმ... სარგებლით კი არა...— წამოცდა ლევარსის.— ეინ ^{ერქენული} გვინაშენი/მე? თქვენი მევახშე ბანძი კი არა ვარ.

— მაშ როგორ? — მაინც შეუბრუნა გუტატიმ, — ვაჭარ ^{მედიცინის} მკურნალები არ გინდა?

ლევარსიმ უხუმარი კილო მიიღო:

— მევახშეობით არც მიცხოვრია და არც ვიცხოვრებ. ფულის გასესება არ არის ჩემი ხელობა. ჩარჩი არასოდეს არ ვყოფილვარ. მე ერთი ფოდრა-ჩიკი კაცი ვარ და ევროპულ მრეწველობის მიმდევარი...

გუტატის კარგად არ ესმოდა ლევარსის „მრეწველური“ მიდრეკილებანი და ცოტა არ იყოს აკვირებდა ლევარსის „უანგარობა“, მაგრამ მაინც გულდასმით ყურს უგდებდა, ლევარსი კი განაგრძობდა:

— მე თუ ფულს მივართმევ კნეინას, სესხად კი არა და არც თუ მართო ერთ ათას მანეთს, არამედ ბევრად მეტს, მხოლოდ ჩემი პირობა სულ სხვა იქნება...

გუტატის ახლა სრულიად არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მაინც მიმართა:

— მო და ამოშაქრე ეგ შენი პირობა...

— მაგას მხოლოდ კნეინას მოვახსენებ. შენ მხოლოდ შემეიყვანე ერთი კნეინასთან.

— არაფერსაც არ შეგიყვან, — ცოტა გახელდა გუტატი, — თუ ის გინდა რასაც ვფიქრობდი, იცოდე თვითონ კნეინას ბრძანებით, აქედან სულ კინწის კერით გაგისტუმრებ. არ მივხედავთ იმას, რომ შენ ეს საჭირო ხალხი მოგვიყვანე და ამისთვის პარტივისცემის და მადლობის ღირსი ხარ. მხოლოდ, თუ კი საქმიანი რამ პირობა გაქვს, მაშინ კარგად დაიხსომე, კნეინა უჩემოდ არაფერ საქმეს არ გააკეთებს.

— მაშ არ შემეიყვან?

— არა.

— უშენოთაც ვიხელთებ დროს და მოვახსენებ ჩემს გულის ნადებს.

— გეუბნები: თუ რამ საქმიანი წინადადებაა, აუცილებელია, კნეინა მე შემეკითხება.

— ნამდვილად?

— ვითომ არ იცი!

— რაც მე მინდა მოვახსენო ის მისთანა საკითხია, რომ შეეხება მხოლოდ თვით კნეინას და... კიდევ ერთს ვისმე. მე თუ შენ არ გეუბნები და არც სხვას, ეს იმიტომ, რომ ეს ამბავი არ მინდა დრომდე გახშიანდეს, რადგან შეიძლება უარი მივიღო... უბერხულ მდგომარეობაში კი არ მინდა თავი ჩავიყენო.

— მართალია, ისე ახლოს ვერ მიცნობ, ლევარსი, მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ჩემთან საიდუმლოს გაზიარება შეიძლება. ეგ კი არა, რამდენი რამ საიდუმლო ვიცი მე გვირგვინიანებისა, მთელი სოფლისაც. პირიქით, პირველად მე გამანდობენ ხოლმე საიდუმლოებას, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ მათი საიდუმლო ჩემთან დარჩება და არ გაეცემ. მერწმუნე, შენც თუ რაიმე ასეთი საიდუმლო გაქვს და ისიც კნეინასთან, მე აქ ძალიან გამოვადგები.

აივანზე ბნელოდა, მაგრამ ერთერთ უკანა ოთახის სინათლე აქაც გამოდიოდა და ლევარსის და გუტატის ნაკვთს ოდნავ ანათებდა.

ამ სუსტ სინათლეზე მოინდომა ლევარსიმ გუტატის სახის დანახვა. მივი-
და, სახე სანთლის შუქისაკენ მიუბრუნა და ისე ჩახედა, თითქოს დახლოვ-
ნებული ფსიქოლოგი ყოფილიყო და შეეძლოს ადამიანის სახეზე მისი მი-
ნაარსის ამოკითხვა.

ეტყობა ამ ჩახედვამ დააჯერა და უთხრა:

— გეტყვი. მე მიინდა კნენას თოლისქვაში ვთხოვო ცოლად.

ამას გუტატი სრულიად არ მოელოდა და ცოტა ხნის შემდეგ შეერად
გულიანად გადაიხარხარა.

— რა იყო? რა გაციუნებს? — წყენით მიმართა ლევარსიმ, — ასეთი სასა-
ცილო აქ რა ნახე? ვითომ ის, რომ მე გვირგვინების ნაყმევი ვარ და
ერთ დროს ბარამის ფარღში ვიყავ მოქცეული?

გუტატი მაშინვე მიხვდა, რომ ლევარსისთან ამ დროს ასეთი მისი დაუ-
ფარავი სიცილი არ იყო მართებული და იწყო თავის შეკავება, მაგრამ მა-
ინც მეტი ვერაფერი თქვა სიცილ-მოყოლებით:

— არა... პო...

— ძალიან კარგი სამოყვრო კაცი ვიქნები... — იწყო მტკიცება ლევარ-
სიმ. — ბა შენ განსაჯე: თუ კნენას თავის შვილობილისთვის სიკეთე უნდა,
უკეთეს ქმარს ვერ უშოვნის. ხომ იცი, რომ ჩიტის რძეს არ დაეაკლებ და
კნენას კიდევ დედოფლურად ვაცხოვრებ.

გუტატი არ იყო პრაქტიკულ ჰუმან მოკლებული და ლევარსის მტკიცება
გულში მოეწონა. დაეთანხმა კიდევ. გაიფიქრა:

— მართლაც და ეს უნდა მიათხოვოს ნექტარინამ თოლისქვაში? კონკ-
რეტულად კნენას, ლარბს, გადატაკებულს, რადგან არამც თუ მდიდარი,
ცოტაოდნად შეძლებული თავადები აღარ მოიძებნებიან ჩვენს მაზრაში.
ძალიან იშვიათად. მერე და რა იქნება? ჩამოესიძება ამ ოჯახს და ის შე-
მოსავალი, რასაც ჩვენ დიდი გამოზოგვით და მომჭირნებით წლობით
ეხარჯავთ, მას შეიძლება რამდენიმე თვეშიაც არ ეყოს. განა არ ვიცი ჩვე-
ნებურების ამბავი: კარგი ცხენი, ჩოხა-ახალუხი, ჯარიანობა, წვეულება,
ლოთობა, ღრეობა, ბანქოს თამაში, ამაში წაეა მთელი მონაგარი, შეიძლე-
ბა დაავიროს ბანკში მთელი მამულიც, ან წვრილ-წვრილად ჰყიდოს ოზრის
ფასად ეს მშვენიერი მიწა-წყალი და ბოლოს დარჩება პირში ჩალაგამოვ-
ლებული, მიუსაფარი და ლუკმა პურის მონატრული. და მარტო თვითონ
კი არა, მთელი მისი ოჯახი, თვით კნენა ნექტარინაც. მათთან ლევარსი რა
შედარებაა! რასაც ამბობს მართალია! არამც თუ გაფლანგავს, შემოიძენს
კიდევ და მეფურად აცხოვრებს ამ სასახლო ოჯახს. მე? მეც კარგა მშვე-
ნიერი მდგომარეობა შემიქნება ასეთი კაცის მეგობრობით. ამას რა სჯო-
ბია? მაგრამ კნენა? კნენა უთუოდ გაჯთუტდება. მართალია, მთა და ბარი
თითქმის გასწორდა, მას აქეთ მაინც, რაც ბატონყმობა მოისპო. ახლა ვი-
საც შეიძლება და ფული აქვს, ის არის თავადიც და ცხოვრების პატრონიც.
მაგრამ კნენა მაინც თავისებურად აზროვნებს და კნენობას კიდევ არ
იშლის. მათ ნაყმევს მაინც არას გზით არ მიათხოვებს თავის შვილობილს.
ოო, რა ძნელი საქმეა კნენას დაჯერება. — მერმე კიდევ თოლისქვაში თა-
ვის მაზლის წულს, ტაიას უნდა შერთოს. ტაია საცაა ჩამოვა ქუთაისიდან.
ახლა გიმნაზიდან სააღდგომოდ ითხოვენ მოწაფეებს. კნენა გულთ მოე-
ლის, ყოველი მხრით ხელს უწყობს ტაიას, რომ თოლისქვამს დაუახლოვ-
დეს, შეიყვაროს და... მერმე, როცა — მგონია ერთი წლის შემდეგ, — როცა
ტაია გიმნაზიას დაასრულებს, შერთოს კიდევ მისი ვაზრდილი. თოლის-

ეროვნული
კულტურისთვის

ქვამს კი, დიდი ხანია ვიცი, სულით და გულით უყვარს ტაყა... თუმცა... 33...

გულში გაეცინა გუტატის:

— ქალიშვილი ქალის სიყვარულის რა მცოდნია. მაგას ვინ ჩივდა? საქმე თვითონ კნენინაა, მისი დაყოლიება...



ამან ყველაფერმა ელვის სისწრაფით გაუღლეა თავში გუტატის და შემდეგ თითქო რაღაც გადაწყვიტაო, ასე მიმართა ლევარსის:

— კარგი. მენდევ, რომ შენი საიდუმლო ჩემთან დარჩება. მხოლოდ კნენინასთან ცალკე მოლაპარაკებას მაინც არ გირჩევ. ეგ საქმე ისევ შემანდევ, ჯერ მე მოვახსენებ, შევემზადებ და შემდეგ...

— შემდეგ... ვნახოთ?

— არა, არა... შენ ფული მაინც გვასესხე... სულ ერთია, ასეა თუ ისე, ჩვენთან არ დაგეკარგება... შენი საქმის კი მე ვიცი... მერწმუნე ასე სჯობია...

ლევარსი დიდხანს არ დაფიქრებულა, მხოლოდ ჰკითხა:

— ფული ახლა არის საჭირო?

— ვითომ არ იცი აქი თვითონ შენ თქვი: აღდგომის დღესასწაულები, სტუმრები...

— კარგი, კარგი. შენ კარგად მიხვდი: მე ფულები ცოტა ბლომად წამოვიღე, რადგან ვინც ჩამოვიყვანე, ამ ხალხს ხარჯი ხომ უნდა, მისვლამოსვლა, ადგილების დათვალიერება და სხვა. მე ეს ყველაფერი თითონ ვიკისრე და ამით წამოვიყვანე კიდევ, თორემ ესენი კახეთისაკენ მიდიოდნენ... მოგართმევ ფულს... ათასი მანეთი, არა?

— დიაღ.

— მაშ სინათლეზე შემიყვანე სადმე.

— კარგი, აგერ შევიდეთ... — და ერთ პატარა უკანა ოთახში შეუძღვა. ჰს ნექტარინას ერთგული გამდელის ძილხანის ოთახი იყო და ამჟამად იქ არაფერი არ იმყოფებოდა. როდესაც ერთ უბრალო მაგიდას მიუხსდნენ ფულების გადასათვლელად, ლევარსიმ შეახსენა:

— აი გაძღვე, მაგრამ ახლა შენზეა ჩემი ბედი დამოკიდებული. თოლის-ქვამი უთუოდ უნდა გამირიგო.

— აბა, იცი, რას გეტყვი? — უპასუხა გუტატიმ სრულის უხუშარის კილოთი. — დასაფარი რა მაქვს! ამის გაკეთება კარგა ძნელი საქმეა, მხოლოდ თუ გავაყეთ...

ლევარსი მიხვდა:

— მაგაზე არ არის საჭირო ლაპარაკი: სიკეთით აგამსებ. ჯერჯერობით ერთ კარგ ლაფშას თავის მოსირმული უნაგირით და ერთ კარგ წიხა-საახალუხეს ამ თავითვე გაახლებ.

და ორთავენი მიაჩერდნენ წითელ, ცარიზმის დროის თუმნიანებს, რომელთაც გადათვლის დროს სიახლის გამო ტყაცა-ტყუცი ვაჭმონდათ.

დარბაზში ბარონესას თავის კონცერტული შესრულებით კვლავ ტყვედ ჰყავდა ყველა იქ მყოფი, მიუხედავად იმისა საერთოდ მუსიკისა ბევრი ესმოდათ თუ ცოტა, რადგანაც ზოგი მართლა გატაცებული იყო მომჯადოებელი ჰანგებით, ზოგიც ცდილობდა ჩაყვირებოდა ამას. თუ ზოგჯერ რის-

თვის ლიკლიკებდნენ, ან ზოგჯერ რად ბრძენინადნენ აქედრებული სიმე-
ბი პიანინოსი, ზოგიც ზრდილობის გამო გაუნძრევლად იჯდა და ხშირ შემ-
ლებას ვერ ბედავდა, მხოლოდ მამა თედორე, რომელიც უკვე გამოცდილ-
ბული იყო ქალ-ვაჟთა წინანდელი ცეკვით და სხვა მისთვის უცნობე სმე-
ბის ბგერით, ვერ იყო მოსვენებული და ზოგჯერ ახლო მყოფე ბარამისაგან,
გვილიანს ჩუმად თითოროლა კითხვას აძლევდა. მან გაიგო ბარამისაგან,
რომ უწყება იყო სოფელში მოსული და ამ გაზაფხულზე, ნააღდგომევეს,
მიწების ზომვა უნდა დაეწყო მთავრობის წარმოგზავნილ სპეციალისტს.
გაიგო ისიც, რომ ამ გამოზომვიდან ნამდვილი მეპატრონე თავის მიწა-
წყალს უფრო კანონიერად და უფრო საბოლოოდ დაეპატრონებოდა და
ამითი ბოლო მოვლებოდა დაუსრულებელ დავა-ჩივილს გლეხებსა და მე-
პატრონეებს შორის, ერთი მეორეშიაც და ხიზნების საქმე ზომ თითქო სა-
ბოლოადაც გადაწყდებოდა.

ოო, ეს ხიზნები!

რამდენიმე ათეული წელიწადი ტრიალებდა მათი საქმე სასამართლოების
სხვადასხვა ინსტანციებში და ჯერ აქამომდე არ იყო კიდევ საბოლოოდ გა-
დაწყვეტილი. არც ხიზნებისათვის და არც მეპატრონეებისათვის არ იყო ეს
საკითხი გამორკვეული და მამა თედორესაც ძალიან ხშირად სჭირდებოდა
ტყუილი ეთქვა უფრო ხიზნებისათვის, რადგან კარგად თვითონაც არ იცო-
და როგორ იყო მათი საქმე და მას კი ვეაღლებულებოდა, როგორც სო-
ფელში ერთერთ „განათლებულ“ ადამიანს და სასულიერო პირს, სცოდ-
ნოდა ამ საკითხის თავი და ბოლო. ზოგჯერ მეტად უხერხულ მდგომარეო-
ბაშიც იყო ჩამდგარი, განსაკუთრებით თუ ამის შესახებ ფარნა ბეალას-
თან ან მის თანდასწრებით მოუხდებოდა აზრის გაზიარება. ფარნა ყოველ-
თვის სჯობნიდა თავის მოსაზრებებით, საგნის ცოდნითაც და მამა თედო-
რე, რომ როგორმე თავი დაეძვრინა, სიცილით ასე მიმართავდა ხოლმე:
„შენ ჩემო ბაბაია, თვითონ ხიზანი ხარ და მოვალეც ხარ შენი საქმის გა-
რემოება შენვე იცოდეთ“. ახლა კი საბოლოოდ უნდოდა ბარამისგან გაეგო
მიწისშომელის მოსვლასთან დაკავშირებით ხიზნების ბედიც, მაგრამ
უდროო დრო შეარჩია და ბარამმაც ჩურჩულით გაუზიარა, რომ ამის შესა-
ხებ, თუ უნდოდა, ვამეხისათვის ეკითხნა. ის ყოველივეს ნათლად და გასა-
გებად აუხსნიდა.

მაგრამ ვამეხს ახლა ვინ გაეკარებოდა.

ეტყობოდა, რომ ვამეხი ცალკე, განკერძობით თავისთვის მიბჯდარი,
მისცემოდა მუსიკის მოჩქრიალე ტალღებს და ვინ იცის სად ჰქროდა მისი
გონება და გრძნობა.

ხიზნების საქმე კი არა, სხვა მისი გულის სანუკვარი საგანიც რომ გეხსე-
ნებიათ ახლა, მისთვის იქნებოდა „ციდან ჩამოვარდნა“, უაღრესი ბარბა-
როსობა.

ის ამჟამად არ ეკუთვნოდა დარბაზში მსხდომთ. თითქო ამ სოფლად
აღარ იყო. ეს შენიშნა ბარანოვსკიას ქალმაც და ბეგის ამაზე გადაულა-
პარაკა.

შეგვიპაც დაუდასტურა, რომ ვამეხი ახლა უთუოდ დიდ მოგონებაში არის
ჩაფლული. ვინ იცის შეიძლება ასხენდებოდეს თავისი სიკბაუკე, როდესაც
ახალგაზრდულის სიხალისით თვით უკრავდა ამგვარსავე რასმე თავის გუ-
ლის ტრფიალის დასატკობოდა.

ბარანოვსკიას ღიმილი მოუვიდა, მან ცოტა რამ გაიგო ვამეხის ბიოგრა-

ფინსა ბერთემში ყოფნისას და როდესაც ახლა შესცქეროდა ვამერს ასე თავისთავში ჩაღრმავებულს, ამ ბევრნაირ ჭირგამოვლილ აღმძიანს კოტიქოს უწონებდა საქციელსა და მის წარსულს.

მუსიკა მზინდდა, თითქოს ქრებაო ლაღად აღმოცქნის, მაგრამ ცხოვრების ქარიშხლისაგან შეღანძული ორ მოტრფიალულს ნახვ გრძნობა. აგერ-აგერ სულ გადნეს ცის ეთერში მკვენსარე ბგერა. საოცარი სიჩუმეა ირგვლივ.

ამ ღროს იღება დარბაზის კარები და ამ სიჩუმეში მეტად უხეშად ეკრება მაღალყელიან წაღების ბრახუნი.

ბანძლი შემოვიდა.

ყველაზე უწინ ევტიხიმ დაინახა და კინალამ შეჰყვირა—რას ჩაღიხარო! მაგრამ ბარონესამ უეცრად შეუწყვიტა დაკვრა: მას ხელი შეუშალეს, ამოაგდეს უნახესი პოეზიის კალაპოტიდან.

ყველამ ყურადღება მიაქცია ახლადშემოსულს.

ბანძლიმ მოურიღებლად, ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ბატონებს ვახლავარ!—და ეგონა რომ ზრდილობის პირველი წესი მართებულად შეასრულა, თან მტკიცე ნაბიჯით ევტიხის მიასურა.

ევტიხიმ ახლა შეამჩნია, რომ ბანძლის ჩოხა-ახალუხიც გამოეცვალა და ქამარ-ხანჯალიც ახალი დაეკიდნა, მაგრამ კეთილი თვალით მაინც არ შეგებებია.

ბანძლიმ ევტიხი განუ გაიყვანა.

ბარონესას მიასურეს უცხოელებმა და თვით ვოლკოვმაც. ერთგვარი ბოდიშიც კი მოიხადეს ბანძლის მაგივრად და კვლავ თხოვეს განეგრძო მისი ოსტატობა, მაგრამ იგრძნეს, რომ ბარონესას ამჟამად არ შეეძლო ერთი ბჟორდის აღებაც კი და აღარ ჩააცვიდნენ.

ბარონესა წააოღგა და აიენისკენ გაეშარათა. იქ უკვე მთვარე ანათებდა. ღრუბლები გაფანტულიყო და მთვარეს თავისი შუქი მოეფრქვია მიღამოსათვის.

უცხოელები, ვოლკოვი და დაგმარაც გაჰყვენ ბარონესას.

— როგორ? თევზაობა ლამით?—გაკვირვებით ეკითხებოდა ბარანოვსკია ბეგის.

— დიაღ, ლამით. საერთოდ ჩვენში უფრო ლამით თევზაობენ, ლამით უფრო ინახება წყალში თევზი, მაგრამ ამ დიდმარხვაში—დღეს ხომ ბზობის წინა დღეა, — ჩვენს მდინარე გურქემიაში თევზი „კვერცხებს ჰყრის“. ასე ეძახიან.

— მერე?

— მერე და იქერენ ფუთობით. ამ მშობიარობის ღროს თევზი მთვარლივით არის და არსად გასხლტომის თავი არა აქვს. ამოდის წყლის ზედაპირზე და რომელიმე პრტყელ ქვაზე დებს თავის ქვირითს. მაშინ მოუსვი და მოუსვი. თითქმის მთელი სოფელი იყრის თავს იმათ დასაჰურად.

— აჰ, ეს მეტად საინტერესოა—თავისებურის აღტაცებით წარმოსთქვა ბარანოვსკიამ და თან დასძინა, — არ შეიძლება ჩვენც გვიჩვენოთ ასეთი თევზაობა?

— თუ კი მოისურვებთ, მაგას რა აჯობებს. ჯერ ვახშობამდე ბევრი ღროა. თუ გნებავთ წავიდეთ.

— ოჰ, ძალიან კარგი იქნება, — და წამოდგა ბარანოვსკია, თან აიენისკენ საჩქაროდ გასწია. გასვლისთანავე მიაძახა: — ბატონებო, ბატონებო!

აგერ თავადი ბეგლარი რას ბრძანებს: დღეს დიდი თევზაობაა თუ რა აგერ ყურის ძირში... წაივით.

— თევზაობა? ჰო... ვიცი... — შეგვიანებით წარმოსთქვა ბარონესამ. — კარგი საყურებელია... თუ გნებავთ წადით, ყმაწვილებო, მე მყოფი ვარ წინათა... მაგრამ ხედავ, მარინა, რა საოცარი მთვარიანი ღამეა! მთვარე მტკნებელი, როგორი სიწყნარე, მყუდროება და როგორი თითქო საიდუმლოება! ხედავთ იმ კლდეს... იქ ხომ კლდეა, არა ბეგი? — და ხელი გაიშვირა დედამოკას გზატკეცილის ერთ ცხვირიან კლდეზე.

ყველამ თავი იქითკენ მიიბრუნა, ბეგამ კი დაუდასტურა, რომ ის მართლა კლდე იყო.

— ჰო და ხედავთ ახლა, — ამბობდა ბარონესა — ახლა როგორ ზღაპრულს, უცნაურ სასახლესა ჰგავს.

— ეგერ სვეტები, სვეტები — აღფრთოვანდა დაგმარაც, — თითქო მარმარილოსიაო, მონიგრული, ყვითელი მარმარილოსი და... საოცარი! კიბეებს გერა ხედავთ, კიბეებს?

ვოლკოვმა ხმამაღლა გაიციხა:

— ეხედავ, ეხედავ, ზედ შუაზე წითელი ატლასის ფიანდაზია დაგებული და თქვენ საქორწილოდ მორთული ვიღაც მეტად მოხდენილს, ახალგაზრდა ჩაინდს ჩამოჰყავხართ...

— ჰა, ჰა! — გაიციხა ყველამ მარინას გარდა, რადგან ის ჩრდილოეთით შორეულს, ჯერ კიდევ თოვლისგან თეთრად მოლაღლავე ბუმბერაზ მთებს შეფრფინვით შესცქეროდა.

— რა მშვენიერებაა ეს მთები... ნეტა რა ჰქვია? — კითხულობდა ბარონესკაია.

— ასხი, ჩხვინდილულა... — ჩაუბოხისხმავა ბეგამ.

— ჰო და შემართეთ ეგ მთები, რა? — გადაიკისკისა ბარონესკაიამ.

— გადარეული, გადარეული! — აღერსით წარმოსთქვა ბარონესამ.

აივანზე უკვე ვაშლები და ბარამიც გამოსულიყო. ბარამმა ბარონესკაიას სიტყვები რომ გაიგონა, ღიმილით ასე მიმართა:

— მაგ მთების შერთვისა რა მოგახსენოთ და იქიდან კი შეიძლება გამოვიდეს ვინმე მეგრელი აბრაგი და მოგიტაცოთ, მარინა ივანონა!

— მერე და რა? — არ ცხრებოდა მარინა, — ცუდი იქნება?

— რა მშვენიერი ქალიშვილებია, — წარმოსთქვა ბელგეილმა.

— ოო, მარინა ივანონა ბროლია, ბროლი, — წაეხმარა ვოლკოვი, — მხოლოდ თქვენი დაგმარა კი, ბარონესა, ეს მარგალიტია...

ამ ჭათინაურმა ეტყობოდა ბარონესაზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, შეიძლება ვერც სხვებზეც, რადგან არაეინ ამაზე არაფერი არ სთქვა, მხოლოდ ბარონესამ დაგმარა თავისკენ მიიზიდა და თავზე აკოცა.

დარბაზიდან უკვე ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. აივანზე მყოფთ ხმების ამაღლაურება კი გაიგონეს, მაგრამ მაინცღამაინც დიდი ყურადღება არ მიჰქვიეს.

დარბაზში ბანძი იყო დიდ ამბავში.

— მე კთხოვლობ, ევტხი-მატონო, რომ ეხლავე შეუდგეთ თქვენი მოვალეობის შესრულებას!

— ხომ არ გადაირიე, კაცო, რა დროს ჩემი მოვალეობის შესრულება! ვერ ხედავ აქ საპატიო სტუმრებია მოსული, აღდგომის დღესასწაულებიც კარზეა მომდგარი. ამას ამ დროს მე ვერ ვაკადრებ კნეინა ნექტარინას...

— ახირებული კაცი ხარ, შენ არ მომიკვდე ბანძლი, — არწმუნებდა მამა თედორე, — გაგოგონია ამისთანა დროს ვალის მოთხოვნა?

— ეჰ, დამეთხოვე, შენი ჭირიმე! შენ, ხუცესი რატომ ერევი ჩემ საქმეში... შენ ნათლობაში, ან ქორწილში თუ დაგიძახო, იქ მფრთხილდებოდა იქ შეასრულე შენი წესი, თორემ ჩემი ანგარიშების შენ რა ხეცხვნი მუცელს რომ არ იყოფს, როგორ მეუბნები, რა დროს ვალის მოთხოვნააო?

შედეგად ნაწყენი იყო:

— ამისთანა გარეშარი ხარ, შე უბედურო, თორემ შენ მოძღვარს როგორ არ უნდა დაუჯერო კეთილი რჩევა?

— არა ბატონო, არავისი რჩევა მე არ მჭირდება.

— არ გჭირდება და აგერ შენ და აგერ ბატონი ევტიხი, — ცოტა გაჯავრებით წარმოსთქვა თედორემ და ვანზე გადავა.

— არა, როგორ გგონია! — ყიფინობდა ბანძლი, — სწორედ ახლა არის დრო ფულების მოთხოვნის. კამპანიაა ჩამოსული და ფული აქვს ასაღები კნენია ნექტარინასაც. ჩემ ვალს თუ გავინაღდებ სწორედ ახლა, თორემ წელიწადები გადის, ნეუსტოიკა ნეუსტოიკას ემატება, მართალია ვექსილს გადაეაწერინებ ყოველ წლობით, მაგრამ ფარას ვერ ვხედავ, ფარას, ბაბაია რას ამბობთ თქვენს უი ბეჩა!.. აბა, გენაცვალე, ბატონო ევტიხი, აგერ ჩემი აღმასრულებელი ფურცელი კნენია ნექტარინას ვალისა და შეუდევო აქაურობის აღწერას...

— ბანძლი! შენ რომ მართლა ბანძლი კაცი ყოფილხარ, ახლა დავრწმუნდით... როგორ შეიძლება, ვის გაუგონია ვალის მოთხოვნას ასეთ პიროვნებასთან თავისი დრო აქვს... ყოველთვის მოასწრებ... ახლა რა? ვითომ ვინდა შეარცხვინო ამისთანა საპატიო სტუმრებთან კნენია ნექტარინა?

— შევარცხვინო კი არა, სწორედ ახლა ავიღებ ვალს მისგან და ის არის. მართლა, ლევარსი კვიზინიაც აქ არ არის? იმას გამოართვას და შე ჩემი მომცეს...

— არ იქნება, არა, ბანძლი... მე მაინც ამ საქმეს ახლა ვერ შევასრულებ...

— ვერ შეასრულებ?

— ვერა.

— უჰ, შენი რჯული კი რა ვქენ, შენი, კი კაცი არც შენ ყოფილხარ...

— აა, ეგენი არ იყოფს, ენას კბილი დააქირე.

— კბილხ კი არა, რომ ვიჩვილო, მაშინ სად მიძვრები, სად?

კარგა ხმამალალი ყაყანი გამოვიდა.

და სწორედ ამ დროს დარბაზის განის კარიდან შემოვიდა თვითონ კნენია ნექტარინა.

არ დაუქუხნია, მაგრამ გრგვინვას ჰგავდა მისი გამოხმაურება.

— ეს ვინ მოთრეულა? ბანძლი ხარ შენ?.. გუტატი, გუტატი! — კარგა ხმამალლა დაიძახა კნენიამ. იმ წამსვე მასთან გამოყოლილი ხნიერი გამდელი, ძილზანე ვაგარდა კარებში. — სად ხარ გუტატი, სად? ერთი პალური ამ დაღრეკილს ამას, ამ საცოდავს ამას!.. ვის უბედავ შენ ბანძლი ხარ თუ რაღაც ჯანდაბა! მე ყველაფერი გავეგონე! როგორ? რაღაც საცოდავი შენი გროშებისთვის ახლა გინდა ამ სტუმრებში შენი ფიქრით ვითომ გამომაქენო, არა?.. ვაი, შე უბედურო შენი მერე და არ იცი, რომ არც შენი მეშინია და არც შენი აწერის... აბა, გაბედე და ამიწერე...

გუტატი შემოვიდა. შორიახლო გამოჰყვინენ ლევარსი და ძილზანი.

— გუტატი სადა ხარ, შე კაი-კაცო! ვერ ხედავ ამ უბედურს რა მოუ-
დომებია? ყველაფერს ავიწყრო... ახლა პადური არ ეკადრება მაგას... მაგ-
რამ ვაი მე უბედურს, ქვრივ-ოხერს, პატრონი აღარ მყავს და გამკეთხავი...

გუტატი წინ დაუდგა კნენას.

— ნუ იკადრებ, ქალბატონო, მაგასთან თავის გაყადრებას! ^{მეტი უნდა} ^{მეტი უნდა}
თქვენს ოთახში. მაგას მე გავუწვრდები. — და ერთი თვალი გადაუბრიალა
ბანძლის.

ეს ბანძლის არ იამა, იცოდა გუტატის ალიყურების ამბავი და აქეთ რომ
მოდიოდა, იმდენად იყო გატაცებული თავის „მახვილი“ მოსახრებით, რომ
გუტატიზე სულაც არ უფიქრნია. ახლა კი მისი შემხედვარე შეკრთა და
როდესაც თქვა, რომ „მაგას მე გავუწვრდები“, სრულიად მოიკუნტა.

მამა თედორე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ნექტარინას შესც-
ქროდა და პირდაპირ ტყებოდა მისი ყურებით, თითქოს ვერ ძლებოდა
კიდევ.

რა ქალი არის, რა ქალი! ნამდვილად დედოფალია! რა ახოვანი, წარმო-
სადეგი, რა ნატიფი სახის პატრონი და ამ გაჯაერებისას კიდევ რა საუც-
ხოო, რა მიმზიდველი. გინდა, რომ მას ეახლო, მისთვის თავი დადვა, კლდე-
ზე გადავარდე, ცეცხლში დაიწვა... „ვაი მე უბედურს ქვრივ-ოხერსო“ რომ
სთქვა, როგორ სთქვა ეს სიტყვები? ამითი თავი კი არ შეუბრალებია სხვე-
ბისათვის, პირუკუ, სხვების სიბრაღული იყო გამოთქმული: მე რომ ქვრივ-
ოხერი ვარ, თქვენ რა გეშველებათ, თქვე უბედურებო, ან რომელი ხართ
ღირსი ჩემის ერთგულებისათ.

თედორე თავს ძლივს იკავებდა:

„უპ შენ გენაცვალე მაგ იერსა და დიდებულებაშიო“ თითქმის ჩურჩუ-
ლებდნენ მისი ბაგები.

კნენას ლევარსივ მიუახლოვდა და დამშვიდება დაუწყო. გუტატიმ კი-
დევ შეახსენა, რომ ამ აურზაურზე შეიძლება სტუმრები დაბრუნებულიყე-
ნენ და არ ივარგებდა, თვით მამა თედორეც ეახლა და იმანაც ურჩია ბან-
ძლისათვის მეტი აღარ მიემართნა და... სამთავემ როგორც იყო დამშვიდეს
აღმფოთებული ქალბატონი და კვლავ მის ოთახში შეაბრუნეს.

გუტატი კი იმავ წამს მობრუნდა და თვალის დახამამებამდე ბანძლის
ხანჯალში წაუვლო ხელი, მეორეთი ეტყობოდა უნდოდა კისერზე მოეკიდ-
ნა და ისე გაეგდო დარბაზიდან, მაგრამ ამ დროს ლევარსიმ, თითქო დიდ-
სულოვნობამ მოუარაო, გუტატი შეაჩერა და სთხოვა რომ ბანძლი მისთვის
დაენებებინა. გაიყვანა განზე და ნელი დაყვავებით უკანა აივნის კიბემდეც
შიაილა.

ეტყობოდა გასჭრა ლევარსის დათათბირებამ, რადგან ძალიან მალე გამ-
ხიარულებული ბანძლი თავის სახლისაკენ გაემართა.

სახლში მშვიდობა ჩამოვარდა. მხოლოდ მოსამსახურეებმა იწყეს სავა-
შმოდ სუფრის ვაშლა, მაგრამ ამ დროს აივნიდან სიცილ-ხარხარით შემოჯ-
ვრილდნენ ბარონესას მეთაურობით ყველანი და გამოაცხადეს, რომ სათე-
ვზოდ მიემართებოდნენ. წამსვლელებს აჰყენენ ევტიხი და მამა თედორეც
და შეიქმნა კარგა მოზრდილი ასაბია, მაგრამ წასვლა არ დასცილიათ:

დარბაზში შემოვარდა მოთქმა-ტირილით ნექტარინას გამდელი ძილხანი:

— ვაი უბედურ იოსეს! ვაი მის უბედურ ოჯახს, — იცხადებდა ძილხანი.

ყველაზე უწინ ვამეზი გამოეხმაურა:



— რა იყო, რა მოუვიდა?

— შენ მტერს და დუშმანს, ბატონიშვილო...

ძილხანი დაჩვეული იყო ბავშვობიდანვე, რომ ყველა გვერდულაჩები მუდამ „ბატონიშვილობით“ მოეხსენებინა და ვამეხსაც უკუაღიხსნა მესთვის სულ ერთი იყო, ან არ უწევდა ანგარიშს, რომ ვამეხი ღირსებაახლოლი კაცი იყო. ის კი არა გულში ეთანხმებოდა ბარამის ერთხელ ნათქვამს: „ვამეხს ღირსება რუსულმა სულმა ახადა, თორემ საუკუნოებით მინიჭებულ წოდებას მას ვინ წაართმევს“.

ამგვარად, „ბატონიშვილო, ბატონიშვილოვო!“ ბევრი ივიშიდა ძილხანმა და თან საცოდავ იოსე ხუბუნაიას ამბებიც ჩააყოლა.

ვამეხი, როგორც კი ჩაწვდა ძილხანის ნაამბობს, ისარივით მოწყდა თავის ადგილს და ისეთის სისწრაფით გაეშურა, რომ გამოთხოვებაც კი დაავიწყდა უცხოელებთან.

უცხოელებს გაუკვირდათ ჯერ ამ მოხუცებული ქალის ტირილი და გოგონა და შემდეგ ვამეხის უეცარი წასვლა, მაგრამ აუხსნეს, რომ ვამეხი ამ იოსეს სახლში ცხოვრობდა და დიდი მეგობარი იყო მისი. თვითონ იოსე მშვენიერი კარგი კაცი უფრო მეთევზეობით ცხოვრობდა, მაგრამ თან მძიმე ავადმყოფი იყო, ავი ზნე სჭირდა და დღეს საღამოთი, როდესაც თევზაობა დაუწყია, მოუვლია მის ზნეს და ეტყობა ცდილა ნაპირზე როგორმე გასულიყო, მაგრამ ვერ მოუსწვრია, დაცემულა და სწორედ კიდესთან პეშვის ოღენა წყალს დაუღრჩვია.

ასე მოთქვამდა კიდეც მოხუცი ძილხანი:

— პეშვის ოღენა, პეშვის ოღენა წყალმა დაგაღრჩოვო, შე უბედური ღღინ გაჩენილო!

მაგრამ, როგორც იყო ვამეხის წასვლის შემდეგ ძილხანი გააჩუმეს.

მხოლოდ ბეგის, ბარამს, თედორეს და თვით ბარონესასაც დაეტყობა მწუხარება.

სხვებიც ზრდილობის გამო ჩუმად იყვნენ და არავინ იცოდა ეს მძიმე წუთი როგორ გადაეღაზათ.

ისევ ბარონესამ წარმოსთქვა სევდიანად:

— საცოდავი იოსე! ვიცნობდი საწყალს. ყოველ ჩემ ჩამოსვლისას ერთი ორჯერ მაინც უთუოდ მომიტანდა კარგა ბლომად ახუნძლულ თევზების აკიღობს...

— კარგი კაცი იყო, კარგი—ნელა დააყოლა ბარამმაც,—თვინიერი, სათნო, ერთი მისგან განაწყენებული არავინ არავის ახსოვს.

ვოლკოვს გაუკვირდა, რომ თავადები ასე გულთბილად იხსენიებდნენ ვიცაც მდაბიო გლეხს და ეს ჩუმად გაუზიარა ბარონესკაიას ქალს, მაგრამ იმან ამაზე არაფერი უპასუხა.

სამაგიეროდ მხიარულად და ხალისით წარმოსთქვა:

— ჩვენ მაინც წავალთ სათევზაოდ, არა, კნიაზო?—მიმართა მან ბეგის: ბეგიმაც ხალისიანად უპასუხა:

— უსათუოდ, მხოლოდ სათბურები კი უნდა ჩაიცივათ. მარტია და ამინდს ვერ ვენდობით. ისედაც ცივა საერთოდ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია,—დაამოწმა ბარონესამ,—მერქ კიდეც წყლისპირად. აბა გასწით, მხოლოდ ვახშობისათვის მაინც და მაინც ნუ დაიგვიანებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზს მყოფთაგანი ბარონესას გარდა, ყვე-

ლანი წაიშალნენ მდინარე გურძემიისაკენ, რომელიც იქვე, ეზოს ჩაბრუნად
ნამომდინარეებდა.

მხოლოდ თედორე ჩამოშორდა მგზავრებს. გუტატიმ მიადგინა; ისევე მი-
დინარ, შენ ხომ თევენი ძალიან გიყვარს, ხვალაც ხომ ბზობა უნდა გქონდეს, რე-
ზედაც თედორემ უპასუხა, რომ ის იმასა სწუხს, ერთი თავის ბრველთა-
განი უზიარებლად რომ დაურჩა და ახლა მაინც მივა, რომ მიცვალებულს
წინასწარი, პატარა ლიტია გადაუხადოს, თან ევტიხის გადაულაპარაკა:

— თქვენ ეტყობა აქედან უევანშოდ არ გაგისტუმრებენ და მოსასვენებ-
ლად კი, თუ აქ ვერ დაეტიეთ, ისევ მე წაგიყვანათ. მაინცდამაინც მე კიდევ
გამოვივლი და მაშინ როგორც აჯობებს ისე მოვიტყეოთ.

ლევარსიც წაჰყვია მეთევზეებს, თან თვალით დიდხანს ეძებდა თოლისქვა-
ში, ეგონა თუ ისიც წამოვიდოდა, მაგრამ თოლისქვაში ამ დროს გასული-
ყო წინა ფართო აივანზე, მიმჯდარიყო კუთხეში და მთვარის შუქზე მის-
ცემოდა ქალწულებრივ სიჩქურეს.

ბანიცაღენი

IV

ახლა მინდა შენთან ვიყო სულ ახლოს, ციბედულ! სულ ახლოს!
ვგრძნობდე შენს ნაზ სითბოს, შენს გამამხნეველებს მეგობრობის სულს!
შენს მეტი არაინა მყავს, ციბედულ! ჩემგან ერთხელ და სამუდამოდ
გონების ფიანდაზზე აღზრდილო და ჩემი გულის უნარნარეს ტბახთან ლერ-
წამივით აშოლტილო!

ზედ რომ ზოგჯერ უცნაური, ზღაპრული ყვავილების მოსხმა იყო.

ხშირად მათი სურნელებით ვარ მიბნედილი.

და არ მინდა ამ ტკბილ ბურანიდან გამოვიდე, თუმცა ჩემი მხატვრული
თვალი—მე რომ მკითხო—დიდის სიზუსტით ისრუტავს თავის თავში ცხოვ-
რების სწორ სინამდვილეს.

მე ორივე მხარეს გარკვევით ვხედავ:

ჩრდილოვანსაც და სინათლოვანსაც.

და, მე მგონი არასოდეს არ ვარ ისე გაუგნებელი ამ ბნელს და ნათელს
აღმართ-დაღმართში—ჩემი გზა ვერ მოვენახო.

ჩემი გზა!

ამ ნაწარმოებშიაც უთუოდ ამ „ჩემი გზით“ ვივლი სინამდვილის აღსა-
ნუსხავად...

ოღონდ შენ ჩემთან იყავ, ძალიან შორს ნუ წამიხვალ, ციბედულ, ჩემო,
ჩემო!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

3 ე რ ხ 3 0

კლდეზე ვლგევარ თეთრი ვერხვი, მხრები ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გადასცდა, — ხელი გამიწოდებია.
მეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს, — ტანი აუშოლტებიათ.
ფრთებს ისხამენ შევარდნები და საბუღარს შორდებიან.
ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას გული აუშფოთებია,
თუ სიტყვები მცვივა, განა შემოდგომის ფოთლებია?

მცვივა, — განა მცილებიან, თრთიან, — განა ხუნდებიან,
ადრე აბიბინდებიან, უფრო ადრე ბრუნდებიან,
განა მწუხრის ბინდებია, — შევარდნების გუნდებია,
მხრებზე დამაფრინდებიან, ტკბილად აღულუნდებიან.

ჰე, მამულო! შენს თეთრ გუშავს განა რული მორევია,
ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია,
გაჰქრა ღამე, აღარც ბრძოლა, აღარც ომის ტბორევია,
ეს ქრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია.

მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის ალი ფრიალებდა,
წკრიალებდა გულისკარი თუ ცისკარი ჭრიალებდა,
მეც ვშფოთავდი! და ფიქრებში ტვერი მწარედ შრიალებდა,
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდენ ტანში გამაყრიალებდა.

შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს, შეწყდა სისხლი და იარა,
შემიბოროცდა ნატყვიარი და ტკივილმაც გაიარა.

გვჯღარი ზინჯელი

(ლისოზგორსკიდან)

ადრევე გინდოდა მოსვლა გაზაფხულის,
ტყის ამწვანებამდი, კვირტის გახელამდი,
ხეები შემოგზვდნენ სუსხით დაზაფრული,
შენ კი საესე იყავ სიმღერით — ყელამდი.

ვაი, ცის ლაქვარდი აწ აღარ გიტაცებს,
პირი თუმც ღია გაქვს, რომ არ გემღერება?
ფებქვეშ გათელილი აგღიხარ მიწაზე
და ცივი თითებით ქარი გეფერება...

ოკი მთიბაჰი

(ლისოზოტოსკიდან)



I

გათენდა. ამოდის
მზე ცხოველ სხივებით,
პურს ვთიბავ, იფრქვევა
ცვარნამის მძივები.

ცაში — ტოროლების
ელვა და ხმა არი,
შევსდგები, ოფლს ვიწმენდ,
მკერდამდე ზღვა არი.

და ვფიქრობ: ხელთ მიჭრის
ცელი თუ ნამგალი, —
დღე მიიწურება,
მორჩება სამკალი.

II

ჩუ! სადღაც გაისმა
ცელის-ხმა მზარავი,
ყანას გადავხედე,
არ მოჩანს არავინ.

უეცრად შეირბა
თავთავი შრიალა,
ძვალს მოხვდა ცელი და
ყრულ გაიფრიალა.

ეი, მანდ ვინა დგანს
ჩონჩხი ფერმისდობილს
ცელის ხმა მიწყნარდა,
მიყუნდა სიკვდილი.

III

ჩვენ ერთად მოვდივართ
ყანისკენ დილდილით,
აქეთ მე ვმუშაობ
და იქით — სიკვდილი.

ეი, შენ, მთიბაეო,
სიავის ოსტატო,
შენ გინდა — ხელიდან
ცელი გამომსტაცო?

ამ ჯაფას ეწევა
ჩემსავით მრავალი,
მე ვთიბავ, პურს კონაეს
უკან მომავალი.

ამაოდ მდარაჯობ
სიკვდილის ოსტატო,
ამაოდ ეცდები
ცელი გამომსტაცო!

ჰიპოტოზი გაგასკირია

თხმელის ხაეზი

ზოგჯერ თქვენ ქარის ქროლვა გახარებთ,
ხან მყუდროება გეხვევით შავად,
ჩვენს ოდის უკან, ჭკობთან დგახართ,
მულამ ყველასგან შეუნიშნავად.

მე კი, სიყრმიდან ღამიმორჩილეთ,
ახლაც აღერსით შემომხვევთ ხელებს,
მაგრამ, მეც თქვენი ჯიშის აღმოვჩნდი,
ისე ებერდები, — ვერ გასახელეთ.

იაკინთე ლისაფილი

სიცოცხლისათვის

რომანი

მეორე ნაწილი

თავი პირველი

მდინარის პირად შეჩერდნენ ისინი, ურთიერთს თვალი გადაავლეს. მერჯველს გაჰხედეს, რომელიც მდინარის გასწვრივ მოსჩანდა. მათი ბედიც იმველზე წყდებოდა: იქ ომის ცეცხლი ღვიადა.

მდინარეში ხეებიდან დაცემული ნამის წვეთები ტალღასავეით არხევდა იმათ სახეებს.

ვახტანგმა ჭამარი გაისწორა. მეგობრებს ისევ შეავლო თვალი:

— გამარჯვებას გისურვებთ, ქმებო!

— ვახტანგ, თენგიზ, სარდიონ, მირზა, კაკო! — ისმოდა მხოლოდ.

ვახტანგი მარტო მიდიოდა.

გამყოლი მოშორებით მისდევდა.

ომის შეუწყვეტელი გრიგალი იდგა. მიწას ალი ამოსდიოდა.

ბლინდაყის შესასვლელში პოლკოვნიკი შენიშნა. მიესალმა.

— თქვენა ხართ შევარდნაძე? — შეეკითხა საშუალო ტანის შეკლარავებული პოლკოვნიკი და ვინაობის გამოკითხვა დაუწყო.

— ქართველი! აი, რას გეტყვით: თქვენ მეორე ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური იქნებით. მიხვალთ, თქვენს მოადგილეს, ლეიტენანტ სერედას ნახავთ. არა უშავს, კარგი ბიჭია; მხოლოდ ყოჩაღად! — შემდეგ ბლინდაყში მიიპატიჟა...

ვახტანგმა შეათვალიერა მიწის ქვეშე ქვეყანა. ამ ქვეყანას სიბნელის ფრთები ავიწროებდნენ. აქ სრული სიწყნარე იყო. აქა-იქ წყალი წვეთავდა. პოლკის მეთაური შეჩერდა:

— აი, დაჯექით! — მიიპატიჟა, მიწის ფარდაგადაფარებული საწოლი უჩვენა და თვითონაც დაჯდა.

პოლკის მეთაური მობრუნდა. რუკა გაშალა, ზედ დააქერდა:

— აჰ, შეხედეთ! — წარმოსთქვა მან და რუკაზე უჩვენა, — მინსკის აზლოს ვართ. ჩვენი პოზიციები აი, სად არის! მდინარეს ვიცავთ. გაღმით მტერია, გამოღმა — ჩვენ. თუ ცხვირი გამოჰყო, მუგუზლები უნდა ვატაკოთ! — ამბობდა პოლკოვნიკი და დიდრონ ულვაშებზე საქმინად ისევამდა ხელს.

ვახტანგი უსშენდა. თანაც რუკას აქერდებოდა. პოლკოვნიკის ხმაში გამბედაობა, ხალისიანი ირონიაც ისმოდა, მაგრამ იმავე ხმაში უდარდლო-

ბძს კილოც იყო ჩართული, რაც მეთაურისათვის შესაფერ მთლიანობას არღვევდა. ვახტანგის აკვირვებდა ასეთი კილო.

პოლკოვნიკი განაგრძობდა:

— გვინახავს, დიახ, ყველაფერი გვინახავს კოლჩაკი, დენიკინი, ~~ოღდენი-~~ნი. გერმანელებიც გვინახავს უკრაინაში ვერსად წაგვივლენს ~~ასანოვსკრტე-~~ბიან და დაცხრებიან! — იყურა ცოტა ხნით, ნიკაპზე დატოვებულ, შექალაქ-რავებულ წვერზე ხელი დაისვა და თავი ასწია, — ჩვენ თვითონ დავაცხრობთ! — დაასკვნა, დაჯდა, პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. — ბოდიში, თქვენ არ მოსწევთ? — შეეკითხა, პაპიროსის კოლოფი გაუწოდა.

ვახტანგმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ მოახსენა, „არ ვეწვეიო“.

პოლკოვნიკმა პირში დაგროვილი ბოლი სქლად გამოუშვა. ბლინდავის კედელს ზურვით მიეყრდნო და გაიღიმა.

— მაშ, თქვენ მთლად ნორჩი ყოფილხართ. კახეთიც ხომ საქართველოა? აი, ეს მესმის! კახური ღვინო! ტუჩებზე უკვდავების შარბათივით რომ მოგედება და მიგზიზღავს! ველარც იშორებ; რომელი მზეთუნახავი შეედრება მიმზიდველობით? ტუჩებში გკოცნის, თერები, მოილხენ და განისვენებს წაეიდა, დიახ, წაეიდა ის დრო! დავივიწყეთ, ახლა ცეცხლში ვართ — გარედან ზარბაზნების გრიალი გაისმის — ოჰო, თითქოს ჩემი სიტყვების პასუხი იყო. დიახ, დიახ, უნდა ვიქპართ; პო, თქვენ წადით, უკვე იწყება! ასეთია ჩვენი დღეები! — დაასკვნა მან.

ორივენი წამოდგნენ, წუთით თვალებში მიაჩერდნენ ერთმანეთს. შემდეგ პოლკოვნიკმა თვით წაიყვანა ვახტანგი.

წელში წახრილებმა გაიარეს სანგრები. როცა ასეულს მიიღწიეს, პოლკოვნიკმა, პორფილე გრიგოლის-ძე ელობინმა პირველი ასეულის მეთაურთა შემადგენლობა გააცნო ვახტანგს. უკან გამობრუნებისას კვლავ დაიძახა:

— სიფიციხეს მოერიდეთ, ყველაფერი კარგად იქნება!

ასეულის ახალ მეთაურს ხმის ამოუღებლად მისჩერებოდნენ.

— ქართველი იქნებით? — დაგვიანებით შეეკითხა ლეიტენანტი პეტრე სერედა.

— დიახ, ქართველი.

— შორი გზა გამოგივლიათ!

— ნეტავი მეტი გამომევლო. მტერს უფრო შორს შევხვდებოდი დასავლეთისაკენ.

— გერმანელები აღარ ხუმრობენ!

— ჩვენც აღარ ვხუმრობთ, ამხანაგო ლეიტენანტო, — მიუგო ვახტანგმა. ყუშბარები სულ ახლოს სკდებოდნენ. მდინარის გაღმა, ველის დასასრულს, ტყე იწყებოდა, სადაც კვამლის ბურთები ამოდიოდნენ.

სერედაც იმ კვამლს მისჩერებოდა.

მდინარის გაღმა ხმაურით, წინ მოიწვედნენ მტრის უამრავი ტანკები და თანაც ისროდნენ. ყუშბარები სულ ახლო ეცემოდნენ, ხან წინ, ხან უკან; ზოგან სანგრებიც ჩამოანგრია, მაგრამ მტერს ჯერ მხოლოდ არტილერია უპასუხებდა.

სულ ახლოს დაჭრილების შეძახილები და კენება გაისმა. გამოჩნდნენ სანიტრებიც, ერთმა სანიტარმა ქალმა დაჭრილ მებრძოლს ჭრილობა შეუხვია, ოფლი სახელოთი ჩამოსწმინდა, შემდეგ დაჭრილი მიწაზე ზოხვით გაიყვანა ბრძოლის ველიდან.

აღფრთოვანების ქრუანტელმა დაუარა ტანში ვახტანგს. სახიტარი ქალის გმირობამ, ბრძოლის პირველ წუთებიდანვე ყველაფერი უამბო მის. „განამ ხალხს დაამარცხებენ გერმანელები?“ — გაიფიქრა და იქვე თვითონ დაასვენა: „არასოდეს!“

ტანკებს ცეცხლი ეღებოდა, იწვოდნენ, დანარჩენები კვერცხ-მოქონებდნენ. მიწა ზანზარებდა, გმინავდა.

ვახტანგს გული უფროთოდა. პირველად ხედავდა, რა არის ომი. აი, მტრის ტანკები მოაწყდნენ მდინარეს. იმ ტანკებზე კულუმბურებივით დამსხდარნი გერმანელი მეაეტომატეებიც გამოჩნდნენ. ვახტანგი ბრაზმა შეიპყრო. მწვევე ქრუანტელმა დაუარა სხეულში. მის თვალბში ნაპერწყლებმა იელვის. მუშტი დაწერა, წამოიძახა:

„ცეცხლი!“

თავი მეორე

კვამლი იდგა პაერში. ყველაფერი ამ კვამლის ბურუსში ჩაძირულიყო: მდინარე, ნაპირები, ველები, ტყეები, — თვით ღელამიწა, ცა და რამდენი ადამიანის სიცოცხლეც! დღეს ორი შემოტევა მოიგერიეს. ახლა დიდი სიწყინარე იყო, მაგრამ ამ შემზარავ სიწყინარეში თითქოს სიკვდილი სჩანდა.

სალამოვდებოდა. ბურუსი თანდათან იწმინდებოდა.

ბურუსის ზღვიდან, ხეთა კენწეროები თითქოს ხელმეორედ იბადებოდნენ. ცაში მიმოფანტული პირველი ვარსკვლავებიც უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვებს შეადარა ვახტანგმა. ოფლი მოიწმინდა. მიწაზე დაჯდა და ახლა მიხვდა: ეს ბავშვი მის გულში იყო. ვინ იცის რამდენი რამ სტკიოდა ამ ბავშვს, რამდენი ძარღვი სისათუთისა, სათნოებისა ჩაწყვეტილიყო ამ ერთი დღის განმავლობაში; და ის, რაც ჩაწყვეტილიყო, ახლა სტკიოდა. მხოლოდ შესვენების წუთებში გრძნობდა ამ ტკივილებს. გრძნობდა, რალც დიდა რამ ნადგურდებოდა. როგორი მაღალი შეხედულებისა იყო სიცოცხლეზე. ადამიანზე, ახლა თითქოს ყოველივე ეს ნადგურდებოდა.

რამდენი ჩიცოცხლით საჯვრე ვაჟაკი მოუკლეს გვერდით, ზოგიც ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს აქედან. — განსაკუთრებით ერთი შემამჩრუნებელი ხმა ჩარჩა გულში:

„მე გხედავ შენ, მშვიდობით“... — ესა სთქვა იმ მომაკვდავმა. ტუჩები მოკლმა, დახუჭა თვალები. ის აღარ იყო. ნეტავი ვინ დაინახა უკანასკნელად, ვის გაესაუბრა, ვის დაემშვიდობა! „სჯობს მოვიშორო ეს უცნაური ძახილი! რა დროს ეგ არი!“ გაიფიქრა ვახტანგმა. წამოდგა, მიმოიხედა. სერედა ღიმილით უახლოვდებოდა.

— ჩაფიქრებულხარო, ამხანაგო მეთაურო. ზეიმი გვემართებს. მტერი აი, აქ იყო მოსული ცხვირის წინ! ცხვირი მოვსტეხეთ და უკან გავავადეთ; ხომ ხედავთ როგორ დაიწვენენ მდინარეზე გადმოსული მტრის ტანკები. ჩვენმა ბიჭებმა ხმა აიმაღლეს და ფხა გვიჩვენეს. თქვენთვის ეს პირველი დღეა, ბრძოლის პირველი დღე და ასეთი! მოსალოცავია!

ვახტანგი უსმენდა. გრძნობდა მოადგილის საზეიმო განწყობილებას. სევდიანი ფიქრებიც ეფანტებოდნენ. მაინც ვერ გვეგო როგორ ახერხებდა სერედა ღიმილს ამოდენა წყლულების შემდეგ, ამოდენა სისხლის ღვრის შემ-

დგ. და სერედამ მიმართ გულში გაივლო: „ამ კაცს ყველაფერი შეუძლია დასთმოს გამარჯვებისთვის“.

— თქვენ გიკვირთ. ჩვენ შევეჩვიეთ! — წარმოსთქვა სერედამ. ^{პაპიროსს} მოუყიდა. ერთიც ვახტანგს ჩაუღო ხელში და იქვე ჩაჯდა, — ^{ერთხელს იქ-} ნება მიუღბრუნდებით და მაშინ ნახონ.

ვახტანგი პაპიროსს არ ეწეოდა, მაგრამ ახლა მაინც მოუყიდა და გაა-
ბოლა.

— თქვენ მუდამ იცოცხლებთ, ამხანაგო სერედამ! — თითქოს მთელი ფიქ-
რის პასუხად დაასვენა ვახტანგმა. თავი ასწია, ისევე ვახედა: ბურუსი გა-
დასულიყო. იქვე აღამიანებივით დასახიჩრებული ხეები იღვნენ. ყუმბარებს
ზოგისათვის მკლავები ჩამოემტვრია, ზოგი წელში გადაეტეხნა, ზოგიც
ფესვებიანად ამოეთხარა. აქა-იქ მაინც იღვნენ უჩვენლად გადარჩენილნი,
ირბეოდნენ და თითქოს სერედასავით იღიმებოდნენ. დამფრთხალი ჩიტების
ფართხალი და ჭიკჭიკიც გაისმა. რაღაც დიდ საგონებელში ჩავარდნილები
კენტად დაფრინავდნენ ზიდან ხეებზე.

ამ ჩიტებმაც საქართველო მოაგონეს ვახტანგს. თითქოს არავითარი გან-
სხვავება არ იყო. აქაც იმავე ხმით ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, როგორც საქართ-
ველოში. და ეს ჭიკჭიკი რას არ აგონებდა ამჟამად. „ყველგან ერთი ენა
ჰქონიათ ჩიტებსო“, იფიქრა და შეება იგრძნო. ახლა მის გულში ჩაწყვეტი-
ლი სიმები მრთელდებოდნენ, ინასკვებოდნენ, თითონაც თავისთავს უბრუნ-
დებოდა.

მახლობლად, რაღაც ყრუ საუბარიც გაისმა სანგრებში. აი, ხმას აუწიეს
და სიცილიც მოისმა.

გაუკვირდა ვახტანგს, თვალები დააცეცა და სერედამს ჰკითხა:

— იცინიან?
— იქ ვასკა განლაგეთ, ხუმარა ბიჭია. ერთი ქართველი მეგობარი ჰყავს.
ომის დაწყებდნენ ერთად არიან და ვგონებ მათ ყუმბარაც ვერ დაა-
შორებს.

— მართლა? — წამოიძახა ვახტანგმა. მის თვალებში სიხარულმა იელვა.

— იცით რა ბიჭებია? მთელს პოლკში ცნობილნი მშვერავები არიან.
მთავრობისაგან ჯილდო მიიღეს. ორივე ტანმორჩილია. ღამეში ყატასავით
ფრთხილნი, მაგრამ აფთრებივით სწრაფი არიან.

სერედას უნდოდა განეგრძო ამბავი, მაგრამ იქიდანვე, საიდანაც სიცილი
ისმოდა, ხმადაბალი სიმღერა და გიტარის ასეთივე ფრთხილი, მინაზებული
ელერა მოისმა.

სერედა შესდგა. ვახტანგი წამოიწია და სერედას ჰკითხა:

— ეს ვინღა წრის?

— ეს ყველაფერი იმათივე მოგონილია. ღამით „სანადიროდ“ წასვლის
წინ გიტარას ატლერებენ, უკრავენ. სხვებიც უნებლოდ ხმას აყოლებენ.

— მერმე საშიში არ არის აქა?

— არა. იმათ ზომაც იციან.

— წავიდეთ იქ, — მოუწოდა ვახტანგმა.

შეუშინველად მიუახლოვდნენ და დააყურეს.

ღრმა სანგარში ვასკა პირაღმა გაწოლილიყო. გიტარა მუცელზე დაედო.

კას უცქეროდა, ფრთხილად უკრავდა. გარშემო თანხილედ მებრძოლი შემოსხ-

დომოდა, ხმას აყოლებდნენ. მათში ერთი შევთვალწარბა ახლოგაზრდა
ერია. ალბათ, ის არისო ქართველი, გადასწყვიტა ვახტანგმა და სერედას
ხელით ანიშნა, აქ დაეჯდეთო.

ახლა უფრო გარკვევით მოისმა სიტყვებიც. რუსულ ენაზე უკვე აღმოჩნდა
მღეროდნენ...

ქართველმა ეტყობოდა კარგად არ იცოდა რუსული სიმღერა, მაგრამ მაინც
ცდილობდა ემღერნა: სიმღერის ყველა საძნელო მოსახვევში სხვებს დაა-
ცლიდა, შემდეგ ისიც ხმას გამართავდა და მიჰყვებოდა. სანგარში ტალღა-
სავით ირხეოდა სიმღერა და გიტარის ფრთხილი, სათუთი უღერა... ხმები
შეწყდა. ვასკამ გიტარა გვერდზე გადასლო.

— ეტყობა ახალი მეთაური ყოჩაღი ვინმეა! ბლინდაეი ჩამოინგრა,
ალგვადგენია, სანგარი ჩამოინგრა, ალგვადგენია. გაქონდათ მკვდრები და
დაჭრილები, სამაგიეროდ ცოცხლები გვემატებოდნენ, ვინგროდით და
ესწორდებოდით, ვიხოცებოდით და ვცოცხლდებოდით. ბოლოს ფრიცების
ტანკებმა გადმოლახეს მდინარე; ჩვენი მეთაურისათვის უბრძანებიათ: თუ
ცოცხლები ხართ, დაიხიეთო, მაგრამ მეთაურს უპასუხნია: „რადგან ცოცხ-
ლები ვართ, ნება მომეცით მტერს დაეხვდეთო“. ასედაც უნდა—ვასკა
მუშტების ქნევით განაგრძობდა ამბავის თხრობას, მაგრამ ზურაბმა მკლავ-
ში ხელი მოჰკიდა და მოაგონა:

— შეჩერდი, ვასკა! ისე გამიტაცა ამბავმა, რომ ჩვენი გამგზავრების
დროც მოახლოვდა!

ვასკა სახეზე შეიცვალა, თვალები დაახამხამა, თავი ასწია:

— შენ ზურაბი ხარ? გმადლობ, შეტრუხავ!

ზეზე წამოდგა, ხელები წელზე შემოიწყო,—ჰეი, ჰეი!—შემოსძახა, თამა-
შით შემოტრიალდა, მერე ზურაბს მკლავში ხელი გამოსლო, კვლავ დაიძახა:

— დოყლაბებო, რას შემოგვცქერით! ტანით თუ დიდები არა ვართ, სუ-
ლი გვაქვს დიდი!

მებრძოლებმა ისევ სიცილი მორთეს, მაგრამ ისინი ვახტანგის ხმამ შეა-
ჩერა.

— ვასილ, სალამი! — მიესალმა, ხელი გაუწოდა და ჩამოართვა,—ყოჩაღი
ბივი ყოფილხარ! თქვენც მებრძოლებო! — ახლა სხვებს მიმართა. შემდეგ
ზურაბსაც ხელი ჩამოართვა და მოკლედ უთხრა, — ვიცი არ შეგვარცხვენ!
მებრძოლები თვალდაცეცებით მისჩერებოდნენ.

ვასკას გაოცება ღიმილით შეიცვალა.

ზურაბი აქარებით ითქვამდა სულს, საკუთარი გულისცემა ესმოდა,
ყელი გაუშრა, ნერწყვს ძლივს ყლაპავდა.

— იქნება, ამხანაგო მეთაურო! — გაუბედა ზურაბმა.

ამან ვასკაც წაათამაშა:

— ამხანაგო მეთაურო, ჩვენი ზურაბი, ფრიცს თოკით იჭერს.

ვახტანგს გაეცინა და ვასკას მხარზე ხელი დაადო:

— სჩანს თქვენ დიდი მეგობრები ხართ, თქვენ... — რაღაც კიდევ უნ-
დოდა ეთქვა, მაგრამ აცნობეს: პოლკოვნიკი გეძახისო. უცერად შესწყვიტა
სიტყვა, — ნახვამდის, ბიჭებო! ისევ გნახავთ! — მხოლოდ ეს დაიძახა, და
მიეფარა.

სერვდამ ჩაახველა და იქვე დაჯდა.

— ჩვენი ქვეყანა მეგობრობის დიდი მხარეა! დიდი ოჯახია, — ვაიწყო მან, — ამ ოჯახს მილიონობით ფესვი აბია. ვინ მოსთხრის მას? ვერაქინ, ვერაქინ! — შემდეგ წამოდგა, ქული გაისწორა და ისიც წავიდეთ. წიგნი
სიმბოლოთქანს

თავი მესამე

როდესაც ვახტანგი შევიდა, პოლკოვნიკმა უღვაშები გადაიგრიბა. შემდეგ ხელი ჩამოართვა.

— თქვენ მეტი შესძელით, ვიდრე ველოდი... მაგრამ თითქოს ყოველივე ისე არ ხდება, როგორც მინახავს... ანგარიში, სწორია, ყველაფერი რუკაზე ძვეს. ვპირობაც დიდაა, მაგრამ მაინც, რაღაც ჩემთვის უჩინარი მიზეზები შლიან უმთავრესს. დაბრძანდით, დიახ, ამ საიდუმლოების მონახვა საჭიროა. თქვენ ცენტრი გადაარჩინეთ, მაგრამ მესამე ბატალიონის პოზიციებში შემოჭრილი მტერი ახლაც იქ ზის. სამწუხაროა, მაინც აგრეა!

ვახტანგს მღელვარება დაეტყო, სახე სასტიკი გაუხდა. მაინც ხმას არ იღებდა, შეთაურს აცლიდა.

— დიახ, აგრეა, — განაგრძობდა პოლკოვნიკი. — ახლა ჩვენ ყველაფერი ვიანგარიშეთ. სათანადო ზომებიც მივიღეთ. თქვენ მხოლოდ იმისათვის გამოვიძახეთ, რომ მადლობა მეთქვა. ხეალ თუ ზეგ გერმანელებს გავრეკავთ პლაცდარმიდან, მდინარის ზღუდეც აღსდგება.

— ხეალ თუ ზეგ? — წამოსცლა ვახტანგს.

— რად გაიკვირებთ? ვანა ვერ შევძლებთ? დიახ, ყველაფრიდან აშკარად სჩანს, რომ ამას შევძლებთ!

ვახტანგს უნდოდა ეპასუხნა, ზოგჯერ წუთებიც სწყვეტენო ყველაფერს, მაგრამ თავი შეიკავა, პოლკოვნიკს ადგილზევე დაბრუნების ნებართვა სთხოვა.

ერთად წამოდგნენ.

ამ დროს მეორე ბატალიონის მეთაური, მაიორი მიხეილ ივანესძე ბარსოვი შემოვიდა ბლინდაეში.

— აი, თქვენც აქა ხართ — დაგეძებდით. ცოტა დამიცადეთ. სულ ორი წუთით, ერთად წავიდეთ! — მიმართა ვახტანგს. შემდეგ მივიდა პოლკოვნიკთან და რაღაც უთხრა.

პოლკოვნიკს სახე წამოუწითლდა. ხელში შერჩენილი პაპიროსი ნერვიულად გადაავლო.

— თქვენ, პატივემულო მაიორო, ნუ გავიწყდებათ, რომ ყოველი ინიციატივა დისციპლინას უნდა ემორჩილებოდეს. დიახ, რკინის დისციპლინას. ეს მთავარია!

— სწორი ბრძანებაა, ამხანაგო პოლკოვნიკო. დისციპლინა დიდი ძალაა. მაგრამ თუ ინიციატივა დისციპლინას არსად არ არღვევს, მაშინ ის სასარგებლოა. ამას თქვენც დამიდასტურებთ!..

პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა, ჩაახველა, თითქოს ცოტათი მოღბაო და ხმადაბლა სთქვა:

— მიხეილ ივანეს ძეგ, დამოკერეთ, რომ თქვენი ინიციატივა ჩემი ბრძანების ყველა მუხლს არ ეგუება. თქვენთან საქმეები ცუდად არ მიდის, მაგ-

რამ ეს შემთხვევა და არა წესი. დიახ, ბრძანების გადახვევას უნდა ვეროდოთ. აი, მაგალითად... მაგრამ ახლა არა ღირს! წაიღეთ, წაიღეთ! პო და გახსოვდეთ!



— მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო! — უთხრა და სწრაფად გაქრულა.

მარტოდ დარჩენილმა პოლკოვნიკმა სული მძიმედ ჩართქვა. მისი ნერვიულად გადაიკრიხა. პაპიროსი მოსწია, თავი დახარა. გრძობდა სუნთქვა ეხუთებოდა. დაჯდა. ხელები თავზე შემოიწყო და თავისთვის ხმამალა სთქვა:

— იქნებ მართალია ბარსოვი. სიამაყის ქურქი მოვისხით ძველებმა. ყველაფერი ჩვენებურად გვაქვს განსაზღვრული. იქნებ ამ ომს სხვანაირი წესი სჭირდება. ჩვენი გონება სხვა დროშია დაშლილი. იქნებ მართლა გვაკლია ახალი სიო! იქნებ თავიდან უნდა დავიწყოთ; არა და ახალი თითონვე მოვა! დიახ თითონვე! გაიგე. პოლკოვნიკო! გამოიღვიძე! იქნებ სიზმარში ხარ და ამას ვერ ხედე! — პაპიროსი დაავლო, ფეხით გასრისა, თითქოს ყელში მარწუხს უქერენო, თავი გაიქნია და ზეზე წამოღდა...

როცა მაიორი ბარსოვი და ვახტანგი გარეთ გავიდნენ, ჰაერში შეუქურების სვეტები იდგა. ვახტანგი მაიორის სიტყვას ელოდა, მაგრამ მაიორი ხმას არ იღებდა. ფიქრს მისცემოდა, მაშხალუმის უეცარ გაელვებაზე მისი გამხდარი, მაგრამ ენერგიული სახე სასტიკი სჩანდა. ყურადღებას არაფერს არ აქცევდა, რადგან ეტყობოდა, რაც აქ ზღებოდა, ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეოდა. მხოლოდ წინ იხედებოდა, მიიჩქაროდა. შემდეგ უეცრად შეაწვინა ნაბოჯი, ვახტანგს გადაჰხედა, სახე გაეხსნა და რბილად უთხრა:

— უკაცრავად. ფიქრებს გავყევი. ასე ხშირად ვაჯავრებ პოლკოვნიკს. არ მინდა, მაგრამ მაინც ვაჯავრებ. გამოცდილი კაცია, მართალი, გაბედული და საიმედო... სინამდვილე მაინც თითქოს მეტს მოითხოვს. სინამდვილე თვით გაიძულეს. ზოგჯერ ომის ძველი წესებიდან თვით გამოვიყვანს. შემდეგ კი იარე პოლკოვნიკთან და პასუხი აგე! ალბათ, თქვენ ვერ ხედავთ, რა მინდა ვითხრაო. მეც აღარ ვიცი, როგორ გამოვთქვა. იცით რა, თითქოს რალაც უნდა გადახალისდეს. ახალი ჰაერი უნდა შემოვუშვათ ომის წესებში. ეს ჩვენს სიმტიცეს გააორკეცებს. აი, როგორ ვსთქვა, ძველ ქერქში ხეც ვერ იზრდება. ახალს მოითხოვს. დაბლობს აშრობენ, მაღლობს კი რწყავენ და მერე რისთვის? მცენარემ რომ უკეთ გაიხაროს. ყველაფერს თავისი ადგილი და დრო გააჩნია. ჩვენი მცენარე გამარჯვებაა, ამისათვის ყველაფერი უნდა გავწიროთ! გვეტიკინება; მაინც ასე სჯობს!.. სულ მე ვლპარაკობ, თავი შეგაწყინეთ, მითხარით რამე!

— ერთი დღის გამოცდილება ძლიერ ცოტაა. აზრის გამოთქმის ნებას არ მძლევს, მაინც ძგონია, რომ თქვენ მართალი ხართ.

— მიხარია, რომ გამიგეთ. ეს თქვენ უკვე საქმიანად დადასტურეთ... აი მივედით. ჩამოდით ჩემთან, ერთად ვივახშმოთ. სიმშვიდემ მომაგონა შიშნული. რა წყნარი დამეა!

ბლინდაჟში ერთად შევიდნენ. დასხდნენ. ივახშმეს. ისაუბრეს. ზოგი რამ პირადი ცხოვრებიდანაც გაუშვილეს ურთიერთს.

როცა ვახტანგი დაემშვიდობა და გარეთ გავიდა, მაიორი ბარსოვი უკვე ახლობელ ადამიანად მიაჩნდა მას.

შორს, ჰორიზონტზე, ცას შუქი შემოსდებოდა. მთვარე ჯერ ოდნებ ვა-
მოჩნდა, შემდეგ აწია, სივრცეში ლალად აცურდა. ამ სურათმა უფრო და-
ამწვიდა ვახტანგი. თითქოს აქაც მიწაზე, არაფერი არ შეცვლილიყო, არა-
ფერი უჩვეულო არ მომხდარიყო. ბუნება თავის გზას განაგრძობდა დაჯი-
რებით, მშვიდად და მედიდურად. „რა ძალა შეაჩერებს ამ სურათს სრბოლვას?“

მიადწია. შევიდა ბლინდაეში. სერედა სთვლემდა. დაჯდა, მაგრამ ვერ
მოისვენა. გარეთ გავიდა. პოზიციების შემოვლა დაიწყო.

— იფხიზლეთ, მტერს არა სძინავს! — ეუბნებოდა გუშაგებს, ზოგჯერ
ოხუნჯობასაც ჩაურთავდა, გაშორდებოდა. ნაძვის ხესთან შეჩერდა. ხელით
მიეყრდნო, მთვარე ისევ მისცურავდა მოთეთრო ღრუბლების ტალღებში
ტანგაბანილი. „ვარსკვლავები ღიმილია ღამისა, მთვარე კი თვალი“, — გაი-
ფიქრა. წავიდა.

ბლინდაეში შევიდა. გამოფხიზლებული სერედა ზეზე დაუხვდა.

— მოისვენეთ, ამხანაგო მეთაურო, ძილია საჭირო!

ვახტანგი დაჯდა. დასაზვერავად გაგზავნილ ვასკასა და ზურაბზე ფიქრი
არ ასვენებდა. უეცრად მოღლილობის სიმძიმე იგრძნო. ბლინდაეს კუთ-
ხეში თავი მისდო და ჩაეძინა...

გამაყრუებელი გრიალი ჩაესმა ძილში. თვალი გაახილა. ზეზე წამოიჭრა.
სერედას მიაძახა:

— რა ამბავია?!

— დაიწყო, ამხანაგო კაპიტანო, აგრე იწყება!

მიხვდა: ფრონტზე ჩვეულებრივი დღის დაწყებას გულისხმობდა სერედა.
ამ აზრს შეურიგდა. მიწის „ტახტზე“ ჩამოჯდა. მის სახეზე აღარ მოსჩანდა
მღელვარება და შეშფოთება. თითქოს შეურიგდა ფრონტის ცხოვრებას. ამ
შერიგების დასადასტურებლად პაპიროსი აიღო და მოუკიდა. შემდეგ დურ-
ბინდი მოიმარჯვა, სათოფურის ხერელიდან შორს, მდინარის გაღმა დაბინ-
დულ ველს მიაჩერდა.

თავი მეოთხე

ცხელოდა. მიწას ცეცხლის ალი შემოსდებოდა. ომი მწყვედებოდა.

ამ ხანებში ვახტანგი უკვე მაიორი იყო. ბარსოვი კი — პოდპოლკოვნიკი.
სმოლენსკი ხელიდან ხელში გადადიოდა.

გერმანელები ისევ უტყვდნენ. სამაგიეროდ მეტ ცოცხალ ძალასა და ტექ-
ნიკას ჰკარგავდნენ.

დახოცილ გერმანელთა გეამებით ივსებოდა სმოლენსკის მიდამოები.

შეორე თვე გადიოდა, — გერმანელებს საკუთარი მკვდრების დასაფლა-
ვებისათვის დრო ვერ ეშოვნათ. წითელარმიელები ამბობდნენ: „საკუთარ
იდებივით აყროლდნენო გერმანელები“.

ომის გრიალი ერთი წუთითაც არ სწყდებოდა. ეს გაცოფებული სიკვდი-
ლის გრიალი იყო.

ერთ მცირე მალღობზე ჩასანგრულიყვნენ.

ცეცხლი არა ცხრებოდა. ბრაზობდა მადლობი, გმინავდა, ცაბცახებდა, მაინც ცოცხლობდა!

დალამდა. სიბნელემ თითქოს ჩააქრო ცეცხლი. შეანელა ომის კოცონი. ოდნავ სული მოითქვა ბუნებამ და ადამიანმა. იმავე სიბნელის სიგრილე შეეხო გახურებულ, ნაომარ მიწას.

იქვე, ბლინდაეში, ვახტანგმა ტელეფონის მილი დააგდო, წამოდგა.

დღევანდელი დღის ჯოჯოხეთის თითქოს ახლა ხედავდა, ახლა უსმენდა.

ერთი რამ მაინც უშუქებს გულს: ბაგე გაეხსნა, თითქოს გაიღიმა... ჯოჯოხეთშიაც კპოვა ღიმილი! რომელი ცის ელვამ ჩაანათა ნეტავ მის სულში?

— მტრის თორმეტი შემოტევა მოვიგერიეთ ერთ დღეში! — გაიფიქრა მან. ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა, ქართული ასოები შენიშნა ზედ. გადაიკითხა: „დედისერთა ვახტანგს. დედა მარიაში“. თვალები გაუბრწყინდა. აბრეშუმის ძაფით ამოქარგულ ქართულ ასოებში კიდევ რამდენი რამ ამოიკითხა; დედის სახე ყველგან მოსჩანდა. ეს სახე სანთელივით ბეუტავდა შორს, იცრემლებოდა, მაგრამ მისი შუქი მაინც წვდებოდა აქამდე, და გულს უნათობდა, ამაღლებული მშვენიერების მადლით უესებდა სულს.

ცხვირსახოცი მოისვა სახეზე, მკერდზე, ოფლს იშრობდა, მისი შეხება ძალას მატებდა.

სულშეწუხებული სერება მძიმედ სუნთქავდა, ბორგავდა, თუმცა არ კვნესოდა. ვახტანგსაც გვამების აუტანელი სუნი ზუთავდა, მაგრამ ცდილობდა სინამდვილეს გაშორებოდა, მიმზიდველი სურათები წარმოედგინა: ჩანთიდან ორი ბარათი ამოიღო. დედის ბარათში ამოიკითხა:

„მე რაღა მეთქმის. ოჯახები დაცალიერდნენ. ომში მიღის ხალხი, მაგრამ სოფელი ზღვა არი, შვილო, არ დაილევა. წყაროსავით ამოდის ახალი ძალა. რამდენი სიცოცხლე დაქარგა სოფელმა. — სიმღერა მაინც გაისმის. შრომა მეტ ნაყოფს იძლევა. შენზე ჩემი მოწაფეებიც მიაშობენ სკოლაში. მათ ყველაფერი იციან, იციან რა ხდება. თითქოს ყოველივე იგივე დარჩა: დღით ყველა საკვამურები ძველებურად ბოლავენ, სოფლის არცერთი კვრა არ ჩამქრალა“.

გადასდო. ახლა დარეჯანის ბარათში გადაიკითხა:

„მწუხარებამ შემძინა გამბედაობა, თამამად გწერ. სიტყვებს გული მინდა გამოჰყვეს. ამ სურვილს სიკვდილიც ვერ დააჩუმებს. სიცოცხლე იქ არის. სადაც შენა ხარ. რა ფასი აქვს სიცოცხლეს, თუ ადამიანს სიხარული არ გააჩნია. ხანდახან ვფიქრობ, ძლიერ დიდხანს ცოცხლობს ადამიანი. მეათედს ვიკმარებდი, მხოლოდ შენთან ვყოფილიყავი. სიზმრებში სულ შენთანა ვარ. ჩემი სამი სიზმარი მინდა აგიწერო: ვითომ ბნელი ღამე იყო, მარტო. სადღაც მწვერვალზე ვიყავი, ვიცქირებოდი, მინდოდა დამენახე და სანთელი ავანთე. უეცრად ზღვაზე ასეთივე სანთელით ხელში შენ დაგინახე. იღიმებოდი, გეძახდი, გეძახდი ხელგამოწვდილი! შევცქეროდი ერთმანეთს. ძახილი ვერ მოგაწვდინე. მერე ვითომ სანთელი ჩამიქრა და მარტო დავრჩი. აი, მეორე სიზმარიც: ზღვაში ვბანაობდით, ტალღას ავყვებით, უეცრად იმავე ტალღის აბრეშუმით შეგვემოსა სხეული. ზღვაზე მივაბიჯებდით. შუე სბივებს გვახვევდა, ზევით მივყვებოდით, ცაში შევდიოდით და საამო

ხიავი გვებჭურებოდნ სახეზე. უსასრულო სიამით გვევსებოდა სულს. ხხივი ჩამოწყდა, უნდა დაეშვებულყოფ, მაგრამ შენმა ძლიერმა მკლავებმა მიშველეს და გულში ჩამიკარა!.. აი, მესამეც: ჯადოსნური ფერებით მარწყვულ მთის ზეგანზე ვიდექით მე და შენ. ახლოს ტყე მოსჩანდა, ტყეში ფერებების სიმდიდრე მოსავდა, ცასაც იგივე ფერები დასდებოდა, გარინდებულ ტყეში ფოთოლიც კი არ იძვროდა, ველზე ოქროს ბეწვიანი ცხვრები სძოვდნენ ზავერდოვან, შრიალა ბალახს, ცაში ოქროს ჩიტები დაფრინავდნენ, მათი მინაზებული გალობა ისმოდა, ყვაილებიც ჩიტებივით ფრინავდნენ ცაში და ვილაც, თითქოს თვით პაერი, ღვთაებრივი ხმით ჩამოგვძახოდა: „აი, სამოთხე დედამიწისა!“ — დავასრულე სიზმრები. ამ ბარათსაც ვასრულებ, ვახტანგ. რამდენი სისულელით გაბეზრებ თავს, მაგრამ ვიცი—გამიგებ: ჩემთვის ვერაფერს ვერ მოვიტოვებ, მინდა ყველაფერი გიამბო, რადგან შენთვის უთქმელ სიტყვას გული ვერ დაიტევს, ტანჯავად იქცევა“...

ტელეფონით დარეკა. შეკითხვებზე მოკლედ უპასუხებდა.

სერედა გამოცოცხლდა, წამოიძახა:

— არ გვასვენებენ?

— ნუ მიშლი, სერედა! — შესძახა მოადგილეს ვახტანგმა და ტელეფონით საუბარი განაგრძო: — ამელამ აპირებენ. ჩვენ ნახევარი საათით დავასწრებთ. მარჯვენა ფლანგზე? წინასწარ ვიცოდით. დიახ! იქნება. ძილი? არა, არ მოხერხდება! — დაასრულა. დაფანტული ფიქრები დაიმორჩილა.

სერედაშიც იბრძოდა რაღაც. მისი კეთილი ბუნება და სინამდვილე ურთიერთს ებრძოდნენ. კარგა ხანი იყო გასული, რაც ეს ბრძოლა დაწყებულიყო. სინამდვილემ მრავალი საბუთი მისცა გარდაქმნისათვის, კიდევაც გარდაიქმნა. მაგრამ ზოგჯერ, შესვენების წუთებში, იმავე სინამდვილესთან უფრო ახლოს შეხების ეამს, შეურიგებლობის გრძნობა ახლებურად იჩენდა თავს და ხმაურობდა მის სულში. სამაგიეროდ ამ შეურიგებულ გრძნობათა შეჯახების დაცხრომის შემდეგ მისი სული ყოველთვის ახალ თვისებას იძენდა, — უფრო კაჟდებოდა და მტკიცდებოდა.

რატომღაც მსგავსად ბარსოვისა, ვახტანგშიაც უფრო სწრაფად ჩაიარა ამ ბრძოლამ და ეტყობოდა, ამ ბრძოლის დასასრული სულ ახლოს იყო.

ეს ახარებდა სერედას. ახლაც მის თვალებში ჩამდგარი შექიცი ამ შეგნებას აღასტურებდა.

ვახტანგისათვისაც გასაგები იყო ეს ყოველივე და გაუღიმა. მაგრამ განა ამ ღიმილით შეეძლო მას სავსებით დაეძლია თუნდაც ის, რაც ამ ერთი საათის წინ განიცადეს?

ამ რამდენიმე წუთის წინ ახლო მეგობარი ლეიტენანტი ეგნატე ჩერნოუხოვი, მძიმედ დაჭრილი შემოიყვანეს, თვალბში სიცოცხლისადმი დაუშრეტელი მისწრაფება უკართოდა. თითქოს მეგობრებს რაღაც დიდის სათხოვარით მისჩერებოდა. მოემზადა სიტყვის სათქმელად. ტუჩები აუთრთოლდა, ყელის ძარღვები დაეძაბა, ამოისუნთქა, წამოიმართა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. რადგან ამ უდიდესმა და უკანასკნელმა მონდომებამ არავითარი შედეგი არ მოიტანა, თითქოს მხოლოდ ამაზე წყდებოა გული, თვალბში გამანადგურებელი შეძრწუნება გამოესახა. შეაერგოლა, ტუჩები მოკუმა, ამხანაგებს რაღაცაზე მიუთითა, ისევ უმწვერვალესი თხოვნის გამომეტყველება მიიღო, შემდეგ მოეშვა, სხივჩამჭრალ

თვალეებში მარადიული ყინული ჩაუდგა. აი ის ახლაც თვალგახელილი, თითქოს ვინმეს ელოდებო, ბლინდავის კედელს მისწოლია და „მშვიდად“ არის. ამიტომ ცოცხალი ჰგონიათ ის. იქნებ იმიტომ რომ მეგობრებს ეგნატესთვის მხოლოდ სიცოცხლე ჰსურდათ, მანაც სიცოცხლისათვის გასწავრქოდნენ.

ვახტანგმა სთქვა:

შეგულიანეთა

— ყველაზე აუტანელი სინამდვილე მიმზიდველი სურათების წარმოდგენით უნდა დაეჩრდილოთ. თუ ეს შეეძელით, მაშინ სიკვდილიც დაკარგავს ფასს.

— არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ ტანი გრძნობს. საკუთარი უბედურება რა სათქმელია, აი, მეგობარი შემოგვკვირის და ეს გაწუხებს!

— წარმოიდგინე: სადმე მყუდროებით მოცულ ხეივანში ხარ და მხოლოდ ჩიტების ვალობა გესმის, მომღიმარე ცას მისჩერებინარ. განა ეს ზღაპარია, ჩემო სერედა? არა, ეს სინამდვილეა. ჩვენ მივალთ იქ! — მხარზე ხელი დაარტყა და წამოდგა. — ძილი უნდა მოვასწროთ. დაწეკით, თუ ძალიან გეხალისება, ისევ პირქვე დაეშენ და მიწა ისუნთქე, მხოლოდ იძინე. ძილიც შოგებულები ბრძოლაჲ მალე ჩვენი არტილერია ხმას იმალლებს. მზად უნდა ვიყოთ!

— შესმის, ამხანაგო მთიორო! გასაგებია თუ რაზე გესაუბრებოდათ ამხანაგი ბარსოვი!

— ზედმეტი ლაპარაკი არ შეიძლება. აი, დაწეკი აქვე. ტელეფონის ზარს ნუ გაიგონებ. ეს ჩვენზე იყოს.

„უპ რა ადამიანია“, — თავისთვის ჩაილაპარაკა სერედამ და მიწაზე პირქვე დაეშო. ქშენა დაიწყო.

ვახტანგი დარწმუნდა, ჩაეძინაო, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ უცქეროდა მძინარეს. „რა ძალით წავლენ მოსკოვისაკენ? აქ ტერფები უნდა გადავჭრაოთ და კოჭლი ძაღლი შორს ვეღარ წავა“. — თავისივე კითხვას თვითონვე უპასუხა. უეცრად რაღაც მოაგონდა. ქალღმერთი აკყარა. ბრძოლის დროს მიღებული ბარათი იბოვა, გახსნა და კითხვა დაიწყო. თენგიზი სწერდა: „იმედია ომის ზიარება მიიღე. სოფლის იდილიებს ფრთა შეეტრუსა. ჩიტების მადევარი კაცი იყავი და აქ ვეშაპს ებრძვი. მოიგონე ხალხური ლექსი: „ვიცხაც მოუკლავს ის მოკლავს ნადირსა შავის ტყისასა“-ო, მაგრამ ახლა ვიცხაც არ მოუკლავს იმანაც უნდა მოკლას ნადირი. გილოცავ წარმატებას. მეც მომილოცე. სარდიონი მოცეცხ. მოიგონე ღამე პატარაობისას როცა ღორებს ვუღარაჯებდით. მაშინ პართენას დასაჭერად სარდიონმა ეშმაკობა გამრიგონა და „ღორების ხელმძღვანელი“ ხელში ჩაევიგდეთ. აქაც ფაშინის ღორებთან ბრძოლაში ეშმაკობისთვის და სიმამაცისთვის საბჭოთა კავშირის გმირი შეიქნა. მინდა მიველოცო. დავეძებ. ვერ მიპრვინია. იქნებ შენ იცი მისამართი. მაგნობე.“

გული აუთრთოლდა. მგრძნობიერების სისუსტემ კინალამ აჯობა, მაგრამ წამოდგა, დღიურის რვეული ამოიღო და შიგ ჩასწერა: „მხოლოდ წუთებმა იბოღენა სიცოცხლე განმაცდევინეს, რაც წინათ არასოდეს არ განმიცდია.“

გამახსენდა სოფელი, ბავშვობა, ქაბუკობა, თვით მთელი ჩემი ქვეყანა და თითქმის ბრძოლაში მათთან ერთად გავდივარ“...



ეროვნული
ბიბლიოთეკა
ჩერნოუხოვს გადა-

სანიტრებმა საკაცე შემოიტანეს. ერთმა დაიძახა:

— ამხანაგო მაიორო, ნება მოგვეცით გავიტანოთ!
ვახტანგი შეაკრთო ამ ხმამ. კუთხეში მისვენებულ
ხედა. შემდეგ ყრულ წარმოსთქვა:

— დიახ!

წაასვენეს ჩერნოუხოვი.

ვახტანგი მაგიდას დასჩერებოდა, მაგრამ იქ ვერაფერს ვერ ხედავდა.

ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა.

— გისმენ! უკვე დაბრუნდნენ? ჩემთან ახლავე! არა. ტყვე პოლკის მე-
თაურს გადაუგზავნეთ, იქ ვიქნები. — წამოღვა. „საოცარიო. ეს ბიჭები ნამ-
დვილი მახეა გერმანელებისათვისო“, გაიფიქრა.

კარგა ხანმა გაიარა. შემოსული ვასკას ხმა მოესმა.

— ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით მოგახსენოთ: თქვენი დავალება
შესრულებულია. ტყვე კაპიტან გორიუნოვს გადავაბარეთ.

— ჩემო ლომებო! ვის შეუძლია არ გაიხაროს ასეთი ბიჭებით, — დაჯ-
და. მშვერალები გვერდით მოისეა. — ისევ თქვენ, ბიჭებო, თქვენ!

მშვერალები თბილი შეხვედრის სიხარულს გრძნობდნენ.

ვასკამ ჩაახველა. საყელო გაისწორა, ხელები მუხლებზე დაიწყო და
ფრთხილად წარმოსთქვა:

— ამხანაგო მაიორო, რა გვეთქმის. ერთი ოფიცერი შევიპყარიო და მო-
ვიყვანეთ. თვალებს აცეცებს, წრიპინებს და იკბინება. ჩვენ კი ცხვირსა-
ხოცი პირში ჩაესტვენთ და წამოვიყვანეთ. კაპიტან გორიუნოვს მშვენიერა
ამბები მოუყვა და თქვენც გაიგებდით. მტერი მეოთხე ასეულის წინ ავ-
როვებს ძალებს. მცირე მანძილზე ასამდე ტანკი რიალებს. ჩვენი პოლკის
პირდაპირ მტრის ერთი დივიზია მაინც იქნება.

— ყოჩაღ! ჩვენი რწმენა უფრო მტკიცდება. ზურაბ, შენ რაღას იტყვი?

— მე მხოლოდ ამას დავუმატებ: როგორც ირკვევა, ხუთზე დაიწყება მათი
შემოტევა.

— საათის ხუთზე! — წარმოსთქვა მაიორმა, და ფიქრს მიეცა.

მშვერალები გასასვლელში შეჩერდნენ.

ვახტანგი მივიდა.

— წადით, ბიჭებო, წადით და... — აღარ დაასრულა.

წავიდნენ. სერედამ გამოიღვიძა და უგრძნობლად დაიყვირა:

— ვინ არის აქა?

— ჩვენ ვართ, ვინ უნდა იყოს! — მიუგო ვახტანგმა და ქუდი აიღო: —
მივდივარ სერედა, შენ უნდა დარჩე!

სერედამ მიმოიხედა:

ჩერნოუხოვის ცხედარი იქ აღარ იყო:

— სად წაიღეს?!

ვახტანგი გავიდა.

პასუხს ამაოდ ელოდა სერედა.



თენღებოდა. ნისლი ნაფლუთებად ეყარა სმოლენსკის ველზე, ტყეებში, მალღობებზე. თითქოს ამ მიდამოებს მზრჩოლავი ვეშაპები შეესვენათ ის-მოდა ავარდნილი ცეცხლის გუგუნი.

მზე ამოვიდა, ნისლიც სისხლისფრად შეღება. ტყესთან, მოპირდაპირე მალღობზე, ცეცხლის ათასი კოცონი გაერთიანდა. ასევე გაერთიანებულ გუგუნში დაიმარხა თვით ის მალღობი, შეწყდა გუგუნი. ცეცხლი და კვამლი შეისუნთქა უძირო ცამ.

მალღობი აღარ იყო. დარჩა მიწა, რომელსაც სისხლი სდიოდა. ველზე შავი წერტილებიც გამოჩნდნენ. ეს წერტილები დაიძრნენ; ხმაურობდნენ, გარბოდნენ, ამ შავ წერტილებს უფრო მცირე წერტილების მჭკრივებიც მიჰყვნენ, ააბოლეს ველები.

თიღების, ტყვიამფრქვევების, — შემდეგ ადამიანების ხმებიც გაისმა. ზოგჯერ დატრებოდნენ ეს ხმები, ისევ ახალ ტალღებად ავორდებოდნენ. ჰაერში თვითმფრინავები არწივებივით კორტნიდნენ ურთიერთს და გასწიოდნენ. ფრთამოტეხილნი ძირს ეშვებოდნენ, იწვოდნენ, დანარჩენები განაგრძობდნენ მკაცრ შეტაკებას; ბრანისაგან ცრემლი სცვივოდათ და ეს ცრემლიც სისხლად იღვრებოდა დედაშიწაზე.

ვახტანგიც ცეცხლის ხაზზე გამოსულიყო. მტყუნვარე მზეს მიწის ალი უერთდებოდა. ჰაერი ამ სიმზურვალის აღმურითა და კვამლით შეხუთულიყო.

ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა. ოფლის ღვარი ჩასდიოდათ თვალბში, პირში, ყურებში და მოწმენდის დრო კი აღარ იყო.

როცა ცეცხლმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, ვახტანგმა პოლკის მეთაურს სთხოვა, ნება მიეცა თავისი ბატალიონით იერიშზე გადასულიყო.

ბარსოვი თავს იკავებდა, ნებას არ აძლევდა.

ამან ვააცხარა ვახტანგი, მაგრამ თავი შეიკავა, თხოვნა მუდარით შესცვალა:

— ნება მომეცით და მალღობი ჩვენი იქნება! სიტყვას გაძლეეთ! მალღობზე თითქმის სიწყნარია! ჩვენი იერიში დროულია. შემდეგ გვიან იქნება! ვთხოვთ!

სახეზედაც დაეტყო, რომ დაეთანხმა ბარსოვი.

იერიშზე გადასვლის ბრძანება გასცა.

გამაყრუებელი „ვაშა“ გაისმა.

თითონაც რევოლვერი მოიმარჯვა და წინ გაეშურა.

სულ ახლოს სვლებოდნენ ყუმბარები, წიოდნენ ტყეები, მაგრამ იერიშზე გადასულ ჯარს არაფერი აღარ ესმოდა, მის თვალში აღარაფერი მოსჩანდა, მხოლოდ იმ მალღობს ხედავდნენ, რომელსაც უტყევდნენ; შეტევითი ალტყინების ბუნებრივ ამოძახილად ქცეული „ვაშა“ მათ უფრო მეტის ძალით წინ მიაჭროლებდა.

ეცემოდნენ მოკლულები და დაჭრილები, მაგრამ ამას სხვები არ გრძობდნენ. თავისივე „ვაშას“ ძახილს უსმენდნენ, მას მიჰყვებოდნენ. უკვე მოახლოებული მალღობი იყო მათი სიცოცხლე. ყველაფერი ამ სიმაღლესთან იყო დაკავშირებული. თითქოს მთელი მსოფლიო იმ მცირე მალღობად იყო ქცეული. მიაღწევდნენ იქამდე თუ თითონ იმ მალღობიდან მოუსწრებდათ სიკვდილი, აი, ეს იყო მთავარი!

როცა გერმანელების დანგრეულ სახგრებს მიუახლოვდნენ, მებრძოლთა ზოლმამ უფრო იმატა. ადამიანები მტერს საშინელი ძალით ეკვეთნენ.

ვინ რას იძახდა: ივინებოდა, იმუქრებოდა.

ხიშტებით გაფატრულ ადამიანთა სხეულებიდან მოსჩქედდა მტერს მკვლელობის მუხრები. მტერი ვარდი გაზაფხულისა ისე მტერს განსაკრებდა მებრძოლებს, როგორც ახლა წითელი სისხლი მტრებისა! ვარდი წუთთფერი სიამის საქმეა, — მტრის სისხლში მათი სიცოცხლის იმედი სჩანდა. ამაზე კი არ ფიქრობდნენ, ამას მათი სხეულების უმცირესი ნაწილიც გრძნობდა.

ვახტანგმა შენიშნა: დაწინაურებულმა ჯგუფმა ხელჩართულ ბრძოლაში ჩააბა მტერი. აღტყინება გაუორკეცდა, წინ გაიჭრა და, როცა გერმანელების სახგრებს მიუახლოვდა, მარცხენა მხარზე დარტყმა და შემდეგ სისველე იგრძნო.

— ამხანაგო მაიორო, თქვენ დაჭრილი ხართ! დარჩით!

მოიხედა. სერედა იყო.

ამას ყურადღება არ მიაქცია, უკვე მტრის სახგრებშიც შეიჭრა, მაგრამ აქ მხოლოდ მოკლულ გერმანელთა გვამები ეყარა.

მებრძოლები ცელავდნენ აქა-იქ დარჩენილ მტერს და „ვამას“ ძახილს არ ათაევდნენ. ბოლოს ერთი ჯგუფი მიაწყდა ბლინდაეს. ცოტა ხნის შემდეგ მებრძოლთა მხიარული შეძახილები გაისმა იქვე.

ვახტანგი იქითკენ გაემართა. ბლინდაეის ხერელიდან გამოსული გერმანელი პოლკოვნიკი შენიშნა.

პოლკოვნიკს ხელები შალა აღებურო და მებრძოლთა ჯგუფს წინ მოუძღოდა.

ვახტანგის დანახვზე სახე შეიკრა. თვალეში მკაცრი შეურაცხყოფა გამოესახა, მოიკრუნჩხა და თავი დახარა.

— ა, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო პოლკოვნიკო? — გერმანულად ჰკითხა ვახტანგმა, — არაფერია. ეს პირველი ყვავილებია.

პოლკოვნიკი უეცრად შესდგა. მკაცრი ღიმილი აესახა ტუჩებზე, — ეს ღიმილი ჭრილობას ჰგავდა. შემდეგ უფრო სასტიკი სახე მიიღო, ისტერიული ხმით დაიყვირა:

— ეს თქვენ გაბედეთ?!

ვახტანგმა გვერდით შეჩერებულ ვასკას გადაჰხედა:

— შე კი არა, აი, ვინ გაბედა თქვენი შეპყრობა.

ახლა ვასკას მიუბრუნდა და გაუღიმა — არა! შენ მტრის ღირსი ხარ, ვასკა!

მებრძოლებს გაეცინათ.

პოლკოვნიკის პატივმოყვარეობას ეს უფრო შეეხო, ისევ იყვირა:

— გთხოვთ წამიყვანოთ!

— წაიყვანეთ! — უკვე მკაცრად დამიძახა ვახტანგმა და გაეცალა.

იმ ბლინდაეში შევიდნენ, საიდანაც პოლკოვნიკი გამოიყვანეს.

ბლინდაეში ორი მოკლული გერმანელი ოფიცერი აღმოჩნდა.

მებრძოლებმა ბლინდაეი გაასუფთავეს.

სერედამ შენიშნა ბლინდაჲის კედელზე მიყრდნობილ ვახტანგის ჩვირი წასვლოდა. ახლა მოაგონდა რომ დაჭრილი იყო. ხელი მოხვია.

— ამხანაგო მაიორო, სულ დაგვაფიქვდა!.. აი, დაჯექით, ^{ქრისტეფიქსი} აქ მოდი! მომაწოდეთ! აგრე! მოისვენეთ, ჩინებულაია! — სერედამ ^{ქრისტეფიქსი} წუთში შეუხვია ჭრილობა, თითონაც ვახტანგს გვერდით ჩამოუჯდა.

— პეტრე, რად მიცქერი აგრე? — ჰკითხა ვახტანგმა.

— მაპატიეთ, ამხანაგო მაიორო, ასეთი ჩვეულება მაქვს.

— პეტრე, გაეცი განკარგულება, გასწმინდონ სანგრები და მოემზადონ. მტერს არა სძინავს. ყველა ხერელებიდან გვითვალოთვალებენ.

— შესმის ამხანაგო მაიორო! — წარმოსთქვა სერედამ, ტელეფონის მილი აიღო, მაგრამ უმალ წამოიძახა:

— ფუი, სულ დამეფიქვდა, სადა ვარ! — მილი მიაგლო, გარეთ გავიდა.

ვახტანგი გრძნობდა როგორ მოძრაობდნენ სისუსტის ტალღები სხეულში. ნემსავდნენ სხეულს, თვალბშიც ენისლებოდა. ბოლოს აი, გადაიწმინდა. სისხლმა თითქოს გზა გაიკვლია ძარღვებშიო, შხუილით მიაწყდა ყურებს, შემდეგ თითქოს ქარბუქმა გადაიარაო — სიწყნარე დადგა. ახლა საკუთარი გულისცემაც შეიგრძნო.

მოულოდნელად ბარსოვის ხმა შემოესმა:

— ძვირფასო, გილოცავ! — როცა ახლოს მოვიდა და დაჰხედა, შეეკითხა, — შენ დაჭრილი ხარ?!

— არაფერია, უკვე გაიარა! — მიუგო ვახტანგმა.

— დიახ, ვერავეითარი ჭრილობა ამ გამარჯვებას ვედარ დაჩრდილავს!

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, გრძნობას დიდ გაქანებას ნუ მივცემთ. გამარჯვება შორს არის, პატარა გამოცდებზე გავდივართ მხოლოდ.

— შენ მართალი ხარ, — მიუგო ბარსოვმა და თითქოს მოიწყინა. გასასვლელთან შეჩერდა. ახლა შენიშნა, რომ ვახტანგიც თან მიჰყვებოდა:

— შენ ისევ ჩვენთან? არა, არა, ნებას არ მოგცემთ. ჭრილობასთან ხუმრობა არ შეიძლება!

— რა დროს ჭრილობაა, სანამ მტერი არ მოსპობილა.

— ჯიუტობთ, მაიორო! — მიაძახა, შემდეგ მივიდა, ხმადაბლა უთხრა: — ნეტავი ასეთი ჯიუტები მილიონებით მისცა ჩვენს ქვეყანას.

ხელი გამოსდო, ბლინდაჲიდან გავიდნენ.

(გაგრძელება იქნება)

ს ა მ ნ ი

შვიდად ირხევიან ვაშლის რტოები
 და ყვავილებით ივსება სარკმელი...
 ეზივარ ოთახში განმარტოებით,
 ჩაფიქრებული სურათს დაესცქერი:
 შურმაძიებელი მოსულა სიბერე,
 თან მოუტანია ციმბირის სუსხი,
 ვისმენ გარდასულ დროის სიმღერებს
 და მინდა სურათს მოვტაცო მწუხრი...
 ხელმარცხნივ დედა ზის შავი ხილაბანდით,
 ხელმარჯვნივ მამაა სათისფერ ხალათში,
 მათ შორის როგორც მაისის ვარდი
 დგას შეილიშვილი შვიდად, წარბავალით...
 მის თვალებს მომავლის ცისკარი ამშვენებს
 და მხურვალეა ქართული მიწისა,
 პაპის სიმტკიცე დაჰკრავს სახეზე,
 ქოჩორიც უბრწყინავს გიშრისფრად.
 ნეტაეი, მეც ახლა მათ შორის ვიყო და
 ხიდად ჩავდგომოდი წარსულს და მომავალს,
 იქნება ვინმე ოდესმე იტყოდა
 მათ სისხლით დაიცვესო დიდი მამული...
 მე ხომ ფიცად ესახავ მამის ქაღარას,
 წინ მიძღვის დედის ლეჩაქის სიწმინდე,
 მე ხომ შვილი მიკრავს ბუქს და ნალარას,
 რომ ღუშმანს ეუჩვენო მკლავის სიმტკიცე.
 უცხო მხარეში ვარ. ქართველ მეომარს
 თავს მადგას ბურანი უცხო მხარისა,
 თუმც დილას ოთახში მზის შუქი შემოაქვს,
 თუმც დილა არ იშურებს ვაშლის ყვავილსაც.
 დავცქერი სურათს და საყვარელ სამებას
 მინდა ჩაეხევიო გულში ცალცალკე,
 რომ აღსდგეს ოცნება იასამნებად
 და ცეცხლი გაუჩნდეს დანრდილულ წამწამებს.

სიყვარულის ძალა

ნავსადგურში ყანჩებივით ჩამწკრივებული ამწეები თბომაველს შავი ქვით ტვირთავდნენ.

კაპიტნის ბოგირიდან წაბლისფერთმიანი, ჩასუქებული, ახალგაზრდა ექიმი, ნუნუ მთვარელიძე ახალმიღებულ ნაოსანს შუა ტანის გური ლომიას აკვირდებოდა.

გურის მალაყელიანი ჩექმები ეცვა, დაკაპიწებულ ბრინჯაოსფერი ხელებით შლანგი ეკირა და გემბანს რეცხავდა. გემბანზე წყალი ჩხრიალებდა, ქიმების გვერდით ჩაყოლებულ რკინის ღარებისაკენ მისწრაფვოდა, ღარებში მიჰქონდა პაპიროსის ნამწვი და შავი ქვის მტვერი, ხვრელებიდან ქიმზე ჩარბოდა და ზღვას უერთდებოდა.

მზისგან გახურებული რკინის გემბანი უცებ შრებოდა.

გურის უკან ძალზე დაბალი შავგვრემანი, დიღთავიანი, მელოტი ნაოსანი ანატოლი კუნცეცოვი იდგა. როცა გური გემბანის ერთ ნაწილს მორეცხავდა, ანატოლისაკენ მიიხედავდა. ანატოლი გემბანზე უშველებელი გველივით დაკლაკნილ რეზინის შავ მილს თავისკენ მისწევდა, თანაც თვალს ადევნებდა — მილი არ გადატყდესო.

გური და ანატოლი გემის ცხვირს უახლოვდებოდნენ.

გემის ცხვირთან, მაგიდის ზემოთ, ტენტი იყო გაკიმული. ტენტის ჩრდილში ხის ვრძელ სკამზე წამოწოლილი თმათეთრი, გამზდარი ბოცმანი ნიკოლაი კასტენკო გახეთს კითხულობდა.

წყალი ბოცმანის ჩექმებს შეეშხეფა. ბოცმანმა გურის აბედა, სათვალვ მოიხსნა, უბეში ჩაიღო, გახეთი დაკეცა და ლიღინით წალასლასდა.

— გური!

— რა გინდა, ანატოლი?

— ამ რამდენიმე წლის წინათ ოდესაში შენს ჩხუბს ვუყურე. ტანად დიდი არა ხარ, მაგრამ საშინელი ღონე გქონია.

გურის კმაყოფილებით გაეღიმა.

— ზაზარჩენკოს მოერევი?

— ზაზარჩენკოსთან ჩხუბს ვერიდები. თუ შეურაცხყოფა მომაყენა, თავს დავიცავ, თუმცა ვიცი, მომერევა. მაგას ათი კაცის ღონე აქვს, კაცს სასიკვდილოდაც ადვილად გაიმეტებს, მხეცია.

გურიმ ანაზღად კაპიტნის ბოგირისაკენ გაიხედა.

— ჩემად, ანატოლი, თვალყურს გვაღვენებენ. რამდენიმე წელს გემზე სამუშაოდ არ მღებულობდნენ. ჩვენი ნალაპარაკევი ექიმმა კაპიტანს რომ გადასცეს, იმ წამსვე გამაღვებენ. კაპიტანმა გამაფრთხილა: თუ ჩხუბს თავს არ დაანებებ, გემზე არ გაგაჩერებო. სხვა დროს ვისაუბროთ ჩხუბზე.

გურამ ჯალამბართან დაწყობილ სქელ ჯაჭვს წყალი მიუშხაპუნა, ნუნუმ ცისფერი, დიდრონი თვალები მოჭუტა, თავიდან ფეხებამდე ჩათვალა გური და თავის კაიუტაში შევიდა.

მცირე ხნის შემდეგ თბომავალზე ნუნუს სიმღერა გაისმოდა. — ერთ წერტილში რატომ ასხამ წყალს?

გურის ყურადღება არ მიუქცევია.

ანატოლიმ რეზინის მილი გემბანზე დასდო, გურისთან მივიდა, თვალებში გაკვირვებით ჩახედა.

— რაზე ჩაფიქრებულხარ?

გური გამოერკვა, სიწითლემ გადაჰკრა, ნაძალადეგად გაიღიმა.

— რას მეკითხები?

ანატოლი თვალს არ აშორებდა გურის, მისი ფიქრების ამოცნობას ლამობდა.

— ისეთი ნაღვლიანი, ისეთი უცნაური იყავი გური... თითქო ოცნებობდი და თან სწუხდი.

— რომელი ქალაქუნა მნახე, რომ ვიოცნებო?

გურამ შლანგი ღუზას მიუშვირა. ღუზაზე მიმხმარი ტალახი ნაჭერ-ნაჭერ ჩაცვივდა წყალში.

— საუცხოო ადამიანია ჩვენი ეჭიმი. გულით მღერის. გეგონება, მისი გული თეთრ, ლამაზ ყელში მოთავსდა და ამღერდაო. არ გინახავს, გური, როცა იგი მღერის?

• •

ღამით გური შინსაკენ გაემართა.

ზენაქარი გრიალებდა. ბნელ ქუჩებში ევკალიპტის ხეები სტვენითა და შრიალით ეხმურებოდნენ ერთმანეთს.

სახლების სახურავებზე თუნუქი მღეროდა.

აქა-იქ ჭარისავან ძირფესვიანად მოთბრილი ვეება ალვის ხეები გაშლართულიყვნენ მიწაზე.

ჭარი გურის თმას უწეწავდა.

ზღვის პირას განმარტოებით მდგარ ფიცრულ სახლთან დაუსტვინა.

თეთრი, დიდი ძაღლი მაღალ ლობეს გადაახტა, გურის ფეხებში ჩაუვარდა.

ოთახში ლამპა აანთო, კუთხეში ორღულიან თოფს ჩვარი გადაუსვა. ძაღლს პური მისცა. მეორე ოთახში ლამპა შეანათა. სიამოვნებით ათვალერებდა ორ კედელთან ჰერამდე მიწყობილ წიგნებს. იატაკზედაც იმდენი წიგნი, ყურნალი და გაზეთი ეყარა, რომ სიბნელეში შიგ კაცი კისერს მოიტეხდა. უხაროდა ამდენი წიგნის მფლობელი რომ იყო.

ფანჯარასთან რუს და ჭართველ კლასიკოსებს თხზულებებთან ერთად ეწყო წიგნები მძლეოსნობაზე, კრიეზე.

მაგიდაზე ხელნაწერები ელაგა.

ლამპა მაგიდაზე დასდგა. ყურნალი გადაშალა, სადაც მისი პატარა მოთხრობა იყო დაბეჭდილი.

„ვიმუშავებ, ვწერ, სათქმელი ბევრი მაქვს. ჯერ ნამდვილ ჩემს გვარს არ მოეაწერ“.

აივანზე ნოხი დააგო, ზედ მუთაქა დასდო, წამოწვა, თავქვეშ ხელები

ამოიღო, ვარსკვლავებს მიაჩერდა და რატომღაც ის ფიქრი, ბავშვობიდან მოსვენებას რომ არ აძლევდა, აეკვიატა:

დადგება დრო, როცა გური აღარ იქნება ამ ქვეყნად. ასეთ ქარია/ღამეში ამ ადგილიდან სხვა ადამიანი შეხედავს ვარსკვლავებს, გური უფრო მერასოდეს ვეღარ გაახელს თვალებს, ვეღარ იფიქრებს უკედევტაჩიყთეკა

და გულწაღვლიანს მოსწყურდა ნუნუ. უნდოდა ნუნუს ხელები და საესე, რძისფერი ყელი დაეკოცნა, ეთქვა: ეგზომ საყვარელი და მშვენიერია ეს ქვეყანა. არ შეიძლება იხილო ის და მისდამი სიყვარულით არ დასნეულდებუნება, რატომ მომეცი ნიჭი სიყვარულისა, თუ სიკვდილს გამოიგონებდი! გურის მიერულა.

აჭარის მთებზე საესე მთვარე ამოცურდა.

ჭარი ხან მძლავრად წამოუბერავდა, ხანაც მიყუჩდებოდა.

გურის მახლობლად ახალგაზრდა ევკალიპტის ხესთან თეთრი ძაღლი სთელუმდა. როცა ქარი მძინარე ქალაქს შეუტევედა, ევკალიპტის ხე თავის ჩრდილთან ერთად ირხეოდა. ხის ჩრდილი წუთით იზრდებოდა, ძაღლს გადაეფარებოდა. მაშინ ხის ჩრდილს ყრულ უღრენდა ძაღლი.

ღილით ქარი გაძლიერდა.

გურის ეზოში ხშირფოთლიან ჭადარზე გვრიტი ქარს შეკლულუნებდა.

გურის გამოღვიძა, ნუნუ თვალწინ წარმოუდგა. ამომავალ მზეს სიხარულით შეხედა, ტანთ ჩაიცვა და თბომავლისკენ გაეშურა.

გურამ მორიგე შეცვალა, გემბანი დაათვალიერა. ყველაფერი რიგზე იყო.

ამოიოხრა. უნდოდა დრო ჩქარა გასულიყო: ამწეები მუშაობას დაიწყებდნენ, გემბანზე ხმაურობა ატყდებოდა, ნუნუ გაიღვიძებდა და გარეთ გამოვიდოდა.

ქიშთან გაჩერდა. ნაპირზე მოკლეშარვლიანი ბიჭი ანკესით თევზს იჭერდა. ბიჭმა ძუისაგან დაწნული ზონარით, რომელსაც ბოლოში ანკესები და ტყვიის პატარა ნაჭერი ჰქონდა მიმაგრებული, წყლიდან წითელგვერდებიანი პატარა თევზი ამოათრია. თევზი ვედროში ჩააგდო.

იქვე მოხუცი, თუთუნისაგან უღვაშებ-შეყვითლებული სანაპირო ნაოსანი ყალიოხს აბოლებდა.

ნაპირზე შავი ქვისა და ქვანახშირის მთები აზიდულიყვნენ. თბომავლთან თოლიები კრიახობდნენ. წყალზე მცურავ თეთრი პურის ნაჭერს ესეოდნენ, ჰკორტნიდნენ.

გემის მისაბმელ, წყალზე მოტივტივე რკინის კასრზე თევზიყლაპია შავ ფრთებს ისწორებდა. კასრის ნაპირთან მივიდა და წყალში ჩახტა. მცირე მანძილი გასცურა, ჩაყვინთა. წყლიდან ნისკარტით კარგა მოზრდილი თევზი ამოიყვანა. თევზიყლაპიას ნისკარტი ზევით აეწია, კისერს სჭიმავდა, თევზის ჩაყლაპვას ცდილობდა. თევზი ბოლოს ღონივრად იქნედა. იგი ნისკარტიდან გაუსხლტა, წყალზე დაეცა. გმბრაზებული თევზიყლაპია დაედევნა, ჩაყვინთა. გაწბილებული ამოცურდა, კისერი წაიგრძელა, აფრინდა და ისევ კასრზე ჩამოსკუპდა.

თეთრად გამოწყობილმა, ახოვანმა, კაპიტნის უფროსმა თანამშრომელმა ლადიმ ბუკიამ ნუნუს კაიუტის კარები შეაღო.

ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა ლადის, ოჯახის შექმნის შემდეგ მშობნი მოიწადინა. უკანასკნელ ხანებში ბევრს ფიქრობდა ნუნუსზე, გულწრფელად ვერცხვავდა—ნუნუს კმარი გამხდარიყო. არ ჩქარობდა. „ჯერ თავს შევაყვარებ, მერე გამოვუტყდებიო“,—ფიქრობდა ქალთა გულის მოჯადოებას ჩვეული. ნუნუს ჩვეულებისამებრ თავაზიანად შეხვდა. ლადი ხელზე ეამბორა.

— რას კითხულობთ?

— ჰელზონის „მწვანე სასახლეებია“. გურის კარგი გემოვნება ჰქონია. ლადის უკვე დანაოკებულ, მაგრამ ლამაზ სახეზე განცვიფრება გამოიხატა.

— არ მესმის, ნუნუს...

— გუშინ თქვენი ნათესავი კუზნეცოვი გურის სთხოვდა—რა წაეკითხოვო. გურიმ ეს წიგნი შეაქო. გურის გემოვნება რომ შემემოწმებინა, გუშინვე ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე „მწვანე სასახლეები“. საუცხოო წიგნია, გირჩევთ წაიკითხოთ.

ლადი აიშრიზა.

— გურის პატივსა ვცემ, მაგრამ... — მხრები აიჩეჩა, განაგრძო, — მასწავლებლად არ გამოდგება.

— ამბობენ ძალიან ნაკითხი არისო. კომკავშირში უნდა მივიღოთ, უნდა აღუზარდოთ.

— გვაედეთ მასწავლებლად, — დაცინვით სთქვა და ჩიბუხი გააბოლა.

ნუნუს აენტო.

— გური თქვენზე და ჩემზე უფრო საინტერესო ადამიანია, ის სხვებს არა ჰგავს. — ცივად მოუქრა და დაუმატა: — ადამიანს არ უნდა დასცინოთ.

კაპიტნის თანამშრომელმა გესლიანად გაიციხა. ფიქრობდა: „შენს ლამაზ თავს შევაძულებ გურის, არ გაგახარებ“.

გაცოფებული ლადი ნელა ადგა, კაიუტიდან გავიდა.

მოაჯირს ჩიბუხი ჩამოჰკრა. ნიავმა ფერფლი მკერდზე შეაყარა. გული ისე ძალუმად უცემდა, რომ კიტელს არხევდა. კიტელზე, გულთან მიყრილი ფერფლი ძირს ცვივოდა.

თბომავალი დატვირთული იყო. ტრუმებთან გემბანზე დაცვივულ შავ-ქვას ნაოსნები ნიჩბებით ხვეტდნენ და ტრუმებში ჰყრიდნენ.

გური რკინის გემბანზე ნიჩაბს ისე ღონიერად აცურებდა, რომ ნიჩბის პირი და გემბანის რკინა ელრიალებდნენ. ნიჩაბს შავი ქვით პირამდე ავსებდა და ტრუმში სცილიდა.

— აგრე ნუ მუშაობ, შავი ქვა მძიმეა, ჩქარა დაიღლები, — ალერსიანად მიმართა გურის ბოცმანმა. ბოცმანი შესცქეროდა გურის დაკაპიწებულ მკლავებზე კუნთების თამაშს და სტკებებოდა. თუმცა უთხრა, აგრე ნუ მუშაობო, მაგრამ არ უნდოდა მუშაობა შეენელებინა.

კაპიტნის ბოგირიდან ნუნუს აღფრთოვანებით მისჩერებოდა გურის.

გურის პირდაპირ ზოარბა ნაოსანი ზახარჩენკო ზანტად მუშაობდა, ნიჩბის პირით შავი ქვის რამდენიმე მარცვალს აიღებდა და ტრუმისკენ წარმოადებდა.

ზახარჩენკო ქიმზე ჩამოჯდა.

— ექიმი გვიყურებს, გრცხვენოდეს! — უსაყვედურა ბოცმანმა.

— ფეხებზე მკიდია თქვენი ექიმი... — ხმამალლა სთქვა, ბრძანა მტკიცე კაც-გონა.

ნუნუ იმ წამსვე შეტრიალდა და წავიდა.

გურის შეებრალა ნუნუ, ძარღვებში სისხლი აუღულდა.

— ექიმს რას ერჩი, შე მხეცო?

— დაიკარგე ზღვის ძაღლი! ჩემთან მორიდებით იყავი, გაგსრეს.

— რა დროს ჩხუბია? ადექი, ზახარჩენკო, თორემ ბუკიას დაეუძახებ. — ჩაერია ბოცმანი.

ზოხინით წამოდგა ზახარჩენკო, უსიცოცხლოდ განაგრძო მუშაობა.

ბოცმანმა გურის ყურში ჩასჩურჩულა:

— ზომ არ შეიშალე, ვის ეჩხუბები, სამი კაცი ჰყავს მოკლული.

— არ მეშინიან.

— რას ამბობთ ჩემზე? — შეეკითხა ზახარჩენკო ბოცმანს.

— იმუშავე! — შეუტია ბოცმანმა.

მუშაობის დროს ზახარჩენკო ხანგამოშვებით გურის გადახედავდა: დამცინავი ღიმილი არ მოშორებია მის დიდ ტუჩებს.

გემბანი მოასულფთავებს. ზახარჩენკო გურისთან მივიდა.

— რა გნებაეს, ლაწირაკო?

დაძაბულ კუხნეცოვს თვალები გაუფართოვდა. „ექიმის გულისათვის გურიმ როგორ გასწირა თავიო“, — ფიქრობდა.

გურიმ ორი თითი თვალებში ატაკა.

ზახარჩენკომ ხელები სახეზე მიიფარა.

გური ახტა, თავი ზახარჩენკოს განიერ მკერდს დააჯახა. ზახარჩენკო გემბანზე პირაღმა დაეცა. ანატოლიმ ღრმად ამოისუნთქა, გრძელი სხეული გემბანზე გაჭიმული რომ დაინახა.

პირდაღებული ბოცმანი თვალს არ უჯეროდა. ხან გურის უყურებდა, ხან ზახარჩენკოს.

ზახარჩენკო წამოდგა, ნიჩბის პირივით ფართო ხელი მოუქნია. გურიმ თავი სწრაფად დასწია, მოქნეული ხელი აიცილინა. ზახარჩენკო ერთ ადგილას დატრიალდა. მან ხელმეორედ გააქანა მუშტი. გურიმ ესეც აიცილინა. ზახარჩენკო შეტორტმანდა. მაშინ გურიმ მარჯვენა ყურში ჰკრა მუშტი. ზახარჩენკო ისეც დაეცა. ყური დაუსისხლიანდა.

— კმარა, შესწყვეტეთ ჩხუბი! — იყვირა ბოცმანმა.

ზახარჩენკო გონს მოვიდა, გურის დედა შეაგინა, ჩექმის ყელიდან ბებუთი იძრო.

ბოცმანმა და ნაოსნებმა დაიხიეს. ანატოლი გურის ამოეფარა.

გური მარცხენა ფეხს დაებჯინა, მარჯვენა მოაღუნა, მუშტი მთელი სიმძლავრით წინ გაიქნია.

ზახარჩენკო გემბანზე ჩეარივით ჩაიკეცა. ბებუთი ხელიდან გაუფარდა. ცხვირპირი წითლად შეეღება.

ზახარჩენკო არ ინძრეოდა.

გურიმ მისივე ბტწყინავი ბებუთი თვალებთან მიუტანა.

— ზომ ხედავ... როგორც ლორს, ყელს ვამოგჭრი.

— მოშორდი!... რა გინდა ჩემგან? ამხანაგებო...

— ახლა ვახლი ჩვენი ამხანაგი? — ჩაიქირქილა ანატოლიმ.
გური კუბრიკში ჩავიდა.



კუბრიკში გურის თავი სტკიოდა. დღიურში ჩასწერა:

„იქნებ სიკვდილი სიცოცხლის ერთერთი სახეა? ფიქრი არყოფნაზე—სიცოცხლე“. თავი უფრო ეტკინა. გაბრაზებულმა მაგიდას მუშტი დააკრა.

— გური!—ზევიდან ჩამოსძახა ანატოლიმ.

— რა გინდა?—უკმეხად ჰკითხა.

— მარტო ხარ?

— მერე რა გინდა?

ანატოლი კიბეზე შიშვედ ჩამოვიდა. გურის მარტოობა უნდოდა. ანატოლის დაბალი, ოთხკუთხედი ტანი, შავი, ფართო სახე, დიდი გულუბრყვილო თვალები გურის გულში მაშინ დაცინვის, დამკირების სურვილს იწვევდნენ.

ანატოლიმ მაგიდაზე ორი ღვინით სავსე ბოთლი დასდგა, გურის მოეხვია და აკოცა.

— სად დათვერი?—გურის უცებ სიბრაღის გრძობა დაეუფლა. უხერხულობა იგრძნო, თითქო დანაშაული მიუძღოდა იმაში, რომ ანატოლი ულამაზო და დაბალი იყო.

— დავლით, გური! ამ ნახევარი საათის წინათ, ბოცმანი შენზე ლაპარაკობდა, გაქებდა. ობოლიათ, შშობლის ალერსი არ ახსოვსო.

ანატოლიმ თავის კარადიდან ჩაის კიქები გადმოიღო, ღვინით აავსო, თავისი კიჭა გურისას მიუჭახუნა და გამოსცალა.

— რა დაგიმალა, გური, მეზღვაურებში ბევრს არ უყვარხარ.

გურის გული ეტკინა.

— რაცა სურთ, ისა სთქვან, ფეხებზე მკიდეა მაგათი ნათქვამი. კაცს არ დაეჩაგრავ, მაგრამ ვინმემ თუ ჩემი დაჩაგვრა მოიწადინა, დედას ვანანებ... ამისთვის ვეჯავრები მაგ ობრებს?

— შენზე ბევრი ცული მსმენია, მაგრამ გული მაინც შენსკენ მომიწევდა, შენთან დაახლოვება მენატრებოდა, მჯერა, ცული ბიჭი არა ხარ. აი ახლა, დარდი რომ მომაწვა, შენთან მოველ.

— რა დარდი გაქვს?

წუთით საბრალო დიმილმა სქელი ტუჩები აუმოძრავა.

— არავის ეტყვი? მომეცი პატიოსანი სიტყვა.

— მენდე.

— უბედური კაცი ვარ, გური, ქმრიანი, ულამაზესი ქალი მიყვარს... ჰე, რა საშინელებაა, როცა მახინჯს ლამაზი ქალი შეუყვარდება!

ანატოლის თვალები დაუნადღვლიანდა, დაუწვრილდა.

— ის ქალი ოდესსაში ცხოვრობს, ექიმი, სახელად დონია, — განაგრძო ანატოლიმ, — რომ იცოდე რა კარგია! ჩემს მეზობლად საბლობს. იმ ქალსა და მის ქმარს ჩემს თვალწინ რამდენჯერ უკოცნიათ ერთმანეთისათვის... ისინი ბედნიერნი არიან, მაგრამ მე რა დავაშავე? რატომ შემიყვარდა ის ქალი, როცა მას სხვა უყვარს? ჯერ კიდევ ქალიშვილს სიყვარულში გამოვუტყდი. სასწავლებელს დავამთავრებ და გამოგყვებიო იცრუა, მანუგეშა.

უმშვენიერესი გრძნობა უარყოფილი იქმნა მხოლოდ იმისთვის, რომ მე დაბალი, ულამაზო, მელოტი ვარ,—ანატოლიმ მოკლე, მსხვილი თითები მშით დაქვევარ, მელოტი კრიალა თავზე გადაისვა,—მახინჯს მახინჯი იმეკათად შეუყვარდება, გური. ცუდი არავისთვის მომინდომებია, ეგვიპტე უნდა ვარ, მაგრამ ზოგჯერ მიფიქრია: «რა კარგი იქნება დონიას ქვეყნის მთავრობისთვის» მიფიქრია ეს და მერე სირცხვილის გრძნობას აღუწვივარ. აბა რა დააშავა მისმა ქმარმა?

ანატოლი გაჩუმდა. გური საბაბს ეძებდა ნუნუზე ჩამოეგდო ლაპარაკი. ათასმა ფიქრმა გაურბინა, ეშინოდა თავისი გრძნობა არ გამოემყვანებინა.

ქიქები ისევ აავსეს, ერთმანეთი აღდევრძელეს. ღვინო გურისაც მოეკიდა.

— ჩვენი ექიმი კარგი ადამიანია, მართალი ყოფილხარ ანატოლი.

ანატოლისაც ეს უნდოდა. დილით კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ანატოლის დედაშვილმა ლადი ბუკიამ უთხრა: ექიმს არ მოსწონს გური, კაპიტანს ეუბნება, დავითხოვოთო. ყოველივე ეს გურის გადაეცი, ჩემი სახელი არ ახსენოო, თითქო შენის ყურით მოისმინე ექიმისა და კაპიტნის საუბარიო. თუ გური გიყვარს, დღესვე გააფრთხილე ჰკუთ იყოსო. ბუკიას ნათქვამმა გუნება მოუწამლა კუზნეცოვს. დათვრა. «საწყალი გური,—ფიქრობდა კუზნეცოვი,—გემზე ძლიეს მოეწყო, ჩვენი საყვარელი ექიმი კი გაგდებან უპირებს». გურისთვის უნდა ეთქვა ეს, მაგრამ უძძიდა, არ იცოდა, რით და როგორ დაეწყო. კუზნეცოვი ხედავდა და გრძნობდა: გურის მოსწონდა ექიმი, ექიმს კი ისეთივე გრძნობა ჰქონდა გურისადმი, როგორც დონიას ანატოლისადმი. მას ეცოდებოდა გური და გურისთან ერთად საკუთარი თავიც შეეცოდა. გურის ამიტომ გაულო გული და შიგ ჩაახედა.

— შეეციდი გური, ექიმი არ ყოფილა კარგი ადამიანი.

— როგორ?

— შენი ჰირიმი, გური, ნულარ იჩხუბებ.

— სოქვი, რისი თქმაც გინდა!—გური დაიძაბა.

— ჩვენს შორის დარჩეს, გური, რასაც გეტყვი. ექიმმა კაპიტანს უთხრა: თუ გური ზულიგნობას არ დაიშლის—გავაძეოთო, არ მომწონს მე ის კაციო.

გურის სხეული მოუღუნდა. გული შეეკუმშა, თითქოს ათი ათას მორიელს დაეგესლოს.

— დროა მორიგეობას შეეუდგე. თუ არ დაგეძინა, ამოდი, გემბანზე ექინები.

ანატოლიმ გადააკოცნა გური.

გური უფროს უგდებდა ანატოლის ფეხის ხმას. ჰრიალებდნენ კიბის საფეხურები. შემდეგ გემბანი ახმაურდა. გაბრუებული იყო ღვინოსა და ანატოლის ნათქვამისაგან. დამსხვრეული, დაღუწილი თითქოს უფსკრულში ეგდო და უკანასკნელ წამებს ითვლიდა. თურმე სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში ჰქონია იმის იმედი, რომ ნუნუ გურის შეიყვარებდა.

თბომაკალი ნაცსადგურიდან ღია, საესე მთვარით განათებულ წყნარ ზღვაში გავიდა.

აღმოსავლეთიდან ნიავი ქროდა.

შორით, მებადურთა ნავზე თეთრი იალქანი ვარხვის ფრთასავეთ ქანობდა.

— მარჯვნივ ქიმისაკენ!— ბრძანა კაპიტანმა.

— არის მარჯვენა ქიმისაკენ, — უპასუხა გურიმ და მტერიც დაუფარა —
ატრიალა.

ღიშელის ძრავები დუგდუგებდნენ.

კაპიტანმა ხელები უკან შემოიწყო, დასაძინებლად წავიდა.

გემბანზე ბოცმანი ფუსფუსებდა.

გური ძრავების რიტმიულ ხმაურს ყურს უგდებდა. ძრავი თითქოს თბომავლის გული იყო.

გურის ეგონა თბომავალი ზღვიდან ცისკენ მიიწევს, იმ მხარისაკენ მიემგზავრება, სადაც მუდმივი ახალგაზრდობა, სიყვარული და ბედნიერება სუფევს.

ამ დროს ნუნუ კაპიტნის ბოგირზე ავიდა. გურის მიესალმა. კომპასს დახედდა, შერე მოაჯირს მკერდით დაეყრდნო და მთვარის შუქზე მოლაპლაპე ზღვის სივრცეს გახედა.

სისხლის ნაცვლად ძარღვებში გურის ნალველი ჩასდგომოდა. ერთსა და იმავე დროს უყვარდა და სძულდა კიდევ ნუნუ. მთელ სითბოს სიყვარულით სავე გულისას რამდენიმე სიტყვაში მოათავსებდა, მაგრამ ნუნუ ხომ მტერი იყო მისი...

ნიავე ცისფერ კაბას აშრიალებდა.

— ქვეყანა ასეთი ლამაზია, გური, ნუ თუ თქვენ არ გიყვართ სიცოცხლე?

— ვინ ვითხრათ, რომ არ მიყვარს?

— წარა-მარა ჩხუბობთ. თქვენ დიდხანს ვერ იცოცხლებთ, აი თუნდაც ზახარჩენკო, შურს იძიებს. გემიდან გავაძევეთ, მაგრამ სადმე ხომ შეხვდებით ერთმანეთს!

— კუზნეცოვს გამოვესარჩლე, — იცრუა გურიმ.

— ვიცი, მითხრეს, — ცბიერი ღიმილი გამოიხატა აბურცულ ტუჩებზე, — ზახარჩენკოს გარდა, რამდენი გყავთ მტერი?

— მტრები არა მყვანან, — კვლავ იცრუა გურიმ.

— არა, თქვენ არ გიყვართ სიცოცხლე.

— მიყვარს ექიმო, მაგრამ არ მინდა დავებრდე, სიბერისა მეშინიან, ამისათვის არ ვუფრთხილდები თავს.

ნუნუ წელში გაიმართა, გურისკენ მიბრუნდა, გაიღიმა.

„ზახარჩენკოსთან ჩხუბი გურის, შესაძლებელია, სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა, ჩემი შეურაცყოფისათვის გური იმ სპილოს შეება. რატომ?“

დაფიქრებულად ნუნუ კიბეს ნელა ჩაჰყვა, კაიუტაში დიდხანს პფიქრობდა გურიზე. სურვილი ჰქონდა გურისთან დაახლოვებისა, მისი სულის ამოცნობისა, მაგრამ გურის ამაყად ეჭირა თავი.



მარიუპოლში შაეი ქვის ამოტვირთვისთანავე თბომავალი ფოთისაკენ დაიძრა. ფოთთან ზღვაური აქორჩებდა ზვირთებს.

გური ნუნუზე ოცნებით დადლილი და მოთენთილი იყო.

„ნუ თუ ისე დამცირდა, რომ უყვარს ქალი, რომელიც კაპიტანს ურჩევს მოხსენითო. თუ მას არ უყვარხარ, რატომ უნდა გიყვარდეს შენ? ჩაიკალ

გულში გრძნობა სიყვარულისა! შენ ოცნებობ სრულყოფილ მშვენიერებაზე, ეთეროვან ქალზე, განუსაზღვრელ სიყვარულზე. გინდა ჰოვია ის, რომელსაც ბავშვობიდან დაეძებ. აი ამიტომ ცდილობ თავი მოატყუო, ოცნებით დაღლილი გონება და გული დააჯერო იმაში, რომ ნუნუა ნუნუა სრულყოფილი მშვენიერებაა. არა, ნუნუ შენი სულის გამოგონებაა*.

თბომაელის ბოლოში ბაგირზე წამოწოლილი გრძნობდა: გულში გალობდა სიყვარული, გული მტანჯველი გრძნობით იესებოდა. ეტირებოდა. როცა თბომაველი ნაპირს მიადგა, გურიმ რესტორანისაკენ გასწია.

რესტორანში მცირე ზნის შემდეგ კუზნეცოვიც შევიდა.

— რატომ იყურები აგრე კუშტად?

გურიმ პასუხი არ გასცა. არაყი მოითხოვა.

ანატოლის შელაპარაკება ველარ გაებედნა.

არაყი რომ გადაჰკრა, ისე მიაშტერდა ანატოლის, თითქო პირველად ხედავსო, მისი იქ ყოფნა ეუცხოვა. შერე ხელი გადახვია.

სამი ლიტრა არაყი დალიეს.

უგონოდ მთვრალეები ქუჩაში დაბანდალობდნენ.

უცებ ანატოლის თვალები გაუბრწყინდა, ახალგაზრდა ქალს შიაჩერდა.

— როგორა ჰგავს ჩემს დონიას...—ჩაიღუღუნა.

— შენი დონიაც... ქალს თუ ეზიზღები, რა ოხრად გინდა?

— ნუ მაწყენინებ, გური, შენი კირიმე.

— დონია სხვისია, შე სულელო, დონიას სხვა ჰკოცნის და...

— არ გაბედო, თორემ...—ფრინველივით აიფოფრა ანატოლი.

— რომ შევაჯინო, რას მიზამ?—დასცინა გურიმ.

ანატოლიმ გურის ხელი ჰკრა, წინ გადაუდგა, სილა გააწნა.

— კიდევ...—გურიმ წამოწითლებული ლოყა შეუშვირა.

ანატოლიმ მუშტი მოუქნია, მაგრამ დააცილა და ქვაფენილს სახით დაენარცხა. თავი ასწია, გასისხლიანებულ ცხვირზე ხელი მოისვა და დაიყვირა:

— ამხანაგებო, მცემენ, მომეხმარენით!

გურიმ თავის გარშემო თავმოყრილ, ცნობისმოყვარე ქალებსა და მამაკაცებს დაუტატანა და შინისაკენ წაბანცალდა.

დილით იტანჯებოდა.

—ღამე თბომაელზე სამორიგეოდ არ გავსულვარ... სამუშაოდან მომხსნიან... ვაი, სირცხვილო!..“

გურიმ სახლის კარები დაჰკეტა და თბომაელსაკენ მოუსვა.

თბომაელის ტრაპთან შეყოყმანდა, მერე ტრაპი აირბინა.

— გური!

ბინტით თავშეხვეულ, მოწყენილ ანატოლის ცხვირი დასიებული ჰქონდა.

— გულთან ნუ გაიკარებ, გური, შენი კირიმე, სხვა გემზე მოეწყობი. სამი საათია გემზანზე დაედივარ და გიცდი.

— გულთან არაფერს ვიკარებ,—ჩაიბურღლუნა.

— მე რას მერჩი? მაპატიე გუშინდელი თავხედობა.

— ანგარიშს ვინ გამისწორებს? თანაშემწე სად არის?

— ყველანი აქ არიან. მართლა, ექიმში გკითხულობდა.

გურიმ კაპიტნის თანაშემწის კაიუტაში უწყისის ხელი მიაწერა, ფული
ჯიბეში ჩაიღო.

— ჩემო გური, — მიუალერსა ბუკიამ, — ხანდახან დათერებენ მკაცრად მკაცრად
ლებელია სამუშაო დღეც გააცდინოს, ვინ არ დამთვრალა? შენ კი მოგხს-
ნეს, ნუ თუ ეს არის ადამიანისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება? კაპი-
ტანთან დაგიცავი, მაგრამ ერთი ადამიანი დაეინებით თხოულობდა შენს
განთავისუფლებას. გეტყვოდი, მაგრამ რომ გამამზილო? არ გამცემ? — ბუკიამ
ბელი გაუწოდა.

გურიმ ხელი ისე მოუჭირა, რომ ბუკიას თითებმა ტყაცა-ტყუცი დაიწყეს.

— ყველაფერში ექიმიც დამნაშავე.

გურიანთვის არ იყო ეს მოულოდნელი.

— ვიცი, ამხანაგო ლადი. კუნეცოვმაც მითხრა — ექიმს ეჯავრებო.

— აი, ზომ ხედავ, კუნეცოვსაც სცოდნია.

— გმადლობთ, მშვიდობით! ალბათ, კიდევ შეეხედებით ერთმანეთს. მე
გური ვარ, გამოგადგები. სიცოცხლესაც შემოგწირავ, თუ საჭიროდ და-
ეინახე.

— გულს ნუ გაიტეხ, როცა საშუალება გექნება, მინახულე.

მარტო რომ დარჩა, თავზე ხელი გადაისვა ლადიმ, ამოიოხრა. თითებს
თმის თეთრი ღერი აჰყვა. ერთხანს თეთრ ღერს აკვირდებოდა. მერე შეუბე-
რა, მოიშორა. მწარედ გაელიმა. „გური ახალგაზრდაა“, — ნაღვლიანად
სთქვა და ჭალარა თავი ჩაჰკიდა.



კიბეზე აღიოდა გური, ნუნუს კაიუტას უახლოვდებოდა. გულში აგინებ-
და, თანაც ეფერებოდა. ჰაერი რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა ეგებ გული
დამიმშვიდდესო. გული ბაგა-ბუგს უმატებდა. ძალა მოიკრიბა, კარი და-
აკაუნა.

— შემობრძანდით.

მაგიდასთან გაჩერდა გური.

ნუნუ ფეხზე წამოიქრა.

— ცუდი ფერი გადევთ, რა დაგემართათ? — ნაზად, თანაგრძნობით
ჰკითხა.

— არაფერი მიჭირს, — უხეშად, ყრუდ უპასუხა.

ნუნუმ ჰკითხა წყალი მიაწოდა.

— დამშვიდდით, ჩემო გური.

„გველო“... — გაიფიქრა გურიმ, ტლანქად ზურგი შეაქცია, კარებს მხრით
მიაწვა, გავიდა, კარები გაიჯახუნა. კიბეზე სივრცეს უაზროდ მიაჩერდა,
მოაჯირის ხელი ლბილად გადაუსვა. ხის მოაჯირზე ნუნუს თითების სითბო
შეიგრძნო, თვალები ცრემლით ავესო, კიბის საფეხურს დახედა, ინატრა:
„ნეტავე ჰიანქველად ვიქცე, კიბეზე ხერვლს მოვნახავ და დავიმალები; რო-
ცა კიბეზე ჩამომავალს დავინახავ, ხერელიდან გამოვეცოდები, შენს ნაკვა-
ლევს ვაცოცებ“.

ქუდნამოფხატული ზღვის პირს დაადგა, რომ ვინმე ნაცნობი არ შეხ-
ვედროდა.

ნუნუ გონს ვერ მოსულიყო; გური იმისთვის დაიბარა, რომ გულში შეეღობა და ესაუბრნა, დაემშვიდებინა, ბარათი მიეცა და ეთქვა: ამ ბარათს დღესვე მიიტან „პესტელის“ კაპიტანს. ერთ რამეს გთხოვ, გური: თუ კაპიტანს გთხოვნი, გაგაბრაზა იმ გემზე კაპიტანს მოახსენე, მუშტს ნუ მისწავს. თუ რამე დაგჭირდეს — ნუ მომერიდები, მეგობრად მივლუე.

კაიუტაში ბოლთასა სცემდა. უდანაშაულოდ შეურაცყოფილს გული სტყიოდა.

— ჩხუბისთავე, — ამბობდა, გონებაში ეძებდა კიდევ სხვა დამამცირებელ სიტყვებს და თავათ უკვირდა, რომ ეს სიტყვები მის გულში ზმურობდნენ, როგორც ალერსისა და სითბოს გამომხატველი ბგერები.

ნუნუ მეტად თავმოყვარე იყო. შესაძლებლობა რომ მისცემოდა, როგორი სიამოვნებით გადაუხდიდა სამაგიეროს!

გური გემზე სამუშაოდ ვეღარ მოეწყო. კაპიტნები უარს ამბობდნენ გურის მიღებაზე, აზირებული კაციაო. გურიმაც ხელი ჩაიჭნია.

გატაცებით სწერდა მოთხრობას სიყვარულზე. გონებაში ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ უნახესი ფერებით დაბატული სურათები. სურათი თუ კაეშნიანი იყო, გური დარდობდა, ოხრავდა. მზიანი სურათი სიცოცხლისადმი სიყვარულითა და მადლობის გრძნობით ათრობდა.

ზოგჯერ ამოიგმინებდა, ქალაღს ნაყუწ-ნაყუწად დახევდა. ცდილობდა ნუნუს საზე ცხადად წარმოედგინა. მკრთალი, ბუნდოვანი სურათი იელვებდა და ჰქრებოდა. ჯიუტობდა, კალამს ზელიდან არ აგდებდა. გაჩენის დღეს სწყევლიდა მამინ, სასოწარკვეთილება იპყრობდა, მოთხრობის დამთავრების იმედს ჰკარგავდა.

ასე მოდიოდა დრო. გური სწერდა მოთხრობას, თანაც გემთშემკეთებელ ქარზანაში ზეინკლად მუშაობდა, ნადირობდა, თევზაობდა.

გემს თუ დაინახავდა, გული აუფორიაქდებოდა. ძილის წინ სინათლეს ჩააქრობდა, თვალებს დახუჭავდა, მღვიძარა საათის რიტმიულ ზმურის იღუმალი სიხარულით ყურს მიუბყრობდა. თითქო გური წყნარ ზღვაზე მტკრავ თბრმავლის გემბანზე იწვა და დიზელის ძრავების სიმღერას ისმენდა.

მოთხრობა დაასრულა, სათაურად „სიყვარული“ უწოდა, ეურნალის რედაქციას გაუგზავნა, მისწერა:

„თქვენი აზრი მაცნობეთ. პატივისცემით გური ლომია. ფსევდონიმი — ზარანდია“.

პასუხის მოლოდინში ძილი გაუკრთა, ჭამის მადა დაეკარგა, თვალი სულ გზისაკენ ეკირა, ფოსტალიონის დანახვაზე კანკალებდა.

გურის სჯეროდა: ნუნუ მისთვის აუზდენელი ოცნება იყო. მაინც სურდა ისეთი რამ გაეკეთებინა, რომ მისი ყურადღება დაემსახურებინა.

პასუხი იგვიანებდა. გური საკუთარ თვალში დაბატარავდა და დაჩიავდა.

ოცდამეორე იენისმა სასოწარკვეთილების გრძობა უკვალოდ გეტყვით. უხაროდა, რომ ცოცხალი იყო, თოფის სროლა ჩინებულად ეტყობოდა, სამშობლოს გამოადგებოდა. მეორე დღესვე სამხედრო კომისარიატში გამოიყვანა—მოხალისედ წამიყვანეთო.

ქალაქის ბაღში, სკამზე განმარტოებით მჯდარი რუსი გოგონა იცრემლებოდა. გური მიუჯდა.

— რატომ სტირით? თუ ვინმემ შეურაცყოფა მოგაყენათ, მითხარით.

გოგონამ გურის თანაგრძობით შეხედა, გაზეთი გაუწოდა.

გურიმ გაზეთი გამოართვა. სტალინის მიმართვის რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, აცრემლიანდა.

— მე ქალი ვარ, მაგრამ თქვენ რა გატირებთ?

გურიმ პასუხი ვერ მოახერხა. მიმართვაში ბელადი გამარჯვების რწმენას გამოსთქვამდა. გურიც დარწმუნებული იყო წითელი არმიის გამარჯვებაში. მას რისთვის აატირა მიმართვამ?

— იცით, რას გეტყვით?—ამო სასმენი ხმით დაიწყო გოგონამ, —მამაჩემი სახელგანთქმული პარტიზანი იყო. თვით უდიდესი საშიშროების წუთებშიაც კი თავის თავზე არა ფიქრობდა, თავის შვილებზე, თანამებრძოლებზე ზრუნავდა. სტალინის მიმართვა რომ წაგიკითხე, მამა მომავონდა.

შებინდებისას გური შინისაკენ მიაბიჯებდა.

გზაზე კუნეცოვი შეეყარა, ერთმანეთი მხურვალედ გადაჰკოცნეს.

— სადა ხარ, გური? შენმა ძალმა კინაღამ დამგლოჯა.

— სამხედრო კომისარიატიდან ვბრუნდები.

— გამოგიძახეს?

— მოხალისედ მივდივარ.

— გაგაფორმეს?

— ამ რამდენიმე დღეში გაიხარება ჩემი საქმე. რამ მოგიყვანა?

— განა მიკრძალავ შენთან მოსვლას?—იწყინა კუნეცოვი, —დავივიწყეთ, რაც ჩვენს შორის მოხდა.

გურიმ მხარზე ხელი დაადო.

— დღეს, მე, ბუკია და ბოცმანი კაპიტანს შენზე ვესაუბრეთ. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მოვიდეს, იმუშაოს გურიშო, —სთქვა კაპიტანმა. გახარებულმა კუბრიცში ტრეპაკა გაეჩაღე. ნაოსნებმა ზევით ამომავდეს, თანაც შემიკურთხეს—რა გახარებსო. ქვევით რომ არ გამაჩერეს, გემბანზე დაფუარე. არც გემბანზე მომასვენეს: ბოცმანმა კისერში წამითაქა—რა გაციკვებსო. მაშინ გავბრაზდი, გურის დაბრუნება მახარებს—მეთქი, —დავივივირე. წავიდეთ ჩქარა. ამაღამ ჯარი გადაგვყავს.

— ექიმი რას იტყვის?—უცებ იკითხა გური.

— ექიმი იშვიათი ადამიანია, ანგელოზია, რატომ გძულს?

— შენ რა მითხარი? დაგაიწყდა? თქვენთვის თუ ანგელოზია, ჩემთვის სატანაა.

კუნეცოვი შეწუხდა, კეფა მოიტხანა.

კაპიტანი და ბუკია გურის გულთბილად შეხედნენ.

ბუკია დარწმუნდა: ნუნუ გულს ვერ დაეუფლებოდა. თუმცა წინანდებურად მოსწონდა ნუნუ, მაგრამ საკუთარ თავს ტუქსავდა: ვაჟაკს არ შეჰფერისო, მე რომ არ ჩაერეულიყავ, იქნებ გურისაც მოსწონებოდა ნუნუ და ბედნიერნი ყოფილიყვნენო.

გურის გულში სიხარული აალივილივა მეზღვაურისათვის მშობლიურმა ფისის სუნმა. გაფისულ ბაგირს დასწვდა და ხარბად დაყნოსა.

თბომავლის მილთან ნუნუმ სწრაფად ჩაუარა გურის, არ შეუნიშნავს.

გურიმ გულში ყველა დანაშაული აპატია. ნახვისთანავე ძველებურად აიესო გამოუთქმელი მწუხარებით.

ნუნუმ რალაც უთხრა ტრაპთან გაჩერებულ შუახნის, გრძელუღვაშინ კაპიტანს და ნელი ნაბიჯით გამობრუნდა. გური თვალს არ აშორებდა ნუნუს. ეგონა: ნუნუ მიესალმება, კაიუტაში შეიყვანს. გური დაწვრილებით გააცნობს თავისი მოთხრობის შინაარსს.

— ეჭიმს სიცოცხლე და სიხარული! — გურიმ ნაბიჯი ეჭიმისაკენ გაღასდგა, ხელი გაუწოდა.

ნუნუმ არც კი შეხედა, თავი ოდნავ დაუქრა.

გურის ზემაში, მოძრაობაში ნუნუმ იგრძნო ისეთი აღელვება, როგორც შეყვარებულს სჩვევია. თავათ აღელდა.

თავზარდაცემულმა გურიმ თვალი გააყოლა, სიკვდილი ინატრა.

შელამდა თუ არა, ჯართა და სამხედრო ქონებით დატვირთულმა თბომავალმა უხმოდ მიატოვა ნავსადგური.

თბომავალზე აკრძალული იყო ცეცხლის დანთება, მაპიროსის მოწევა.

ცას ბნელი, შავი ღრუბლები გადაჰკროდა. ჰორიზონტზე ელავდა.

თბომავალი ნელა ირწეოდა.

ვემბანზე ზოგს ეძინა, ზოგიც საუბრობდა ომზე, ოჯახზე, ცოლშვილზე. გულმოკლული გური განშარტობით იდგა. სურდა გაქცევა, მაგრამ ირგვლივ ზღვა იყო.

ძილი მოერია. ვემბანზე მიწვა, ჩაეძინა. ნუნუს ეკითხებოდა:

— გიყვარვარ?

ნუნუმ უბიდან შავი ქალღმრთის ფურცელი ამთაშრიალა, მაგიდაზე დასდო. შავ ქალღმრთე თეთრი ასთებით დაიწერა: „მიყვარხარ“.

— ჩემი გახდები?

ნუნუმ მეორე შავი ფურცელი გაშალა მაგიდაზე. გურიმ ქალღმრთელს ამოიკითხა: „სამუდამოდ შენი ვიქნები!“

ნუნუ გურიის ოდენა ლურჯ ფრინველად იქცა, გურის მარჯვენა მხარზე დააფრინდა. სიყვარულზე იმავე ხმით ებაასებოდა.

თბომავლის შერყევამ გური გამოაღვიძა.

ჯარი ტრაპით ნაპირზე ეშვებოდა. სევდითა და სიყვარულით მისჩერებოდა გური თბომავლიდან ჩამავალ ლანდებს.

„ამათში რამდენი აღარ დაბრუნდება...“ — ფიქრობდა იგი.

უქანასკნელი ჯარისკაცები ტრაპთან მივიდნენ, გურიმ მიმართა მათ:

— მშვიდობით, ამხანაგებო!

— მშვიდობით!— გაისმა პასუხად.

გური ერთხანს იქით იტყვირებოდა, სადაც ექიმის კაბუტი ეგულდებოდა. მერე მოაჯირზე მიყრდნობილ კუზნეცოვს მხარზე ხელი ეკიდებოდა. მოკითხვა გადაეცო, ჯარის მიმავალ ნაწილებს დაედევნა. კუზნეცოვი დაბნეული იდგა: «სად წავიდა? რატომ წავიდა? ნუ თუ სამუდამოდ მიგვატოვა გურიმ?»

დადარდიანებულმა მეორე დღეს კაპიტანს მოახსენა:

— გუშინ გური ლომია ჯარის ნაწილებს გაჰყვა.

კაპიტანმა ხელები გაშალა.

— უცნაურია გური...

ეს რომ გაიგო ნუნუმ, გწფითრდა.



თბომაველს ნავსადგურიდან ნავსადგურში ჯარი გადაჰყავდა, საომარი საქურველი გადაჰქონდა.

თენდებოდა. სამხედრო საქურველით დატვირთულ თბომაველის თავზე მტრის თვითმფრინავი აგულუნდა. თვითმფრინავს ბომბი მოსწყდა, თბომაველისაკენ დაქანდა. თბომაველი შეტრიალდა. ბომბმა გვერდით ჩაუქროლა. წყლის სვეტები აიშართა. თვითმფრინავიდან გემბანს ტყვია დაუშინეს.

თბომაველის ცხვირიდან საზენიტო ქვემეხით სროლა აუტეხა კუზნეცოვმა. კუზნეცოვს მარცხენა სახელო გასისხლიანებოდა.

— ექიმო!— გაისმა გემზე.

ნუნუმ კუზნეცოვთან მიიბინა.

— წამოდი, ანატოლი, ჭრილობას შეგახევე.

— ექიმო, შენი ჭირიმე, ქვემეხს ვერ მოვშორდები, გემზე მხოლოდ მე ვიცი ქვემეხის სროლა. ხელი არა მტკივა, ექიმო.

ფერმკრთალი, დიდთავა კუზნეცოვი იღიმებოდა, მუხლები უკანკალებდა, ექიმს ელაპარაკებოდა, თანაც გემისაკენ მოგულუნე თვითმფრინავს თვალს ადევნებდა.

მუშტივით შეკუმშული, წარბშეკრული ბუკია მესაქეს უყვიროდა. იქვე კაპიტანი იდგა.

თვითმფრინავმა წრე გააკეთა. ისე დაბლა მოფრინავდა, კაცს ეგონებოდა გემს უნდა შეასკდესო.

— წამოყევე!— უბრძანა ნუნუმ კუზნეცოვს.

— მოშორდი!— უცებ დაიდრიალა კუზნეცოვმა და ქვემეხს ეცა. დაჭრილი ხელით ქვემეხი რომ მოაბრუნა, კენესის მაგვარი რამ ხმა აღმოხდა, საზე ტყვილისაგან დაედრია, სიმწრის ოფლმა დაასხა.

თვითმფრინავიდან ტყვიამფრქვევის რამდენიმე მოკლე ჯერი დაუშვეს. კუზნეცოვმა ესროლა. თვითმფრინავი აფეთქდა. ბომბის პატარა ნამსხვრევებმა გემბანამდე მიადწიეს.

განარებულმა კუზნეცოვმა მხოლოდ მაშინ იგრძნო მკლავში საშინელი ტკივილი. ექიმისაკენ დარცხენილი მიბრუნდა. ბოდიში უნდა მოეხადა და ყვირებისათვის, ბევითონ არ ვიცი, რისთვის ვიყვირე, მაპატიეო, უნდა შევედრებოდა.

სახე-დასისხლიანებული ნუნუ ხან თბომავლის მოაჯირს მიაწყდებოდა, ხან ამწეს. კუზნეცოვმა კაიულტაში შეიყვანა და მის თანაშემწეს, ახალგაზრდა, ხშირ-კულულებიან დაშას ჩააბარა. ექთანმა თავი ბინტით შეუხვია ნუნუს, დააწვინა. მერე კუზნეცოვს მიხედა.

— ექიმი ხომ არ მოკვდება?— ისეთი ხმით იკითხა კუზნეცოვმა, თითქოს ტირილს აპირებდეს.

— გაჩუმიდი!— გაუწყრა ექთანი და ტუჩებზე თითი დაადო.

კუზნეცოვმა დამნაშავესავით თავი დახარა, ქვემეხისაკენ გაემართა.

სდუმდა ნუნუ, სდუმდა დაშაც.

— დაებრამადი?— ჩუმად იკითხა ნუნუმ.

— არა, ექიმო, დროებით დაგიზიანდათ. მალე გაივლის.

დაშას ცრემლი უსველებდა ლოყებს, იცოდა: ნუნუს ჩამქრალ თვალებში სინათლე აღარ ჩადგებოდა.

— მოგვდევენ?

— ერთი კუზნეცოვმა ჩამოაგდო, სხვა არა სჩანს, ნავსადგურში შევდივართ.

— სად არის გური?

— გური? გური ხომ დიდი ხანია ჩვენს გემზე აღარ მუშაობს.— უპასუხა განცვიფრებულმა ექთანმა და შიშით დაამტერდა.

— შე კი მომეჩვენა, რომ აქ არის და მიყურებს...



ნუნუს გაზეთებსა და წიგნებს უკითხავდა დედამისი.

მაისის მიწურულში ნუნუს დედამ გემზე ახალი წიგნი იყიდა.

ნამტირალევი ნუნუ ფანჯარასთან იჯდა, თმას ივარცხნიდა.

„როგორ გამოიცვალა, გახდა, თმაც უთეთრდება... მოგიკვდეს დედაშენი, შეილო“.

— შეილო, ქართულ წიგნს წაგიკითხავე.

— ვისია?

— ზარანდიას მოთხრობაა, „სიყვარული“ ქვია. ამ წიგნის ავტორი კავკასიის მთის მისადგომებთან ვაეკაცურად დაიღუპაო, სწერია.

— ზარანდია? პირველად მესმის. წაიკითხე, — ბისუსტებული ხმით უთხრა ნუნუმ.

დედა კითხვის დროს ცრემლს ყლაპავდა. შეატყო, ნუნუ უსმენდა. გამზნედა.

დედამ წიგნი დახურა.

— სიყვარული...— ჩაიბუტბუტა ნუნუმ, — მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ასეთი ნაწარმოების შექმნა.

ნუნუმ იგრძნო ნაზი სიხარული, ძლიერი სიყვარული სიცოცხლისადმი. თუმცა ფანჯარასთან ველარ ხედავდა ნაცნობ ჰაღრებს, მაგრამ მათი ფოთლების შრიალით სტკბებოდა, თითქოს პირველად ესმოდა გაზაფხულის ენა. ეს ხეები შარშან, შარშანწინაც შრიალებდნენ ღია ფანჯარასთან, მაგრამ მაშინ ნუნუს რატომღაც არ გაუგონია.

მუღამ ახალი

ცივი გომბორი, მთები ყვარელის
და ალაზანი დინჯი და ჩქარიც
ამშვენებს კახეთს... და საყვარელი
მაინც ილია იყო და არის...

მას შემდეგ ბევრი გავიდა ჩანი,
გაქცა ჩრდილი ხეებს ჩრდილიანს, —
ის თემურ-ლანგი და მამად-ხანი
იყო, გაჰქრა და დარჩა ილია!

დარჩა ილია... სტრიქონი მისი,
ვულის დუდილის მისის წამალი —
ფვი ძველია ვით მთების ნისლი
და ცისკარივით მუღამ ახალი...

პრიგოლ იმედაძე

მარჯნის გვიგზინი

თქმულება არის: ინდოელთა მეფეებს სწამდათ, — თუ
იპოვნიდნენ იმოდენა მეწამულ მარჯანს, რომლისაგანაც
გამერწივდნენ სამეფო გვირგვინს, უამრავ ქვეყნებს და-
პყრობდა მაშინვე იგი.

— ცხრა მზის ამოსვლას, ცხრა განთიადს, ცხრა დაღამებას,
ცხრა დღეს ვიძლევი, რომ მომართვათ მნათი გვირგვინი,
გამოძერწრილი მარჯნისაგან, ვარსკვლავთვალება,
გაბრწყინებული, მოელვარე, როგორც მზის სხივი;
თუ არ აღსრულდა ნაბრძანები, არ გადაარჩება
ერთი ვეზირიც, ყველა მათგანს დაესჯი სიკვდილით!

წარბშეუბრელად ბრძანებს მეფე განრისხებული,
და თქროს კვერთხით შემოხაზავს ცხრაჯერ კამარას.
უმალ აფრინეს შათირები ასგზის რჩეული
მემარჯნეების მოედანზე თავშესაყარად, —
მაგრამ არ იქნა. არ გამოჩნდა კაცი მხნე გული,
რომ ბედს წეოდა, ან და თავი დაესამარა.

ვერვინ გაბედა ზღვად ჩაშეება, მისალამოვდა. —
დრო ილეოდა, — თავზე ადგათ ბედი არჯალი.
არვის ენახა არასოდეს, ვისაც ახსოვდა
ასე დიდი, თან მეწამული ფერის მარჯანი.
ძალით ჩარეკეს, ვინც გაბედა ზღვიდან ამოსვლა,
მას ვეზირებმა გაუტარეს მკერდში ხანჯალი.



ზოგი იმსხვერპლეს ურჩხულებმა, რაღაც ავებედა; —
იმათი სისხლით შეიღება წითლად ზღვის პირი;
მეშვიდე დღეა, დედათ კრულვა აღარ თავდება,
მეშვიდე დღეა, ქარმაგების მიწყდა ღლიანი.

ზღვა კი მლეღვარებს, ტალღა-ტალღას ეშაირება.
ამაყ ზვირთებში მოყმე ვინმე ტანახოვანი,
კვლავ გადაეშვა, თავი აღარ ეშურებოდა,
რადგან მეშვიდე ღამით მარტო დარჩა ცოცხალი.
და პა, — მღიმარი ნაპირისკენ ეშურებოდა,
დასდო მარჯანი ვეზირის წინ გასაოცარი.

მაგრამ უმუხთლა ბედმა შავმა, მარად ცბიერმა —
თეთრი აღმოჩნდა ის მარჯანი, როგორც მყინვარი.
მაშინ ცა გასკდა თუ ვეზირის ხმალმა იეღვა,
ქაბუკის თავი ძირს გაგორდა თვალმომღიმარი.
ტანი კვლავ იღვა, როს იჩქეფა ყელიდან სისხლმა
შადრეენივით და შეღება მარჯანი წითლად.

უმაღლე რჩეულ ოსტატისთვის იძრა ქვეყანა...
შეპყარეს ყველა... დრო მიეცათ ორიოდ დღისა, —
რომ ლაყვარდიდან მწუხარებებს ნისლს გაღეყარა,
რომ გაეტერწათ, აეცდინათ თავიდან რისხვა...
და როცა ბრძანა მეფემ მათთვის მყის აღემართათ
სახრჩობელები, ვინც გასტება მბრძანებლის სიტყვა. —

ამ დროს, მეცხრე დღის, დაისობის ეამსა მწუხრისას,
მიართვეს მეფეს ის გვირგვინი ჩვეული რილით.
მას შემდეგ შერჩა მარჯანს ფერი მეწამულისა,
როცა ეს მოხდა, როცა ხალხებს ეხვიათ ბინდი.
ასე ამბობენ: იმ დაწყევლილ, დაზაფრულ დღიდან
დაატარებენ დამპყრობლები სისხლიან გვირგვინს.

ოღბის გარდაცვალება

რუკაზე თითით ვხაზავდი მხოლოდ
ვისლას, დუნაის, ნემანს და ოდერს.
მეგონა მიწას არ ჰქონდა ბოლო
და უზრუნველად დღეები ჰქროდნენ.
როგორ მეფიქრა მე, ყმაწვილ ქართველს —
გაქვი იორის ტალღებში მწოლი
თუ იხილავდა ოდესმე ბრძოლით
ამ ცას, ამ წყლებს და ამ მიწას ფართეს?

გამოვიჭერით თებერვლის დამით,
აი ოდერის შავი ნაპირიც,
მიწა ფერფლით და სისხლით ნაფერი,
მტრის გაათრება, რისხვა და შხამი.
ოდერი ვრცელი... (დიდხანს მეყოფა
აღმათ ეს დამე გასახსენებლად...)
რა საშინელი ხმებით მოყვებავს
წყალი ქცეული ცეცხლის ენებად.

პირველია თუ უკანასკნელი? —
ვართ სიკვდილს მუდამ შეურიგალი.
მკლავით, ნაგებით, ფიცრით, კასრებით
გადადიოდა ოდერს გრიგალი.
თენდება. ვძლივთ! და უკვე ბრძოლა
ოდერის გაღმა ჰქუხს ვაჟაკურად.
... ამ ღამეს ლექსთა რვეულით მხოლოდ
ბალტიისაკენ ჩანთამ გასცურა.

ზურაბ ლორთქიფანიძე

სამი ღეჟი

ქავარჯნები

ბზის ყავარჯნებზე დაყრდნობილნი დღევით მოდიან,
იმათ წინ ისევ მობიბინე მწვანე კორდია.
იქ, დღეობაში გაუმართავთ ჩქარი ფერხული...
ეჭა, წვივები პაიჭებით კოხტათ შეკრული!

ახლა სადღაა ის მარჯვენა, ან ის მარცხენა, —
მამულს შესწირეს, მამაპაპა არ შეარცხვინეს.
მოდიან... ირგვლივ მომქუხარე ჩანჩქერვბია,
ვერ ავედევნოთ—იტყვის ერთი... ჩაფიქრდებიან
გააფრიალებთ ჩუმად გულში ყავარჯნიანებს, **სიმბლიცთენა**
ორივე ფეხი შშობელ მიწას რომ ვერ შეახეს.



თოვლის ფიფკის საყვადური

შორიდან ფიფქი მოცვივა თრთოლვით,
ქუჩაში დიდხანს ველარ ისვენებს.
ამ უდღეობას ქათქათა თოვლი
აბრალებს მზის სხივს და თბილისელებს.

ფიფქი გამზირს რომ ეცემა და რთავს,
ცას საყვედურით აესებს ყოველთვის:
რად ამარიდე ყაზბეგის თეთრ თავს,
მარადისობას მოვიპოვებდი!

სალამო ზურაბის ციხესთან

ქარი მტრედისფერ კლდეებზე წამტვრევი,
მოქპრის მთიდან და მინდვრიდან;
და მეც მოსილი ვარსკვლავთა ნათელით
მალალ ციხესთან მივდივარ.

ეს ჩემი ფიქრი ციხეში შეფრინდა,
მეც ბილიკს მივსდევ და მივალ,
თითქოს გაბზარულ ნოტიო კედლიდან
მოისმა ზურაბის გმინვა.

ალბათ, სათუთო ოცნებავ, დაღნები,
სხივი რომ შემოგნთებია;
კედელზე კრთიან მოშაეო ლანდები,
ღედის გაშლილი თმები!..

გვიან დავეში ვაყვაცის რიხითა,
მამულო, შენთვის მზრუნავი.
თითქო მე ვიყავ სურამის ციხიდან
გამოქცეული ზურაბი!

ერთი ლამის კომედია

(კომედია ლექსად ო მოქმედებად)

მოქმედნი პირნი

ლევან გორგასლიძე — ქართველი მეომარი.

ბაადური — ლევანის მამა.

ელისაბედი — დედა.

ჩიტოლია — მისწავლებელი ქალი. ცხოვრობს ბაადურის ოჯახში.

სულიკო — სოფლელი ქალი.

დათუნა — მისი ქმარი.

არჩილი — დაჭრილი მეომარი.

ჯაბა — ხელმძღვანელი ამხანაგი.

ლიპარიტი — ძველი მწიგნობარი. შეადითიქე.

უცნობი სტუმარი.

ტყუპი.

ბუხუტი ახვლედიანი.

ჭუკუ — ცალთვალა მონადირე.

რუხი — ლევანის თანამებრძოლი.

თამარ-ქალი.

გვი.

ნათელა } სოფლელი ქალები.
ია }

მათე — მოხუცი კოლმეურნე.

ხალხი. მხედრები.

ათას ცხრაას ორმოცდაორი წელი.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

რაკა-ლენხუმის მთები. რიონი. აქა-იქ სოფლები თითქმის ციდან დაფრენილან მთის ფერდობებზე. შორით მხედართა სიმღერა ისმის. ვხად მიმავალი მანქანების ხმა. ბილიკზე არჩილი გამოჩნდება, თან ახლავს ჯაბა არჩილს მხარებზე აქვს მოხურული მაზაა, ხელში სამხედრო ჩანთი უჭირავს.

ჯ ა ბ ა — კარგი იქნება, დღეს თუ დაიცდი,

აქ ყოფნა არც თუ ისე ცუდია...

ა რ ჩ ი ლ ი — ჩემთვის ორი დღე, — ორი წუთია —

პეპელასავით თრთოლვით განვიცდი!

ჩემი ორი დღის თავისუფლება

გარს შემოვაგლო მსურს ამ მწვერვალებს,

ხან რომ სპილენძის ფერად ელვარებს,

და ხან რომ რისხვით დაიღრუბლება.

რაც იყო გულში ყრუდ მიმალული,

თმმა ქუხილით შეაფრთხილა

და მე უბრალო მწერად კი არა, —

სიცოცხლედ მიღირს ეგ სიყვარული...



ვერ დაგიმალავ, დღეს უფრო ვნატრობ,
ამ ცისქვეშ მჭონდეს მეც ჩემი ეზო,
ხელით ჩემს დარგულ ხეს ვეალერსო,
აქ ვიყო მარად. აქ ვიბინადრო.

ჯ ა ბ ა — აქ ისევ ხარობს ყოველი ჩირგვი
მიწაში ოდნავ მფეთქავი ძარღვით!..
თუმცა ამოფხერას გვიქადდენ წარღვნიო,
თუმც მოსისხარნი გვეხვია ირგვლივ.
უაუვაქციეთ, მკერდს მოვიშორეთ,
დგას დაკარული კლდეების მკერდი.

ა რ ჩ ი ლ ი — ძმაო, ათასში მეცა ვარ, ერთი, —
მეც ეგ ბრძოლები გამოველე სწორედ.

ჯ ა ბ ა — ვხედავდით მტერი როგორ გასრისეთ,
ცას გვინათებდა ცეცხლის ფრქვევანი...

ა რ ჩ ი ლ ი — ხვალ დილით უკეთ გატყვით ლევანი.

ჯ ა ბ ა — ჩვენი ლევანი?

ა რ ჩ ი ლ ი — ჰო. გორვასლიძე.

გზად ამოივლის, ავეყვებით რიონს,
და კვლავ ბრძოლის ველს დაეუბრუნდები...
დროც არის ხელზე ამხსნან ხუნდები,
ბუდე მეც მინდა მტერს დაეუნგრიაო.

(გზას განაგრძობენ)

დღეს კი ვისწრაფი, როგორც გითხარია,
ლევანის ოჯახს ვეწვიო სტუმრად.

ჯ ა ბ ა — ჯერ აქ დავილოთ მკლავი სასთუმლად,
უფრო ახლოა ჩემი კიშკარი.

ა რ ჩ ი ლ ი — ახ, რა დღეში ვარ, — შენ რომ გაიგო,
ალბათ სიცილად აღარ გეყოფა, —
უნდა შეეწირო თავი მეგობარს,
მთა მოხერხებით უნდა ავილო...
ლევანს ხომ იცნობ, რკინის კაცია
ბრძოლაში ტყვიაც არ ეკარება...
მაგრამ, დამიპრეს ისრით ქალებმა,
ალალი გული გაუკაწრია!
შუამაველი გავხდი, ძმობილო,
ჩემთვის ეგ ომზე უფრო ძნელია...
ლევანს შინ არც კი მიუწერია,
მშობლებს მე უნდა შევატყობინო.
მთხოვა, წინასწარ...

ჯ ა ბ ა — როგორ? საცოლე
დოტების ჭერქვეშ აღმოაჩინა?

ა რ ჩ ი ლ ი — აბა!

ჯ ა ბ ა — ღმერთმანი მარჯვედ გარჯილა.
შენ კი ვერავენ ვერ აათრთოლე?

ა რ ჩ ი ლ ი — როცა ეს ორი დღის შეგებულემა
ჩემმა კრილობამ ბედად მარგუნა...



ჯ ა ბ ა — ვხედავ, ამოდ არ დაქარგულა,
 შეყვარებულებს შველით ბუნება!
 ა რ ჩ ი ლ ი — არა! მათ ახლავთ სულ სხვა ელფერი
 სწორედ ომს მოჰყვა წუთი გაცნობის...
 ომი ყოფილა თვით ვაჟკაცობის
 და სიყვარულის გამჩალებელი...

(მოულოდნელად შენიშნავს ქალებს)
 ბიჭოსს! ამ ქალებს რა მოაქვთ ამბად,
 აქეთ რომ ასე მოკისკისობენ?

ჯ ა ბ ა — უცოლო რომ ხარ, შეგნიშნეს აღბათ.
 ა რ ჩ ი ლ ი — არა, შენ უფრო უკეთ გიცნობენ.

ჯ ა ბ ა — ო, არა, არჩილ, თუ მომკრეს თვალი,
 ყველა ერთბაშად გაინაბება...
 კაბის შრიალში არ მიძევს ბრალი,
 კარგად იციან თვითონ კაბებმა!..

(განზე დადგებიან. ქალები სიცილით ამოიბრუნენ ბილიკს).

ქ ა ლ ე ბ ი — ბედი გეწვია, დაო, ამ დილით.
 რაო, იმ რუსმა რაო, სულიყო?

ს უ ლ ი კ ო — უნდოდა მთაზეც ამოსულიყო.

ქ უ ქ უ ნ ა — რად მიესალმე აბა მანდილით?!

ნ ა თ ე ლ ა — რუსი კი არა, ვერ ხედავთ ჯაბას?

ი ა — ვაიმე, არც კი დაგვიანახია...

ს უ ლ ი კ ო — მე რა ვქნა, თორემ თქვენზე ახია.

ქ უ ქ უ ნ ა — როგორ თვალმაქცობს, უცქირეთ ამას!

ნ ა თ ე ლ ა — განა შენ თვითონ არ გვაცინებდი?

ქ უ ქ უ ნ ა — ჩვენ, ამხანაგო ჯაბა...

ჯ ა ბ ა — ქუეყნა,
 თქვით ვის რა უთხრა, რა უჩურჩულა.

ქ უ ქ უ ნ ა — ფრონტზე მიმავალ ჯარს ვაცილებდით...

ს უ ლ ი კ ო — მაგრამ, გაგეწირა ამ წითელქუდამ,

რომ გადაადგა გზას ალტაცებით,

მიჰქროდნენ, როგორც მიჰქრიან მუღამ
 ამღერებული ჯარისკაცები.

და ერთმა წამით დასტოვა მწყობრი

ჩამოგვიქროლა გრიალით ავტო, —

„კარგად იყავით, კიდევ გნახავთ“, —
 გვეძახდა მინდვრის ჩიტივით ბობრი...

ჯ ა ბ ა — როგორ გგონიათ, რა გაუხარდა?

ხომ იცით კაცის გული ხარბია.

არჩილ, ეს არის ჩემი არმია,

ახ, უკაცრავად, ამ ქალის გარდა, —
 (უფულანზე მიუთითებს).

ეს თბილისელი გახლავთ. გიამბო?

როგორ უმუხბთლეს ჩვენმა ქალებმა...

ხაბოსტნედ მთხოვა მიწის ნაკვეთი,
 შივეცი. დახნა. დაჰყო კვალგზად.



ამათაც მისცეს თესლი. დათესა.
 კობტად უვლიდა და სასოებით, —
 მაგრამ, ქინძის და ხახვის მაგიერ
 ამოუფიდა ყაყაჩოები...

ერთ-ერთს ვაგაცნობ, ვინ გირჩენია,
 ვინც გეგმას ერთი-ასად ასრულებს
 და შრომით გვეჯობნის გულ-გაბასრულებს,
 თუ, ვინც უსაქმოდ ენა-მკვერია?

არჩილი — თვალ-ტანად ისევე უსაქმურს ვარჩევ
 რად მინდა გეგმით წელმოწყვეტილი.

ჯაბა — თვალად უსაქმურს არჩევ? — კეთილი,
 წინდახედულად ვერ გაისარჯე.
 (სულიკოზე ამბობს).

ეს ქალი ჩვენი სოფლის თვალია,
 ველარ გაიცნობ, წყალ-გაღმა დარჩი...

სულიკო — მგონი, მე თვითონ ვიცანით, არჩილ,
 ხომ ჩვენებური ხართ?

არჩილი — მართალია.

ჯაბა — ჩვენებურია, შეჩვენებული.

სულიკო — მე იქნებ სულაც არ ვაგახსენდეთ,
 მაგრამ, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, მენდეთ!

არჩილი — აჰა...

ჯაბა — ბეწუზია შეჩერებული.

არჩილი — სულიკო?!

სულიკო — ალბათ, არც იფიქრებდით...

არჩილი — როგორ შემეძლო ამის გამხელა,
 მე თქვენ მახსოვხართ, ქალო, ამხელა,
 როცა მინდორში ბაიებს ჰკრეფდით.
 გახსოვთ?... ვიყავით თითქმის ტოლები
 და თქვენ კი უკვე ქალიშვილობდით...
 ხოლო ბიჭები გულ-ათრითოლებით
 ჩვენს ვაყვაცობას მხოლოდ ვცდილობდით.

ჯაბა — ასეთი მარჯვე თუ იყო მაშინ?

არჩილი — ო, პირველობა სურდა ყოველთვის.

ჯაბა — იმიტომ არის, ყველა რომ ელტვის, —
 ალბათ ძალა აქვს ჩაწნული თმაში.

ქუეუნა — უდარდელია. თავისი ქმარი
 საბედნიეროდ შინ ეგულება.

არჩილი — სურთ გამიფუჭონ ვატყობ გუნება,
 ქალო, ეს უკვე დასმენა არი.

სულიკო — ქმარი მყავს... და რა დასამალია,
 მყავს, ვათხოვებას კი არ ვაპირებ.

ჯაბა — ახლა კი მოსპო მოპირდაპირე,
 ქალი კი არა, — აღისქარია...

სულიკო — ჩემი ქმარია, ჩემი დათუნა,
 სხვებზე ნაკლები აბა რითია?!



მე რომ მსურს, ისე არ დახატულა,
 მაგრამ ალალი მარგალიტია..
 თუ არ იწვევდნენ ჯარში ღროებით,
 დიმილს კმატებდა განა მის სახეს?
 სული უწუხდა სულ მყუდროებით...
 დღეს უკვე ჯარში გამოიძახეს.

ა რ ჩ ი ლ ი — ვგრძნობ, ურთი სიტყვით, დაქალებულხარო,
 და წინ ქორწილით გადაგისწრიათ.
 მე რაღა მეთქმის.

(უფუნას).

თქვენ რაღად სწუხართ
 თქვენ ჯერ ყვავილიც არ აგიცრიათ!..
 ვისწავლე მთელი ქვეყნის გზა-კვალი
 და მაინც სოფლის გზა და კვალს ვეძებ...
 სადღაც აქ იდგა ჩემი აკვანი,
 მაგრამ, დავტოვე, გადავიხვეწე.

ე უ ე უ ნ ა — აქ აღარაეინ გყავთ ახლობელი?
 ა რ ჩ ი ლ ი — აღრე დავკარგე, დაო, დედამა.
 ე უ ე უ ნ ა — სულ მიგავიწყათ, ალბათ, სოფელი
 თბილისის ერთმა შემოხედვამა...
 ა რ ჩ ი ლ ი — არა. სამშობლო მთის სიყვარული
 აღმოსაფხვრელი რამ არ მეგონა,
 აი, დრო დადგა და მიმალული
 გრძნობა საყვარელ მთებს დაეკონა.
 ზემთაში ასვლა მინდა...

ს უ ლ ი კ ო — რას უცდით?
 სულ ადვილია მისი დანახვა.

ა რ ჩ ი ლ ი — მთიდან მთას, ვიცი, ხელს გადაუწვდი,
 მაგრამ იქ ხელად კი ვერ გადახვალ.
 ზემთაში ჩემს დროს ტყე იყო დიდი,
 სულ უსახლკარო, ბნელი, მღუმარი...
 თქვენ რა გაცინებთ?

ს უ ლ ი კ ო — მეგონა მცდიდით.
 ყოფილხართ სწორედ ჩემი სტუმარი.

ა რ ჩ ი ლ ი — როგორ!..

ჯ ა ბ ა — უფუოდ აშენდი კაცი.

ს უ ლ ი კ ო — სწორედ ზემთაში ვარ გათხოვილი.

ჯ ა ბ ა — ო, აბა, არჩილ, რა გიჭირს აწი,
 ბილიკს აირბენთ ფეხაწყობილი!

ს უ ლ ი კ ო — როგორ მიცქერის, ხედავთ? განდაგან!

ა რ ჩ ი ლ ი — ჩემი იღბალი მომწონს ძალიან.

ს უ ლ ი კ ო — რაქაში მთა-მთას ხედება ხანდახან,
 კაცი კაცს შეხვდეს, — საოცარია?

(არჩილი იხნის გულჯიბებს, ამოაქვს სურათი).

ა რ ჩ ი ლ ი — აბა, თუ იცნობს ვინმე ამ სურათს...

ი ა — ლევანს?



არჩილი — ჰო, ლევანს.
 სულიკო — ლევანი, დახეთ,—
 როგორ გვისწორებს თვალს ვაფაკურად!
 ქუქუნა — რა სურათია, მოგვეციო აქეთ!
 სულიკო — ხომ კარგად არის?
 არჩილი — რა უშავს კარგად!
 სულიკო — დმერთო, შინ როგორ გაუხარდებათ!
 იმის ოჯახში მიდიხართ ალბათ,
 ეს დღე სიმღერით დაულამდებათ...
 მაგრამ, დაგხვდებათ იქ ჩიტოლია,
 ლამაზი, წარბებ გადახატული, —
 სარძლია, ფრთხილად! თანდაპყოლია
 მიმზიდველობა ანდამატური.
 არჩილი — ვიცი, და სწორედ იმიტომ მინდა
 გზა მივიკვლიო შოკლე ბილიკით.
 ჯაბა — ხელს როდი გიშლით, ზედავ, პირიქით,
 გზის მაჩვენებლად მზე გამობრწყინდა!
 შთები ხვდებიან მტრობას შთებურად,
 გაექცევიან საყვარულს განა?
 ნუ ჩქარობ, იმავ ადგილზე დგანან,
 მიხვალ და ნახავ კვლავინდებურად.
 არჩილი — მეც არ შეეცვლილვარ შათთვის, ცხადია,
 და მიმოკარგულ ბილიკს გავიგნებ.
 ჯაბა — მხარი გიცვალა ქალაქმა იქნებ,
 იქა ხარ ათი წელიწადია.
 არჩილი — ვნახოთ...
 (შადაა წასახელდა).
 ჯაბა — ვგრძნობ მოგწონს თანამგზავრები,
 და იმათ კისკისს ისე განიცდი,
 რომ არც გსურს ჩემთან შემოიარო.
 გადაიფიქრე, გადახალისდი!..
 არჩილი — რას ამბობ, ჯაბა, შენს ოთარიკოს
 დღეს ერთი წამით როგორ არ ვნახავ!
 ჯაბა — მამ წამობრძანდი...
 არჩილი — (სტოვებს ჩანთას) ჰო. ეს აქ იყოს.
 აჩქარებისთვის კი ნუ დამძრახავ..
 სულიკო — ვერ ამჩნევთ, ჯაბა, მთა ინისლება,
 გზას ვერ გაიგნებს იგი უჩვენოდ.
 ჯაბა — ო, თუ ასეა, არ შეიძლება,
 რომ არჩილს მხარი არ დაუშვენოთ.

(შედეგა წამით)

თუმცა აქ ერთი დარდიმანდია,
 დიახ. ბუზბუტი ახვლედიანი, —
 იგი ხომ თქვენზე უფრო მარდია,
 მისი საქმეა გზად ხეტიალი.
 რაქა-ლენჩხუმში სახლი არ არი,



სადაც არ ვსვას, არ ეთამადოს
 და უცხო სტუმარს პარი-პარალოთ
 მხართან ლანდივით არ ეტანადოს...
 უთუოდ ვნახავთ უქმად მიმოვლილს,
 არ შეიძლება არ გვეცეს თაყვანი, —
 და შენს მასპინძელს მაინც ვიპოვნის,
 თუნდ ამოშლილი ჰქონდეს გზაკვალი.

ა რ ჩ ი ლ ი — ჩვენ აქ. ახლავე...
 ქ უ ქ უ ნ ა — დიახ, მოვიცდით.
 ჯ ა ბ ა — ფრთხილად! არჩილი არ გამიგვიფოთ!..
 (მიღიან)

ს უ ლ ი კ ო — (ქალებს)
 ვაი თქვენ არა, თქვენ არ მომიკედით.
 (ჯაბას)

შიშით ვატარებთ ბილიკზე, შიშით!
 ნ ა თ ე ლ ა — (მიიჩბენს ჩანთასთან)
 რა დაგიტოვა, ბოშო, სახსოვრად?

ს უ ლ ი კ ო — არ მოიხედოს აქეთ, დაიცა.
 ქ უ ქ უ ნ ა — დაუნდობელი ყოფილხარ ყოველად,
 დამწეი... ო, შენი სული დაიწვა!

ს უ ლ ი კ ო — მე რას მამბრალეებ!
 ქ უ ქ უ ნ ა — მაგრამ, არჩილი
 მთაში არც შენთვის ამოვიდოდა.

ს უ ლ ი კ ო — გოგოვ, ხელშია, არა, დაჭრილი?
 ვერ გავუბედე, კითხვა მინდოდა.
 ქ უ ქ უ ნ ა — (ვადამწევერით)

არა! დღეს ჯაგრით გავიფუდები,
 შემთაში მეც თუ არ ამოვფრინდი...
 ს უ ლ ი კ ო — ამოხვალ?

ქ უ ქ უ ნ ა — მართლა გავიბუტები
 იცოდე, ჩემზე რომ დასძრა კრინტი.
 ვის გაახარებს, ვნახოთ, ეს შემთა,
 ვინ დაიმშვენებს გვერდს სამხედროთი...
 ახ, მაგას ჩემს თავს ვინ აღირსებდა,
 სადმე ზემელთან რომ შეეხვედრადი!
 დე, ჩიტოლიაც მელოდეს... აგერ —
 გზას გადახედეთ ვინ მოგვევლინათ! —
 იგრძნო უთუოდ, წელან რომ აქე.
 ხალისით მოდის, გულ-მოღვდილად.

ს უ ლ ი კ ო — ახ, ჩემი ქმარი, ჩემი დათუნა,
 ის უკვე ჯარში ჩარიცხეს, ალბათ,
 ხომ ვთქვი, წელშიაც რომ გამართულა...
 ი ა — ენამ გიყიელა სულიკო...

ს უ ლ ი კ ო — აბა!
 (ბილიკზე დათუნა გამოჩნდება)

დათუნა — ამ შუაგზაზე რამ შეგაჩერათ?

კ უ ჯ უ ნ ა — შენს წინააღმდეგ ვართ შეთქმულები...
(მიღის)

და თ უ ნ ა — რას მერჩით? ჩემი ნუ თუ არ გჯერათ,
ვარ უწყინარი კაცი ბუნებით.

ს უ ლ ი კ ო — თუ შეგამოწმებს, თქვი!

და თ უ ნ ა — ჩინებულად!

ს უ ლ ა კ ო — (შემკრთალი)

ვაიმე, დათუ, ველარ გიმეტებ.
ეს არის ახლა, ახირებულად
ჯარში გაწვევა თვითონ გიბედე...
(სიამაყით)

თუმცა, რომ უჯდე სულ ბუხრის ყურეს,
ქალი ხომ არ ხარ თავსაფრიანი...

და თ უ ნ ა — (ამშვიდებს)

ნუ სწუხხარ, ჩემო, ნუ! დამიწუნეს...

ბედად მქონია გულისფრიალი.

ს უ ლ ი კ ო — ისევ? (გულმოკლული)

ქ ა ლ ე ბ ი — უჰ!

და თ უ ნ ა — რაა, ყურში მიკვივით!..

ს უ ლ ი კ ო — მომეშვი ერთი, მომწყვეტ სახელოს!..

(შეკვივებული გულისწყრომით)

მაშ, მიუფიცხდი ბუხარს ჯირკვივით,
სახელს მოუხვევტ მთელ საქართველოს!

და თ უ ნ ა — მაინცდამაინც ხმალი ავმართო?

ს უ ლ ი კ ო — რატომ, უხმლოდაც მომქერი თავი.

და თ უ ნ ა — თუ გენატრება ია და ვარდი—

ამ აბრეშუმის მაგიერ „შავი?..“

ს უ ლ ი კ ო — რა იცი, იქნებ დამმშვენდეს უფრო!

და თ უ ნ ა — სულს სულ ერთია შენ მოგაბარებ.

ს უ ლ ი კ ო — ჰო კარგი ახლა. შინ ვისაუბროთ.

გასწი! ეს ჩანთაც წაიღე ბარემ.

და თ უ ნ ა — გულის-ფრიალი მაქვს, შემიცოდე.

ს უ ლ ი კ ო — გასწი და ჩრდილიც კი არ ეძიო!..

და თ უ ნ ა — უჰ, რა მძიმეა!

ს უ ლ ი კ ო — მოგკლავ, იცოდე.

გზაში რომ სადმე წამოგეწიო.

და თ უ ნ ა — მაინც ვისია?

ს უ ლ ი კ ო — ჩიტოლიასი.

და თ უ ნ ა — გამიპარაბაშდა მეც ერთი კაბა...
(შიაჭეს ჩანთა, მიღის)

ს უ ლ ი კ ო — არ გავიგონო თქვენი გნიასი!

გეყოფათ-მეთქი, თვალს მოგკრავთ, ჯაბა.

ნ ა თ ე ლ ა — როგორ მოკეურცხლა!

ი ა — (ენა ებმის) ხედავ, ქა-ქალო,

დაიხი-ხიტნის თვალს აშ-კა-კარად!

ს უ ლ ი კ ო — არ შეგიძლია, არ იკაცანო?

რა მოხდა, ასე რამ გაგახარათ!..





ნათელა — დამიწუნესო... ხომ გაიგონე, —
 კარგი მოგვივა, კარგი რამა ხარ.
 დათუნიათი თავს მოიწონებ? —
 გერჩია, სულაც არ ვეტრებახა.

(ჯაბა და არჩილი ახლოდგებიან)

ჯაბა — აბა, ქალებო, გზა მშვიდობისა!
 არჩილი — მე ერთი ვილაც თვალში მაკლია.
 სულიკო — დავხვდებით, ალბათ, აქეთობისას,
 აქვე მახლობლად მისი სახლია.
 არჩილი — მამ მარტო თქვენი თანამგზავრი ვარ?
 სულიკო — არა, ჩემი და იასი... დიას!
 არჩილი — ჩანთა? ღმერთმანი, არსად არ მივალ.
 ჯაბა — რა მოხდა?

არჩილი — ჩანთა იქ დამიგდია.
 ალბათ იმიტომ, რომ ვარ ცალხელა...
 თუ, ონავრებო, თქვენ დამიმაღეთ?

ჯაბა — ვატყობ, რაღაცის უნდათ გამხელა,
 შემოგყურებენ პირ-მომღიმარედ.

სულიკო — ის ჩანთა უკვე შინ არის, არჩილ.

არჩილი — როგორ?..

სულიკო — იყო, და არა იყო რა...
 თქვენ რომ იქ ჯაბას ესტუმრეთ, მაშინ
 კმარა აქ ცხენით ჩამომიქროლა!

არჩილი — მართლა?

სულიკო — წავიდეთ... ბოდიში თქვენთან,
 ნუ დამიწუნებთ შველას უმცირესს...

არჩილი — წავიდეთ... ჩანთა ბეჭებს მატკენდა,
 მას კი უნავირს არ დაუძძიმებს!
 (მიდის).

მეორე სურათი

ჯერ ისევ დღეა. ლევანის დედა ელისაბედი ზუმდ ზუხართან საქმიანობს.
 ოთახის კერას და კედლებს ჰკიდია ვაშლი, მშალი და ყურძნის მტყენები.
 სხვა ოთახიდან სიმღერის სხა იმის სულიკო, ჩიტოლია და ქუქუნა შუა კა-
 რებს შემოაღებენ. წამით გამოჩნდება ვაშლილი სულჯა.

ქუქუნა — ვიწვი, მიშველეთ, მომწონს არჩილი.

ახ, როგორ შეენის რომ მოიღბინა!

ჩიტოლია — დვას ქადარევით ბეჭებავშილი,
 არა?

ქუქუნა — სულიკო აქ არის, ფრთხილად.

ჩიტოლია — ო, მართლა!

სულიკო — მე რა გასათხოვარი
 გოგონა მნახეთ, კუდიანებო, —
 იცით, ვისგანაც აქვს სახსოვარი,
 ვინცა სთქვა — თვალებს ვუბრიალებო!

ჩიტოლია — თვალწარბი მართლაც მჭონდა იმედად,
 მოვმართე კიდევ, როგორც მშვილდები...



მაგრამ, დამასწრო, მან გამიმეტა
 და აწ ვერასდროს ვერ დავშვიდდები!
 ქუქუნა — ლევანის ღეღამ თუ მოგკრა თვალი,
 შენს ოთახიდან გამოგასახლებს,
 უკვე პატარძლად გიცქერის ქალი.
 მორჩია... არჩილი ხელს ველარ გახლებს!

ჩიტოლია — ვაჟკაცს ვხედავ და როგორ არ ვაქო?
 ლევანს კი ვიცი ვიხლოდ სურათით...

ქუქუნა — გინდათ ორორი მოიმარაგოთ?
 ვაიმე, როგორ გამიგულადდით!
 მე კი ერთადერთ სკამს დაენატროდი
 და იმ სკამზედაც დასვა სულიყო.

ჩიტოლია — ნეტავი თვალში შენ ჩაეარდნოდი,
 და ეს კი ჯაგერით გაბასრულიყო.

სულიყო — მე თუ არჩილის მახლობლად ვზივარ,
 გულს ვგ ამბავი ნუ დაგიღონებთ...
 ვანა მე თქვენზე უკეთესი ვარ?
 ჩვენი ბავშვობის დღეებს ვიგონებთ!

ჩიტოლია — დიახ... ბავშვები ჩვენც აღარა ვართ,
 კრიმანჭულებით არ მოვსტყუვდებით,—
 თუნდ მისწრაფების დასაფარავად
 ხელზე ორთავეს გედოთ ხუნდები.

ქუქუნა — ახ, გეფიცები... ვერ ხედავ თვითონ?
 კაცი აშკარად მოგიხიბლია...

სულიყო — ვაი, რას ამბობ?!

ქუქუნა — არ იცი ვითომ,
 რას ინაბები როგორც ნიბლია!

ჩიტოლია — ნიშნი მოგვიგო, დაგვეცინის, დაო,
 და ომის დროსაც გვართმევს ყმაწვილებს...

სულიყო — კი არ დაგცინით და ვი არ ვლაობ,
 ეჭვიანობა თქვენი მაცინებს!
 გული გატყუებთ, ჩემო კარგებო,
 ტყუილ-უბრალოდ იქმნით იმედებს,
 გული გატყუებთ, და საგანგებოდ
 მაინცდამაინც თავს ნუ იმეტებთ.
 ვესმით? თვალები ნუ გენისლებათ,
 არც სატრფოს ეძებს და არც საცოლოს!

ქუქუნა — რა კეკლეცია!.. არ შეიძლება
 მაშაკაცს თავი არ მოაწონოს!

ჩიტოლია — ნაპერწკლად თავს ნუ იპატარავებ,
 გამხნვედი, ცეცხლად უნდა აგანთო:
 არჩილმა, თვითონ, მოსვლისთანავე
 გულისნადები თითქმის გამანდო! —
 ვფიცავ... არ მსურდა სულაც გამხვლა,
 სული მხდებოდა ამის მალვაში:
 სახელით არვინ დაასახელა



შაგრამ, არაკად ვილაც ქალვაგი,
შესაფერისნი გასაკვირველად,
ტრფილის ისრით დაისრულია!..

ქუქუნა — ჰო და, ვინც შეხვდა, ალბათ, პირველად
ისარიც მასზე გამიზნულია...

ჩიტოლია — ზემთაში იგი თქვენ თუ გეძებდათ,
თქვენც შეგიძლიათ გული გაიპოთ...
მე კი მგონია, ბრძოლის ველზედაც
ეცალათ ჩემზე სამუსაიფოდ...

ქუქუნა — ახ, ესე იგი, მხოლოდ შენა ხარ
მათი ოცნება და სიყვარული!

(დაცინვით)

ჯერ ლევანს ერთხელ მაინც ენახა,
ასე რომ ჰქნება ეს დაგვაღული...
საიდან გვივლის, ქალო, ხომ მიხვდი...
ვაი, რა ჩუმი ტურა ყოფილა!...

სულიკო — ვაი თქვენ არა, თქვენ არ მომიკვდით...
ეს რაა!.. როგორ გამოწყობილას!
(შენიშნა ახლადშემოსული დათუნა)
ვაი ჩემს თვალებს!

ქალები — რაა, რა მოხდა?

სულიკო — დასტკბით, მობრძანდა ჩემი დათუნა,
ასეთი კარგი, ასეთი კოხტა
ციდან რა ღმერთმა გადმოგახტუნას!
თქვი, ასე მოსვლა როგორ გაბედღე,
არ დაგინახონ, არ მომქრა თავი,
რას ჰგევახარ-მეთქი, ბამბა გაპენტე?
ვინ აგახია ზურგზე ეგ ტყავი...

დათუნა — ტყუილ-უბრალოდ ასტეხე შფოთი,
მუშა-კაცს განა ასე სდევნიან?

სულიკო — სთქვი, აქ სირცხვილის საქმელად მოდი?

დათუნა — არა. ვოკის ხორცს ვჭამ, მიჩრევენია.

სულიკო — არ გეხუმრებდი!

დათუნა — რა გინდა აბა?

ჩიტოლია — რას ერჩი ამ კაცს?
სულიკო — აქეთ გამოსწი!
გაბრუნდი შინ და ჩაიცივი სწრაფად
შენი ახალი ტანისამოსი...

დათუნა — უნდა ჩემქმებიც გამოვიცვალო?

სულიკო — ჰო. აქ ხალხია პატივეცემულე.

დათუნა — შეიდი ბათმანი ლობიო, ქალო,
ამ გაზაფხულზე მაქვს მიცემული.

(მიდის)

სულიკო — ისწრაფე-მეთქი, არ გესმის, კაცო!
ლობიოს მართლა ჩემმა რად უნდა?



ვცილობ რომორმე კაცს დავამსგავსო,
 ეს კი ქალამნით ამოფლატუნდა...
 ე უ ე უ ნ ა — ახ, ჩიტოლია, ხედავ რა ხდება?
 ქმარიც კი მაგის ნებაზე დაბტის...
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — უთუოდ ხელში შემოაკვდება
 ან აზნაური გახდება... ტახტის.
 ს უ ლ ი კ ო — თქვენ მუდამ ტახტი ნუ გესიზმრებათ,
 თქვენ არ გაწუხებთ მისი ჭრიალი...
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — ამ ქალს სიტყვები ხდება ისრებად.
 ს უ ლ ი კ ო — დღეს საგანგებოდ ხართ გესლიანი.
 ე უ ე უ ნ ა — ვერც გულისმოსვლით ვერ გაგვაოცებ,
 ღმერთო, ეწყინა და მოიღრუბლა...
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — მოდი მაკოცე და მეც გაკოცებ.

(შემოდის ბაადური)

ბ ა ა დ უ რ ი — ბიჭოს! ამისთვის დასტოვებ სუფრა?!
 ერთმანეთს ახლა პირველად ხედავთ?
 რა ამბავია? რას იკოცნებით...
 ე უ ე უ ნ ა — სტუმრის დაკოცნას რომ ველარ ვბედავთ,
 ტუჩი გვისკდება ჩუმი ოცნებით.
 ბ ა ა დ უ რ ი — ო, დამსკდარ ტუჩებს ავნებთ მალამოც,
 ეს ბავშვობიდან ვიცი ზეპირად, —
 თუ მოსარჩენად ყოველ საღამოს
 ულვაშის ჩრდილი არ დაეფინათ.
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — გესმით? რა უცებ გაგვიზიარა
 ძველთა ულვაშთა გამოცდილება...
 ახლა ულვაში წამლად კი არა
 მათ არ აჩნიათ თვითონ ჩრდილებად.
 ბ ა ა დ უ რ ი — იცით, რას გირჩევთ?
 ჩ ი ტ ო ლ ი ა — რას გვირჩევ ისეთს?
 ბ ა ა დ უ რ ი — მიხედვით სტუმარს, არ მოიწყინოს, —
 თქვენ თუ მახლობლად არ იკისკისეთ,
 კრიჭა შეეკრა, აღარ სვამს ღვინოს...
 და კვლავ დაკოცნით მხოლოდ ერთმანეთს,
 ვგრობობ, საქმე ამით დაგვირგვინდება.
 თუ არჩილს თავი არ მოაწონებთ
 თვალდახელშეა გაგიფრინდებათ!
 მე ავამღერო სუფრა, ბებერმა?
 მოდით, მიშველეთ, ხართ დედოფლები...
 თორემ ლიპარიტ-მეაფთიაქემ —
 სულ გაგვაბრუა საგალობლებით.

(სულიკოს)

შენ მაინც ღვინოში არ გყავს მოცილე,
 შემოჰკარ დაირს, ასტებე ტაში!
 ჩემს მეზობელზე დაგაქორწინე,
 შენთვის უღრანი გაგვაფე მთაში!

და ვალს არ მიხდი?... უხერხულია...
გასწითი..

(სამთავეს მეორე ოთახში გაყარის, თვითონ ელისაბედს დაუბრუნდება)

შენ რაო, რას იმალები?

იცოდე, მამის გულიც გულია
და მეც მიბრწყინავს ცრემლით თვალები!
მაგრამ შეილსავით შევხარი არჩილს,
მინდა ოჯახში სინათლე სრული
და ახალბიე ჩაეციე ფარჩის,
რომ საზეიმოდ გაბრწყინდეს გული!
დღეს შეილის ამბით ზომ გაგვხარა,
ვახაროთ ჩვენი მახარობელიც!
გადავივარცხნოთ კოხტად ჭაღარა,
რომელი ვჯობნით, აბა რომელი!..

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — უი, შემოვა ვინმე, რას შვები,
არ წამიკიდო ცეცხლი კაბაზე...

ბ ა ა დ უ რ ი — მე შენს ნაპერწყლებს ვეთამაშები
და მართლაც დამწვავ, თუ იკაპასე.
დღეს ვაქცაობას ვჩემობ ბებერიც,
განა შენსავით ვარ მოღრუბლული...
ცულ ამბავს ჩუმი ჯავრი შეგფერის,
კარგ ამბავს მხოლოდ კარგი სუფრული!

(გადის)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (კარებს მიუხურავს ჩუმად. დგას ჩაფიქრებული)
ღმერთო, ღიმილმა თუ გაგვიღევა —
შენ სიხარულად დაგვირგვინე,
ელვა-ქუხილით ისე იგრგვინე,
იძრწუნოს მტერმა გადამთიელმა!
ღმერთო, ნუ აშლი არწივთა ბუდეს,
მთებს არ დაადგა მტრის ტახტრევანი...
მარჯვედ აბრძოლე ჩემი ლევანიც,
რომ გამარჯვებით შინ დამიბრუნდეს!
ო, გამანათე შეილის დიდებით,
ალალმართალი ბიჭია ერთი,
იმისი ლაღად გაშლილი მკერდი
მე არ გაეფურჩქნე? — ჩემის თითებით...
მინდა მან მხრები დამაკოცინოს,
ვუსკვნა გვირგვინი, როგორც გვჩვევია! —
მე, საპატარძლოც ამირჩევია,
დროა ვაქცაი დავაქორწინო!
როგორც ვარსკვლავი რამ საიმედო
აღვზარდე იგი წვითა და დავვით...
მაცოცხლე ჩემი ლევანის ნახვით,
გულისხმიერო, არ გაიმეტო!

(შემოდის დათუნა ახლადგამოწყობილი)

და თ უ ნ ა — ბიცოლა ჩემო...



ელისაბედი — შენა ხარ ბიჭო?!

მე კი აქ ჩემ თავს ვესაუბრები...
გიჭირს იქ ფეხი რომ შეაბიჯო?
მიდი, გიცდიან კიდეც, სტუმრები.
ასეთი კარგი ტანისამოსი
ვანა ზანდუკში უნდა ჩაეცტო,
გზატავს... თვალი ხარ ამ საღამოსი...

დათუნა — (ადგილიდან ფეხს არ იცვლის)
იქნებ სულიკოს გამოახედო.

ელისაბედი — ღმერთო მომკალი...
(კარებიდან სულიკოს ანიშნებს)

დათუნა — რა ვქნა, ბიცოლა,
ვერ გამამხნევებ, რაც უნდა მაქო,
თუ ცოლმა ისევ არ მომიწონა,
რალა ვქნა მაშინ, რა ვიეშმაკო?!

ელისაბედი — შე გასაქრობო, იმ ქალმა ასე
როგორ დაგაფრთხო და დაგაშინა!

დათუნა — გამოქრო ეშხი და სილამაზე,
ცეცხლი ვიყავი, დამანახშირა...

სულიკო — (გამოდის)
აქა ხარ? აბა მაჩვენე თავი...
ბიცოლა, ხედავ? კაცს დავამსგავსე.

ელისაბედი — ნუ შეიწირე ეგ საცოდავი...

დათუნა — ცოდვით საესეა ხომ? ცოდვით საესე!

სულიკო — შევიდეთ. ქამარს ვერ შეისწორებ?
რაო, პერანგზე პერანგი? ღმერთო!

დათუნა — ვერ ავირჩიე რომელი, თორემ...

სულიკო — დაჩუმდი მაინც, შე გლახისერთო!
(გააღებს კარებს და კარებთანვე შეტრდება, — სუფრას გატაკებით ეწ
უნა უმღერის)

ამას ლუკურეთ რა ამბავშია! —
იხელთა დრო და უმღერის კიდეც...

დათუნა — ენას იჩლიქავს თითქოს ბავშვია...
ვაიმე...

სულიკო — ვაი შენს გადაამკიდეს.
(მიხურავს კარებს)

დათუნა — რას მჩქმეტ!

არჩილი — (მოულოდნელად გამოვა)
მე მგონი შეგაკრთეთ, არა?

სულიკო — არა, რას ბრძანებთ... აი, ეგ არის...

არჩილი — ვინ? თქვენი ქმარი? მიგიხვდით, კმარა...
მომწონს ვარდიც და ვარდის ეკალიც.

სულიკო — იცნობდეთ, არჩილ, ჩემი ქმარია.

არჩილი — აკი უთქვენოთ კიდეც ვიცანი.

დათუნა — თ!

სულიკო — სული ჩემი მას აბარია.
ეს არის ჩემი დასაფიცარი.





ა რ ჩ ი ლ ი — წარბი რატომღა ავითამაშდათ?
 უღმობელია ვატყობ, ეს ქალი, —
 თუ გაეკარე დაგწავეს ანაზღად,
 თუმც იფერფლება, ვით ნაკვერცხალი!
 ვსტყუი თუ?

და თ უ ნ ა — რომ სთქვას სიმართლე კაცმა,
 მეც აგრე ვფიქრობ და ვერიდები, —
 ცოლი არ იყო — თვალები დამწვა,
 ცოლად ვითხოვე, — დამწვა თითები!

ა რ ჩ ი ლ ი — ასეთი იყო მახსოვს მაშინაც —
 ქალაში ერთად რომ ვკენჭაობდით...

ს უ ლ ი კ ო — კაცები არ ხართ, რამ შეგაშინათ,
 გამტკიცდით თქვენი გამბედაობით!

ა რ ჩ ი ლ ი — ხომ გესმით, გვიწვევს საფარიკაოდ.

ს უ ლ ი კ ო — გულს გაუფრთხილდით გაიკენწლებით!

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცით ჩვენ, თქვენთან როგორ ვიდაოთ...

ს უ ლ ი კ ო — მაშ ითათბირეთ, მე გაგეცლებით.

ა რ ჩ ი ლ ი — დაიცათ, ქალო...

ს უ ლ ი კ ო — ამ წუთას, არჩილ.

ა რ ჩ ი ლ ი — მაშ ამ ბუხართან მეტ ვიფუსფუსებ.

ს უ ლ ი კ ო — თქვენ სათათბიროთ დათუხთან დარჩით.

სულ აქ არა ვარ? მოვიფრენ უცებ.

(არჩილი და დათუნა წამით მარტო დარჩებიან. დათუნა დგას მოშორებულად. გრძნობს უტერზულობას, ეტყობა რომ ახალი ჩეკმები ფეხზე უტერს).

ა რ ჩ ი ლ ი — (თავისთვის)

ჰმ, ლევანს მოვკლავ. სულ გამაბრუეს

დღეს ამ ქალების თვალწამწამებმა...

რა მოვაგვარო...

(წიშართავს ლევანის სურათს, რომელიც ბუხარზეა ჩამოკიდებული)

ხომ მოხვალ თვითონ,

ერთზელ მეც ვნახო შენი წამება...

(სულიკო შემოდის)

სოფლად მუშაობთ?

ს უ ლ ი კ ო — ჩვენი წევრია,
 თუმცალა შრომით ოფლს ეგ არ იშრობს...

ა რ ჩ ი ლ ი — აჰა, უთუოდ ენამჭვერია —

სხვა მუშაობს და ეგ ანგარიშობს!

და თ უ ნ ა — ასეა, ხალხის ენისწვერზე ვარ,

შურით მიცქერის და განცვიფრებით, —

მაგრამ, სკასავით მაინც მესევა,

რომ დავაუბრო ჩემი ციფრებით!

ა რ ჩ ი ლ ი — ომს გადაურჩი?

და თ უ ნ ა — რა ექნა, ბატონო,

აღმომიჩინეს გულისფრიალი...

ა რ ჩ ი ლ ი — მაშ ქალებს თავი არ მოაწონო,

ტყვიანზე უფრო გულს ჰკლავს ტრფიალი.

ს უ ლ ი კ ო — ამ მხრივ სასტიკად მყავს დაჯავშნული,
ფრჩხილიც ვერავინ ველარ გვატყინოს...
ა რ ჩ ი ლ ი — თქვენს იავ-ნანას, ჩემი ლაშქრული
ლოცვა-კურთხევა შეეხმატბილოს!
ს უ ლ ი კ ო — მადლობა მაინც ვთქვათ, დათუნია...
(არჩილს)



თვალთ მაკვიტი ხომ არ ხართ?
ა რ ჩ ი ლ ი — თითქმის!
(შემოდის ლიპარიტ-მეფეთაძე, უკანასკნელ სიტყვებს უღრს მოკრავს)
ლიპარიტი — თვალთ მაკვიტი რა ქართულია?
სიტყვაკაზმულად აგრე არ ითქმის...
ს უ ლ ი კ ო — ოჰ, ჩვენს ლიპარიტს ყოველი სიტყვა
თავის სასწორზე აქვს აწონილი.
ძველი კაცია, აქ აფთიაქიც
ჰქონია ერთ დროს.

ა რ ჩ ი ლ ი — მაქვს გაგონილი.
ლიპარიტი — თქვენ განათლებულ კაცთან საუბარს
ვერც მოახერხებთ, მე კი ვნატრულობ.
სიტყვამ გულს გული უნდა აღბას...
მიყურეთ, როგორ მივეუქართულო:
რად განერინეთ, არჩილ, სუფრასა?
გულმან ხომ თქვენმან რეჩხი არ გიყოთ?

ა რ ჩ ი ლ ი — რა დამპართინია?
ლიპარიტი — ტკბილ-მოუბარსა
არ ძალგიძთ ლხინზე ხელი აღილოთ.

ა რ ჩ ი ლ ი — არ ვიცი, მაგრამ ალბათ, მასეა...
მასპინძელივით მართობს ბუხარიც.
ბუხარი სოფლის სილამაზეა,
გული ნაკვერცხლის გულსაც უხარის.
იცის რომ უკვე ბერიკაცი ვარ...

ელისაბედო — დაქრილ მკლავს დაპკრა სიცივემ ალბათ.
ა რ ჩ ი ლ ი — არა, დედაო, მკლავს კი არ ცივა,
შშობლიურ კერას ესწრაფის ხარბად.

ელისაბედო — ყოველთვის ასე იცის გაპარვა,
ხელს აღარ მიწყობს სულ ჩიტოლია...

ს უ ლ ი კ ო — ბიცოლაჩემო, მე კი აქ არ ვარ?..
(გმარება)

ა რ ჩ ი ლ ი — სულიყოც თითქმის მისი ტოლია.
ლიპარიტი — თქვენ არ გაშორებთ თვალს ტოლუმბაში,
პატიეს მიიღებთ მყისვე იცოდეთ!
ა რ ჩ ი ლ ი — როცა მოწყენა შემატყოთ ხმაში, —
ყანწებიც მაშინ გამომიწოდეთ...
ჯერ აქ ბუხართან მსურს მოვილხინო,
ეს უფრო ძნელი დასათმობია...

ელისაბედო — უი, სკამს მაინც მოგართმევ, შეილო.
ა რ ჩ ი ლ ი — დაბალ სამფეხა სკამს რა სჯობია!
კაცი ცხოვრების სიტკბოს თუ ეძებს,



ასე ფეხმორთხმით, მამა-პაპურად
ცეცხლს უნდა უჯღღეს, მიხედოს კეცებს...

ელისაბედი — უი, რას შვებით, შვილო, გაგმურავთ!

არჩილი — არ იქნა, ჯერაც არ შემიზორცდა, —
მგლის ნაკბენია, თუ ნატყვიარი?!

ელისაბედი — უნდა აცალოთ.

არჩილი — მომწყინდა მოცდა
ბავშვსაეით ვუვლი მთელი თვე არი.

ელისაბედი — ასეთი გულის არის ლევანიც,
ერთმანეთს ასე რამ დაგამგვანათ!

არჩილი — მტერს ერთი გულით შევხვდით ყველანი,
გამოწროთბილნი სხვადასხვაგვარად.

მეც ლევანივით მეგონა, დედავ,
დავიშვინებდი მკერდს ვარსკვლავითა...

მაგრამ, მოვედი აქ როგორც ხედავთ
მკერდზე დაკიდულ დაქრილ მკლავითა!

ელისაბედი — ეგ მიიჩნიე ბედის ვარსკვლავად,
და, შვილო, ბედს ნუ დაემდურები...

ვაი, თუ ჩვენდა გულმოსაკლავად
ხართ ომში აგრე გაბედულები...

არჩილი — გულს არ მოგიკლავთ, არა, დედაო,
ბრძოლის ველიდან მოვალთ დიდებთ...

შვილებს კი მაშინ უნდა გვედაო,
მტარვალთან ომს თუ მოვერიდებთ...

ამას გეტყვოდით მისი ბარათიც,
გულისფანცქალით მუდამ რომ უცდით...

(ლოპაროტი-მეადითიაჭეს და დათუნას მიმართავს შემოსვლისთანავე)

სულციკო — რაა, თქვენ მაინც იცით ალათი,
ქართულ სუფრაზე თითქმის მოხუცდით.

ლიპარიტი — ო, ჭეშმარიტად... მგონი საკმაოდ
ვიმასლაათეთ, არა, დათუნა?

სულციკო — იქ ბაადური ჯაერობს უთქვენოდ...
დათუნა, რაა, რამ მოგადუნა?..

(ლოპაროტი გადის, დათუნაც თან გაჰყვება. არჩილი აგრძელებს თავის საუბარს)

არჩილი — ო, ჩემო დედავ, ვერ ვხედავ განა,
მისი იმედით სული რომ გიდგათ,

მე კი არავინ აღარ მყავს, არა,
ჩემი ბარათი ვის წაეკითხა!

სულციკო — რას ამბობთ, არჩილ, აქ არ ვიყავით?
დაშორებულიც ყველას გვახსოვდი.

არ დარჩებოდა წაუკითხავი,
თქვენს სულისთქმაში სულს ჩავაქსოვდით.

არჩილი — თქვენთვის ზომ უცხო ვაჟკაცის სევდა
შავი წამწამის ერთი ბეწვია...

დიდია ფიქრად, თუ გაგახსენდათ,



თუ საღიმილოდ მაინც გეწვიათ.
 არა... ხანდახან მტრის არჩევანი
 ყველაზე უფრო სანდო ყოფილა.
 მან შემახვედრა სწორედ ლევანი
 და საუკუნოდ დამამობილა.
 მან ტყვიით დაგვჭრა და უნებლიედ
 შეგვეყარა ერთად ორი ქართველი, —
 თქვენზე ოცნებით ტყვილი ვძლიეთ,
 დრო მოვიკალით ფიქრთვასართველი!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — წამოგეყვანათ როგორმე ძალით,
 ჩემი ვაჟკაციც მენახა ერთი!..

ს უ ლ ი კ ო — იცით? ბიცოლას აქ პატარძალიც
 ჰყავს შერჩეული...

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცი, მას სწერდით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — მასწავლებელი ქალია, შვილი.
 ჩვენ შევიკედლეთ, მივეცი ბინა...
 ყველას ჩემსავით მოსწონდეს ვცდილობ.
 მივეწერე, გულმა ვერ მომიბინა.

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცი, ლამაზი ქალი იქნება
 ის, დედის გულმა ვინც აურჩია...
 მაგრამ ლევანმა...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ნუ ვეფიქრებათ
 ლევანი განა დედის ურჩია!..

ს უ ლ ი კ ო — ლევანთან თქვენც რომ გვიმოციქულოთ...

ა რ ჩ ი ლ ი — არა, ახ, არა, თქვენ გენაცვალეთ!
 თქვენს მოციქულად მე არ მიგულოთ,
 მთელიან ავთვალად და ენამწარედ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ახ, ბაადურმა რომ შემომისწროს,
 მომეკლავს...

ა რ ჩ ი ლ ი — ნუ სწუხართ, ლევანიც მოვა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ცეცხლს მიმიხედე...

ს უ ლ ი კ ო — ნეტავი იმ დროს,
 როცა ჩაქრება ეს ჩემი გლოვა!
 რაა ბიცოლა!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რა ვქნა, არჩილი
 მე შაბათებს ამ გულჩვილობას...
 (დოქით ხელში ვადის აივანზე)

ა რ ჩ ი ლ ი — მიწაზე მზესაც დაჰყვება ჩრდილი.
 დარდი — მით უფრო დედა-შვილობას.
 (არჩილიან მარტო დარჩენილი სულიყო უხერხულობას ვრწმუნებს)

ს უ ლ ი კ ო — ლევანს ველოდით, არ ჩამოვიდა,
 თუმცა თვითონვე გვეწერდა — მოვალო...

ა რ ჩ ი ლ ი — გამარჯვებული მოდის ომიდან,
 და მთები მღერით ავანმოვანოთ!

ს უ ლ ი კ ო — ნეტავ!..



არჩილი — შენ მხოლოდ ლევანზე დარდობ,
არჩილი სულაც არ გეფიქრება?

სულიკო — არჩილს ჩემს ალალ ფიქრს როგორ ვანდობ.

არჩილი — ხოლო არჩილიც თუ შორს იქნება?

სულიკო — ვერ მათქმევიანებ გულისთქმას ძალით.

არჩილი — უთქმელი გული უფრო წრფელია. —
მრავალ ფიქრს მალავ, მაგრამ ეგ თვალი
მინც ანკარა წყაროსფერია!

სულიკო — ჩემად, ყური აქვთ ალბათ კარებთან.

არჩილი — გახსოვს? უწინაც ასე მშინშრობდი!
შიშით წამწამი გიკანკალებდა,
ვევონა მზერით ამოვიშრობდი!..

სულიკო — უშინშროების ახლაც არ მჯერა!

არჩილი — არა, სულიკო...

სულიკო — მზერამ გაგართო...

არჩილი — მახარებს შენთან მარტო დარჩენა.
და საიდუმლო მინდა გაგანდო...

სულიკო — ახ, საიდუმლო?

არჩილი — გეტყვი, დამაცა,
ვშიშობ, გამხელით არავის ვავნო...
მე ვერ ვახერხებ და დედმამასთან
იქნებ, სულიკო, შენ მიმეზნავენო...

სულიკო — მივხვდი... ლევანმა ხომ დაგავალა?

არჩილი — გესურს მოხდეს გულის გაუქაწრავად.

სულიკო — მერე? არ მოგწონს, თქვი, ჩიტოლია...

არჩილი — მე? ჩიტოლია?!

ჩიტოლია — (მოულოდნელად შემოაღებს კარებს)
ახ, უკაცრავად!..

არჩილი — მე რა თქმა უნდა... ვაი რას ვამბობ!..

სულიკო — ხედავ, ჩიტუნამ სული განაბა.

არჩილი — მგონი მეც აგრე სჯობს გავინაბო.

სულიკო — რას დაფაგვსდეფეფ. რა ვიფინდაფა?...

ჩიტოლია — გაფაქმიფინდე მათაინც ხმაფა!
მინდა გაგთიშოთ ერთი საბაბით...

სულიკო — ო, მართლა, არჩილ, სტვირს უკრავს მამა!..

ჩიტოლია — (სულიკოს ჩუმი გულისწყრომით)
დაფაგავაფხრობ... ამ ყელსაბამით.

(სულიკო სახილვს დასტაცებს ხელს და სიცილით სუფრას მიმშრებს.
ჩიტოლიაც აპირებს თან გაყვეს)

არჩილი — (თავისთვის)
ეს იფიაფა რას მომიგონეს?!

ჩიტოლია — არ მოხვალთ არჩილ? არ გსურთ გვიგულოთ?

არჩილი — ლევანმა ცოცხლად ჩამკიდა თონეს,
მე თვითონ ვხდები სამოციქულოდ.

(კარებთან ჩიტოლის შეჩერებს)

თქვენ ჩიტოლია...

ჩიტოლია —

რა გსურდათ არჩილ?

არჩილი — სჯობს ისევე თვითონ იქვე გაგიმზილო...
გეტყვიტ პირდაპირ... გთხოვთ მოემზადოთ...

ჩიტოლია —

ახ, სამწუხაროდ თუ საღიმილოდ?

არჩილი — ღიმილი უფრო გშვენიო...

ჩიტოლია —

ხომ ხედავთ,

ტუჩებს ღიმილით თავს ველარ ვუყრი.

არჩილი —

მამ, აქ, ლევანი ხვალ რომ გვესტუმროს,

არ შეერთეთ, როგორც უმწეო ნუკრი...

ჩიტოლია —

ვიცი რაც გინდათ, მითხარიო...

არჩილი —

მაგრამ

იცით? იქ ფრონტზე რომ იქორწინა?!

ჩიტოლია —

(შეერთობით)

ახ, აი თურმე ბრძოლის ველიდან

არჩილი რისთვის გადმოტყორცნილა!..

(მოულოდნელად)

რა ვუყოთ...

არჩილი —

აბა, გთხოვთ ჩიტოლია...

ჩიტოლია —

ახ, არა, თხოვნა არ დაგპირდებათ...

მუდამ ღიმილით ეუსმენდი მოხუცთ.

ის, რაც არ ლელავს, არც დამშვიდდება.

(მადური გამოდის სტუმრებიც თან გამოკვეთიან. ლიპარიტს ღვინით სასუე ჭიკები მოაქვს თიფშზე უცხოლ დაწყოზილი. მოართმევს არჩილს).

ბაადური:

(სტვირზე ამღერებს)

შაირ სიტყვითა მესტირემ

ღმერთი მალაღ ასხენა...

ღმერთმა მისცეს გამარჯვება,

დავულოკოთ მას მარჯვენა! —

ვისაც ჩენში ფეხი უღვას,

ესმის ჩენი დედა-ენა,

ვისაც ჩენი შიფი უყვარს,

მდინარეთა მადური ღენა, —

ვინც ერთგული არის ჩენი,

ორგულობა შეაქვენა, —

ვინც გმირული თავდადებით

მოგვანიჭა შეება-ღენა! —

ვინც ბრწყინვალე მომავლისთვის

ფევაწყო და ფევაშენა! —

ღმერთმა იმას გაუმარჯოს,

დავულოკოთ მას მარჯვენა...

(მიმღერას თან ახლავს საერთო

სიხარული)

ცხრაას ორმოცდა ორი წლის

ოცდაცხრა ნოემბერია,

შოუბს კი უკვე გაზაფხულის

ნიაექარი მომბერია.

შოა ვერ დასცეს მტარვალებმა,

თუმც თმა-თეთრი ბებერია,

ჩრდილოეთის ქარიშხალის

შეკრდით შემმაგრებელია!

ჩენი ბედის ვარსკვლავს ვიყნობთ,

მისთვის თვალში გვიცქერია,

მისი გვარი და სახელი

ენის ძირზე გვიწერია.

მღერით სამჯერ გაგახსენეთ,

ისე არ გამოიშველია...

გესმით? სტვირი სულს რომ ითქვამს

მისი ხმებიც იმღეროან:

(სტვირის ხმა სტროფებს იმეორებს)

ყველანი:

(სტვირის ხმას აყვებიან)

ცხრაას ორმოცდა ორი წლის

ოცდაცხრა ნოემბერია.

შოუბს კი უკვე გაზაფხულის

ნიაექარი მომბერია!

ბაადური:

შოა ვერ დასცეს მტარვალებმა,

თუმც თმა-თეთრი ბებერია

ჩრდილოეთის ქარიშხალის

შეკრდით შემმაგრებელია!

არჩილი —

ეგ ხომ არც ზმაა, არც გამოცანა,

აქ მისახვედრი არაფერია...



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მე შენ უბრალო დიმილზეც გატყობ,
 დიმილსაც მისი შუქი ჰფენია!
 ბ ა ა დ უ რ ი — მას გაუმარჯოს, ვინც ჩვენი ხალხის
 ვერაგი მტერი მოიგერია!
 ყ ვ ე ლ ა ნ ი — მას გაუმარჯოს...
 ა რ ჩ ი ლ ი — ეს გამარჯვება
 კავკასიონის მკერდზე სწერია.

(საერთო სიხარული. პაუზა)

ბ ა ა დ უ რ ი — ეხ, თითქმის ორი წელიწადია
 ჩემს სტივრს ხალისით არ დავლილინებ, —
 დღეს კი მოლბენა ისე მწაღია,
 თითქოს ლევანი თვალით ვიხილე...
 გ ი ვ ი — დაუქარ გულით, დაუქარ, მამა!
 ა რ ჩ ი ლ ი — ამ გოგონებსაც ქება უთხარი, —
 ისე დაატკბოს საზანდრის ხმამაც,
 როგორც ყვავილებს ატკბობს ფუტკარი!..

ბ ა ა დ უ რ ი:
 (ისევ ამღერებს სტივრს)
 ფარბებით წამოვსულვარ,
 სოფელ-სოფელ ასე ვმღერი...
 თქვენი სახელი მბოძეთ,
 ვატყობ, დადგა თქვენი ჯერი.
 (სხვადასხვა სახელს აწოდებენ)
 სახელი რომ გავიგონე
 ახლა კი მომეცა ფერი:
 იღვგრძელე, ჩემო არჩილ,
 იყავ მუდამ ბედნიერი.
 თვალად კაი ბიჭი სწანარ,
 კობტად გაგებარსავეს წვერი,
 მაგრამ უღვაშს რას ერჩილი?

შეგენახა ერთი ღერი!
 დასაფიცად იფარებდა,
 თუ არ იყო ენგისღერი.
 გამოხედვაში გეტყობა,
 იქნები ქალების მტერი!..
 ბიჭო, ჰეზაც გამიგონე,
 გულშემკრთალი ნუ მიტყერი. —
 ჩემს ოჯახში რომ შემოიდი,
 ცად ასწიე ოდის ჰერი.
 ჩვენც გავიგეთ, მამულისთვის
 ომში როგორ დაიჭერი, —
 ცაში ღმერთი ვადღვგრძელე,
 და მიწაზე შენი ერი.

(საერთო აღტაცება).

ქ ა ლ ე ბ ი — ჩვენც გამარჯვებას გილოცავთ, არჩილ...
 ს უ ლ ი კ ო — დღეგრძელი იყოს!.. არა? დათუნა.
 დ ა თ უ ნ ა — (მხოლოდ ეხლა გამოერკვა)
 სადღეგრძელოა? ახლავე დავცლი...
 ს უ ლ ი კ ო — დათუნა, რაა, რამ მოგადუნა..
 გ ი ვ ი — კიდევ უმღერე, უმღერე, მამა!
 ა რ ჩ ი ლ ი — არა, ეუუუნა უნდა გავლექსოთ,
 თორემ სუფრაზე სულ გაინაბა.
 ბ ა ა დ უ რ ი — აბა, განაბვით მივეალერსოთ.
 ა რ ჩ ი ლ ი — გივი, აშკარად გვეჯობნის ჰალარა,
 ლხინიც იციან, ომიც იცოდნენ.
 ბ ა ა დ უ რ ი — მე თუ ვერ მჯობნის ჩემი პატარა,
 გამარჯვებულსაც ნულარ მიწოდებ!..
 მაში თოფის სროლით თექვსმეტი წელი
 კარზე მოადგა...

გ ი ვ ი — გაფურბი განა?
 მეც ლევანივით გამოცდას ველი.

ა რ ჩ ი ლ ი — ძმები არიან, ერთმანეთს ჰგვიანან.

ბ ა ა დ უ რ ი :
(სიმღერით)



ისეც თქვენი კება მინდა
შეჭაფება ენის წვერი,
ვინ შევაჭო, რომელია
გულდასვით გასაბერი?
წუწუნას მოვეფერები,
მომწონს ველარ გავუწვერი.
მონადირე დაკარგვია,
დაგოგმანობს, როგორც მწვერი...
ჩიტოლიაც ჩიტუნაა

საპატარძლოდ უკრთის ჩიტუნა
იმედებით შემოფრინდება
გამიხარა დედაბერი! —
ჩრდილში ია დავინახე
მოსაწყვეტად ვადამვერი —
ჩენი სტუმრის გასაგონად,
შოლოდ იმის კებას ვმღერის...
მის ქორწილშიც მოგვმინით,
ჩემი მრავალგამიერი...

ი ა — ვაი!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა იყო, მომგლიჯე მხარი!

ი ა — (ია დამფრთხალი მივარდება ჩიტოლიას)

გ ა... გ ა...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — სულიკო მიუგდე კარი!

რა დღეში არის, ვერ ხედავ ამას?

ი ა — გაგაგამიწყდა ზორტი კაკაბის!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — შემოუჭირე იდაყვი კაბას,

რომ დამკაკანებ, როგორც კაკაბი.

ი ა — მოვეფარ-ფარო ჯერ ამ კარ-კარებს...

ს უ ლ ი კ ო — საბრალოს უცებ ჩამწარდა კება!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მერე და ასე რა გახარხარებს,

ქალი სირცხვილით ფეხზე ვერ დგება...

ს უ ლ ი კ ო — ია მოხდენით ყელს იღერებდა,

ისე ერთბაშად მოითქვა სული,

რომ...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ბაადური შენც გიმღერებდა,

თუ ამისათვის ხარ გაბასრული...

ს უ ლ ი კ ო — ჯიბრს, მეგობრებო, რა მოსდევს დახეთ!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მართლა?

ი ა — გეყოფათ... გა... გამისკვენით!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — არ შემოხვიდეთ, ვინ მოდის აქეთ...

ძ უ კ უ — ძღვენით მოვდივართ, შე ქალო, ძღვენით...

(ფართოდ შემოადებს აივნის კარებს, მხარზე სანადირო თოფი ჰქოლია,
წილზე კურდღელი)

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა არის, ძუკუ, ვერ ხედავ ქალებს?

ძ უ კ უ — ქალებს რომ ვხედავ, სწორედ ის არი, —

რომ ამიფეთქა გულისფიცარი

და მოუთმენლად ის მომაჩქარებს...

ვნახე რომ კაბამ გაიშრიილა,

წელს ისწორებდით? — რა ვუყოთ მერე? —

შე, საიდუმლოს, ქალი კი არა,

მთავრობა მანდობს... და შევიფერე.

ბ უ ხ უ ტ ი ს ხ მ ა — ლაპარაკი!

ძ უ კ უ — ბუხუტი მოდის!

(შემოდის ბუხუტი, დიდის ამბით. შორი-ახლო ელისაბედიც გამოირევს/
ძუკუ მოკრძალებით ბუხუტის მიმართავს)

უდროოდ შემოუხსწარიო!..

ბუხუტი — ო, მანდილოსნებს, უთუოდ,
უნდა ვზღუდით უსტარიო...

ძ უ კ უ — (მოიხსნის კურდღელს და ელისაბედს მიაწოდებს)

ჰა, ეს კურდღელი! დაშვენდეს

სუფრას ეგ ნანადირევიც...

დღეს საბოდიშოდ ეგ იყოს,

ხვალ კი ჯიხვი და ირემი.

ბუხუტი — ყოჩაღ შენ, ძუკუ, ძველი ხარ, ძველი!
ეს თოფი ვარჩენს და გეხმარება.

ჩიტოლია — განა ტყუილად არის ტყისმცველი.

სულიკო — ტყეს ეგ სათოფედ არ ეკარება...

ძ უ კ უ — მამანემისგან ვარ მე გაწრთვნილი,

ვიცი ომის დროს ჩემი გზა-კვალრ.

სულიკო — შიშობს, რომ ციდან გადმოვარდნილი

არ შეეჩეხოს ვინმე მზაკვარი...

ბუხუტი — მიკვირს, როგორღა ნადირობ,

ასეთი გაუბედავი?

ძ უ კ უ — ეგ საარაკო საქმეა,

თვალთ განახათ ნეტავი!..

ნადირს თუ ჩაუსაფრდები,

ტყვია გაღმიდან გაუწევს...

კაცი, შეგხვდება ღიმილით,

გულში რა იცი რა უძევს!..

სულიკო — ძუკუ სულ ხუმრობს...

ბუხუტი — მეც მინდა

რომ იყოს კრიჭა-აკრული,

პილპილსლა ვაკმევ, და მაინც

ენა აქვს ამოშაჭრული.

(დგანან. უცლიან მიპატივებას)

ძ უ კ უ — არა, უდროოდ ვესტუმრეთ! ხედავ?

ჩიტოლია — რას ბრძანებთ, აბა რა სათქმელია...

სულიკო — უდროოდ მაინც რა ნახე, ნეტავ,

რომ შემოგვიჩინდი როგორც მელია?..

ბუხუტი — მე მონადირე მეგონე,

ვაი თუ მართლა მელა ხარ!

ძ უ კ უ — ამათ მაგიერ, ნეტავი,

ქათმის ბარკალი მენახა.

სულიკო — სანახაობას დეძებს ისე,

ყოველთვის უნდა ისე ილხინოს,

რომ, დაიხსოვნეთ, ძუკუს თუ ისევ

მეორე თვალაც არ აეხილოს!..

ძ უ კ უ — ეს თვალი ღზინში დაბნელდა,





როცა მაყრები... გავლახე.
 და გამოხედვა რომ შევძლო,
 წამითაც აღარ გავახელ.
 რა პატარალები არ ახსოვს,
 რა ნეტარება, რა წამი.
 რამდენჯერ დაუკოცნით
 მაგისი ქერა წამწამი.
 ეგ ისევ ძველ დროს შეჭარის,
 თუმცა ხანჯალმა ვახია.
 უკეთესს ეძებს მეორე,
 მაგრამ, ვერ დაუნახია...

ბ უ ხ უ ტ ი — რაო, აქ სტუმრად რომა ვართ,
 სჩანს ამან დავაიმედა, —
 ჩვენი ცხოვრების გაკილვას,
 თავხედო, როგორ მიბედავ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — არა, ბატონო, ნუ გაფიცხდებით...

ბ უ ხ უ ტ ი — რამდენჯერ, მითქვამს, განა არ იცის!

ძ ე კ უ — რა ვქნა, ღმერთმანი, არ მაეიწყდები
 მაგრამ ეს ენა...

ბ უ ხ უ ტ ი — არც კი ვანიცდის...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — აქეთ მობრძანდით, ბუხუტი, აქეთ...
 (კარებს გაუღებს)

ბ უ ხ უ ტ ი — ოჰო, მეც სწორედ ღვინო მწყურია...
 თამადა საით ზის, დამანახეთ,
 დიდებულა... დიდებულა!
 (შედის)

ს უ ლ ი კ ო — ორივე თვალით ხედავდე,
 მე მგონი მაინც სჯობია...

ძ ე კ უ — კაცს უნდა ჰქონდეს გუმანი,
 თვალი რა დასანლობია!
 მეორე თვალი რად მინდა,
 მომიზნეს, მონადირესა, —
 სუფრისკენ ბნელში გავყვები
 უფსკრულზე გადგმულ ღირესა!..
 (სუფრას მიუჯდება)

ს უ ლ ი კ ო — შენ არ გამიქირი... შენ კი, დაიკო,
 გადაგვაყოლე ამ შენ კაბასა...

ი ა — როგორ, გაეწითლდი?..
 (სუფრას უბრუნდება)

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მერე რა იყო.
 სიწითლემ უფრო ვაგალამაზა.
 კმარა...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ის კაცი, რის მაქნისია?

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ვინ ის, ბუხუტი ახელუდიანი?
 ცა და ქვეყანა თითქოს მისია,
 უყვარს ღვინის სმა და ხეტიალი.
 (მიხურავს კარებს)

რომ ჰკითხო ხე-ტყის რწმუნებულთა...
 არ დაჰპატივებ, თვით მობრძანდება,
 სადაც არ გინდა, უნებურია
 ყველგან მაგისი გამოცხადება.
 ამ უღრან მთებში ძლივს ატანს შექიცი
 და, ხედავთ, სუფრას მაინც არ ასცდა.
 მუდამ თან ახლავს ის უბადრუკიც,
 ახლა რომ აგრე გაგვიმამაცდა..

ს უ ლ ი კ ო — და ამასწინათ რა გვითხრა, იცი? —
 ვთქვა, ჩიტოლია?

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა ვქნა, ბეღია!

ს უ ლ ი კ ო — ბუხუტის თურმე დაუღვეს ფიცი,
 წელს ცოლის შერთვა ვადუწყებთია...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — აბა, სულ მალე გაგახარებო,
 დამპირდა ეგ არ გასახარები!..

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — უი!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — ნიავს არ მოგაკარებო...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — როგორ გაუღვთ მაგას კარები!

(თავისთვის საჭიანობს)

ჩ ი ტ ო ლ ი ა — სულიკო, ენა დაგისამარდეს,
 თვალებს გაფიცებ, ხალებს გაფიცებ...

ს უ ლ ი კ ო — ო, კარგი, სულმთლად ნუ დამამიწებ...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — მიცქირე აბა, წარბი ამართე!

ს უ ლ ი კ ო — გინდა? გულზედაც ხელებს დავიკრეფ.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — წელან აქ შენთან არჩილი იღვა
 არ დამიფარო, თუ რამე გკითხა.

ს უ ლ ი კ ო — სიამოვნებას რატომ დავიკლებ...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — გულჩათხრობილი არა ხარ თითქოს.

ს უ ლ ი კ ო — რა მექნა, გზაზედ ვადაშელობა...

ახ, დათენიამ ეს რომ შემიტყოს,

სასჯელად მისი რისხვა მეყოფა...

გეტყვი, ო, გული ნუ გიკანკალებს, —

ჰო, შეშეკითხა... და სწორედ იმ დროს

არ შეიძლება ბედმა არ ვიმტროს, —

შენ აფთარივით მოასკდი კარებს.

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა ემართება, რად ვერ ახერხებს,
 სათქმელი თუ აქვს რად გალურსულა?

ს უ ლ ი კ ო — ხელს ხან შენ უშლი და ხან ეუფუნა,
 ჩვენი საერთო ხვევნა აფერხებს...

ჩ ი ტ ო ლ ი ა — არა, თქვენ ბავშვად მთვლით, უსუსურად
 წამით მოხუცთა გულს რომ დავენდე.

შე ვიცი რა აქვს გულში ამ სურათს,

უკვე სხვა ცეცხლით, ვატყობ, ავენთე.

ეშმაკობს მგონი... დედას ვფიცავარ...

ს უ ლ ი კ ო — სჩანს უნდა ჩვენი სულის ამოხდა!

ჩ ი ტ ო ლ ი ა — რა ამბავია... ბიკოს, რა მოხდა!



სულიკო — ბიკოს!.. (გამოიჭრება).

ბუხუტი — თქვენც კარგად იცით, ვინცა ვარ!

მე თქვენი სიტყვა მინდოდა და გამოხედვა მზიანი, —
განა პურ-ღვინოს დაეძებს, ბუხუტი ახელედიანი!

ბაადური — სასაცილო ხარ სასაცილოზე, ბიკო, ასე რამ გაგააჩუქა!
მოდი, ამ ყანწით გზა დაილოცე, თუ არა, ჯაერი მოგკლავს ამაღამ...

ბუხუტი — ადექი-მეთქი!

ძუკუ — მაცალე, სული მოვითქვა, ბატონო...

ადგომა მუდამ გულმშვიდად სჯობია აწონ-დაწონო...

ბუხუტი — ასე ხომ... ენახოთ! (მიდის).

ძუკუ — მოვლივარ... რა უყო, უკუღმართია! (მიპყვება).

ბაადური — რას გამოები, იჯექი.

სულიკო — კუდიც თავსავით მარდია.

ელისაბედი — გამაგებინეთ მაინც რა მოხდა?..

სულიკო — მაგისი დარდი ნუ გაქვს, ბიცოლა.

არჩილი — გველნაკბენივით ფეხზე წამოხტა,

სჩანს სადღეგრძელო არ მოგვიწონა.

ჩიტოლია — ახ, არჩილ...

ქუქუნა — არჩილ...

სულიკო — ეგ ასეთია, არ მიეგებებთ ჰარი-ჰარალით

და თავის გულში ვერ დაეტიან...

არჩილი — გზა დაულოცოთ გულით, ალალით!..

(ძუკუ შემოდის ისევ)

სულიკო — ახ, ძუკუ... მოდი, მოგისმენთ,

გვითხარ, რაც დაგრჩა უთქმელი...

ძუკუ — არა... მე ჩემსას დავეძებ, —

კურდღელი მინდა, კურდღელი!

(მოძებნის თუ არა კურდღელს, მიდის)

ბაადური — ვინაღამ აქ არ დასტოვეთ, ჯაერით ვერ დაიძინებდით...

ცხრა ჰიშკარს მაინც შეაღებთ, ამ ერთი კურდღლის იმედით...

ჩიტოლია — მაშ ერთი სიტყვა ჩვენც მოგვისმინეთ,

გულის კუნჭულში გვაქვს მიმალული.

დაე, ღიმილი ღიმილს დაერთოს და ამ სიხარულს სხვა სიხარული!

იცათ? ხვალ დილით რა ემატება თურმე არჩილის მოსვლას, ბარათებს?

ხვალ დილით თურმე ჩვენი ლევანიც შინ გამარჯვებით შემოანათებს!

უველანი — რაო? ლევანი?

არჩილი — დიახ, ლევანი.

ელისაბედი — უი, რა მესმის!

ბაადური — ბოზო, მაცალე!..

მართლა? აქამდე გეთქვა, სიხარულს

რას გვიზთგებდი, შენ გენაცვალე!..

არა, ჩემს სუფრას კაცი ვერ აშლის, დაიმახსოვრეთ ჩემი ქართული...

ჩაშქიდეთ ხელი, ჩემ სიმღერაში სხვა გულისთქმაა გამოხატული.

(ხელგადახვევით მღერიან. ფარდა).

(გატრძელება შემდეგ ნომერში)

მიჯაჭვული პროზა *

სტანის კირველი

ხორა

სტროფი 1

დავსტირი მწარე შენ ხეედრს უბედურს
 ცრემლთა დენითა, ხედავ, პროშეთე:
 ვით მელვრებიან ნაკადულები
 ამ ნაზ თვალთაგან ნოტიო ლაწვზე!
 ზევსი უწყალო,
 გულბრაზიანი,
 ავად შერისხულ თავის ღვიძლ ღმერთებს
 აწ თვითნებურად იურეებს შუბით.

ანტისტროფი 1

დასტირის, ვოდებს ეგ დედამიწა
 ვარდასულ ქამის შენ ძველ დიდებას,
 სასურველ შენ ძმებს, პატივის ღირსთა...
 და სტირის ყველა,
 ყველა, ვინც ცხოვრობს
 აზის აზლო თქმულ საძოვრებზე.
 სტირიან ერთად ძლიერ გულსაკლავ
 ამ შენს წამებას ყველა მოკვდავნი.

სტროფი 2

კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,
 ომში მამაცნი და უშიშარნი,
 სტირიან დედა მიწის ნაპირას,
 ტბა — ბეოტიის პრაგა-კბოლებთან
 მომთაბარენი სკვითთა ურდონი.

* გაგრძელება. „შათობი“ № 11—12.

არაბნი — მზიურ საშვენი კაცნი,
კავკასიონის მალალ მწვერვალზე
კლდეში ქალაქი რომ გამოკვეთეს, —
და ისმის მტრული ჯარის წამახულ,
აჯარულ შუბთა ზათქი და ზარი.

სტროფი 1

მხოლოდდა ერთ ღმერთს ვცნობდი ფოლადის
ხუნდით შერცხვენილს — ატლანტს ტიტანსა,
მაგრამ უბადლო ის ძალოსანი
ახლაც ღონიერ, ძლიერი ქედით
ცა-მიწის ბოძის ზიდავს სიმძიმეს.

ანტიტროფი 1

რბის და ღრიალებს ზღვის მოტალღება.
გოდებს ჰადესის უფსკრული შავი.
ქუხს და გუგუნებს მიწის ჯურღმული.
სტირის და სჩივის წმიდადმავალი
მღინარეების ანკარა წყალი.

პისილოდი მეორე

პ რ ო მ ე თ ე

ნუ ფიქრობთ ვდუმდე ქედმაღლობის, ზევობის გამო.
არა, მე დარდი გულს მიდაღავს, როდესაც ვხედავ —
ჩემ თავს ამგვარად შეგინებულს და შერცხვენილსა.
განა მე ახალ, იმ ყველა ღმერთს არ მივანიჭე
განძი, დიდება და პატივი შესაწირავი?
რაც იცით, მასზე არას გეტყვი, ხოლო უსმინეთ
მოკვდავთა მძიმე ხვედრის გამო ახლა ნაუბარს.
ისინი იყვნენ ჩვილებივით უტყვი, უგონო,
და მე ჩაეუღღვი ჩაუჭრობი აზრი, გონება.
ამას რომ ვამბობ, არა ვყვედრი, არამედ მინდა
ჩემი წყალობის და სიკეთის არსი გაიგოთ.
კაცნი მხედველნი, უსინათლოდ მაინც რჩებოდნენ,
ისმენდნენ, მაგრამ არ ესმოდათ და მიათრევდნენ
რალაც ნისლიან, ძილისმაგვარ დღეთა გრძელ ჭაპანს.
მათ არ იცოდნენ ხუროობა, ხის თლა, გარანდვა,
არც აგურისგან ნათელმზიან სახლის აგება.
ვითარცა თარსი ჭიანჭველნი ცხოვრობდნენ ერთად
მიწის ჯურღმულის იმ უმზეო, ღრმა მღვიმეებში.
მაშინ ვერ სცნობდნენ გლახმოკვდავნი ზამთრის ნიშანთა,



ვარდის ფურცლობის ქაშის მოწყულ გაზაფხულისა,
 ვერც მსხმოიარე ზაფხულის დროს, დროს მწიფობისა,
 ასე ყველაფერს უყურებდნენ უგონოდ კაცი,
 და მე ვუჩვენე ცის მნათობთა ჩასვლა, ამოსვლა.
 ვასწავლე თანაც ყველა სიბრძნის სათავე: წიგნი,
 რიცხვით ანგარიში და შთაგნებრვე შთაგონებულნი
 მეხსიერება — ეგ მუზათა დედა-მშობელი.
 მევე დავადგი შლავ პირუტყვებს ქედზედ უღელი
 და დავუმონე გუთნის ქაპანს, საბალნეს, კურტანს.
 შევემსუბუქე მით კაცს მიძმე შრომა და ჯაფა.
 ეტლში შევაბი სადავეთა მორჩილნი ცხენნი,
 ფუფუნებისთვის მდიდართაგან შეყვარებულნი.
 და განა მე არ მოვიგონე სელისფრთიანი,
 ეგ აფრიანი, მენავეთა ფორნები ზღვაზე?
 აღმოვეუჩინე იმ საბრალო მოკვდავთ ყოველი:
 ხერხი, ხელობა, ოსტატობა, მე კი არ ვიცი,
 როგორ გავეძე ტყვეობიდან ჭირთა საგდებელს.

უფროსი ოკეანი დი

შენ ამ წამებამ, უსაშველო უბედურებამ
 გზას აგაცდინა, ჰკვა მოგტაცა, სასო მიგხადა,
 ვით იმ ცუდ ექიმს სენშეყრილსა რომ ვერ ახერხებს,
 მპოვოს თავისთვის გამკურნელი რამე წამალი.

პრომეთე

კიდევ მისმინე, გაოცდები უთუოდ ძლიერ,
 თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოვიგონე.
 აი შთავარი: სენშეყრილი ვინმე თუ იყო,
 მან არ იცოდა მისაღები და წასაცხები
 მარგი წამალი სამკურნალო და პლეძებოდა.
 მე შევასწავლე სააქიმო წვენთა ნაყენი,
 მალამო-წამლის შეზავების უცნობი წესი,
 რათა კაცთაგან მით განმეგდო ყოველი სენი.
 მე შემოვიღე ღვთაებრივი წინასწართქმისა
 ხერხი, შეცნობა და მისნურთა სიზმართა ახსნა, —
 თუ რაა მათში ჰქმშიარითი და მოჭორილი,
 და გავაცხადე გზის, სიტყვათა ნიშნის სიმბოლო.
 მე დავანახვე და ვასწავლე მრუდებრქყალიან
 სირთა გაფრენის მეოხებით კაცს მკითხაობა,
 მათი ადათი, ხასიათი, შური და მტრობა,
 სირთა სმა-ჰამა, დადგენილი თავშეყრა, ბჭობა,
 თუ რომელია სასიკეთო და უკეთური, —
 გუნდგუნდად ფრენა, მარტვილობა და სიყვარული...
 ლმერთებისათვის სანუკვარი, მეტად საამო
 ღვიძლი და ტყირბი ის ფერადი, ფორაჯიანი,
 ქონით მოცული, გაპოხილი ფეშხუმი, ბეჭი
 შევწვი თვალთაგან მე უხილავ გიზგიზა ცეცხლზე



და ხელსახები მით გავხადე აღის ნიშანი,
 მომაკვდავთათვის წინათ უცხო ხელობა ძნელი.
 ეს ასე არის და ვინ იტყვის, რომ მოუპოვა
 მიწის წიაღში დამარბული რკინა, სპილენძი,
 ოქრო და ვერცხლი კაცს ჩემამდე ნეტავი ვინმემ?
 ამას ის იტყვის, ურცხვად კვებნა ვისაც სჩვევია.
 მოკლედ თუ გინდა, რომ გაიგო სიმართლე, — გეტყვი:
 აქვს ყოველ სახის ხელოვნება ხალხს პრომეთესგან.

უფროსი ოკეანიდი

მომაკვდავთათვის ნუ ხარ ეგრე უზომოდ შეშფე,
 არამედ მოდი, რამ იღონე ზიფათში მყოფმა.
 მე კი მგონია, როს მოიხსნი შეებღლით ბორკილს,
 ძალღონით ისევე ზევსს უთუოდ გაუტოლდები.

პრომეთე

ჯერ უზენაეს ბედისწერას არ უფიქრია,
 რომ დაედგინა მაგდაგვარი რამ განაჩენი.
 თუმც ათასგვარი ავი ჰქირით ვარ წამებული,
 ამ ხუნდებს მაინც გავეშტყევი და თავს დავალწევი.
 უცილებლობის ბრმა ძალის წინ სუსტობს ყოველი.

უფროსი ოკეანიდი

უცილებლობის იმ საქესთან ნეტავი ვინ დგას?

პრომეთე

სამი მოირა, ხსოვნის შვილნი — ერინიები.

უფროსი ოკეანიდი

ზევისი ძლიერი განა მათზე უფრო სუსტია?

პრომეთე

რაც უწერია, მას ზევსიც კი ვერ გაეშტყევა.

უფროსი ოკეანიდი

როგორ? ზევსი ნუ თუ მარად არ იხელმწიფებს?

პრომეთე

ნუ მეკითხები, არას გეტყვი, ამაოდ ნუ მცდი.

უფროსი ოკეანიდი

შენ რალაც დიდი საიდუმლო გაქვს დაფარული.

პრომეთე

უმჯობესია ისაუბროთ თქვენ სხვა რამეზე.
 ჯერ მისთვის ეამი არ დამდგარა. ის საიდუმლო
 ღრმად შენახული უნდა მქონდეს. მაშინ წამებას
 და სამარცხვინო ამ ბორკილებს გადაუფრჩები.



სტროფი 1

არა წარხოცოს აწ ნება ჩემი
 ყოვლის მპყრობელმა შენმა ძალამ,
 ზევსო ძლიერო.
 მარად მახსოვდეს შემოგწირო განთიადისას
 საკურთხეველზე ბეჭები ხართა,
 დაკლულთა მშობელ ოკეანის, იმ ცისფრად მავალ,
 მარადი ტალღის მდინარის ახლო.
 არა ვუბნობდე უქმად სიტყვათა
 და უცხრომელად ვაცხოველებდე
 ჩემში ამ აღთქმას.

ანტისტროფი 1

რა საამოა ვრძელ ცხოვრების გზას მიჰყვებოდე,
 ეტრფოდე მზიურ დროსტარებას, ლზინსა და შევებას
 და გულში ზრდიდე მედიდურ იმედს.
 მაგრამ ვკანკალებ, ოდეს ვიყურებ,
 უანგარიშო წამებისგან ავად ვატანჯულს,
 რადგან არ უფრთხი, უტიფარო, ზევსს ვანრისხებულს.
 ახლაც საამო და სათაყვანო
 არის, პრომეთე, შენთვის საბრალო
 ის კაცთა მოდგმა
 ეფემერული.

სტროფი 2

ო, მეგობარო, სადღა არის კაცთა მადლობა
 შენი დიდ მადლის, ზრუნვის სანაცვლო?
 ძალა არ შესწევთ, რომ მოგეშველონ.
 ვერ ზედავ ვანა:
 მათ უსასო, სიზმრის მაგვარ, მკვდარ უძღურებას,
 რითაც გამზდარა ბორკილივით ხელფეხშეკრული
 ის უსინათლო მოკვდავთა მოდგმა?
 ვერა, კაცთ ნება ვერ აღაშენებს
 მაღალი ზევსის მორჩილ ქვეყანას.

ანტისტროფი 2

მე ასე ვიტყვი, ოდეს ჩაეწედები
 ამ შენ საზარელ, ავ ზედრს, პრომეთე!
 ვანა ასეთი სიმღერა ეღერდა,
 როს დედა ჰბანდა სასძლოს სურნელით
 მუნ საქორწინო სარეცელისთვის?
 ის გიმღეროდით განთიადისას
 ერთ და იმავე მამის ნაშვიერთ.

სურა, მდიდარი ჰქონდა მზითევი
და საქორწინო, ტკბილ სარეცლის თანაზიარად
შენ წაიყვანე ჰეზონა, დია ჩვენი.



ბახოვლი მისამე

(შემობის შემოღილი იო. შუბლზე ძროხის რქები აბია)

იო

რა ქვეყანაა? რა ტომია? ვინ იყურება
ბორკილით კლდეზე დაკიდული ქართა პირისპირ?
რა ცოდვისათვის იძიეს შური?
მიწის რა მხარეს და რა ადგილს ვეახლე ახლა,
მე საცოდავი, ამა სოფლად მოხეტიალე?
ვაი-მე, ვაი,
შებენს და მსუსხავს კრაზანა ავი,
თან მედევენება მიწის შეილის — მწყემსის ჰარგუსის
ათასთვალება, საზარელი ისევ აჩრდილი.
აჰა, ვერაგი, მომნუსხავი თვალი დამადგა.
აღარ ისვენებს შავ მიწაში დაფლული მკვდარი
და ჯუღრმულიდან ამოსული იგი უწყალოდ
ნადირობს ჩემზე და მერეკება
ზღვის კვიშიანი ნაპირებით, როგორც მწევარი.
ძილისპირული, საამური ჰანგის მომგვრელი
კვლავ გალობს კალმის სალამური სანთლით შეკრული.
ო, სად მოვედი გზააბნეული,
შეჩვენებული მოხეტიალე?
ჩისთვის მარგუნე ტანჯვა ასეთი,
რა ცოდვის გამო, კრონოსის ძეო?
ვაი-მე, ვაი,
რისთვის მაწვალებ
კრაზანით შემკრთალ და შემოღილ ქალწულს?
სჯობს ცეცხლით დამწვა, დამფლა მიწაში,
ან ზღვათა მხეცებს მიმცე საქმელად.
ნუ თუ არა გსურს
შეიწყნარო მუდარა ჩემი
მეფევე-ბატონო?!
დამაჰკნო სოფლად სვლა-ხეტიალმა.
არ ვიცი, როდის გასრულდება წამება ესე.
ისმინე ოხვრა ძროხისრქიან ყმაწვილ ქალისა.

პრომეთე

კრაზანით დევნილ ჰინახის ქალს ვით არ უსმინო,
ვინც სიყვარულით ზეესს გაუღნო გული და ახლა
შესზარდა ჰერას
და ის ძალად ასწავლის ქეთას.

იო

როგორ ვაიგე მამაჩემის სახელი შენა?

ვინ ხარ, მითხარი დაწვებრებულს, თვით წამებულო,
თვით საცოდავო, მე საცოდავს, ახლა რომ მითხარ
სწორად ყოველი?

შენ ჩემ ღვთაებრივ სენს უწოდე თვისი სახელი,
რაიც მაწვალებს, მზარავს, მაჭვნობს,
სოფლად მატარებს.

ვაი-მე, ვაი,

ოოკვა-ხტომით, მშიერ-მწყურვალი,
ხელქმნილი შლეგად შორს გავრბოდი ჰერას რისხვისგან.

ო, კაცთა შორის

ვინ ეწამა ნეტავი ჩემებრ?

მაგრამ მაცნობე ნათლად ყოველი,

თქვი, რა მომელის მე მყოობადში,

და თუ წამალი გამკურნელი იცი ჩემ სენის, —

მითხარ, მასწავლე,

მიპასუხე მოხეტე ასულს.

პ რ ო მ ე თ ე

გეტყვი, გაცნობებ ყოველივეს, რაც გსურს იცოდე.
შიგ არ ჩაეაქსოვ მე ქარაგმებს, ვიტყვი უბრალოდ,
მეგობართ შორის ვით ამბობენ პირამთქმელები:
კაცთათვის ცეცხლის მომტანს ხელად შენ წინ — პრომეთეს.

ი ო

ო, მოწყალეო მოამაგვე, მოკვდავთ უფალო,
რად იტანჯები, სთქვი უწყალოდ, ასე პრომეთევ?

პ რ ო მ ე თ ე

ეს არის ახლა დავტიროდი ჩემსა წამებსას.

ი ო

მე ჩემს სანიჭარ რამ საშველზე არ გივედრები.

პ რ ო მ ე თ ე

რას მთხოვ, მითხარი, მე ყველაფერს აშკარად გეტყვი.

ი ო

ვისგან ხარ კლდეზე ბორკილებით შენ მიჯაჭვული?

პ რ ო მ ე თ ე

მალალი ზევსის ნებისამებრ, ჰეფესტის ხელით.

ი ო

რა ცოდვისა და ბრალისათვის იღებ ამ სასჯელს?

პ რ ო მ ე თ ე

რაც ვითხარ, შენთვის ჰეშმარიტად საკმარისია.



კიდევ შითხარი, უბედურო, როდის დადგება ჩემი საშინელ ზეტილის აწ დასასრული?

პ რ ო მ ე თ ე

უმჯობესია არ იცოდე, ვინემ იცოდე.

ნუ დამიმაღავ და მაცნობე: რა ბედი მელის?

პ რ ო მ ე თ ე

მაგ შენი თხოვნის შესრულება არ შენანება.

მაშ რად აყოვნებ და ყველაფერს რად არ მაცნობებ?

პ რ ო მ ე თ ე

მე სული შენი მეშინია არ შევაშფოთო.

ჩემ სულის გამო ნუ იღარდებ, ნუ გენალვლება.

პ რ ო მ ე თ ე

რადგან აგრე ვსურს, უნდა ვითხრა, კარგად ისმინე.

უ ფ რ ო ს ი ო კ ე ა ნ ი დ ი

არა, სიამის ჩემი ჯერი მეც დამიტოვე. ჯერ ჩვენ გვაუწყოს თვითონ ამან თვის სენის გამო ამბავი თვისი სევდიანი, გადახლომილი და მერმე კიდევ, დანარჩენი შენ შეაგონე.

პ რ ო მ ე თ ე

შენ ვმართებს, იო, შეიწყნარო ეგ მათი თხოვნა, რადგან ესენი მამაშენის ღვიძლი ღებია, და ამის გარდა ტკბილი არის იქ მწუხარება, თუ ის, ვინც ვისმენს, თვითვე აფრქვევს თანაგრძნობის ცრემლს.

არ შემიძლია მოვახსენოთ მე თქვენ უარი, აწ ნათელ სიტყვით თქვენ გაიგებთ, რაც ვსურთ ისმინოთ, თუმცაღა ვსტირი ცხარე ცრემლით მე საცოდავი, ამ ჩემს მოთხრობას როს ვიამბობთ ღმერთის გრივალზე, რამაც მაქცია საუკუნოდ მტერად და ვასთელა შეუბრალებლად ფეხქვეშ სრულად მშვენება ჩემი. მარად და მარად ჩემს ქალწულურ საძინებელში ფრთავამოსხმული მოფრინავდნენ ღამის სიზმრები, ჩამაგონებდნენ და მეტყოდნენ ტკბილი ჩურჩულით:



„ო, ბედნიერო, სანატრელო ყმაწვილო ქალო,
რისთვის ინახავ ქალწულობას ამოდ შენა?
შენ შეგიძლია ქორწინება უზენაესი:
ანთებუღია ნატერის ისრით შენდამი ზევსი
და სურს დიდძალალ სიყვარულთ შენ შეგვიერთდეს.
ო, ბავშვო ჩემო, ნუ უარჰყოფ ზევსის სარეცელს.
წადი ლერნეას მობიბინე მწვანე მდგლოზე,
სად მამეტული საძოვრები და ფარეხია, —
რომ ზევსის თვალი გაძღეს შენის სიყვარულითა!“
ასეთ სიზმრებით ყოველ დამე ვიტანჯებოდი
მე საცოდავი, სანამ მამას მთლად არ ვუამბე
მაცდუნებელი იგი ჩემი ღამის სიზმრები.
მამამ მრავალი შიკრიკები დაგზავნა უმაღ-
დელფოს, დოდონში და სხვაგანაც, რათა გაეგო
რა ლოცვა, ზეწნით მოეთათლა უნდა ღმერთები,
მაგრამ მოჰქონდათ იმ შიკრიკებს გამოუცნობი,
ორაზროვანი, ბუნდოვანი წინასწართქმანი.
ბოლოს მიიღო პასუხიცა მამამ ჰინახმა.
ის მას აშკარად აუწყებდა და მოითხოვდა
სახლიდან და თვით სამშობლოდან ჩემს გაძევებას,
რომ მეწაწაღა დედამიწის კილითკიდემდე,
არა და, ზევსი დაგვატებდა ანთებულ ელვას
და ამოსწვავდა მთელ ჩვენს მოდემას ძირფესვიანად.
მამამ მაშინვე დაუჯერა ლოქსის წინათქმას.
განმავლო, მაგრამ განა თვისი ნებასურვილით.
და მყის დაეკარგე წინანდელი სრულად გონება,
მშვენება ჩემიც. როგორც ზედავთ, გავხდი რქოსანი.
კრაზანის ნესტრით დაკბენილი შლეგ ნახტომებით
მე ვავეშურე კირხნის ამო ნაკადებისკენ,
ლერნეას წყაროს სათავისკენ. აქ გამალებით
გამომედევნა მწყემსი მიწით ნაშობი ჰარგუს,
და თვის მძვინვარი ურიცხვ თვალით მითვალთვალებდა.
მოულოდნელად და უეცრად ბოლოს სიკვდილმა
ვანგმირა იგი და კრაზანით მაინც ნაკბენი
დავეხეტები ამა სოფლის კილითკიდემდე.
მომდევს კვალდაკვალ, მერეკება მე ღმერთის შოლტი.
შენ მოისმინე ყოველივე. ახლა თუ ძალგამს
მამცნე წინასწარ და მაუწყე შენ დანარჩენი,
მაგრამ ცრუ სიტყვას ნულარ მეტყვი შებრალებისთვის.
არაგულწრფელი, ხელოვნური და ყალბი სიტყვა
წველაზედ უფრო ცუდი არის და საზარელი.

(დასასრული იქნება)

თარგმანი ბერძნულიდან ალ. ჭუთათელინს მიერ.

დენა შენგელია

სიცოცხლის პლაკატი

ალექსანდრე ყაზბეგი. რამდენ დაიწყებულ გრძობადა და ახალგაზრ-
დულ გატაცებათა გამოშხატველია ეს სახელი იგი ისეთსავე ნაზსა და
მიმჭრქალბულ სურნელს გამოსცემს, როგორც ოდესღაც მის წიგნშივე
ჩასანიშნავად ჩარჩენილი ღრთა ვითარებით გახუნებული ყვაილი.

ელგუჯა და ციკო, ბერდია და ელეონორა, ციკია და ხევისბერი გოჩა.
ჩვენს ქაბუკურ დღეებს ეს სახელები ისე განუყრელად შეზრდია, რომ მათ
მოგონებაზე უნებლოე სინანულს განვიცდით. რამდენი მთრთოლვარე ლა-
მეები გვითენებია მათი საშუუხარო ამბით გატაცებულებს, რამდენი ცრემ-
ლი გვდენია, რამდენჯერ აღგვსებია გული მდულარებით და განრისხებუ-
ლებს ნორჩი გული ვაქვაცურად ავგვგერებია! რამდენჯერ გავგაოროზებულ-
ვართ, აღუშფოთებულვართ კეთილშობილი მძინეარებით იმ უსამართლობა-
თა გამო, რომლებიც ჩვენს საყვარელ გმირებს სიცოცხლეს უმწარებდნენ და
ბედნიერებით დატკობობის საშუალებას არ აძლევდნენ!

ალექსანდრე ყაზბეგი. ეს სახელი ისევე სანუკვარია, როგორც მოგონება
პირველი მიამიტი სიყვარულისა, რომელიც მისმა გმირებმა გვასწავლეს.
და, ვინ იცის, იქნებ ეს გრძობა სატრფოს ეშნით სრულიადაც არ იყო
გამოწვეული? ვინ იცის, იქნებ იგი ყაზბეგმა შთაგვაგონა და გვეგონა, რომ
მართლა გვიყვარდა? იქნებ ყაზბეგის მოგზიზგიზე გენიის ცეცხლით ვიყა-
ვით აგზნებული? ეს არახელსახები, ეფემერული გრძობა იქნებ მხოლოდ
ოცნება იყო, მოგონილი იყო? მაგრამ იგი მაინც პირამდე ავსებდა მაშინ
ჩვენს გულს.

ასლან გირეისა და სულთისა, მათიასა და ელგუჯას ვაქვაცური ტრფიალე-
ბისა და მმადნაფიცობის მიხედვით წარმოდგენილი სიყვარული და მეგობ-
რობა აკეთილშობილებდა ჩვენს ყრმობის დღეებს. ამიტომაც შემთხვევითი
როდია ის გარემოება, რომ ალექსანდრე ყაზბეგის რომანტიკა ასე მშობ-
ლიურად ეხმაურება ყრმა ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკას. ყაზბეგს
შეაგვიანდა: იგი თთხმოცი წლით ადრე უნდა დაბადებულყო და მაშინ
მისი ბრწყინვალეობა კიდევ უფრო უხუნარი იქნებოდა. განა ყაზბეგის გან-
კიცხული მარი ისევე არ გადაიხაფრება კლდიდან და ისევე არ ილუპება
უიღბლო სიყვარულის გამო მთის მდინარეში, როგორც ბარათაშვილის
ქეთევანი ქსანში?

— ლევან! — დაიძახა მარამ წარმოუთქმელის მწეხარებით. — ლევან! — განიმეო-
რა მან. — ლევან! ლევან! — იმიღლა ხმა და გაქანდა წყლისაკენ. — აგერ, ლევან,
აგერ!.. სად პირბიბარ, დამიკადე... — ვერ მოასწრო ამ სიტყვების ვაიკება, როდეს-
საც მიახლოვდა კლდეს და ერთბაშად შედგა.

„ის ჩამყურებდა კუბოსავით შავს მოოცეს და რაღაცას, თითქოს სატრფიალო სიტყვებს, ჩასურხულვდა...“

„მეშინია, არ მომეკაროთ, არ მომეც... — აქ ქარმა მეტის ძაღლი გამოქვამა...“
ლა, ქალს ფეხი დაუცდა კიდეც და გადავარდა...“

„წუთს შემდეგ მოუსვენარმა მდინარემ ჩაიხვია“.

ერქვესული
(ალ. ყაზბეგი — ~~დაწვრილი~~)

„ნეტა რა ქარმა დააზრო მისი სიცოცხლის ყველიო?“

მეც ამატრა მის ხედვრმა, მაგრამ ვერ ვიცი ნუგეში.

ჭეთივან შუა ქანშია, მარად შვეროთ, დღეილი;

მხოლოდ ისმოდა სახელი ამიღბარისა ზეირთებში“.

(ბ. ბარათაშვილი — „ქათვიან“).

მერე რა, რომ ყაზბეგის ენა გაუმართავია და გაურანდავი მერე რა, რომ მისი ზოგიერთი სუვეტური პასაჟი მიაპიტია და ხანდახან თავისივე გმირთა სახელებიც ერევს! მერე რა, რომ მისნი გმირნი ზმირად ერთი მეორეს ძალზე ჰგვანან გარეგნულად, მისი ქალები მუდამ ფერმკრთალნი არიან, ტუჩები ყველას მუდამ ერთგვარად გაცრეცილი აქვთ, მისი ვაჟკაცები თითქმის ყველანი ერთგვარად იქცევიან. ალექსანდრე ყაზბეგს არ ეშინია არც ბუნების ვრცლად აღწერისა, არც ლირიკულ გადახვევებისა და არც ბუნების ძალთა ხელოვნურად მოხმარებისა. მისი შემოქმედების ჯადო სწორედ იმაშია, რომ კითხვის დროს ამ ნაკლს ვერ ამჩნევ და ძალაუვნებურად მის შემოქმედებითს ცეცხლში ეხვევი. განა ნაპრალებში გადაჩეხილი შთის მდინარე ზრუნავს, რომ წარმტაცად მდინარებდეს? განა ვეფხი, როცა იგი შეჰყარავს კამარას, ფიქრობს, რომ მისი ნახტომი ლამაზი იყოს? ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ფანტაზია ბუნებასავით ხორკლიანია და დაუცხრომელი, მოულოდნელი და უშუალო. მისი გმირები მხოლოდ თავის იმპულსებს ექვემდებარებიან. ისინი ლაღნი არიან, დამოუკიდებელნი და გარესენელს მუდამ თავისი შინაგანი სამყაროდან სჭვრეტენ. ისინი ალაღნი არიან და უჯავრებით ყოველგვარი სიყალბე გრძნობების. თავის სულისკვეთებას ისინი ისე მკაფიოდ, ისე უშუალოდ გამოხატავენ, რომ არას დაგიდევნ, თუ სურვილი მათი მიუღწეველია.

განა თვით ალექსანდრე ყაზბეგიც ასეთივე არ იყო? იგი ისე ვაბედულად არღვევდა მაშინდელ დამყაყებულ საზოგადოებრივ ჩორმებს, რომ ერთ ფუქსავეტ ვინმედ მიაჩნდათ, რომლის ნაწერს წაკითხვაც აღარ ღირდა. განა თითქმის იძულებით არ წაკითხეს ანტონ ფურცელაძეს მისი ერთი რომანი, რის შემდეგაც იგი საბტად დარჩა?

ალექსანდრე ყაზბეგმა ისეთი თავდავიწყება იცოდა, ის ისე ღრმად გადადიოდა თავის სულიერ სამყაროში, რომ შემოქმედების დროს არაფერი ამჭვეყენიური არ ესმოდა. მისი სიცოცხლე ოცნება იყო და მის დაუოკებელ ფანტაზიას მაიმუნი ჟაკო მაშინდელ კომპარულ სინამდვილესავით აწვა და ხუთავდა.

ალექსანდრე ყაზბეგი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელსაც გვამში სული ბოროტი ჩასთესლებია. იგი შეპყრობილი იყო იმ ზეადმტაც სატანიზმით, რომელიც მხოლოდ მიწიერ სიცოცხლეს აღიარებს, სიყვარულს უმღერს, სიყვარულს მალალსა და ამასთანავე ხორციელს და ეს ხორციელობა მას უღარეს სიწმინდელ მიუჩნევია. ამ სატანიზმით იგი ქრისტიანულ ღმერთს დაუპირისპირდა. ონოფრეს ამ ღმერთისათვის საღდაც მთის ორწოხებში, რომელიც სენ-გოტარდს მოგვაგონებს, სალოცავი გაუმართავს და ამ ქართულ ვრაალში ცხოვრებით დაქანცულსა და უიღბლო სიყვარულით გაწა-

შებულ მაცვალას თავი შეუფარებია, ნუგეში და თავდავიწყება აქ მოუპოვებია.

ალექსანდრე ყაზბეგი ვერ ითმენს აბსტრაქციებისა და არაბოროტელობის სამყაროს. სიცოცხლის მომხიბლავობას იგი ჰპოვებს ფეხქვეშა მსუალო იმპულსებში, ბუნების მშვენიერებაში, მის „ცოლდე მანათლას“ მსუალო სრული ძალოვნების გამოვლინებაში. მას სძაგს მოძღვრის მყუდრო სამყოფელი, რომელიც არსებითად უარყოფაა სიცოცხლისა. მისი გმირები მხოლოდ თავის ალალ გულისთქმას ემონებიან, გულისთქმას რომელიც ისე მძლავრია, რომ თვითონვე ველარ ერევიან. ეს გულისთქმა ისევე ძალუმიან, როგორც ახალგაზრდა ხე, რომელიც პიტალო კლდეზე ამოსულა და ტინი ფესვებით გაუხეოქია, ისევე გარდუვალაია, როგორც ხარალაი, რომელიც მყვირალობის ეპას ფურს ვნებიანი ბლავილით მოუწოდებს. ეს გულისთქმა ვანონაია სიცოცხლისა და, თუ ვინდა, რომ ცოცხალი იყო. — კიდევაც უნდა ემონებოდე მის კანონებს. ალექსანდრე ყაზბეგი მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციით ქადაგებდა უაღრესობას სიცოცხლისა.

— ჭალა! არნე ვიტარჯეთ, ვიწვალეთ და ვერ დავივიწყეთ ერთერთი... ერთერთი ვნახეთ და შევეიყვარა და ერთმანერთი... ჩვენის ნებით არ მომბღარა ესა და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებიო... ვეცადე, ჭალა! ვეცადე, ლეოს მადლა, რომ გულიდან ამომედე, შენი სიყვარული ფესვიანად ამომგლოჯა, შენი სახე ცხელის რკინი ამომბეზა გულიდან, მაგრამ დავენდი, დავილე და, აჰა, მანც შენთან მხედავ.

— ჭალი სდნებოდა და ზედ ეგლისებოდა, უბმოდ ერთმანებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

— ონისემ მოჰხვია ხელები, მიიზიდა მყერდთან, მაგრად და ძლიერად მოუტყრა მკლავები, ჩაჰხედა თვალბში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ჭალა! ჩემო ყველაე!

— მაყვალამ იგრძნო რაღაც სითბობა სისუსტესთან არეული, თითქმის ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავი ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკუნესა, წინელსავით გადმოიგრძობა და ორივე ხელი ყელზე მაგრად გველისავით შემოაქვდა. პასუხად აღგზნებული, ხანგრძლივი კონცა გაისმა.

— მაყვალა! — თავბრუს დახვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, ძალზე მიიკრა გულთან და დაოსებულს გიჟსავით კონცა დაუწყო...

(„მოძღვარი“).

მათ თავისი ნებით როდი უყვართ ერთერთი. პირიქით, არც შეყრა და არც განშორება მათ ხელთ არ არის. სიყვარული მათთვის ბედისწერაა და, როგორც თვითონვე ამბობენ, ისინი თავის ბედს ვერ გაუტრბიან. ასეთია ის „უხილავი ძალა“, ძალა სიყვარულისა, რომელიც აკუნესებს ყაზბეგის გმირებს, აოსებს მათ და გონს უკარგავს. აღამიანის ნება-სურვილი აქ იმთავითვე მოხსნილია. ამ მხრივ ისინი ღვიძლნი ძმანი არიან შოთა რუსთაველის ტარიელისა, რომელსაც სიყვარული ბედისწერასავით დასჯახებია და ლომივით ეაჯკაცს ქალივით ატირებს. ვანა ასეთივე მონა არ არის სიყვარულისა თუნდაც ლეკი ასლან გირევი, რომელიც თავზარსა სცემდა მთებს თავისი გაბედული თავდასხმებით? ეს ლალი შეილი ამყი მთებისა სიყვარულს ისე დაუბეჩავებია, რომ იგი მართლაც ვერხვის ფოთოლივით ცახცახებს, ელაციცება, თვალბში მუდარით შესტქერის თავისი გულის მკელელს, ქართველ კარმენს. — ელეონორას.

— ჭალი შეერთა და ქვეშაგებში სწორედ იმ დროს წამოჯდა, როდესაც კარები შემოიღო და იქვე ვიღაც კაცი გაჰკავებულოვით გაჩერდა.

— ასლან გირევი! — შეშინებით წამოიძახა ელეონორამ და წარბები სიბრზით შეჭმუნა.

ხელსაქმის ოსტატობით, შეამკოს ფილიგრანული გულდასმულობით, მოათავსოს ეს მოზღვავებული გრძნობანი ენის ფაქიზ არტახებში, რომლებიც ასე ჭრატუნობენ, ვერ უძლებენ ხალხის წიალიდან ამოტანილ ტყემბის სტიქიურ ძალასა და დაუცხრომელ მძვინვარებას შემოქმედის, ენის ხელისა.

იგი თითქმის ქადაგად არის დაცემული და ცრემლად ბეჭდვით მსჯელს სისხლი ევლება, როცა თავის განუზომელ ტყვიელს გადმოგვეცემს, ტყვიელს, გამოწვეულს მისგანვე შექმნილ გმირთა დუხჭირი ბედის თანაზიარებით. იგი ახალი აეთანდილია, ფიცვერცხლნაკამი მშობილია თავისივე გმირებისა და მას, როგორც დიდ რომანტიკოსსა და ტრფიალების პათეტიურ მომღერალს არ შეეძლო რუსთაველურად არ განეცადა მათი ამბავი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი მწერალი ისე ღრმად და შემოქმედებითად არ გამსჭვალულა რუსთაველის გენიით, როგორც ყაზბეგი. მას მეტაფორებიც მოაქვს ამ უკვდავი პოეტისა. ონისეს გაჭრა ტყე-ველად განა ტარიელის გაჭრას არ მოგვაგონებს, ხოლო მათიასა და სულთის მეგობრობა და პატივისცემა ქალის მანდილისადმი ხომ იგივე მძალეფიციულობაა აეთანდილ — ფრიდონისა ტარიელთან? განა ჯაჯალა იგივე ფატმანი არ არის, რომლის მეგობრულ გრძნობას ასეთი შეფარვით შექსოვებია გრძნობა დამალული სიყვარულისა? ისევე, როგორც განრისხებულმა ტარიელმა ვეფხვი მოჰკლა, გაგულისებულმა ბეჯიამ არწივი გამოასალმა წუთისოფელს. განა ქალისადმი პატივისცემა რუსთაველური პათოსით არ არის ამალღებული ალექსანდრე ყაზბეგის, თუ შესაძლოა ასე ითქვას, კურტუზიულ ქაშანებში? განა მისი მიჯნური ისევე არ იტანჯებოდა, სტირიან, როგორც აეთანდილ — ტარიელი? განა ყაზბეგის გმირებს რუსთაველის რაინდებივით ერთის ნახვითვე არ განეწონებათ ხოლმე გული სიყვარულით და იქვე იბნიდებიან?

ეს მოტივები სრულიადაც არ არის ირანული. თუ ჩვენი მთის-შეულახველ ადათებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ეს პანგები თურმე ღრმად ქართული და უაღრესად ეროვნულია. ამიტომაც მიიღო ქართველმა ხალხმა ასეთი სიყვარულით დიდი შოთას სახელი, ამიტომაც იყო შოთას გენია ხალხური. ალექსანდრე ყაზბეგი ორთავეს ხარბად დაეწაფა, შეიწოვა თავისი ხალხისა და რუსთაველის გენია.

განა ონისეს გამუდმებული ოხვრა-ტირილი ტარიელის სულთქმა-უშს არ მოგვაგონებს? როგორც ერთისა, ისევე მეორის გმირული აღნაგობა და ქალური ცრემლები, მართლაც რომ მნიად შესათავსებელი რამ არიან ჩვენს წარმოდგენაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსთაველისა და ყაზბეგის სიყვარული დიდ რომანტიულობასთან ერთად დიდად ჰუმანისტური ელფერით მოსილი გრძნობაა და, მაშასადამე, უაღრესად ხორციელი, მაშინ მათი ცრემლებიც საკვირველი აღარ იქნება. მათი სიყვარული პირდაპირ პროპორციულია მათივე ხორციელი აღნაგობისა. ტარიელისა და ონისესათვის სიყვარული ფატუმი, ბედისწერაა, ხოლო უიმედო ტრფობა მათთვის უიმედო სიცოცხლესა და დაღუპვას უდრის. ამიტომაც სტირიან ისინი ასეთის გულამოსკვნით, ამიტომაც მოსთქვამენ ისინი თავის შავ ბედს. რამდენადაც კდემამოსილნი და ჯანსაყვები იყვნენ ისინი, იმდენადვე ჯანიერა და მწვავე იყო მათი სიყვარული და, თუ ბედი არ უმართლებდა, რა ექნათ? ისინი ერთხელ დაიბადნენ, რომ ერთხელ ჰყვარებოდნენ და, თუ ეს მათი ერთადი სიყვარული უიღბლო გამოდგებოდა, რაღა აზრი ჰქონდა მათ სიცოცხლეს? აქი ამიტომაც იღუპებოდნენ, იმუხრებოდნენ კი-

დევაც ისინი და თავის დაღუპვას წინასწარვე შავის ცრემლით დასტიროდნენ.

ყაზბეგი რომანტიკოსია, ხოლო რუსთაველი, მიუხედავად შინა პოეტის ზღაპრულობისა, მაინც რეალისტი. ყაზბეგი თემური მწერალია, ხოლო რუსთაველი სახელმწიფოებრივი. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა პატარა კლდეზე დიდი გმირია, რუსთაველის თამარი მზეა, რომელიც მთელ პოემას დღესავით აშუქებს. ყაზბეგის შემოქმედება, სალოსურია, ხოლო რუსთაველის გმირული. ამიტომაც მათი პატრიოტიზმი ერთუტისაგან ძირეულად განსხვავებულია და პრინციპულადაც სხვადასხვაგვარი. ყაზბეგი-პროზაიკოსი უფრო პოეტია, ხოლო რუსთაველი-პოეტი—ეპიკოსი. მაგრამ ყაზბეგი, ხომ უმთავრესად სიყვარულის ტრუბადურია? სიცოცხლის აზრს იგი სიყვარულში პოებს და აქი ამიტომაც სწერს იგი რუსთაველურად! მან იცის, რომ სიყვარულის გამო წერა მხოლოდ რუსთაველური თავდავიწყებით შეიძლება. სხვა განსხვავებათა შორის მათ შორის არის ერთი დიდი განსხვავებაც, რომელიც მათ ძირეულად აშორებს ერთერთს. რუსთაველის გმირნი უმთავრესად პირშმონი არიან წრისა და არა ბუნებისა, ხოლო ყაზბეგისა შეიღნი არიან უმთავრესად ბუნებისა და არა წრისა. რუსთაველის ბუნება უფრო მონადირეთა ველური ასპარეზია, ხოლო ყაზბეგის ბუნება მეცხვარეთა განმარტოების ადგილსამყოფელი. რუსთაველის ბუნებისა და წრის შორის არ არსებობს არავითარი უფსკრული. „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი განმარტოების შემდეგ თავისუფლად, დაუბრკოლებლივ უბრუნდებიან თავის წრეს, ხოლო ყაზბეგის გმირნი დევნილნი არიან, იძულებით არიან გასულნი ტყე-ველად და მათ წრისაგან ჩაქოლვა მოელოთ. მიუხედავად რუსულ და სკანდინავურ ლიტერატურათა დიდი პეიზაჟური ტრადიციებისა იშვიათად, რომ სადმე მოიპოვებოდეს ისეთი შესაიღუმლე ბუნებისა, როგორც ალექსანდრე ყაზბეგია; იშვიათად, რომ ვინმე ასე ღრმად განიცდიდეს კონტაქტს ადამიანსა და ბუნებას შორის, თუ ლონგფელოს „პაიაგატას“ არ მივიღებთ მხედველობაში (რომელსაც საკვირველი ნათესაობით ეხმაურება ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“). ყაზბეგის ეს ინტიმური ბუნება შემდეგ ვაჟამ მითოლოგიურ-კოსმოგონიური სიღრმით გაააზრა... ყველაზე მკაფიოდ ეს გათიშვა ბუნებასა და ადამიანს შორის და ფესვებდაწვევტილ ურბანისტულ ადამიანის ფართხალი და ამათ სწრაფვა კვლავ ბუნებისაკენ დაბრუნებისა თანამედროვე ლიტერატურაში ერნსტ ჰეიმინგუეიმ გამოხატა. ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან ესპანური ფიესტივა და ალპების კომფორტბელურ თხილამურებითა და კალმაჯის ჭერით დასრულდა. ყაზბეგისათვის ბუნება პერსონიფიცირებულია, იგი ადამიანივით გრძნობიერია და ცოცხალი.

„შემე წერი ამოჰყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰფინა ოქროსფერად. აქამდისინ ვაზუმებული ბუნება თითქოს ღიმილით შეგვბა მოღიშარს მნათობს. ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძლეოდა თავისუფალ მზიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადიშალნენ, იცვალეს მკრთალ ფერი და, ღამის ნამით გალორძინებულნი, სწრაფად გაცხოველდნენ, რათა უმანკო სურნელი ნახად და კვალუცად მზისკენ შეეჭვიათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმძღარი და შეუბრალებელი შეჭი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებ შუა, რათა თვალი შეეკრა იმათთვის და დამტკნარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ცის ნამი, წყნარად ჩამოშრიალებდა და უაღრესებდა ერთმანეთის შიარშივე ბუნების კწილებათ. მოუსვენარი ფურცარი, გამოსული დილის სამუშაოზედ, არ კმაყოფილდებოდა ერთის

ადგილით, იმას იზიდავდა სხვადასხვა სურნელები თავიანთის სიკვლეკით და სინა
ზით, რომელნიც ათასფერად შეხამებულიყვნენ.

ერთბაზად ამ საერთო გარმონიას შეუერთდა ხმელი წიწვების წუთოვანი ხმა აშ-
კარადა სჩანდა, რომ რაღაცა სულდგმული გამოსულიყო ამ ადგილებში, — უფროდ
იმასაც უნდოდა დამტბარიყო ბუნების საერთო მოწყობილს მშვენიერებას. მის-
თვის აზრუნა ბუნებაში, ამისთვის ეცადა, ამის მხარეში წყნარად
დევამიწა, რომ სულდგმულთ ყოველივემ ნეტარებით ისი-
მოვნონ, ისარგებლონ.

ბუნებრივია, თუ ბუნების ასეთ-გატაცებულ ტრფიალებას ძალაუნებურად
მოგვაგონებს ბუნებისავე მეორე დიდ ტრფიალს ვაჟა-ფშაველას. თუ
ალექსანდრე ყაზბეგის ბუნება დიდის თანაგრძნობით არის გამსკვალული
ადამიანისა და, საერთოდ, ყოველგვარ სულდგმულისადმი, ვაჟას ბუნება
თვით არის სულდგმული. ყაზბეგის ბუნება გრძნობიერია, ხოლო ვაჟასი
ს.ზრისიანი. ყაზბეგის ბუნება უშუალოა, გულგახსნილია, ვაჟასი — პირქუ-
შია და მუდამ გააზრებული რაიმე ატავისტურად, ქვეცნობიერად მოღ-
წვეულ ხალხურ დიადი მითოსით. ყაზბეგის ბუნება ღრმად ადამიანურია
და გააზრებული ეტნოგრაფიზმითა და ეროსით, ხშირად იგი ადამიანისაგან
მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას მეტყველების უნარი არ გააჩნია,
ვაჟა-ფშაველას ბუნება ბუმბერაზულია და გაარსებული ფოლკლორითა და
მითოლოგიით. იქ სინახეა და სიაშე, აქ სიკუშტე და გუგუნი მთათა მუზა-
რადებისა; იქ სურნელება და ნახი ჩურჩული ზეფირისა, აქ სისხლის
ღვრა და ჩხერა ფარხმლისა. ვაჟას ბუნება იღვათა აღმძვრელი სამყაროა,
ყაზბეგისა გრძნობათა გამაღვიძებელი; ვაჟას ბუნება ადამიანს აფიქრებს,
ხშირად აშინებს კიდევაც, ყაზბეგისა ალტაცებას იწვევს; ყაზბეგისათვის
ადამიანი ისეთივე ნაწილია ორგანიული ბუნებისა, როგორც ბალახი, ნადი-
რი ან ფრინველი, ვაჟა-ფშაველასათვის ადამიანი ნაწილია არაორგანიული
ბუნებისა, იგი მთაა, ნიაღვარია. ალექსანდრე ყაზბეგისათვის ბუნება თვით
სიცოცხლეა და ყოველივე, რაც სიცოცხლის ნიშანწყალს ატარებს მას გა-
ნუსაზღვრელად იტაცებს და ახარებს. იგი მზად არის დაეცეს მიწაზე და
აკოცოს მას, რადგან იგი სიცოცხლის მომნიჭებელია. ვამბოროს ხესა და
ყვავილს, რომელსაც იგი სურნელს უწოდებს. ხოლო ის, ვინც ბუნებას
უდიერად ემტყვა, არღვევს ან დალატობს მის გარდუევალ კანონებს, სას-
ტიკოდ ისჯება, რადგან ცოცხალი სიცოცხლის კანონს უნდა მიჰყვებოდეს
და, თუ ასე არ იქცევა, მაშინ იგი სიმახინჯეა. ხოლო სიმახინჯე ალექსან-
დრე ყაზბეგისათვის იგივე სიკვდილია. ალექსანდრე ყაზბეგი არ განასხვა-
ვებს ბუნებისაგან არამც თუ ადამიანს, არამედ თვით მის შინაბუნებასაც.
ბუნებისაგან მოწყვეტა სიმახინჯეა, სიკვდილია. ბუნებისაგან მოწყვეტილი
ადამიანი დაუსჯელად ვერასოდეს ვერ გადაარჩება, იგი უსათუოდ დაიღუ-
პება. ეს სიმწარე მან თავის თავზე განიცადა. თითონ, — მთის ლაღი შვილი,
გუვერნიორებისა და შემდეგ პეტერბურგის ბომონდის წყალობით მოწყ-
ვეტილი ბუნების ყვავილი თავის პირველ წიაღს ვერაფრით ვერ დაუბ-
რუნდა. ბუნება იმდენად სასტიკია რომ თავისი „მოლაღატე“ შვილი მან
შემდეგ არასგზით არ შილო. პეტერბურგიდან დაბრუნებული ალექსანდრე
ყაზბეგი მთამ აღარ შეიგუა. რა არ სცადა მან, მწყემსობასაც მოჰკიდა
ხელი, მაგრამ მიინც არა გამოუვიდა რა. იგი გარიყულად დარჩა. სხე
რა გზა იყო, იგი კვლავ გაემტა ბუნებას და ახლა ბოგემად იქცა.
თავისი დაკარგული უმანკობა, თავისი დაღუპული თანაზიარება
ბუნებასთან თავისივე რომანებში დაიტირა. მისი გულის მესაიდუმლე მხო-

ლოდ ეაკო მაიმუნი იყო, ცხოველი, რომელიც აღარც მხეცსა ჰგავდა და აღარც ადამიანს. ასევე მკაცრად დაისაჯა ბუნების პირშმო მაყუაღი, როდესაც იგი ცხოვრებისა და ადამიანურ ენებათაგან განდგომილ მოსლერს ონოფრეს შეეხიზნა და მისნი წმინდა საქმენი გაიზიარა და მუქიყუფეს. წინაბუნებასა და ბუნებრივს ალლოს უღალატა. ეს ღალატი მას ჰყოფიდა ფასად დაუჯდა, რადგან მან, ადამიანმა, უარყო, თითქოს დაეიწყებას მისცა თავისი ადამიანური გრძნობები, მოატყუა თავისი თავი და მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება არჩია მოძღვრის უვნებო და ცივ სამყოფელში. მან, სიყვარულისა და ხორციელი ტკბობისათვის დაბადებულმა, საყვარელ არსებისადმი გრძნობა მოყვასისადმი თანაგრძნობაში გასცვალა და მით დასწიხლა კანონი სიციცხლისა. მან, სიყვარულისათვის გაჩენილმა, ვერ შესძლო თავისი უფლებისათვის ბრძოლა, ასპარეზი დასტოვა, უღალატა თავის თავს და დაიღუპა კიდევაც.

„მაყუაღმ შეახვია ცეცხლი, გაიხდა ტანთა და ის იყო ხელი ილო, პირვეარი უნდოდა გადაეწერა, როდესაც გაუნძრევლად გაშეშებულა დარბა.

„მის მოქმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწეო, მაგრამ მაშინვე ქარის წვილი გასმა და დაწყნარებით წარმოთქვა:

„— ტალო რა ლამეა?! ლმერთმა ქნა, რომ მშვიდობიანად გაიაროს!

„გადიწრო პირვეარი და თვალები მოხუტა, მაგრამ საყვირველი ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუტოთა და ათამა საგონებელმა წაიღო.

„— მაყუაღა დიდხანია ჭეყნისთვის მყედარი იყო განშორებოდა სოფლის ენებას და, თუმცა ჭეყნად დადიოდა, მაგრამ ჭეყნის ფუფუნებისათვის აღარ ეცალა.

„ამ ქალს მოეკლა, ჩემარბა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი და, ხორცის მყველი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

„მამ რაღა უნდოდა?..

„არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რიღასიცა და ეს მოლოდინი არ იყო გულის ნახად მზრეველი, მისი დამყვავებელი და ნეტარების მქაღნელი.

„ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლეგდა, უსამოვნებას, აღუძრავდა და, გამოურყვევლობაში ჩაეარდნილს, რაღაცა უბედურება თითქოს ყურთან ბოროტად დასწხოდა.

„მაყუაღა უძლერი შექმნილიყო სულით: მაგრამ კიდევ მოისმა კარების მოწოლის წმ. გარემდა... არაინ არის... ამოსუნთქა მაკრად და ძალად გამოიწვია ის, ეინც ისე გაშორებოდა.

„წუთს შემდეგ ქალი დაწყნარებით სუნთქავდა.

„— დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩემდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მალეღ ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრეინებდა. ხანდისხან მთებს შეწყვავებულნი წამოტრიალდებოდა და გამედგრებულნი გამოქვებულის კარს მოაწყვდებოდა. ქუხილი აღარ ასმოდა, მაგრამ მოქმუნებლის ცაზედ ჯერ კიდევ ელაგდა და ანათებდა წარსულის აფრით მოიხრებულს მიდამოს.

„— ერთბაშად იელა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოინდა მოჩვენებაჲ ცოცხალი კაცი, რომელიც ნახადში გახვეულიყო და იქვე კლდეს მოკენჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუფარდა. მის ძალსა, თუ სტვას რომელსამე შემთხვევას, ველარ გაუძლი კარებმა, გაიღო და, აქამდის შეუშინევილი, ნახდიანი განქრა. მიწა გაუსცდა და თან ჩაიბანა, თუ ფრთოვანს მანენდ გადატყვეული ქარს გაჰყვა, — კაცი ვერ იტყოდა.

„ხანნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებული ღრიალი დაიწყო. ეს ცრემლი ნაკადულად გადმოსცივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზეზუნი დაიწყო... მკიცე ხანი და მას შეტერთდა კვილი ღონემხიდილი ქალისა... ხმა ქარმა

ვაიტიცა ეღრილით და, ვინ იცის, საით გადაქმნება. კიდევ ხმა კვილიძის და ზედ მოჰყვა დამპყრუებელი დაჰქებება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში ჩაიხრია...

ძნელად რომ მკითხველმა გააჩიოს თუ ვინ მოქმედებს სამ შესანიშნავ ეპიზოდში,—ჩარი, ბუნება თუ ადამიანი. ისინი სამნივე ერთსარსებულ უტყუ-
ლან და ზორციით დაოსებულ, მაგრამ სულთ მძლავრი ქალებს წინააღმდეგ
მთელის ძალით ამხედრებულან. მათ სადანასისხლო ბრძოლა გამოუცხადე-
ბიათ მაყვალასათვის, რომელმაც სულის სახელით მოჰკლა ზორცი და მით
თავისივე ბუნებას უღალატა. მაყვალას სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ღა-
ლატი. ასევე ძვირად დაუჯდა ელეონორას თავის ბუნებრივ გრძნობათა
ღალატი, რადგან, ყაზბეგის ცნებით, სიყვარული მარად მართალი, მარად
ალალი უნდა იყოს; იგი მუდამ უანგარო უნდა იყოს, რადგან უანგარო არა
მხოლოდ ბუნება, არამედ მისი პირშეოც,—ქეშმარიტი ბუნება ქეშმარიტი
ადამიანისა.

განა ამ ძალუმმა მისწრაფებამ სიცოცხლისადმი, ციციასადმი არ ააყენეს
სნე მტკივნეულად უბირი სულთ?

„—რაი ექნა, რა ჩემი ბრალია? რისთვის ხარ ეგეთი ლამაზი?

„ციცია უფროებდა გაშტერებული, სიბრაღულით. ისა ხედვდა გაშმაგებულ ლოშს,
რომელსაც მშენივარება ვერ შეეყენებინა, ვერ დაემორჩილებინა.

„რაი გიყო, რაი ექნა? — ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციამ“.

ციცია ხელებს იმიტომ იმტვრევდა, რომ იცოდა სულთ მართალი იყო; იგი ალალი იყო, რადგან თავდავიწყებით უყვარდა ციცია და მისი დაფარვა აღარ შეეძლო. და თუ უყვარდა, რა ექნა ვაჟკაცს? ეს ხომ უბედურება იყო, უბედურება, რადგან ციცია მას თანაგრძნობას ვერ გაუწევდა,—მას სხვა უყვარდა. ასეთ პირობებში სულთ განწირული იყო. ასეთ ვაჟკაცებს მხოლოდ ერთხელ უყვართ და ეს სიყვარული, თუ უიღბლო გამოდგა, ისინი იღუპებიან. ციციას ამიტომ ებრალებოდა სულთ, მაგრამ რა ექნა, როცა მას თავისი ბეჯია ჰყავდა და მისთვის სიცოცხლე არა ჰშურდა? განა მაყვალას არ უყვარდა თავისი ონისე? მაგრამ მან ძალა დაატანა თავის თავს, დააზრო თავისი სიყვარული ისევე, როგორც ელეონორამ და ნამდვილი ბუნებრივი გრძნობის ჩახშობა მოისურვა. ხომ არ შეიძლება საკუთარი ზრდის სიკვდილს გარეშე შეჩერება? მაყვალამა და ელეონორამ ამ ზრდის შეჩერება მოისურვეს, ზრდისა, რომელიც ზეავივით მოშვებულ იყო და ამ ზეავს ქვეშ თვითონვე მოექცნენ. თუ მაყვალამ თავისი გრძნობა ღვთის სამსახურს ანაცვალა, ელეონორამ იგი თავისივე ცრუ თაემოყვარებობას შესწირა. მაყვალამ უღალატა იმას, ვინც თავის „ნამუაზე მეტად უყვარდა“, რადგან ნამუსი ისეთი ქმრისადმი ერთგულება კი არ არის, რომელიც არ გიყვარს, ნამუსი ის არის,—ეკუთვნოდე იმას, ვინც მართლა გიყვარს. მაყვალამ სწორედ ეს ნამუსი შელახა, მან ყველაფერი უაჩყო და ღმერთს შესწირა თავისი თავი, მის სამყოფელში იწყო ძიება დაქანცული სულის მყუდროებისა, მაგრამ ქარიშხალმა აქაც მოაგნო და წალეკა იგი. ერთი პირობა, თითქოს იგი მართლაც დამშვიდდა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო. იგი „დამშვიდდა“ იმ დროს, როდესაც ონისე რამინივით შეიშალა მისდამი ამოტრფობით, როდესაც იგი ტყე-ველად იყო გაჭრილი და ბუნებაში ჰკოვებდა ნუგეშსა და იმედს და ბუნებავე მოუწოდებდა მას სიყვარულისაკენ.

„ათისში ერთხელ ველად გაეარდნის ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე-
თორემ სალაპარაკოდ ხომ ვერაინ დაუახლოვდებოდა“, — ამბობს ყაზბეგი.

ასე დაუბრუნდნენ ერთერთს ონისესა და მაყვალას სახეობა და ქრისტიანული ღმერთი, ონისეს სიყვარული და სულის მოძღვარი, არჩიშხალი და მონაწონის მყუდროება.

ერქვესული

წუთის დასუსტების შემდეგ ონისე ამაყად, თავაღებულად წმინდა მოწამისათვის თებოდა წელში და მდგრად წარმოსთქვამდა:

— მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქნას! — და ამ სიტყვებში სრანა წარმოთქმულის ძალა, შეუფერებელი და შეუდრკენილი.

და აი იმ საშინელ ბოზობქარ ღამეს ეს ძალა, ძალა სატანიური, დაიძრა მოძღვრის სათნოებით აღსავსე სამყაროს წინააღმდეგ, იმ სამყაროსი, სადაც მაყვალას ავხორც და უტიფარ სიტყვებით მოაღერს ელოინასავით თავი შეეფარებინა. შაგრამ ონისე ბერი აბელარა როდი იყო, რომ ბედის განაჩენს აგრე იოლად დასჯერებოდა და მთელი ვნება საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ სპეკულაციაში გაექარვებინა. არც მაყვალა იყო ელოინა, რომ მონასტერში ჩათესლებულ დემონიით სატანიური ცოდვის ცეცხლი გაეჩაღებინა, თავის ტრფიალს საკურთხეველის წინ დანებებოდა და სათნოებით აღსავსე გმინვის მაგიერ, ჩაღენილი ცოდვის ნეტარებისაგან ამომხდარ კენესით შეერყია ეკლესიის საფუძველები. ონისე და მაყვალა ბუნების შვილი იყვნენ, ისინი მთლიანნი იყვნენ და ასეთ ორპირობას ვერ ჩაიდენდნენ. ისინი ან სრულიად ბედნიერნი უნდა ყოფილიყვნენ ანდა შემტსრვილიყვნენ. მაყვალა დაიღუპა. იგი მინდერის ყვავილივით ძირფესვიანად მოათზარა. მან ვერ შესძლო თავისივე ბუნებასთან ბრძოლა, იმ ბუნებასთან, რომელმაც იგი ონისესავით სასიკვდილოდ გაიმეტა და თან ცრემლი ნაკადულად დააყარა. ზოლო ქარმა მგლოვიარის გოდებით დაიზუზუნა. ეს ქარიშხალი, რომელიც ონისეს თან ახლავს, თვით მაყვალას სულში აღძრული ქარიშხალია. ბუნებასთან შეკავშირებული ონისე მთელი თავისი სტიქიონური ძალით აღიშარა მოძღვრის მყუდრო სამყოფელის წინააღმდეგ და შიგ შეფარებულ მაყვალასთან ერთად გააცამტვერა იგი. ონისემ თავისი ხელით შემუსრა თავისივე უსაყვარლესი არსება, დააქცია ტაძარი ცოდვისა, ეცეული სათნოების სამყოფელად; გაანადგურა იგი, რადგან მან უღალატა არა მხოლოდ ონისეს, არამედ თვით თავის თავსა და თავისივე ალალ გრძნობებს. ამ ბრძოლაში გამარჯვება ბუნებას დარჩა, სიცოცხლეს დარჩა. მერე რა, რომ ეს გამარჯვება სიცოცხლის სიკვდილით დასრულდა. განა სიცოცხლე მუდმივი ქცევა არ არის, მუდმივი კვლამა და კვლავ აღორძინება? განა თვით შემოქმედი, ალექსანდრე ყაზბეგი უკვდავი არ არის და მაინც მოკვდა, მოკვდა ჯერ სულიერად და შემდეგ ზორციელად? განა შემოქმედება უკვდავება არ არის?

დიდი მებატონის, დარიალის დიდი მეკარის გაბრიელ ჩოფიკაშვილის ჩამომავალი, ალექსანდრე ყაზბეგი, შემდეგ მოსკოვ-პეტერბურგის ბომონდის ლომი, მერე მწყემსი-სარქალი, სულ ბოლოს სერგეი მესხის რედაქციას შეეკედლა და აქედან იწყება ის ნამდვილი ცხოვრება ყაზბეგისა, რომლის გამო დიდ გრიგოლ ორბელიანს ალტაცებით აღმოხდა:

— ქართველების ომიროს არის. შაბაში!

ბუნების გრძნობა ბარათაშვილის პოეზიაში

1

პირველივე შთაბეჭდილება, რომელსაც ბარათაშვილის პოეზიიდან ვიღებთ, ერთ საგულისხმიერო თავისებურებაზე მიგვითითებს: ეს არის ბუნების უბეში მოთავსებული, ღია ცის ქვეშ აღფერებელი პოეზია. ბარათაშვილს მხოლოდ ორიოდ ლექსი აქვს, რომლებიც უკავშირდებიან ქართულ სალონს. ასეთებია, მაგალითად, საუკეთესონი მათ შორის „საყურე“ და „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“. ლექსთა უმრავლესობის ლოკალია მინდორი, ქსნისა და არაგვის ხეობები, რომელთაც ატეხილი ჭალები ამშვენებენ, მთაწმინდა, ყაბახი, მტკვრის ნაპირი და ბოლოს კოსმიური სივრცეები. უნებურად გებადებათ აზრი, რომ შელლის მზგავსად, ბარათაშვილიც თავის ლექსებს უმთავრესად ღია ცის ქვეშ სწერდა.

ეს საგულისხმიერო თავისებურება შედეგია ისეთი შინაგანი წყობისა, როდესაც ბუნების სიყვარულს გაბატონებული მდგომარეობა აქვს მოპოვებული სულიერ ცხოვრებაზე და ხშირად მისი განწყობის განმსაზღვრელ ძალად გამოდის.

როგორც ცნობილია, ბუნების გრძნობაში მსოფლიო რომანტიზმმა ღრმად ორიგინალური და საინტერესო მემოდიები შეიტანა. შესაძლოა მბატკრული შემოქმედების ისტორიაში ბუნების გრძნობა არასოდეს არ ყოფილა ესოდენ უნივერსალური, მდიდარი, ინტენსიური და ვარიაბული, როგორც რომანტიკოსთა თაობაში. რომანტიზმი არ იცნობს ისეთ პოეტს, რომ მის სულიერ ცხოვრებაში ბუნების გრძნობა დომინირ განცდას არ წარმოადგენდეს. მისი ინტენსივობა მისულა იმ ხარისხამდე, როდესაც საზღვარი განცდის ნორმალურ და ავადმყოფურ მდგომარეობას შორის მეტისმეტად ელასტიური ხდება და ოდნავი იმპულსია საკმარისი, რომ ეს საზღვარი სრულიად წაიშალოს. „ლანდშაფტს უნდა განიცდიდე როგორც საკუთარ სხეულს. ლანდშაფტი იდეალური სხეულია განსაკუთრებული სულისათვის“, სწერს ნოვალისი თავის „ფრაგმენტებში“. ჩვენ ვერ ვიპოვით ისეთ დასრულებულ რომანტიკოსს, რომ მისი პოეზია ამ ფორმულის განსხეულებას არ წარმოადგენდეს. რა თქმა უნდა, ასეთია ბარათაშვილის პოეზიაც, სწორედ ამიტომ არის აქ ბუნების გრძნობა ისეთი დამტკევი, კონდენსირებული განცდა, რომელშიაც ამოიკითხება პოეტის მთელი სულიერი ცხოვრება. სხვა ასეთი განცდა მის სულში არ მოიძებნება.

აღნიშნული თავისებურება უკვე თავისთავად მიგვითითებს ბარათაშვილის ბუნების გრძნობის პირველ დამახასიათებელ ნიშანზე. ის უნდა დავახასია-

თით, უწინარეს ყოვლისა, როგორც უშუალო, გულწრფელი, რუსოსისტული. მეთვრამეტე საუკუნის შვერალთა და მოაზროვნეთა შორის არსებს არ მოუხდენია მხატვრულ ლიტერატურაზე ისეთი ღრმა და შიშველი გავლენა როგორც ეან-ეაქ რუსომ მოახდინა. მისი მსოფლმხედველობის სრული უფლებით შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ რეზერვუარად, საიდანაც რომანტიზმმა მიიღო ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაკადი თავისი იდეური და მხატვრული შემოქმედებისა. ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, ბუნების გრძობაზე. საღონური კლასიციზმის შემდეგ პირველად სწორედ მან გამოიყვანა ხელოვნება და პოეზია ღია ცის ქვეშ, მაცოცხლებელ სუფთა ჰაერზე. ეს იყო მთელი გადატრიალება რაციონალისტური საუკუნის ესთეტიკურ გემოვნებაში, როცა მშვენიერებას ეძებდნენ არა ხელუხლებ ბუნებრივობაში, არამედ გაფაქიზებულ და გონებამახვილ ხელოვნურობაში. მაშინ იდეალად მიაჩნდათ ხელოვნური ფრანგული პარკი, სადაც მკაცრი გეომეტრიული დაგეგმულობა და ფაქიზად კულტივირებული მცენარეულობა აღბეჭდილი იყო დეკორატიული უსიცოცხლობით. და უცებ, ამ ხელოვნურ ბუნების გვერდით აღიმართნენ თოვლის ქულებში გახვეული ალბები, შვეიცარიის მოლივლე ტბები და მინდორსა და ტყეში თავისუფლად მოსული მცენარეები. კოსმეტიკის სუნე შესცვალა მინდვრის ყვავილების სურნელება. ამრიგად ბუნების მშვენიერებათა შეგრძობაშია ეან-ეაქ რუსო იცავს თავის უზენაეს პრინციპს: კარგია ყოველივე ის, რაც გამოვიდა შემოქმედის ხელიდან, ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში.

რუსოსისტულია ბარათაშვილის ბუნებაც. დაეაკვირდეთ მთაწმინდის პრიმიტიულ და უდაბურ ლანდშაფტს:

„პოი მთაწმინდა, მთაო წმინდა, ადგილნი შენი,
 დამაფიქრებლნი, ვერანანი და უდაბურნი
 ვითარ ქშენიან, როს მონამუნ ცვარნი ციურნი,
 ოღეს საღამოს დამშთენ ამოს ციანნი ნელნი“.

ეს რუსოსისტული ეპიტეტები — „ვერანანი და უდაბურნი“, — მარტო მთაწმინდას კი არ ეკუთვნიან, ისინი ახასიათებენ ბარათაშვილის ბუნებას მთლიანად. შეადარეთ მთაწმინდის ლანდშაფტს ქსნისა და არაგვის ხეობა, ყაბაზის არემარე ან მტკვრის სანაპირო. ყველგან აღმოაჩენთ ბუნებრივ თავისთავადობას, ქალწულებრივ მშვენიერებას, პრიმიტიულობას, ველურობას.

ცნობილია, რა გულისწყრომას იწვევდა რუსოში ფრანგული საბალო ხელოვნება. მას ბუნების შეურაცყოფად და ესთეტიკურ სიმახინჯედ მიაჩნდა კულტივირებული ვარდი და დამყნილი ხეხილი. რუსოს აღტაცება ეკუთვნოდა მხოლოდ ინგლისურ პარკს, რომელშიაც ბუნებას შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ბუნებრივი მდგომარეობა. გადაიკითხეთ ბარათაშვილის პოეზია და თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით ადამიანის ხელით გაშენებულ ბაღს, ადამიანის ხელით დარგულ მცენარეს. ხელოვნური ბაღები შეუცვლია ატეხილ ქალებს, კულტივირებული ყვავილები — მინდვრის ყვავილებს. ბუნების უნაზეს მშვენიერებათა შორის ადამიანმა დიდი სიყვარულით მოაშინაურა ყვავილების სამეფო და საამო დეკორატიუმი. შექმნა მათი დამატკბობელი ფეროვანებისა და სურნელებისაგან. მაგრამ ეან-ეაქ რუსოს მზგავსად ბარათაშვილიც შეურაცყოფილია იმით, რომ ადამიანმა შებღალა ბუნების ქალწულებრივი მშვენიერება, როდესაც ყვავილები განაშორა ბუნების

წიადს, აიღეთ, მაგალითად, მშვენიერი სუმბული, რომელიც უჭირთი და ვერცხლით შემკულ საღონში მოუთავესებით, საღლაა მისი სამოთხე-
ბა და დამატრობელი/სუნის!

ეროვნული
ხელოვნება

„მწირო“

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მკერტელს არ გაანდა დილა, საღამო?
მარკვი სადა არს სუნი შენი ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ეამი ღამასი ველი?

სუმბული

მწირო, ხომ მხედავ, მოეკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
შენი მწიროთა ყვაელით, მშვენიერს ცას, და ჩემსა ბუღბულს:
ავერ მისი აყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბუღბული და დაუშვებს სიცოცხლისა ხმას,
ხოლო მე ხშული ბუნელსა საღვტრს და სეფდიანსა
ველარ ეთხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!”

სუმბულის „სამშობლო ველი“ რუსოისტული ბუნების წიადია, სტიქიურა მოვლენების თავისუფალი სანაეარლო. აქ მარტოოდენ კეთილი ძალები რო-
დი მოქმედობენ. ნაზი ყვაეილების, კამკამა წყაროების და მოალერსე ნაი-
ვის გვერდით ბუნებაში ბატონობენ მზის დამაქნობელი მხურვალეა და
ზამთრის მომაკვდინებელი სუსხი. მაგრამ სიყვდილი და სიცოცხლე ბუნების
ორი აუცილებელი და გარდუვალი მდგომარეობაა. ისინი არსებითად მისი
მარადიული განახლების ძალებს წარმოადგენენ.

„ჲ, მწირო, სოფლად ყოველსა იქვს ეამი და ბოლო!
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უფამოდ მელბის ბოლო!
ზამთრით ბუნება არა ჰკედება,—სეველით იმოსვის,
რომ თავისს სიტრფოს, ვაზაფხულსა, განეშორების!
და მყის ეითარის შეენებითა კელავ შეიფურცელის,
ოფის მერცხალნი აბარებენ მოსელსა საყვარლის!
ახ, როდის ენახო მეცა ველად ჩემი ბუღბული,
რომ განვიშალო კელავ სიტრფით მისი სუმბული!”

სუმბულის მოთქმაში გამოიხატა პოეტის სიყვარული იმ ქალწულებრივი
მშვენიერებისადმი, რომელიც ადამიანს ეალერსება ხელშეუხები ბუნების
წიადში.

ბარათაშვილის ყვაეილები მხოლოდ მინდვრის ყვაეილებია, მათ შორის
კულტივირებული ბაღების ისეთი ეკუმულარები, როგორიცაა ვარდი, ნარ-
ვიზი, შროშანი, სუმბული, ზამბახი. ასეთი იყო პოეტის ბუნების გრძნობა
ბავშვობიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. გაიხსენოთ მისი ყრმობის
ლექსები: „ვარდი და ია“, „ნარვიზი და ყყაჩო“. შემდეგ—მთაწმინდის ყვა-
ეილები, ან თუნდაც პოეტური შედარებები, მაგალითად, ცნობილი ლექსის
სტრიქონები:

„მოყვარს თვალები მიბნედილები,
გზისა ცეცხლით დაქანცულები,
მაგრამ რის ეფერებტ ზამბახ-გარდთ ევლად
განწონვიან მათი ისრები“.

რუსოისტულია ბარათაშვილის პოეზიაში არა მარტო ლანდშოფტი, არამედ ასტრალური პეიზაჟიც.

მართალია, ასტრალური სამყარო საეხებით გამოირიცხებოდა მარჩილების შესაძლებლობიდან, მაგრამ გულუბრყვილობა იხეზებოდა გვი-
ფქრა, რომ ეს ადამიანი უძღურება რაიმე მხრით განსაზღვრავს ესთე-
ტიკურ კონცეპციას, რომ კოსმიური მნათობების მიძღვლებელი ობიექტუ-
რობა გარკვეულ მხატვრულ აპერცეპციას უკარნახებს ხელოვანს. შეუძლე-
ბელი სინამდვილეში სრულიადაც არ ნიშნავს შეუძლებელს ხელოვნებაში.
ამიტომ ასტრალური სამყარო ყოველთვის რუსოისტული როდია. მაგალი-
თად, ცნობილია, რომ გერმანელი რომანტიკოსების ხელში რუსოს სენტი-
მენტალური ბუნება გადაიქცა ფანტასტიურ ბუნებად, პეიზაჟებმა დაკარ-
გეს ამ თავისი გულუბრყვილო რეალისტური ხასიათი და ზღაპრულ არსე-
ბათა სამკვიდროდ იქცნენ. ასეთი მეტამორფოზა განიცადა არა მარტო ლან-
დშოფტმა, არამედ კოსმიურმა პეიზაჟმაც. ბრანდესი სამართლიანად აღნიშ-
ნავს, რომ ლუდვიგ ტიკის საეხე მთვარე მოგვაგონებს გასართული ქა-
ლალისაგან გამოჭრილ თეატრალურ მთვარეს, რომელსაც ანთებული ფანა-
რი აშუქებსო. შეადარეთ ტიკის თეატრალურ მთვარეს ბარათაშვილის ღამის
მნათობი, მიმზიდველი თავისი ციური სიღრმადით, მხურვალე ლოცვით მო-
ქანცული სულის მზგავსი, პოეტით მარად ჩაფიქრებული და სვედიანი!
რა დიდი განსხვავება! ბარათაშვილის მთვარე იმავე მატერიალური მოლე-
კულებისაგან შედგება, რომელთაც მის ღვთაებრივ შექმნი გახვეული ბუ-
ნება აუვით.

ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დიდი მანძილით აშორებს ბარათაშვილს
ჟან-ჟაკ რუსოსაგან.

როგორც ცნობილია, ჟან-ჟაკ რუსო ორიგინალური კულტურფილოსო-
ფიის ავტორი იყო. მისი ძირითადი აზრი, რომელიც დიკონის აკადემიის
მიერ გამოცხადებულ 'კონკურსზე წარდგენილ ტრაქტატშია დალაგებული
(„Discours sur les sciences et les arts“, 1850), კულტურისა და ბუნებრი-
ვი შდგომარეობის მკვეთრ დაპირისპირებაში გამოიხატება. საყოველთაოდ
ცნობილია ისიც, რომ ამ დაპირისპირების საფუძველს მალალი მორალური
იდეალი შეადგენდა. რომელიც რუსომ თავისი საძაგელი დროის სულმდამ-
ლობას დაუპირისპირა. „მეცნიერება და ხელოვნება, — სწერდა იგი, —
დაშნაშვენი არიან იმაში, რომ ნიჭს სათნობებაზე მალლა აყენებენ. ახლა
აღარაიენ კითხულობს; კეთილია თუ არა ადამიანი, ახლა კითხულობენ;
კვიანია იგი თუ არა, აღარაიენ კითხულობს; სასარგებლოა თუ არა წიგ-
ნი, არამედ — კარგადაა ის დაწერილი თუ არა. ყბედი ადამიანები მსუქან
ჯილდოებს ღებულობენ, ხოლო გულკეთილნი ხელცარიელი რჩებიან. ათასი
ჯილდოა დაწესებული კარგი სიტყვებისათვის, მაგრამ არცერთი — კარგი
საქციელისათვის, ჩვენ გვყავს ბუნებისმეტყველები, მათემატიკოსები, ქიმი-
კოსები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, მაგრამ ჩვენ აღარ გვყავს კარგი
შოქალაქენი“... ამ მგზნებარე მორალურმა კეთილშობილებამ მიიყვანა რუსო

ზემოაღნიშნულ პარადოქსალურ ანტინომიამდე. ბოროტების სათავე რუსოს აზრით, კულტურის განვითარებაში მარხია. ადამიანის ინტელექტუალურმა წინსვლამ დააქვეითა მისი ზნეობრივი ქაბიტუსი. ასე დაიბნა ცნობილი რუსოსიტული ლოზუნგი: უკან პრიმიტიულ ყოფისკენ, უკან მსოფლიოსკენ! იშვიათია კულტურის ისტორიაში მეორე ფაქტი, რომ მან ამ მოწოდების თანატოლი ენერჯია და მოქმედების რადიუსი ქაონდა. ის მცდარი იყო თავის არგუმენტებსა და დასკვნებში, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერი იყო იმ მორალური კეთილშობილების იდეით, რომელიც თანამედროვეობას დამანგრეველი ძალით ურტყამდა. შილერმა მოსწრებულად სთქვა: რუსო მზადაა დააქვეითოს მიზანი და იდეალი მხოლოდ იმიტომ, რომ რაც შეიძლება სწრაფად და გარდუვალად მოიპოვოს იგიო.

ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს რუსოს კულტურფილოსოფიის ანალიზი. ჩვენ გავიხსენებთ მისი ძირითადი აზრი ბუნების გრძნობის და მისი თავისებური განცდის ერთი მომენტის გასათვალისწინებლად. ეს მომენტი შემდეგში მდგომარეობს: რუსოს მსოფლმხედველობის დაკვირვებული ანალიზი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ ველური ბუნების აპოლოგია ზემოაღნიშნულ პარადოქსალურ ანტინომიას ემყარება. საეხებით სწორად მიგვაჩინა ალფრედ ბიზეს შენიშვნა: იმ სიყვარულში, რომელსაც რუსო ბუნებისადმი იჩენს, ჩვენ ვხედავთ ბნელ სარჩულს: შიშს ადამიანთა წინაშე. ავადმყოფურ სიძულვილს ყოველგვარ კულტურის მიმართ.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ გარემოებამ, რომ ბარათაშვილი რუსოს მზავესად თავისი საძაგელი საუკუნის წინაშე უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ მდგომარეობას. მართალია, ეს რუსოსიტული აზრია, მაგრამ ვინ რუსოს დისკურსიული აზროვნების ნაყოფს არ წარმოადგენს და მასში ჩვენ ვერ ვიპოვით რუსოს ვერცერთ არგუმენტს. ბარათაშვილი ძალიან შორსაა იმ აზრისგან, რომ ადამიანის მორალური დაქვეითების მიზეზი კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში ეძიოს. იმიტომ მის პოეზიაში ვერ აღმოვაჩენთ ვერც შიშს ადამიანთა წინაშე, ვერც ავადმყოფურ სიძულვილს კულტურის მიმართ და, მაშასადამე, ვერავითარ „ბნელ სარჩულს“ ბუნების განცდაში.

2

რომანტიზმი იცნობს ბუნების განცდის და მისი მხატვრული განსახიერების ორ სტილს: ფსიქოლოგიურ-ფანტასტიურს და ფსიქოლოგიურ-რეალისტურს.

ფანტასტიური ლანდშაფტების პირველი დასრულებული ოსტატები მსოფლიო რომანტიზმს იენელმა რომანტიკოსებმა მისცეს. ამ უკანასკნელთა ხილული ქვეყანა წარმოადგენს გრძნულ სინამდვილეს, ზღაპრულ არსებათა სამკვიდროს, სადაც შემთხვევას და მოულოდნელობას სრულიად დაუმორჩილებლათ ადამიანის ნებისყოფა. ალფრედ ბიზეს აზრით, იენელ რომანტიკოსთა დამოკიდებულება ბუნებასთან კარგად არის გამოთქმული ცნობილ ლექსში:

„მოვარის შუქით გაცისკროვნებულ გრძნულ ლამე.

გრძნობათა მომჯადოებლო.

სასწაულით აღსავსე ზღაპრულ სამყარო.

„აღიშრათე ჩემს ირგვლივ მთელი შენი თავისთავადი ბრწყინვალეობით“.

მაგრამ ფანტაზია ყოველ შემთხვევაში ორგვარია. ზოგიერთი მხარდობით სახე ეალურება ადამიანის სულს, ზოგიერთი გაურკვეველი შიშით აღიქვამს მას და მარტოობას და უმწეობას განაცდევინებს. დააკვირდით, მაგალითად, ფანტასტიურ ბუნებას ბერძნულ „ოდისეაში“, სადა მისი სურათები თანამიმდევრობით ენაცვლებიან სულის მათითარღვეულ მუხრათებს. თქვენ გრძნობთ, რომ პოეტს გარკვეული აზრი ამოძრავებდა, როდესაც ზედათ რა საოცარი ძალით იზრდება მოგზაურთა მხნეობა და მოხერხებულობა შინაგანი შიშის დასაძლევად და ერთი შეხედვით გადაუღბავი დაბრკოლების დასამარცხებლად. ხანდახან ისიც ხდება, რომ გამოუვალ მღვამარეობაში მოულოდნელად შემოიჭრება ხოლმე ღვთაებრივი ძალა და გადაარჩენს ადამიანს აუცილებელი დაღუპვისაგან. ეს უკვე ბერძნული ბედისწერის იდეით არის ნაკარნახევი და თქვენ უნებურად გაგახსენდებათ რუსთაველის ცნობილი ლექსი: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირას“. ყოველივე ეს, — პირადი თაოსნობით დამარცხებული დაბრკოლებაც და უზენაესი ძალის ჩარევაც, — საბოლოო ანგარიშში აესებენ ადამიანის სულს არა შიშით, არამედ გაფრთხილებით იმ ბნელი ძალების მიმართ, რომელნიც მზაკვრულად ჩასაფრებულან ბუნებაში.

ასეთი როლია იენელი რომანტიკოსების ბუნება. ისინი თითქოს მრუდე სარკეში სინჯავენ მას და ისიც ათასი გრძნობით გამოიყურება მათი პოეზიიდან. წარმოუდგენელია ამ ლანდშაფტში ადამიანმა სულიერი მყუდროება იგრძნოს. ხილული ქვეყანა დეფორმირებული შეგრძნებებით იჭრება პოეტის სულში. ის ტყვედ უვარდება იმ ფანტასმაგორიულ სახეებს, რომლებსაც თვითონ უკარნახებს გარემდებარე საგნებს და მისი სულიც დისპარმონიულ აკორდებს გამოსცემს ამ უცნაურ გაღიზიანებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ამ შინაგან თრთოლვას რომანტიკოსი განიცდის როგორც ღვთაებრივი შთაგონების პოეტურ ძალას.

„ალექსანდრე ჰუმბოლდტი დაამტკიცა, — სწერს ბრანდესი, — რომ ძველი ქვეყნების ადამიანი სილამაზეს ჰპოვებდა ბუნებაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის იყო მოალერსე, მეგობრული და სასარგებლო ადამიანისათვის. რომანტიკოსები მოიქცნენ პირიქით, სასარგებლო ბუნება მათ უღამაზოდ ეჩვენებათ. ისინი მტრ შშვენიერებას ნახულობენ ველურ ბუნებაში, ან მაშინ, როდესაც იგი გაურკვეველ შიშსა ჰგვრის მათ. ღამისა და მთის ხეების წყვილიადი, განმარტოვება, რომლის დროს პანიკური შიში აძრწუნებს სულს, ყველაფერი ეს რომანტიკოსის საყვარელი მოვლენებია“.

ბარათაშვილის ბუნებაში ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ვერც ზღაპრულ სიმბოლიზმს, ვერც მითიურ ან ფანტასტიურ ელემენტებს. აქ ბუნების მოვლენები მთელი შემოქმედების მანძილზე ინარჩუნებენ სინამდვილის გრძნობას. ბარათაშვილის პოეზიაში ვერ აღმოვაჩენთ ვერც იმ სულის შემადრწუნებელ შიშს, რომელსაც ჰუმბოლდტი და ბრანდესი გერმანელ რომანტიკოსებში ჰპოვებდნენ. ბარათაშვილის ბუნება მშვიდია და მოალერსე. მის ლამაზ ხავერდოვან კანს ჰარმონიული მელოდოებით უპასუხებს პოეტის მოღლილი სული.

გასაგებია ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელმაც იენელ რომანტიკოსებს შთაერიანი ღამის ლანდშაფტები უკარნახა.

მზის ჩასვლა ფერებსა და კონტურებს უკარგავს საგნებს, მთვარის ვერცხლისებური შუქი ზავერდსა და აბრეშუმს აფენს. მაშინ პოეტის ცნობიერება საკუთარ სულში აღმოცენებული ფანტასმაგორიებით დაასახლებს გაფერ-

მკრთალეზულ ლანდშაფტებს, რომელთაც აღარ შესწევთ ძალა თავისი შვეთრი ფერებით და მოხაზულობით შეიკრან პოეტის წარმოსახვის შემოქმედებითი მდინარება შესწევით.

გასაგებია ისიც, რომ ბარათაშვილის მთავარიან პეიზაჟს მტკვარის ქოლოგიური საფუძველი აქვს. ბარათაშვილის მთავარიან ზღაპრული ქვეყანა როდი იქცევა ირრეალური ძალების სამკვიდროდ. დღე-ღამის მობრუნებაში ეს არის მხოლოდ დროის საუკეთესო მდგომარეობა სულიერი განმარტოებისათვის. გაფერმკრთალეზულ საგნები საშუალებას აძლევენ პოეტს ღრმად შეიკრან სულში და თავისი მღელვარე გრძნობები გადმოშალოს.

რით უნდა აეხსნათ ეს რეალიზმი?

მე ვფიქრობ მისი ახსნა უნდა ვეძიოთ ბარათაშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, რომელიც მთელ მის პოეზიას სრულიად განსაკუთრებულ თავისებურებას ანიჭებს.

თუ დავაკვირდებით ბარათაშვილის შემოქმედებას 1842 წლამდე, რომელიც, ჩემის აზრით, ორი პერიოდის სამიჯნო თარიღს წარმოადგენს, ერთ თავისებურებას დავადასტურებთ: პოეტის ბუნება შემოფარგლულია საქართველოს საზღვრებით. იმ ლექსებშიაც კი, სადაც პოეტი კოსმიურ ლავარდს შეერთვის და ასტრალურ მნათობებს ესაუბრება, ის არასოდეს არ სცილდება საქართველოს მიწას. მის ლექსებში მხოლოდ სამშობლოს თავზე ანთებული ვარსკვლავიანი თალია, მისი მთვარე ყოველთვის ჩვენი ქვეყნის რელიეფს ეფინება.

თავისთავად ეს დამახასიათებელი გარემოება სრულიად საკმარისი იქნებოდა წარმოგვედგინა იმ პატრიოტული სიყვარულის ძალად, რომელიც მსჭვალავს ბარათაშვილის პოეზიას და მას ჩვენი ერის სულისკვეთების გამომხატველად აქცევს. სევდიანად მოდუღუნე მტკვარი, დაფიქრებული და უღიბური მთაწმინდა, თვალად საამო ყაბახი, მჩქეფარე ქსანი, არაგვის აბიზინებული სანაპიროები მარტოოდენ ბუნების ესთეტიკური ფენომენები კი არ არიან, არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ჩვენი წარსულის უტყვი მოწმენი.

„ეინ იცის, მტკვარო, რას ბუბუბუბ, ვისთვის რას იტყვი?
მზავალ დროების მოწამე ხარ, მავრამ ხარ უტყვი!“

ეს გრძნობიერი სტრიქონები ეხება არა მარტო მტკვარს, არამედ საქართველოს მთელს მიწაწყალს, რომელზედაც ცხოვლად არის აღბეჭდილი ჩვენი ისტორიის ნაკვალევი. გაიხსენეთ მავალითად, „ბედი ქართლისა“. დააკვირდით არაგვის ხეობის ლანდშაფტს და მის თავზე ანთებულ ცის მნათობებს, რა გულბნობილ პატრიოტულ გრძნობაშია გახვეული მთელი ბუნება! საქართველოს ცაზე ანთებული ასტრალური მსხუღლებიც მტკვარივით უტყვი მოწმენი არიან ჩვენი წარსულისა.

სხვათა შორის საგულისხმოა ამ გრძნობიერ სურათში მხატვრული ფერწერის ერთი თავისებურება, რომელსაც ანალოგიურ მავალით ვერ მოვუნახავთ ბარათაშვილის ლირიკულ ლექსებში:—რა შვებას და სიამეს მოჰყენს ირგვლივ მთელი ბუნება და რა კონტრასტს ჰქმნის მისი პირმცინარე გამოხედვა ჩვენი უახლოესი ისტორიული პერიოდის ტრაგიკულ ფინალთან, რომელსაც პოემა აგვიწერს.

ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ პატრიოტული გრძნობა წარმოადგენს სწორედ იმ დომინირ განცდას, რომელმაც განსაზღვრა ბარათაშვილის სულიერი განწყობა ბუნების რეალისტურ ფერწერაში. ეს საყვარელი მშობლიური მიწის მიმართ იმდენად ძლიერია, რომ სრულიად გაქვრივების მის მხატვრულ განსახიერების ირრეალურ ფორმებს. ეს ზომიერი მხატვრული ენობოდა იმ წმიდათა-წმიდა მიწის, რომელზედაც აღბეჭდილია ჩვენი წარსულის კვალი. პოეტი თავს ევლება წინაპართა დიდების ამ უტყვე მოწმეს, როგორც რელიქვიას, როგორც საყვარელი ადამიანისაგან დანატოვარ სამახსოვრო ნივთს.

ნაციონალური ბუნების აპოლოგიის თვალსაზრისით ბარათაშვილი უახლოვდება რომანტიზმის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ პუშკინი ან ირლანდიელი ტომას მური და დამოუკიდებელ პოზიციას ინარჩუნებს ისეთი რამანტიკოსების გვერდით, როგორიც იყვნენ ბაირონი ან შელი ინგლისში, სენ-პიერი ან შატობრიანი საფრანგეთში. ამ უკანასკნელთ იმთავითვე ახასიათებდათ ბუნების კოსმოპოლიტური შეგრძნება, მათ შორის ყველაზე დიდი მასშტაბი, ისევე როგორც ყველაზე გამახვილებული შემგრძნები აპარატი რა თქმა უნდა, ბაირონს ჰქონდა. საყურადღებოა, მაგალითად, რომ სწორედ დასახელებულმა პოეტებმა გააცოცხლეს ევროპულ პოეზიაში აღმოსავლეთის, ამერიკისა და ტროპიკის ხელუხლები ბუნება, ოკეანეთა თვალშეუდგამი პირიზონტები, უზარმაზარი გაუვალი ტყეები, ინდოეთისა და ამერიკის წყალუხვი მდინარეები, ტროპიკული მზის მსურველება და მისი მდიდარი ექსოტიური მცენარეულობა.

ეს კოსმოპოლიტური მასშტაბი, რომელიც ბარათაშვილის პოეზიაში თავს იჩენს მხოლოდ 1842 წლის შემდეგ, ამოზრდილია თავისებურ ისტორიულ და ბიოგრაფიულ ნიადაგზე, მართლაც, არც ბაირონს არც შელის არ სჭირდებოდათ პოეტური ექსკურსიები ისტორიულ მუზეუმებში. ისინი ეკუთვნოდნენ იმ ერს, რომელსაც ნორმანდების შემდეგ არცერთხელ არ უგრძნიათ ეროვნული თავმოყვარობის შელახვა. შატობრიანის ბედი სხვაგვარად წარმართა რევოლუციის ქარტეხილმა. მაგრამ რა განსხვავებაც არ უნდა იყოს აქ, ერთი რამ ყოველ შემთხვევაში საერთო ჰქონდა შატობრიანს ბაირონთან. არც საფრანგეთის ისტორიას ახსოვს მსგავსი რამ. ბედის დაცივნეაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციის ქარტეხილმა შატობრიანს ხელში თოფი ააღებინა და იმ უცხოელ ლეგიონერების ჯარისკაცი გახდა, რომელნიც მისი მშობელი ერის სუვერენული ნება-სურვილის დამორჩილებას ლაშობდნენ.

ამრიგად სულ ჩხვადასხვა ნიადაგზე აღმოცენდა ბარათაშვილისა და შატობრიანის ისტორიზმი. საქართველოს პოეტს თავის ერის ბედობალი აწუხებდა, ხოლო საფრანგეთის პოეტს თავისი არისტოკრატიული ინტერესები, ბარათაშვილის გულისტკივილის ნიადაგი ეროვნული იყო, შატობრიანისა — კლასობრივი. ამიტომ ბარათაშვილის ისტორიზმს სამართლიანობის იდეა წარმართავდა, ხოლო შატობრიანის პოლიტიკური და პოეტური ისტორიზმი რეაქციულობას ნიშნავდა.

ამ თავისებურ ისტორიულ ნიადაგს უნდა დავუმატოთ ბიოგრაფიული მომენტი. საგულისხმოა, რომ დასახელებული ევროპელი რომანტიკოსების კოსმოპოლიტურ ნატურალიზმში, ისევე როგორც ბარათაშვილის ბუნების განცდის ნაციონალურ კანგებში ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. ბიოგრაფიული ფაქტორი ყოველთვის იყო და რჩება პოეტური

შემაჯავებელი უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. მოუხედავად მრავალი განმასხვავებელი ნიშნებისა, რომლებიც ამ პოეტების ბიოგრაფიულ სტრატეგებს ერთი პერიოსიდან აშორებს, მათ ცხოვრებაში ერთი საერთო ბედი განზიარეს: ყველას დიდი ხნით საშობლოს გარეთ ყოფნა მოუხდა. ბარონმა და შელიმ პოეტური ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი ნაწილი წინააღმდეგობისა და იტალიაში გაატარეს, შატობრიანმა — ინგლისსა და ამერიკაში, სენ-აიერმა — კუნძულ ილ-დუ-ფრანსზე ინდოეთის ოკეანეში. ბარათაშვილი ბედმა მშობლიურ მიწას მიაკრა და მისი მღელვარე ისტორიული ცხოვრების თანამონაწილე გახდა. ამ რატომ შევიგარძნობთ მისი პოეზიის სტრიქონებში ამ მღელვარების უსწორმასწორო და აჩქარებულ რიტმს.

3

ჩვენ გამოვარკვეთ ბარათაშვილის ბუნების ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება — სინამდვილის გრძნობა, რომელიც განსაზღვრავს რეალისტურ პეიზაჟს. საჭიარისია პირველი შთაბეჭდილება, რომ ნათლად შევნიშნოთ მეორე თავისებურება — ფსიქოლოგიზმი, რომელიც განსაზღვრავს უკვე განწყობილების პეიზაჟს. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიზმი და სინამდვილის გრძნობა ორი დამოუკიდებლად თანაარსებული კომპონენტები კი არ არიან, არამედ ერთი მთლიანი განცდის განუყოფელი მხარეები. ამრიგად ობიექტურისა და სუბიექტურის, რეალისტურისა და ფსიქოლოგიურის თავისებური სინთეზი ბარათაშვილის სტილის ძირითადი დამახასიათებელი მომენტია. ჩვენ განვიხილეთ ერთი მხარე, განვიხილოთ მეორეც.

თუ პრიმიტიული ბუნების გრძნობა რომანტიზმმა ეან-ეაჟ რუსოსაგან მიიღო, განწყობილების პეიზაჟი დაამკვიდრა უკვე გოეთემ.

დაეკვირდეთ, მაგალითად, ბუნებას ანტიკურსა და შუა საუკუნეების ხელოვნებაში. იქ სტიქიური მოვლენები სრულიად განწყობილი არიან ადამიანის ფსიქიური განწყობილებისაგან. ისინი უფრო კონტრასტულ მიმართებაში იმყოფებიან ადამიანის შინაგან სამყაროსთან, ვიდრე კარმონიულ მთლიანობაში. ხშირად აქ სტიქიონი ჩასაფრებული ავაზაკის შთაბეჭდილებას სტოვებს. საჭიროა სულის მხნეობა, ამტანობა, სიფრთხილე და მოხერხებულობა, რომ ადამიანმა თავი დაიცვას მისი გამანადგურებელი ძალები-საგან.

მომდევნო საუკუნეებში ბუნება თანდათან ჰკარგავს ამ საშინელ თვისებებს. განიჭმინდება ბოროტი სულებისაგან და ადამიანის ნება-სურვილს დაემორჩილება. ეან-ეაჟ რუსოს ბუნება, რომელიც ადამიანში აღძრავს სენტიმენტალურ გრძნობებს და საოცნებო განწყობილებას, წარმოადგენს სრულიად ახალი თვალსაზრისის დამკვიდრებას ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაში. მაგრამ მოუხედავად ამისა, ბუნება მაინც ინარჩუნებს მკვეთრად დამოუკიდებელი არსების მდგომარეობას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება რაიმე სხვა ფსიქოლოგიური ან რაიმე კულტურისა და ბუნების დაპირისპირების იდეას, რომელიც საფუძვლად ედო ეან-ეაჟ რუსოს მსოფლმხედველობას.

გოეთემ შემოიტანა ახალი თვალსაზრისი. „ვერტერში“ პირველად ეხედეთ ადამიანის ფსიქიურ განწყობილებით გამსჭვალულ სტიქიონს, აქ ბუნება აღარ არის უკანა პლანი, ფონი ან ჩარჩო მოქმედებისათვის. ობიექტური პეიზაჟი გადაქცეულა განწყობილების პეიზაჟად.

რომანტიკოსებმა განწყობილების პეიზაჟი უმაღლეს ხარისხამდე აიყვანეს. მათი ბუნება სულში ანარეკლ სინამდვილეს წარმოადგენს. თუ პოეტის სული მწუხარებამ მოიცვა, ასეთივე მწუხარება დაისადგურებს მის ოჯახში.

ეროვნული
გზაურობის

როგორ აისახა პოეტის განწყობილება ბუნების განცდაში?

ბარათაშვილს ჰყავს თავისი საყვარელი არსებანი, ის თავს ევლება ზოგიერთ საგნებს, რომელნიც ნუგეშის სხვისა ჰფენენ მის მარად დაფიქრებულ მუხლს. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, თბილისი, საქართველოს ისტორიული სიდიადის მოწმე. პოეტი ისე მძაფრად გრძნობდა თბილისის სუნთქვას, როგორც სულის უინტიმეს მოძრაობას. ქართველი რომანტიკოსებიდან მხოლოდ ბარათაშვილის პოეზიაში გაცოცხლდა თბილისის თვალწარმტაცი მშვენიერება. მისი მომხიბვლელი ლანდშაფტები, რამდენი ფიქრი და ფაქიზი ემოცია გაუზიარა პოეტმა თბილისის არემარეს!

ჩვენი დროის თბილისელს წლის საუკეთესო დროდ შემოდგომა მიიჩნია. მაგრამ ქართველი რომანტიკოსები და კერძოდ ბარათაშვილი სხვა აზრისა იყვნენ. ბარათაშვილის პოეზიაში ვერც თოვლის ფიფქს ნახავთ, ვერც შემოდგომისა და ზაფხულის პეიზაჟებს. ბარათაშვილის საყვარელი დრო გაზაფხულია, საყვარელი თვე—მაისი.

ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსემ უძღვნა თავისი აღტაცება თბილისის მაისს:

რა სჯობს მაისში თბილისსა,
ვარდი ვარსკვლავებს ესხასა,
მწვანედ დღეადღეს გაბეშო,
ცის ცეარი მასზე ესხასა!

მაგრამ განა მართო პოეზია უმღერდა თბილისის მაისს?

1811 წელს საქართველოს დედაქალაქს სწევდია ერთი განათლებული უცხოელი ქალი— ფრედერიკა ფონ ფრაიგანგ, რომელმაც საგულისხმიერო მოგონება დასტოვა თბილისის სწრაფწარმავალ გაზაფხულზე, რომელსაც რომანტიკულად განწყობილი მოგზაური ქალისათვის გულწრფელი აღტაცების პოეტური სტრიქონები შთაუგონებია:

„აქ გაზაფხულია მთელი თავისი მომხიბვლელით. ბუნების სილამაზე წარმოადგენს ცხოვრების ერთერთ ყველაზე უფრო აღმგზნებელ სიტკბობას. საქართველოს ბუნება უაღრესად დიდებულია. საუცხოო დღეები ერთი მეორეს ენაცვლებიან. სიკამკამე და სიკაშკაშე თითქოს უფრო ამალღებს ცის კამარას. მცენარეული იკვირტება და იფურჩქნება. ჰყვავის ნუში. მთელი ბუნება ახალგაზრდაედება და თავს ილამაზებს საუკეთესო სამკაულით. რა არაჩვეულებრივი სილამაზეა აქაური მზის ამოსვლა: ცის უამრავი მგალობელი ზეიმობს სინათლის დაბრუნებას. ჰაერი გაყდენილია ათასგვარ ბალზამისებური სურნელებით, რომელსაც აფრქვევს მცენარეულთა სამყარო, ადამიანის თვალი ვერა ძლება მისი მრავალფეროვნობით და ნორჩი სიმწვანით“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი აღტაცებული იყო თბილისის გაზაფხულით, მისი გრძნობიერი პოეტური სტრიქონები მაისის ბუნების სურათებს ხატავენ. მაგრამ თუ უცხოელი ქალის გატაცების საგანს შეადგენდა მზის მომ-

ჯადოებელი სპექტრი, რომელიც ფერადოვანი საბურველით მოსავს ჩვენს დედაქალაქს, ბარათაშვილს უყვარდა მხოლოდ „მაისის ღამე, მიბუნდული, გრილი და ამო“ („ღამე ყაბახზე“).

გავრცელებულია უმართებულო აზრი თითქოს რომანტიკულმა შემოღობვის პეიზაჟს ეკუთვნოდეს გაბატონებული ადგილიც. ~~რომანტიკული~~ შემოღობვა ყველაზე უფრო ეხამება რომანტიკოსის ფსიქიურ განწყობილებას. ასეთი აზრი ზერელე და ემპირიულად დაუსაბუთებელია. ქართული რომანტიზმი ამ აზრის უარყოფას წარმოადგენს. მაგრამ ვერც ევროპიულ რომანტიზმში შევხვდებით წლის რომელიმე გაბატონებულ დროს.

ევროპული ნაადრევი რომანტიზმის ერთერთი ფუძემდებელი ჯემს ტომსონი თავის ცნობილ პოემაში „წლის ოთხი დრო“ („The seasons“) არცერთს არ ანიჭებდა უპირატესობას დანარჩენთა წინაშე. ეს განწყობილება ტიპურია რომანტიზმისათვის მთლიანად, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წმინდა ინდივიდუალურ მომენტებს.

უფრო მეტი: პოეზიის ისტორია იცნობს საღი ოპტიმისტური და რეალისტური განწყობილების პოეტებს, რომელნიც შემოღობვისა და ზამთრის ტრუბადურებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ასეთია, მაგალითად, პუშკინი.

არასოდეს არ ყოფილა ბუნების ფერწერა ისე ყოველმხრივი და ნაირსახოვანი, როგორც რომანტიკოსთა თაობაში. აქ შევხვდებით ბუნებას ყოველ დროში და სტიქიურ მოვლენებს ყოველ მდგომარეობაში. და ეს სავესებით გასაგებია იმ საგულისხმებრო თავისებურების გამო, რომელსაც ჩვენ განწყობილებას პეიზაჟი ვუწოდებთ.

რატომ უყვარს ბარათაშვილს „მაისის ღამე, მიბუნდული, გრილი და ამო?“ აქ ორი მომენტია: მაისი და მიბუნდული ღამე.

ჯერ ორიოდ სიტყვა მაისის გამო.

ფრედერიკა ფონ ფრაიგანგი გამოსთქვამს ერთ საინტერესო მოსაზრებას, რომელიც, ჩვენის აზრით, კარგად ხსნის ბარათაშვილის განწყობილებას. ეს მოსაზრება მით უფრო საყურადღებოა, რომ განათლებული მოგზაური ქალის დღიური რომანტიული სულის გადმოშლას წარმოადგენს. გასული საუკუნის პირველი ათეული წელი ევროპიული რომანტიზმის მწიფობის პერიოდია. ფრედერიკა ესტუმრა საქართველოს ყველაზე რომანტიული ქვეყნიდან, სადაც სწორედ ამ პერიოდში გაიშალა შვაბელი და ჰაიდელბერგელი პოეტების მშვიდი მელანქოლიური პოეზია. სავესებით გასაგებია თუ ბრენტანოს, არნიმის, ულანდის ან მიორიკეს პოეტურ განწყობილებაზე აღზრდილმა ქალმა საქართველოს ბუნებაში სწორედ ის თავისებურება აღნიშნა, რომელიც ყველაზე მეტად ეხმაურებოდა მის რომანტიულ სულისკვეთებას. თბილისის გაზაფხულით აღტაცებული ფრედერიკა თავის დღიურს ასეთი მელანქოლიური სტრიქონებით ამთავრებს: „ამ ამგზნებელ და მრავალფერ სიტკბოებას მხოლოდ აქაური გაზაფხული იძლევა და, როგორც ჩანს, გაზაფხულზევე თავდება ბუნების სიტკბოება, რადგან, როგორც ამბობენ, მაისში სიცხე იმდენად დიდია, რომ სიმწვანე ქნება. ვაგლახ! ეს ნამდვილი სურათია სიცოცხლის სიტკბოების წარმავლობისა!“

და მართლაც სიცოცხლის სიტკბოების წარმავლობა, რომელსაც ესოდენ მელანქოლიური გულისტკივილით აღნიშნავს უცხოელი ქალი, მაისის თბილისის რომანტიული თავისებურებაა.

ჩვენ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ სწორედ ფიჭვი სიცოცხლის სიტკბოების წარმავლობაზე წარმოადგენდა ბარათაშვილის სულში იმ დო-

მინატურ ფსიქიკურ განცდას, რომელსაც თბილისური სამაისო ლანდშაფტების უპირატესობა უნდა განესაზღვრა. ჩვენ, ოპტიმისტურად განწყობილ თაობას, გვიყვარს თბილისის შოალერსე და მთვლემარე შემოდგომ. შეიძლება საქართველოს არცერთ კუთხეში არ იძინებს ბუნებაუყვარულად, როგორც თბილისში. არსად არაა შემოდგომა ისე ნაზი, რამდენადაც თბილისში იწიფება სინოყიერე და ბარაქა გვაიწყებს მოთენთილ ზაფხულს, ხოლო ხანგრძლივობა და სიზანტე — ჯერ კიდევ შორეულ ზამთარს.

მაგრამ ეს ჩვენი განწყობილებაა. ბარათაშვილს სოფლის ამოებების პრობლემა აწუხებს და ამქვეყნიური სიტყბოების წუთიერი წარმავლობის მაგალითს სწორედ თბილისის ხანმოკლე გაზაფხულში პოულობს.



მორე მომენტია „მიბინდული ღამე“, უფრო მეტად — მთვარიანი ღამე.

ბარათაშვილის თბილისში მხოლოდ მთვარის შუქია დაფენილი. როგორც ცნობილია, ეს არის ტიპური რომანტიული პეიზაჟი, რომელმაც უმშვენიერეს პოეტურ სტრიქონებს აუზილა თვალი რომანტიულ პარნასზე. ბარათაშვილი მთვარიანი ღამის ტრუბადურია.

როდესაც უკვირდება ბარათაშვილის მთვარიან პეიზაჟებს, ლექსებსა თუ კერძო წერილებში, გრძნობ იმ დიდ განსხვავებას, რომელიც ქართველ პოეტს ლუდვიგ ტიქისაგან ამორებს. ამ შემთხვევაში ტეროპელი რომანტიკოსებიდან ჩვენ იმიტომ ავირჩიეთ ლუდვიგ ტიკი, რომ ჩვეულებრივ სწორედ მას სთვლიან მთვარიანი ლანდშაფტის შემქმნელად.

ბარათაშვილს მთვარე მისი პოეტური სულის ორეულია. იგი კოსმიურ სივრცეებში მოძრაობს მშვიდად, მირიადი ვარსკვლავებით გარშემორტყმული, მაგრამ მაინც განმარტოებული და მოწყენილი. მთვარის შერთალ დისკოზე ბარათაშვილის სევდა აღბეჭდილია. ევროპის რომანტიულმა პოეზიამ უმშვენიერესი პოეტური სამკაულები მოუტანა მთვარეს. მათ შორის თვალმარგალიტით ბრწყინავს ბარათაშვილის პოეტური შედარება:

„ვინახეთ სული, ჯერეთ უმნკო, მზრგალე ლოკით მიქნეებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნახად მოვარ, დისკო გადახრით შუქმიბინდული“.

ბარათაშვილის ყოველ ლექსს თავისი ბიოგრაფიული ფესვი აქვს. ზოგერთი მათგანის შესახებ პეტრე პეტროვიჩი მივეითითებენ პოეტის კერძო წერილები და მისი თანამედროვეების მოგონებანი. ამ ბიოგრაფიული ფესვით აიხსნება, რომ ისინი გულის სიღრმიდან ამოზრდილი ახსარების შთაბეჭდილებას ახდენენ. გოეთეს ცნობილი ფრაზა: ყველაფერი, რაც დამიწერია ჩემი სულის აღსარების ნაწილებს წარმოადგენენო, კარგად ახასიათებს ბარათაშვილის ლირიკულ ქმნილებათა ამ საგულისხმეო თავისებურებას, რომელიც მთელი რომანტიული პოეზიის საერთო მნიშვნელს წარმოადგენდა და რომელსაც ლიტერატურის ისტორიკოსები აღნიშნავენ იდიომატური გერმანული სიტყვით: Gemüth. გოეთემ დაახასიათა ეს უცანასკნელი, როგორც შინაგან სითბო, სულის სითბო (Innere Wärme, Seelenwärme).

ჩვენ შეგვიძლო გვეთქვა, რომ ამ შინაგან სულის სითბოში წარმოებდა რომანტიული პოეზიის შემოქმედებითი ინკუბაცია. მაგრამ ვანა ეს მარტო

რომანტიზმის შესახებ ითქმის? ნამდვილი პოეზია სისხლით იწერება და ბიოგრაფიიდან შემოქმედებისაკენ უშუალო გზებია გაშლილი.

ბარათაშვილის სულის ბიოგრაფიულ ფესვზეა ამოზრდილი მისი განწყობილების პეიზაჟები, რომელთა შორის „შემოღამება მთაწმინდაზე“ უმჯობესად გამოხატულია რომანტიული პოეზიის შედეგად უნდა ჩაითვალოს. შინაგანი მთაწმინდა

რა საამო სანახაობა ეშლება ადამიანის თვალს რომელ პოეტს დაუბატავს ასეთი მომჯადოებელი სურათი! მსოფლიოს სუცეთესო რომანტიკოსები ალტაცებაში მოვიდოდნენ ამ წარმტაცი შემოღამებით ბარათაშვილის მთაწმინდაზე. „მე შენსა მკვრეტსა მავიწყდების საწუთროება“, — ამბობს პოეტი. ამ ლანდშაფტის მხილველისათვის ეს არაა დაუგვირგებელი.

ჩვენ ამ ლექსს კიდევ დავუბრუნდებით სხვა ასპექტით, სხვა ამოცანის გადაწყვეტის დროს. დაუეკვირდეთ ახლა მის გრძნობიერ სტრიქონებს შინაგანი განწყობილების პროექციის თვალსაზრისით, დაუეკვირდეთ როგორ გადააქვს პოეტს ზილულ გარემოში თავისი უინტიმესი სულიერი მოძრაობა და როგორ განიცდის ამ უკანასკნელს ბუნების ფენომენებში განსხვავებული ფორმების სახით. მთელი ეს გრანდიოზული პეიზაჟი ამოზრდილია იმ შინაგანი სითბოს ენერგიით, რომელსაც ჩვენ Gemüth-ი ვუწოდებთ.

მთაწმინდა ცოცხლობს და განიცდის. ცოცხლობს და განიცდის მის თავზე ანთებული ასტრალური სამყარო. ახლა ის ჩაძირულა მთვლემარე დუმილში, გამოუთქმელ სევდას დაუმუნჯებია მისი არსება. ხანდახან ამ სულის მათრითოლებელ მღვმარებას არღვევს მხოლოდ ჩელად მჭროლი ნიავის კენესა ლელეთა შორის. მთელი ეს გრანდიოზული ამბღებელი პეიზაჟი მოგვაგონებს ფანტასტიურ კოსმიურ ეკრანს, რომელზედაც აღბეჭდილია პოეტის ჩათვქრებული სული.

„შემოღამება მთაწმინდაზედ“ დებრესიული განწყობილების ტიპური პეიზაჟია, შოალერსე სიმშვილეს და მელანქოლიურ მოწყენილობას დაუსადგურებია როგორც პოეტის სულში, ისე ბუნებაში. შერბილებულია საგნების კონტურები, გაფერპკრთალებულია საღებავები. მხოლოდ მდინარეების დუღუნი და ნიავის ქროლვა არღვევს სამარისებურ მყუდროებას, რომელშიაც ჩაძირულა მთელი ბუნება.

შეადარეთ ამას ბუნების სახეები „მერანში“. რა დიდი განსხვავებაა! მთელი უფესკრული! აქ თვითონ ბუნება მოგვაგონებს ყალყზე შეყენებულ მერანს. მისი ბობოქრობა და მოძრაობის რიტმი შესამებულია მერანის სადაკეშიმშვებულ ტენებასთან. ჩვენს თვალწინ საოცარი სისწრაფით გაივლიან მრისხანე სტიქიური მოვლენები: ქარიშხალი, ავღარი, სიცხე, კლდენი და ღრენი, მღვლვარე ზღვა, ასტრალური სამყარო.

ბუნების თვალსაზრისით განხილული „მერანი“ წარმოადგენს კოსმიურ პეიზაჟს.

ვერაფერ ამის მსგავს, ვერც ასეთ მასშტაბს და ვერც სტიქიონის გიგურ მღვლვარებას, ჩვენ ვერ შევხვდებით სხვა ლქსებში. ბარათაშვილის სულში განსაკვიფრებელი მეტამორფოზა მომხდარა. შინაგანი დებრესიის განწყობილება შემართებისა და ბრძოლის განწყობილებას შეუცვლია.

შესაფერისი მეტამორფოზა განიცადა ბუნების გრძნობადაც. მელანქოლიური პეიზაჟი ადგილს უთმობს რაღაც გიგური მღვლვარებით შეპყრობილ სტიქონს, რომელსაც ევროპის რომანტიულ პოეზიაში ისეთ გენიალური მხატვარი და ამოლოვეტი ჰყავდა, როგორიც იყო ბაირონი.

ქარიშხალი სულში, ქარიშხალი სტიქიონში — ასეთია ბაირონიზმი ადამია-

ნისა და ბუნების ურთიერთობაში. მშვენივრად გამოხატა ეს სულეირი განწყობილება ლერმონტოვმა, როდესაც მწირის შესახებ სთქვა:

Обняться с бурей был бы рад!



ამერიიდან ასეთია ბარათაშვილის სულეირი მღვთმარტოვმა კიდევ ერთი საინტერესო მომენტი აღსანიშნავი. ჩვენ ვგულისხმობთ ბუნებაში განზაფხულების წყურვილს.

დავაკვირდეთ „მერანის“ სტრიქონებს. ამერიიდან პოეტის სამშობლო მთელი კოსმოსია. ის შემადგენელ ნაწილებად შლის თავის სულს, რომ უნაშთოდ შეჭრთოს სტიქიურ მოვლენებს. მას სურს თავისი გულის საიდუმლო ავთანდილივით გაუზიაროს თანამავალ ვარსკვლავებს. გულის კენესა, მისცეს ზღვის ღელვას, მღელვარე ფიქრი—ნიაეს; დეე, ყორანმა გაუთხაროს მას საფლავი ტიალ მინდორში და ქარიშხალმა მიაყაროს მიწა, ცრემლის მაგიერ დაეპყროს ციური ცვარი და გამოიგლოვონ სვავებმა.

ეს წყურვილი ბუნებაში განზაფხულებისა ნათლად არის გამოთქმული უკანასკნელ ლექსშიაც „ცისა ფერს“:

„ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქელს,
რომ ეშხით დამდნარი
შევირთო ლურჯსა ფერს“.

როგორც ბაირონს, ლამარტინს, ტიუტჩევს, ისე ბარათაშვილსაც სიკვდილი წარმოუდგენია ისეთ მოვლენად, რომელმაც უნდა აღადგინოს ინდივიდუალური არსებობით დარღვეული კოსმიური ჰარმონია.

4

ამრიგად სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ რუსოიზმი და სუბიექტური განწყობილებების პროექცია გარე სინამდვილეში — ბუნების განცდის ეს ორი თავისებურება, რომლებიც რომანტიზმმა თავისი წინამორბედებსაგან ისესხა, მკაფიო გამოხატულებას ჰპოულობენ ბარათაშვილის პოეზიაშიც. მაგრამ ბუნების რომანტიული განცდა არ ამოიწურება ამ ორი თავისებურებით.

საჭიროა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ „შემოღამება მთაწმინდაზედ.“

აქ უწინარეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს საცოცხლის უნივერსალობის იდეა, რომელსაც მთელი კოსმიური სამყარო გასულეირებულ არსებად გადაუქცევია. ბუნებაში ყველაფერი ცოცხლობს, პაწია ყვავილებიც და ცის მნათობებიც. როდესაც მთაწმინდას მონამავენ ციური ცვარნი, ძირს გაშლილი ველის ყვავილები საამო სურნელებას აღაკმევენ ბუნდოვანი კლდის მიმართ; ეს მათი სამადლობელი გუნდრუქია. ბინდგაქრულ ცაზე მარტოხელი ვარსკვლავი შეყვარებულივით ასდევნებია მთვარეს, მხურვალე ლოცვით მიქანცებული სულის სადარს.

რუსოიზმისა და სუბიექტური განწყობილების პროექციის გვერდით სიცოცხლის უნივერსალიზმი წარმოადგენს უკვე იმ იდეას, რომელსაც რომანტიზმი იდეალისტური მეტაფიზიკის სამკვიდროში შეჰყავს. მსოფლიო რომანტიზმი იცნობს ამ იდეის სხვადასხვა მეტაფიზიკურ ფორმას. თუ

ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პლატონურ ან ქრისტიანულ დუალიზმთან, მეორე შემთხვევაში ის შეიძლება უახლოვდებოდეს სპინოზის იდეალიზმს ან ფიბტეს ეთიკურ იდეალიზმს.

რომანტიკოსთა ერთი თაობისთვის დუალისტური სამყარო მანძილით არის დაშორებული კანტის მეტაფიზიკისაგან. კანტის მეტაფიზიკისა და ნოემენების სამყაროთა შორის სრული უფსკრულია. პირველი საბუნებისმეტყველო შეშეცნების სფეროა, მეორე ჩწმენის სფერო. რომანტიკოსის აზრით მეტაფიზიკური „საგანი თავისთავად“ შეიძლება გადაიქცეს „საგნად ჩემთვის“, ე. ი. შეშეცნების სფეროში მოექცეს. მაგრამ ყველა როლია დაჯილდოებული ამ უმაღლესი რეალობის აღქმის უნარით. საქმეა სპეციფიკური ინტუიციის გრძნობა, ერთგვარი მეორე მხედველობა, რომელიც ჩვეულებრივი ხედვის მიღმა არსებულ საგანს ცნობიერებაში შემოიტანს. ცხადია, რომანტიკოსები ამ უნარით უწინარეს ყოვლისა ხელოვანს აჯილდოებდნენ. მაგრამ პოფმანი მას ბავშვური უშუალობის ადამიანსაც მიაწერდა. ამიტომ ამ თავისებურ ინტუიტიურ გრძნობას მან უწოდა Das kindliche poetische Gemüth.

მაგრამ რომანტიკოსთა მეორე თაობისათვის მოცემულ სინამდვილეს და აბსოლუტს შორის უფსკრულია. აბსოლუტი იდეალია, მაგრამ ის საბოლოო ანგარიშში მიუწვდომელია. ადამიანის ამქვეყნიური არსებობა რომანტიკოსს წარმოუდგენია პლატონის გამოკვებულის სახით, რომელშიაც ის იძულებულია იდეათა აჩრდილებს ჭკრეტით დაკმაყოფილდეს. ასე დაიბადა ცისფერი ყვავილების სახე და ე. წ. Sehensucht.

ცისფერი ყვავილი აბსოლუტური იდესლის პოეტური ინკარნაციაა. Sehensucht — მისი წვდომის შეუწელებელი ნატვრა, რომელიც ვერასოდეს ვერ გადადის მოქმედებაში. უფრო მეტი: ამ ნატვრის განუზორციელებლობა იწვევს მღრღნელ შინაგან ტანჯვას, რომელსაც რომანტიკოსი განიცდის როგორც სიამოვნებას. ნოვალისმა შექმნა მთელი კულტი ამ მარად დაუკმაყოფილებელი გრძნობისა.

ეს კლასიკური განმარტება Sehensucht-ისა ეკუთვნის ბრანდესს.

Sehensucht-ი ტანჯვის ესთეტიზაციაა. ამაშია მსოფლიო რომანტიული პოეზიის ერთერთი თავისებურება. ის მსჭვალავს ბარათაშვილის პოეზიასაც. აი ბრწყინვალე მაგალითი:

„შევიშრობ ცრემლსა, ქირთ მანელმებღს,
გულსა დაფიქვავ დსანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“.

მე არ გადავაპარებ თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო რომანტიულ პოეზიაში იშვიათად მოიძებნება ასე პლასტიურად გამოხატული Sehensucht-ის განცდა. ბრანდესს ბარათაშვილის პოეზია რომ სკოდიოდა, ის თავის კლასიკურ ფორმულას მოყვანილი სტრიქონებით დაადამტურებდა.

ბარათაშვილის პოეზია არ გვაძლევს არავითარ საფუძველს გარკვევით ამოვიკითხოთ მასში რომელიმე მეტაფიზიკური სისტემა, მაგალითად, პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი ან ქრისტიანიზმი. ამ საკითხის პოზიტიურ გადაწყვეტაში შეუძლებელია ჩვენ გავცილდეთ მეტად თუ ნაკლებ დამაჯერებელი ჰიპოთეზების სფეროს. ექვს გარეშეა მხოლოდ ერთადერთი მომენ-

ტი — რომანტიული აბსოლუტი, შორეული და დაუსრულებელი, რომელიც ბარათაშვილის პოეზიას Sehensucht-ის გრძნობით შსკვალავს.

ბუნების მომხიბვლელი კანის იქით იღუმალი გულია მოთავსებული სილამის ეამს, როცა მთვარის ვერცხლსებურ შუქზე რეალურად მსხამს ცხელ დაპყარგავს თავის სიმკვეთრეს, ეს იღუმალება, შორეული ჩტვლს მსუქვებელი მდგომარეობა, უფრო შესამჩნევი ხდება („ვითარი მაშინ იღუმალება დასადგურებს შესს არემარეს!“).

ბარათაშვილმა ამ შორეულს „ზენაართ სამყოფი“ უწოდა და ლაქვარდის პოეტური სახით წარმოიდგინა იგი.

მხოლოდ უბრალო მომაცედავისათვის არის სამუდამოდ დახურული „ზენაართ სამყოფის“ იღუმალი წიგნი. ცეროპელ რომანტიკოსთა მზგავსად ბარათაშვილმაც მისი კვრეტისა და ამოკითხვის უნარით მხოლოდ საგანგებო სულის ადამიანები დააფილდოვა.

„შე შესა მკვრეტელს მვიწყდება სიწუთოება
გულის-თქმა ჩემი შესს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებს ციურს“.

შეუძლებელია ძალდაუტანებლად რაიმე სხვა აზრი გამოვიტანოთ ამ ცნობილი სტროფიდან.

სიცოცხლის უნივერსალიზმში წარმოადგენს ყველაზე ნათელ იდეას ბარათაშვილის პოეზიაში. აქ ურთი საგულისხმებრო თავისებურებაა შესამჩნევი. სიცოცხლის უნივერსალიზმა წარმოადგენილი აქვს პოეტს არა როგორც სიცოცხლის ფორმათა იერარქია, რომელიც იწყება თვითშეუცნობელი უმარტივესი მოძრაობიდან და აღწევს ისეთ რთულ ფორმამდე, როგორიცაა ადამიანის ცნობიერება. სიცოცხლის უნივერსალიზმა ბარათაშვილისათვის ნიშნავს იმას, რომ ბუნების მოკლენათა სიცოცხლის ფორმები ადამიანის ცნობიერების, ე. ი. სიცოცხლის უმაღლესი ფორმის ანალოგიურია. აიღეთ ცნობილი სტრიქონები: „გინახავთ სული ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული? მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქ მიბინდული“ და შეადარეთ მას ცნობილი სტრიქონები ლექსიდან „ღამე ყაბახზედ“: „თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა, რომ ჭვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა“.

გავისხენოთ ახლა „ჩინარი“. პოეტი ამბობს: „მრწამს რომ არს ენა ზამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“. ენა ადამიანური ფენომენია. მაგრამ თუ ყოველ მომაცედავს არ ესმის ბუნების ენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ისევე თავისებურია, როგორც ყოველი ენა.

როგორც ხედავთ, აქ თითქოს საქმე გვაქვს მითიურ პერსონიფიკაციასთან, რა შესანიშნავად აქვს გამოთქმული ეს თვალთახედვა ტიტუტჩევს:

„Не то что минте вы, природа —
Не слепок, не бездушный лик.“

В ней есть душа, в ней есть свобода,
В ней есть любовь, в ней есть язык.“

სიცოცხლის უნივერსალობის შეგრძნებაზეა ამოზრდილი სიყვარულსა და მეგობრობის გრძნობა ბუნების მიმართ.

„მთაო ცხოველო, ხან შინაო, ხან ერემლიანო,
ვინ მოვიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთა შებნა
არა იპოვნოს და არ დაჰხნას ვულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!



პოი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად
როს მკმუნვარება შემომესევს, შენდა მოვილტვი განსაჭარვებლად“.

მოვიყვანოთ ერთი პარალელი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდან“:

„Кто на вершинах скал сидит, внимая
Журчанью вод, несущихся с стремни;
Кто, общества людского избегая,
В тени лесов скитается один;
Кто на утес взбирается высокий,
Где стаду пастуха не слышен зов;
Кто любит и ущелья, и потоки. —
Тот разве в мире путник одинокий?
Нет, тот с природою в общеньи жить готов.“

Кто ж носится, скучая, в вихре света
И осужден, усталый, дни влачить.
Любви не слыша теплого привета,
Среди толпы, где некого любить,
Где павшему в борьбе звучат проклятья,
Где даже не почтят ваш прах слезой,
Кто дружеской руки не ждет пожатья,
Встречая лишь льстецов одних об'ятья, —
Тот одиноко вполне; тот в мире всем чужой.

ეს სტრიქონები ზედგამოკრილია ბარათაშვილზე.

ბარათაშვილის პოეზიის ანალიზმა ნათელყო, თუ რაოდენ რთულია და ინტენსიური მისი ბუნების განცდა. ჩვენ აღმოვაჩინეთ აქ არა მარტო რომანტიზმის უნივერსალურ კომპონენტებს, არამედ ხშირად ერთი მეორესთან შეუთავსებელ დიფერენციალურ კომპონენტებსაც, რომლებიც ევროპის რომანტიზმში ცალკე პერიოდებს ან ინდივიდუალურ ვარიანტურ თავისებურებას უკმნიან.

ბარათაშვილი ბუნების განცდის განსაკვიფრებელ სირთულეს ამჟღავნებს. პოეტი ხან მშვიდია, ხან მღელვარე. ის ხან მტკვრის ბუტბუტს, ნიავის სისინს და ჩინარს შრიალს მიამყრობს ყურს, ხან გამძაფრებულ სტიქიონს იკრავს ვულში. ის ხან მიწაზეა გაწოლილი და ყვავილების სურნელებით სტკებმა, ხან ასტრალურ სამყაროში მიილტვის, თანამავალ ვარსკვლავებს ესაუბრება, ლურჯ კოსმიურ ეთერს შეერთვის.

ბუნების განცდის ამ სირთულეშია ბარათაშვილის პოეტური თავისებურება.

ბ. ჯიბლაძე — „კრიტიკული ეტიუდები“

1945 წელი. სახელგამი.

საქართველოს სახელმწიფო გამოცემლობამ ახლან გამოსცა აბ. ვ. ჯიბლაძის კრიტიკული წერილების წიგნი: „კრიტიკული ეტიუდები“. აღნიშნული წიგნი ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული წერილების კრებულაა. წიგნში წარმოდგენილია გეგმა ნარკვევი: „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“, „მერანი“, „დიდი პოეტი“, „გიორგი წერეთლის შემოქმედება“, „კომედიები გიორგი ერისთავისა“ და „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ტაგევაძის პუბლიცისტიკაში“. ნარკვევებში ძირითადად რომანტიზმისა და რეალიზმის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა განხილული და წამოყენებულია საკმაოდ ორიგინალური მოსაზრებანი.

ნარკვევი „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“ საყურადღებოა პრობლემათა ახლებურად დასმისა და გადაჭრის თვალსაზრისით. შესავალში ავტორი რომანტიზმს განიხილავს, როგორც სხვადასხვა-კლასიციზმის რეაქციას, მისი ყოველგვარი ნორმატიული კატეგორიების უარყოფას. შემოქმედი თავისუფალია, მისთვის როდი არსებობს პოეტური დოგმები, იგი თვით ქმნის შემოქმედების კანონებს. რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, განმარტავს ავტორი, წარმოადგენს ისტორიული ხასიათის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენების კანონზომიერების შედეგს ხელოვნებაში. აქვე წარმოდგენილია სენტრალური მენტალიზმი, როგორც ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა, ქმედითი სახეობა სხვადასხვა-კლასიციზმის წინააღმდეგ. სენტრალური ნაწარმოებნი შინაარსით და ფორმით სხვადასხვა-კლასიციზმის ერთგვარ უარყოფას წარმოადგენენ.

ზოგნი შეცადნენ ჩვენს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გამოენახათ სხვადასხვა-კლასიციზმის გამოვლენა. მაგრამ ეს ჭარბულ სინამდვილეში არ არსებული რამ ძალიან მწელი შეიქმნა მოძებნათ და დაემკვიდრებინათ. მხოლოდ ზოგიერთი, ნაკლებად დამახასიათებელ ნიშნებით შიშს ვერ წავალთ. ჩვენ მართებულად მიგვანია ამ კრიტიკული ნარკვევების ავტორის აზრი დასახლებულ პრობლემების გარშემო. „ჭარბული ლიტერატურა თავის განვითარების გზაზე ასედა სხვადასხვა-კლასიკური ლიტერატურის გავლენას მხოლოდ იმით, — სწერს იგი, — რომ მე-17 — 18 საუკუნის საქართველო არ იყო პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოკიდებული რუსეთზე ან საერთოდ ევროპულ ქვეყნებზე. იგი ამ დროს მოქცეული იყო ირანისა და თურქეთის პოლიტიკური ბატონობის რკალში და ამ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებული იდეოლოგიური რიგის მოვლენებიც წარმოადგენდნენ მის ბუნებრივ რეზულტს“ (გვ. 12). მართებულაა აქვე შენიშვნა იმის შესახებ, რომ, თუ ევროპაში და რუსეთში სხვადასხვა-კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გარემო რომანტიზმშიაღის სენტრალური მენტალიზმი მიმდინარეობდა მოამზადა, საქართველოში კი რომანტიკულ მიმდინარეობას არ, მოსულენია სხვადასხვა-კლასიციზმის დანერგულ იდეათა წინააღმდეგ ბრძოლა. „წინაპერიოდის ლიტერატურამ მის (რომანტიზმს) არა თუ საბრძოლო ფრონტი დაუტოვა, არამედ მეგობრული ხელიც კი გაუწოდა ზრდისა და აყვავებისათვის“ (გვ. 12). ამ შრივ დავით რექტორის, სოლომონ მდიანაშვილის და ქეთევან ბატონიშვილის პოეზია შესაფერ მსაღებს იძლევა. კრულვა და ურვა ცხოვრების მიმართ ისმის მათ შემოქმედებაში, აქვე თავს იჩენს უკიდურესი პესიმიზმი, რომელიც სკეპტიციზმში გადადის და იქ პოულობს თავის სრულყოფილ სახეს. აგრეთვე ამ პერიოდის ლიტერატურის ძირითადი ეანრები, სახლოვე ხალხურ პოეზიასთან და სხვა იყო ის საერთო ენა, რომელიც ქართულმა რომანტიზმმა გამოიხატა მისი წინაპერიოდის ლიტერატურასთან. საერთოდ რომანტიზმის რაობის სრული ანალიზის შემდეგ ჯიბლაძე თავის კრიტიკულ ნარკვევში ახდენს ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის საფუძვლიანად განხილვას არა შიშველი პარალელის გზით, არამედ იმ იდეებისა და შეხედულებების ერთგვარი სისტემის სახის წარმოდგენით, რომელიც გამომდინარეობს ამ ორი დიდი პოეტის პოეზიიდან.

სამოქმედო ასპარეზიდან მიმავალი ფილოსოფიური კლასის გუნება-განწყობილების გამო ავტორი, იმსჯელებს ნა ვორკის მიხედვით ზუსტად დანაშაულ პასიურ და აქტიურ რომანტიზმს. შემდეგი დასკვნა გამოაქვს: „ლერმონტოვის პოეზიის განვითარებამ ხაზს უსვრივ სინამდვილის აბსოლუტური უარყოფიდან ამავე სინამდვილისათვის ზრუნვისაკენ გადასვლა და ამიტომ უფროდებდა ლერმონტოვი რომანტიკოსების იმ პლედას, რომელიც, როგორც ვინმე ვინმე დინია და ნოვალისისაგან განსხვავებით, მუშაობდა ტემპერამენტით, მოქმედებდა მსუბუქად და მსუბუქად გამოიჩინებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი „მერანის“ ძაბვით და „გერმანი მტკვრის პარა“ ღრმა ფილოსოფიური კონცეპციით რომანტიკოსის პოეტების იმ პლედას ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ლერმონტოვი მიეკუთვნებოდა“ (გვ. 20). ამ დებულების თანახმად კრიტიკოსი ბარათაშვილი და ლერმონტოვი, როგორც ერთიანი ეპოქაში, საზოგადოებრივ გარემოში და ერთობაში აღზრდილ პოეტებში ნათესავი მისწრაფებას, მსოფლმხედველობას და გუნება-განწყობილებას ხედავს. მათ პოეზიაში ისმის საბრძოლო მოწოდება უცხოეთის მურმისისათვის.

ნარკვევში მოყვანილია ზოგაერთი ფაქტი, რაც ადასტურებს იმას, რომ ნ. ბარათაშვილი ყარაღდ იცნობდა ლერმონტოვის პოეზიას, თუმცა კრიტიკოსი ამ ორი პოეტის ნათესავი განწყობა ერთმანეთზე ზეგავლენით არ ხსნის. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მათ ანათესავებს ეპოქა, თვით საზოგადოებრივი გარემო, საკუთარი კლასი და მისი ინტერესები.

ბარათაშვილისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში ანალოგიური მოვლენების, განწყობისა და მისწრაფებების დანახვის სულ ახლებურად ისმის საკითხი დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების შესახებ.

ამ ორი პოეტის შემოქმედების ანალიზს და მათი პოეზიის საწყისებისა და განვითარების პარალელური და ნათესავი განვითარებით ახსნას ახალი სინათლე შეაქვს ჩვენი ლიტერატურული შემოკიდობის შესწავლის საქმეში.

ერთად „მერანი“ წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის გენიალური ლექსის საფუძვლიან მიმობლას. კრიტიკოსი „მერანში“ ხედავს პოეტის მიერ წამოყვანილ იმ მთავლიან მნიშვნელობის პრობლემას, რომელიც საერთოდ რომანტიზმში დასვა ევროპის ლიტერატურაში. კერძოდ ეს არის კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, „მერანში“ სინამდვილესთან დამორება ხდება არა შიშის გამო, არა პირადული სურვილებისა და დაკმაყოფილებლობის გამო, არამედ პოეტი ვატაკებულა უმაღლესი, ზოგადკაცობრიული იდეით. ეს არის სამასხური მომავლისადმი.

არკვევს რა „მერანის“ ფილოსოფიური კონცეპციას, ავტორი ასკვნის, რომ ამ გენიალური ნაწარმოების ფილოსოფია ირსებოდა იყენებს იმავე თეზისს, რასაც ცნობილი ლექსი „შემოღამება მოაწიდაზე“. აქ ისმება საკითხი აზრისა და აზრის დამოკიდებულების შესახებ და პოეტს სწამს, თუ აზრმა არსი, ადამიანი ბუნებაში ბოლომდე შეიწინა, მაშინ აზრი გაქრება და ადამიანი ითქვიფება ბუნებაში. მაინც ადამიანის სწრაფვა უსაზღვროა, იგი მოიწრაფვის უმაღლესისაკენ. ეს სურვილი საბოლოოდ მიზანმიუღწეველია, ხოლო სამაგიეროდ მუდმივი სწრაფვა. რომელიც წინ სწევს ყოველივეს, აზრს და დანიშნულებას აძლევს ადამიანის არსებობას, ცხოვრებას, აღმაშენებს და აყვითლებს იმის მას. კრიტიკოსის აზრით ეს ფილოსოფია გამოიხატა „მერანში“ და ამიტომ მასში უდიდეს ოპტიმიზმთან ერთად ისმის პესიმიზმის პანკი.

ერთდღეში ნათლად არის გაანალიზებული — „მერანის“ ღრმა ერთდღეული საწყისები, რომელსაც უფრო გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ მივეყვართ და არა რომელიმე სხვა ქვეყნის ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ მისი მსგავსება, როგორც კიტა აბაშიძე შეეცადა დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცევიჩის „ფარისის“ გავლენა ეძებნა „მერანში“. გ. ჯიბლაძე „ფარისის“ ფართო ანალიზს ახდენს იდეისა და ფორმის შორეი და მკაფიო დასკვნა გამოაქვს ამ ორი დიდი პოეტური ქმნილების გარშემო. კრიტიკოსის დასკვნით „ფარისის“ ფილოსოფიური იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი შეუერთდა მარადიულს და თვითონაც გაქრა მისში. აზრმა შეიკრა აზრი, ფარისმა თავგანწირული ბრძოლის შედეგად პოეტი პირადი ბედნიერება ამრიგად შესაძლოა დავინახოთ ამ ორი ნაწარმოების ზოგიერთი მხატვრული სახის შეხვედრა, თემატური ნათესაობაც, მაგრამ მთლიანობაში მტკიცდება, რომ „მერანი“ მალა სდგას „ფარისზე“ და აქ არაკითარ გავლენას, ან მომაქვს არ აქვს ადგილი.

ერთდღეში ავტორი ჩერდება აგრეთვე „მერანის“ წარმოშობაზე, იმ საერთო სტიმულზე, რამაც შთააგონა პოეტს ეს გენიალური ნაწარმოები. მას მოჰყავს ნ. ბარათაშვილის წერალი გრ. ორბელიანისადმი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაუფარდა ტყვედ ილია ორბელიანი შამილს და რა ევაკაცობა გამოიჩინა მან. ამ შემთხვევამ პოეტი ძლიერ დააინტერესა და მე-სამე დღეს გენიალური ლექსი დასწერა. გენიოსის ძალაც სწორედ ამაში მდგომარეობს. პოეტმა პირადი შემთხვევა ასეთ უმაღლესს ზოგადკაცობრიულ ფორმაში განამაზიერა.

ეს საინტერესო ეტიუდი განსაზღვრავს „მეოხანს“, როგორც პოეტის სტილიტიკურ სამყაროსთან ერთად ხორცშესხმულ ქართული ხალხის ეროვნულ გულისძვრას, ადამიანური სიკეთის მისი ამაღლებული შიშის, ბედნიერებისა და ნათელი მომავლის წარმოქმნას. ეს კრიტიკული მიმოხილვა ღრმა დაკვირვებით და პოეტური გზებით არის დაწერილი. წიგნში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

მარტენსონი

ნარკვევში „დიდი პოეტი“ ავტორი იხილავს ლერმონტოვის შემოქმედებას, რომელსაც ხელი აქვს მისი პოეზიის მთავარი გასაღები, რომელზედაც გორკი მიუთითებდა: „ლერმონტოვის ლექსებში ხამაღლა ელერას იწყებენ ისეთი ნოტები, რომლებიც თითქმის სრულყოფილ შეუმჩნეველია პეშინის ნაწარმოებებში, — ეს არის საქმის, ცხოვრებაში აქტიურად ნარკვეის მგზნებარე სურვილი“. ამ მოსაზრების კეშმარტ დასაბუთებას წარმოადგენს აღნიშნული ნარკვევი. ლერმონტოს პეშინთან ერთად ნაწილობრივ რუსული კრიტიკა სივლიდა რუსულ ლიტერატურაში ბაირონის თემის ლირსულ წარმომადგენლად. მაგრამ ავტორი, იმეწმებს, რა დიდი რუსი კრიტიკოსის ბელინსკის მართებულ აზრს, თანმიმდევრულად მასობების ლერმონტოვის ეროვნულ თავისებურებას და მისი პოეზიის ნამდვილ „რუსულ სულს“, ამიტომ არ შეიძლება აქ დავინახოთ ბაირონთან იგივეობა. ლერმონტოვი თავის პოეზიას ორგანიზულად უკავშირებდა თავისივე ქვეყნის ცხოვრებას, ყველდღიურ არაბას, ოცნებობდა და ზრუნავდა თავის ხალხზე და მის მომავალზე.

ნარკვევში ფართო იდგილი აქვს დათმობილი ლერმონტოვის პოეზიის ფრთხილბობას კავკასიის ბუნებასთან. ავტორი სწერს: „პირველად პეშინში, ხოლო შემდეგ კი უფრო ფართოდ ლერმონტოვმა დაამკვიდრა კავკასია რუსულ ლიტერატურაში“ (გვ. 78). აქვე განხილულია ლერმონტოვის პოეტიკა, რომელთა სიუვეტი კავკასიის ფონზეა გაშლილი.

აქვე აღნიშნულია ავრთვე ლერმონტოვის პოეზიის ურთიერთობა ქართულ ლიტერატურასთან. ჯერ კიდევ ადრე პოეტის ლექსებს თარგმნიდნენ გ. ერასთავი, ი. ჭავჭავაძე და სხვანი. ხოლო ბარათაშვილი რომ კარგად იცნობდა ლერმონტოვის პოეზიის დასტურდება პოეტის მიერ თავის ბიძისადმი ვაგზავნილ წერილში.

ნარკვევში ღრმა ანალიზია წარმოდგენილი „ჩვენი დროის გმირის“, როგორც მხატვრული პიროვნის შედეგისა. ვრიგოდ აღუქმანდრეს-მე პეშორინი, რომანის მთავარი გმირი, გასული საუკუნის ორმოციანი წლების რუსი ახალგაზრდობის, მთელი თაობის პორტრეტი. პეშორინი აღნიშნავს, რომ ყანალების გემის ბაქანზე აღიზარდება. ეს იყო მაგარი სილის გაქვანა მეფის თვითმპყრობელობისადმი. სწორია დებულება: „ჩვენი დროის გმირი“ რუსულ ლიტერატურაში ნოვარ საფუძველს უქმნის მამხილებელ ლიტერატურას, რომელიც განსაკუთრებით ასე კარგად განვითარდა ორმოციდაათიან და სამოციან წლებში. ეს წარმოადგენდა რომანტიულ-რეალისტურ რომანს, რომელმაც რუსული ლიტერატურის სინამდვილეში მთელი გარკვეული ხანი შექმნა.

ფართოდ არის განხილული ავრთვე ლერმონტოვის დრამატურგია, მისი აქტიური მნიშვნელობა, სოციალური მოვლენების სიმამრე, სადაც ჯერ კიდევ ადრე დაგზობილია ბატონმფორი ურთიერთობა.

„გორკი წერეთლის შემოქმედება“ ახლებურად არკვევს გასული საუკუნის ამ მეტად მრავალმხრივი და საინტერესო მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აკრიტიკებს რა კრტა აბაშიძის მკდარ დებულებას გ. წერეთლის ნატურალიზმის წარმომადგენლად ილიაობის გამო, ავტორი თავად არკვევს ნატურალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ბუნებას. იხილავს ემილ ზოლას — ნატურალიზმის ფუძემდებლის შეხედულებებს და ნათელ წარმოდგენას ქმნის ამ ლიტერატურული მიმდინარეობის გარშემო. კრიტიკოსის აზრით, შეიძლება მწერალმა მოკლავ, ან ტლი დახატოს დეტალების თვით უმარტივესი ნაწილებითაც კი, მაგრამ ეს როდი იქნება ნატურალიზმი. ეს იქნება მხოლოდ ცალკეულ მომენტებში ნატურალიზტური მიდგომა სინამდვილისადმი. გ. წერეთელს ახასიათებს მოველრის თუ ტაბის დახატვისას ზოგჯერ ნატურალიზტური ტენდენცია. მაგრამ ეს როდი ნატურალიზმი, ეს არის ის „შეუფერავი რეალიზმი“, რომლითაც გ. წერეთელმა დაახასიათა თავისი შემოქმედების სახე.

ნათლად არის წარმოდგენილი გ. წერეთლის მწერლური სახე. მან ნიკიერად დახატა ყუოდალური ანისტოკრატის დეგრადაციის გზა („გულქანი“, „მამიდა მამით“, „პირველი ნაბიჯი“, „რუბი მგელი“) და ამავე დროს ბურჟუაზიის განვითარებისა და გაძლიერების ეპოქა საქართველოში. გ. წერეთელი, როგორც ლ. პ. ბერია ვეასწავლის, ბურჟუაზიულ პროვარსიული მიმართულების მეთაური იყო ჩვენში და ამიტომ მწერლის სიმპარტები და კეთილი სურვილები ახალ კლასს ეცუთვნოდა, რაც ნათლად სჩანს მის რომანებში.

წერილში ავტორი ცალკეულ ნაწარმოებების ფართო განხილვას ახდენს. ავრთვე იგი მწერლის გმირთა მრავალრიცხოვან ვალერტიდან გამოყოფს და ახასიათებს მნიშვნელოვან ტიპებს. განსაკუთრებით საფუძველიანად არის დახასიათებული კიკოლიკის მხატვრული სახე.

ავტორს სწორად აქვს დანახული გ. წერეთლის შემოქმედებითი საეტიკო, შერეოს ისტორიულ უხერხება რეალური სინამდვილის ტიპიზაცია. მან ფეოდალიზმისა და ფეოდალური მურხანობის რღვევისა და საეკონომიკური კაპიტალის განვითარების პრაქტიკულ განხორციელებით გამოასახა საზოგადოებრივი ტიპური მოვლენები და შექმნა ლირსასხივო სახეები.

წერილში „კომედიები ვიოლეტიას“ ვრცლად არის განხილული კომედიის მნიშვნელობის იდეალებს, მათ მიერ საშუალო საუკუნეების იდეალიზაციას, როგორც ავტორი შენიშნავს, ამქვეყნიური ცხოვრების ნაცვლად, ზეციური სამყაროსა და მომავლისადმი შიშს, დაუპირისპირდა: წარსულის ნაცვლად მომავლის რწმენა, პრაქტიკული ცხოვრების უარყოფის ნაცვლად მისი მიღება და მასზე ზრუნვა. კრიტიკოსს საფუძვლიანად განუხილავს რეალიზმის მტრება და მისი ლიტერატურაში დამკვიდრების ხელშეწყობა მიზეზები.

ვრცელ ექსკურსიას აკეთებს ავტორი შორეულ წარსულში კომედიის ენარის ნათელსაყოფად. კომედია, როგორც ანტიკური საბერძნეთის რომში, შესაფერ განმარტების ჰოვებს პლატონისა და არისტოტელის შეხედულებებში. ავტორს ამ ენარის განსაზღვრისათვის აგრეთვე ციტირება მოუხდენია ჰეგელის ლექციებიდან „ბერძნული ფილოსოფიის ისტორია“. ყოველივე ამას სიახლე შეაქვს წერილში, ფართო და საფუძვლიან განმარტებას წარმოადგენს იგი საერთოდ კომედიის არსის შესახებ.

წერილში ვრცლად არის დახასიათებული ჩვენი ცნობილი კომედიოგრაფის, უცნაულისტისა და თეატრალის, „ჭარბოვანი მოლიერის“ გ. ერისთავის ეპოქა. მისი შემოქმედების მთავარი თემა: ფეოდალური საქართველოს რღვევისა და კაპიტალიზაციის მომენტი. განსაკუთრებით ვრცელი ანალიზები გამოყენებული ავტორის მიერ გ. ერისთავის კომედიების გმირთა ხასიათებისა და ჩვევების შესახებისათვის უცხოურ და რუსულ კლასიკურ მწერლობიდან. კრიტიკოსის აზრით, უთუოდ ბევრი რამ არის საერთო ეკვალიონს, პარპაგონს, ბარონსა და პლიუშკინს შორის ხასიათების, ჩვევების, მორალისა და საერთო ბუნების შრივ.

საინტერესოა ის ადგილი, სადაც გარჩეულია გ. ერისთავის დაუმთავრებელი კომედია „თევზის კანტორა“. ეს ნაწარმოები კრიტიკოსს მიანია ახალი სტადიის დასაწყისად მწერლის შემოქმედებაში. გ. ერისთავის ცნობილ კომედიებში ახალი კლასი — ბურჟუაზია დაბატულია, როგორც მეფისმთავარი. ჯგუფი სოფლად, „თევზის კანტორაში“ საეკონომიკური ბურჟუაზია გვევლინება, როგორც მწარმოებელი და აქტიურად მოქმედი ძალა ქალაქად. კარაპეტ დაბალოვის ოქროებით სავსე ყულაბის ნაცვლად ამ კომედიაში მინასოვების თევზის კანტორა არის წარმოდგენილი, ხოლო აქუნაინცი კარაპეტ დაბალოვის შემკვიდრება, განსხვავება კი იმაშია, რომ პირველის მიერ დაგროვილი ოქროები მუორემ დააბანდა თავის საწარმოში. „თევზის კანტორა“, წერილის ავტორს მიანია თემატურად განსხვავებულ კომედიად გ. ერისთავის შემოქმედებაში, ამ გავებით, რომ ვაპირთა კლასი ამ ნაწარმოებში გამოყვანილია უფრო განვითარებული სახით, ვიდრე სხვა დამთავრებულ კომედიებში.

წერილი „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ქავჭავაძის პუბლიცისტიკაში“ წარმოადგენს ბისმარკისა და გერმანიის მილიტარიზმის რაობის ღრმა ანალიზსა და განმარტებულ კრიტიკას. ილია ქავჭავაძის გერმანიის მილიტარიზმის მტაცებლურ ბუნებას ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის მჭადგებელი მწერალი, ამასთან ერთად მუდამ გამოდიოდა ხალხთა უფლებებისა და ღირსებების დაცვის პრინციპიდან. ილია იცავდა ებრაელ ხალხს და ებრაულ ანტისემიტიზმს. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში მწერალი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს მოძრაობა მლიერ არის ძალდებული ავსტრიაში და გერმანიაში. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გერმანიის ავტორიტული მადების, გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ი. ქავჭავაძის ბრძოლის ღრმა თეორიული ხასიათი ჰქონდა და მწერლის პუბლიცისტიკაში ეს როლია მარტოოდენ ევროპის საგარეო პოლიტიკის ანალიზის საკითხი. აქ ილია ამ პრობლემებს არკვევდა მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობათა რეალში, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური გარემოს ღრმა ანალიზით და ყოველთვის მას უკავშირებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მდგომარეობას წერილი დაკვირვებით იხილავს ი. ქავჭავაძის შებრძოლ პუბლიცისტიკას, მის ფართო დიაპაზონს და აქტიულობას ისტორიული პარალელების თვალსაზრისითაც იგი ცხოველ იტერესს იწვევს მეთხოველში.

საერთოდ, გ. ჯიბლაძის წიგნი ფართო დახმარებას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა-ათვისებაში.

დავით ზახათია

სამ. სსრ შინსახმომხის საარქივო სამმართველოს გამოსვლა.
402. მ. ბაბრიჩიძე. 1945 წ.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისტორიულ-ტრადიციულ ძეგლებისა და დოკუმენტების პუბლიკაციის საქმეში ახალი ხანა დაიწყო. სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ხოლო შემდეგ საქ. მეცნიერების აკადემიის დაარსებით და მათში გაერთიანებულ მაღალ კვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა ლეწლით, ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების პუბლიკაცია არა მარტო რაოდენობრივად იზრდება, არამედ, რაც მთავარია, ხარისხობრივია.

აკად. ნ. შარის და აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოში დანერგულ მეცნიერულ ტრადიციებს ტიპატის კრიტიკულად გამოცემის საქმეში აგრძელებენ მათი მოწაფეები, განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს აკად. კ. კეკელიძის და აკად. ა. შანიძის დამსახურება ძველი ქართული ენისა და ლიტერატურულ ძეგლთა გამოცემის დარგშიაც.

მოუთხოვად ანისა, ქართული ისტორიული ლიტერატურული ძეგლებისა და, მით უმეტეს, საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციის საქმე, დღესაც დიდად ჩამორჩენილი დარგია და მოითხოვს კოლექტიურ მეცნიერულ გუღდამით მუშაობას მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებისაგან და გუღისხმობს ამასთანავე სანიმუშოდ გამართულ ტიპოგრაფიულ ბაზას, ქალაქის მნიშვნელოვანი მარაგით. აქ საქმე ეხება არა მარტო მეცნიერულად უდიდესი მნიშვნელობის (და დღემდე არც ერთხელ) გამოქვეყნებულ ძეგლებსა და დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი მეცნიერების აღორძინებისათვის, არამედ ისეთებსაც, რომელნიც ერთხელ (აქნებ მეორეჯერაც) გამოიცა, მაგრამ გამოცემა არაღმარაყოფილებულია, ე. ი. ტიპატო გაუმართავია, ზოგჯერ დამახინჯებულიც. მოკლებული კრიტიკულ აპარატს და სხვ.

საქართველოს საარქივო სამმართველოს მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა სახეცენზიო კრებულის „საისტორიო მოამბეს“ გამოცემით (შეიძლება ითქვას განახლებით, რადგან ასეთივე სახელწოდების კრებული ჯერ კიდევ 1924 წლიდან გამოდიოდა და მოქსწრო სულ 4 წიგნის გამოცემა) დიდ მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო, ვინაიდან კრებულში მოთავსებული პუბლიკაცია მთლიანად დაფუძნებულია დღემდე უცნობ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებზე და დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს.

კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტების პირველი ნაწილი (გაოდენობით სამი) ქართულია, რადგან ასინი ქრონოლოგიურათ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთარებაში შემუშავდნენ, ხოლო მეორე ნაწილი (გაოდენობით ოთხი) ძირითადად რუსულია და გადმოგვცემს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს საქართველოში, თვითმპყრობელური რუსეთის ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგვრისა და დევნის შედეგად გამოწვეულს.

დოკუმენტს ან დოკუმენტების კრებულს, როგორც წესი, ქართულ ენაზე ყოველთვის წინ წამდგარებული აქვს გამოცემულ ავტორის დაზუსტებული კომენტარები (შესავლის სახით). ტიპატი დამუშავებულია კრიტიკულად, დღაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და გაფორმებულია არქივოგრაფიული მეცნიერული წესების მტკიცე დაცვით.

კრებული იხსნება პროფ. ს. კაკაბაძის პუბლიკაციით: — „ორი სიგელი მე-13 საუკუნისა“ (იხ. გვ. 1 — 6). პირველი სიგელი წყალობის წიგნია მიცემული კათალიკოს მიქელის მიერ ვაჟ გვარამიძისადმი. ეს სიგელი პირველად თ. ეორდანიამ დაბეჭდა (იხ. „ქრონიკები“ II ტ., გვ. 176), მეორედ თვით პროფ. ს. კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1913 წ. (იხ. მისი „მე-13 ს. პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოსები“). ორივე შემთხვევაში სიგელი დღემდტურად იყო გამოცემული, რადგან იგი დღემას არ ემყარებოდა. ამჯერად იბეჭდება ახლადმოპოვებულ დედანზე დაყრდნობით და მრავალმხრივ საყურადღებოა. სიგელი უთარილოა. პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომ ეს სიგელი ზუსტად 1241 წ. უნდა იყოს, დაწერილი იქვს ბადებს, რადგან სიგელს ხელს აწერს დავით რუსუდანიძის-მე არა როგორც მეფე, არამედ იგი მეფის ძედ იწოდება. ცნობილია, რომ რუსუდანიძე თავისი შვილი დავითი (შემდეგში ნარინ-დავითად წოდებული) მეფედ აკურთხა მისავე სიცოცხლეში ჯერ კიდევ 1236 წ. ბუნებრივია ამერიიდან დავითი მეფე რუსუდანიძის თანამოსაყდრედ ითვლებოდა, მაგრამ წოდებულება მას მეფისა ჰქონდა ის გარემოება, რომ სიგელში დავითი მეფის ძედ დაა წოდებული, გვაფიჭებინებს, რომ ეს სიგელი არა 1241 წ-ს, არამედ უფრო ადრე, — 1236 წლამდე, ე. ი. დავითის მეფედ კურთხევამდე შეიძლება იყოს დაწერილი.

მეორე სიგელი დღემდე სრულიად უცნობი იყო და ეხება მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოთ იმ პერიოდს, როცა ულუ დადიანი განსჯილებს აჯანყება (1260-იან წლებში) და მიაშურა შვემეთ-კლარჯეთს. სიგელს ავტოგრაფი უნაჩილოა. მისი დაწერის დახლოვებით თარიღად პროფ. კაკაბაძე სდებს 1270—1272 წ. ირ. თავე აქ წარმოდგენილ საბუთს მონღოლთა ბატონობის ხანიდან საქართველოში შემოსვნიდან დასახლებულ პერიოდისათვის ჩვენამდე შემორჩენილ საბუთებს შორის უმნიშვნელო რაოდენობით მოუძებნია.

• ვაზირაძე აქვეყნებს 23 საბუთს გორის ციხის შესახებ მეფე ერეკლე მეორის დროს. ყველა ეს საბუთი პირველად იბეჭდება. საბუთები (გარდა ორისა № 9 და 17 საბ.) გაცემულია პირადად მეფე ერეკლე მეორის მიერ სხვადასხვა პერიოდში (უზთაფრესად 1770-იან 1780-იან წლებში). მეფის მიერ გაცემული კატეგორიული ბრძანებები გორის ციხის საბრძოლო წესრიგში მოყვანის შესახებ სწორედ ამ ხანებში მრავალსიმთქმელია. გორის ციხის საბრძოლო განმტკიცების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში, განსაკუთრებით ასპინძის 1770 წ. ცნობილი ბრძოლის შემდეგ. სადაც ერეკლემ სასტიკად დაამარცხა თურქები. საქართველოს დამოკიდებულება ოსმალეთთან ამიერიდან განსაკუთრებით გამწვავდა, როგორც რუსეთის მოკავშირისა; ამიტომ გორის ციხეს, როგორც უზთაფრეს სტრატეგიულ პლაცდარმს ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და, ბუნებრივია, ესოდენ ენერგიული ზრუნვა მეფე ერეკლესი გორის ციხის განმტკიცებისა და საბრძოლო წესრიგში მოყვანის შესახებ. ეს საბუთები თავის დროზე შეუკრებია და პირი გადაუწერია ცნობილ ზვედევანს და საზოგადო მოღვაწეს თ. კარბელაშვილს.

პროფ. ლ. მელიქოზაძევი კრებულში წარმოგვიდგენს მეფე ერეკლე მეორისა და იმპერატორ პავლე პირველის სიგელს მხარგრძელთაში ბოძებულს. 1783 წ. მეფე ერეკლეს მხარგრძელთათვის დამტკიცებია თავადობა. ამის საფუძველზე 1800 წ. (22 მარტს) იმპერატორ პავლე პირველს სიგელი მიუცია თავარპისკოპოს იოსებ მხარგრძელისათვის თავადობის წოდების დამტკიცებისა და არღთისწყი-დოღგორჯუკიად წოდების შესახებ. პირველი საბუთი და, ნაწილობრივ მეორეც, სხვადასხვა დროს სომხურსა და რუსულ პრესაში რამდენჯერმე იყო გამოქვეყნებული (მაგ., პირველი საბუთი თვით მელიქოზაძემა ჯერ კიდევ 1922 წ. გამოაქვეყნა იხ. „Христ. Восток“, ტ. VI, გვ. 341—343).

• იოვიძეს შესავალი წერილი და დოკუმენტები „ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა“ (გვ. 33—128) მრავალმხრივ საინტერესოა. კრებულში წარმოდგენილ 34 საბუთიდან ნათლად სჩანს, თუ როგორ ებრძოდა ცარიზმი ცენზურის საშუალებით გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ნ. ნიკოლაძეს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 8 წლის განმავლობაში (1870—1878 წ-დე) დაუღალავად იბრძოდა ნ. ნიკოლაძე გაზ. „ობზორის“ გამოცემის ნებათაღვის მისაღებად და შემდეგში არ ემოჩინებოდა მეფის ცენზურას ამიტომ ცენზორები განუწყვეტილივ ამძინდნენ ნიკოლაძეს მთავრობის ორგანოებში იმისათვის, რომ გაზეთი „ობზორი“ მთავრობის საწინააღმდეგო ხარჯებს ატარებს, საცენზურო კანონებს არ ემორჩილება და ცენზორებს სიკვდილით გვემუქრებაო. ამგვარ დასმენების შედეგად ნიკოლაძე არაერთხელ წამდგარა სასამართლოს წინაშე, მაგრამ ნ. ნიკოლაძეს, როგორც ეს საბუთებიდან დასტურდება, სასამართლო პროცესი არა ერთხელვე გამოუყენებია ტრიბუნლიდან პრესის თავისუფლების მაღალი იდეების საქადაგებლად, ცენზორების უფიცობისა და ამასთანავე ცარიზმის საცენზურო კანონების უზადრეკობისა და უმინაჩისობის გამოსამყდენებლად. ბოროტად ძალებმა ბოლოს მიანიჭა მიზანს მიაღწიეს: გაზ. „ობზორი“ დაბრუნდა და ნიკოლაძე გადასახლეს საქართველოდან.

წარმოდგენილ საბუთებს დასასრულ თან ერთვის ცენზორებზე მიერ აქრძალული, ნ. ნიკოლაძის ორი პუბლიცისტური წერილი: „ნ. გ. ზერინიშვიტის განთავისუფლება“ და „ესე კოლოდ გარზინის გარდაცვალების გამო“, — დანარჩენები კი „ცოცხე მზადდება დასაბეჭდად“, როგორც ამას გამოიმკვმელი ი. იოვიძე გვაუწყებს (46 გვ.) და მთი ახლო მომავალში შეიძლება ევილიდოთ.

• კ — ლი კრებულში აქვეყნებს საბუთებს, რომელიც ასახავს სენათში 1875—1876 წ. წ. გლხეთა შეიარაღებულ აჯანყების ძირითად დამახასიათებელ შტაბებს (129—209). საბუთებიდან ირკვევა, რომ ცარიზმის კოლმნიური პოლიტიკის უბეში სისსტიკე აუტანელი შეიქნა აჯანყების გლეხობისათვის და ამას აჯანყებით უპასუბეს. ცარიზმის დამსჯელ რაზმებს აჯანყებული სენი გლხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გვევრდის უდგანად ადგილობრივი შებატონებები დადრშეკლიანები, ვარდაფხაძეები და სხვა. სენათის გლხეთა აჯანყება დამარცხდა, აჯანყების მეთაურები შეიპყრეს და სამხედრო-სიველე სასამართლოს გადასცეს

ქეთისში. სასაზღაოლო პროცესზე სენი გულბების დასაცავად გამოდის რადიკალურად განწყობილი ჭარბელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. იმათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ჩენი საამაყო გოგონის აკაკი წერეთლისა. აკაკის ეს ბრწყინვალე სიტყვა როდია მარტო იურიდიულ-მეცნიერულ-საზოგადოებრივ შედეგად, აკაკი, აჭ. პირველყოელისა, სენიეთის ზნევეულებათა და მათგან-მის-განით ცოდნასაც ამუშავებდა. იგი მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობდა დაეხმობა სენიეთის გულბობა ცარიზმის კლანჭებისაგან. აკაკის ეს სიტყვა აქ პირველად კვეთდება. იგი აღმოჩენილია ნ. ნიკოლაძის პირად არქივში და დღემდე იმით არავის უსარგებლნია. წარმოდგენილ საბუთებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სენიეთის გარკვეული პერიოდის ისტორიის შესწავლისათვის.

პროფ. შ. ჩხეტია კრებულში ათავსებს ფრიად საყურადღებო ისტორიულ-ეკონომიური მნიშვნელობის დოკუმენტებს, სათაურით: „მრეწველობა კავკასიაში მე-19 საუკ. დასასრულს“ (გვ. 210—290). ეს დოკუმენტები წარმოადგენენ საფაბრიკო ინსპექტორის ა. გენდლიჩის მოხსენებითი ბარათს, ფინანსთა სამინისტროს დავალებით შესრულებულს 1900 წ. დოკუმენტებიდან სხანს, რომ ვრცელი ეკონომიური ინტერესები ამოქმედდება ცარიზმის ამ შესანიშნავად განსწავლულ მოხელეს, როცა იგი მიიღეს კავკასიაში, როგორც ფაბრიკულ მსგევე სამომადინო და კუსტარული მრეწველობის თითქმის ყველა დარგების ესოდენი საფუძვლიანი შესწავლისათვის იყენებს მრავალმხრივ და მეტად საინტერესო ცნობებს, — დღემდე სტატისტიკურ და ცოდნობრივ მნიშვნელობით. გზა და გზა ავტორი აგრეთვე ეხება სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებს; გულმოდგინებით შედგენილი ცხრილებიდან სხანს კავკასიის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულში წარმოებათა დარგები, მათი საერთო რაოდენობა, პროდუქციის მოცულობა და მუშათა რიცხვი. ამ დოკუმენტებს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება კავკასიაში კაპიტალიზმის ნამდვილი ისტორიის შესწავლისათვის მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს.

მ. გაბრიძის მიერ კრებულში წარმოდგენილია დოკუმენტები (შესავალი წერილით გვ. 290—332): „საბატონო ყმების მფლობელობა იმერეთში 1857 წ.“. აქ პირველად და დოკუმენტირებული დღემდე საცნობიო შეტყობინება გვხვდება აჯანყება იმერეთში, დასაბუთებულ წელს ამ თვალსაზრისით წარმოდგენილ დოკუმენტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აჯანყებულ ყმა-გლეხების დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა ნამდვილი მიზეზი აჯანყებისა, დასტურდება, რომ ისინი ამ ეტაპზე ებრძვიან მხოლოდ მებატონეთა ძალმომრეობას, მათ მიერ თვითნებურად გაზრდილ საბეგრო გადასახადებს და სხვა. შ. გაბრიძე დოკუმენტებზე დაყრდნობით ზუსტად ათარიღებს აჯანყებას, რითაც გარკვეულობა შეაქვს ამ აჯანყების თარიღზე დღემდე არსებულ არა ზუსტ შეხედულებებში.

გულბობა ეს აჯანყებაც, რასაკვირველია, დამარცხდა ცარიზმისა და ადგილობრივი თავდაზნაურობის გაერთიანებული წინააღმდეგობის შედეგად, ხოლო დამნაშავენი დაისაჯენ. ისეთია „საისტორიო მოამბის“ სარეცენზიო ტომის შინაარსი და მნიშვნელობა.

სასურველი იყო კრებულის პირველ ტომს წამოვთავაზებული ჰქონოდა წინასიტყვიანა სარედაქციო კოლეგიისაგან.

კრებულის პირველი ტომის გამოცემით მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. კრებულის ირგვლივ შემოკრებულ მეცნიერ მუშაეთა კოლექტივისაგან ამიერიდან ჩვენ პერიოდულად უნდა მოველოდეთ დანარჩენი ტომების გავრცელებას, რომელნიც დიდ როლს შეასრულებენ ჩენი საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის სათანადო დოკუმენტალური პუბლიკაციაქმნილ ბაზის შექმნის საქმეში.

დოკ. ანთ. იოსელიანი.

1945 წ. ჟურნალ „მნათობები“ მოთავსებული მასალები



№ 1

ალექსანდრე აბაშელი — „ღრინის“ (ლექსი); რაფელ ვეცტაძე — „სარდლის ბრძანება“ (ლექსი); ალიო მაშაშვილი — „1945 წ.“ (ლექსი); სერგო კლდიაშვილი — „ზნელ ლამეში“ (მოთხრობა); სანდრო ეული — „არწივის ბულიდან“ (პოემა); იოსებ ტატიშვილი — „საშობლოს ბილიკები“ (მოთხრობა); ა. ს. გრიბოედოვი — „ევი ჭკუისაგან“ (პიესა, თარგმანი ს. ფაშალაშვილისა); ლევან ვოთუა — „კაცხის სვეტის საიდუმლო“ (ნაწყვეტი); ი. პ. პოლონსკი — „ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა“ (ლექსი, თარგმანი კ. კიკინაძისა); თ. ზვანა — „მონადირე“ (ნოველა); უილიამ შექსპირი — „რომიო და ჯულიეტა“ (პიესა, თარგმ. ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა); პოლიო აბრამია — „დიდება“ (ნაწყვეტი); ანა ჩხეიძე — „ი. ს. გრიბოედოვი და ქართველი საზოგადოებრიობა“ (წერილი); ივ. ენაქოლოთაშვილი — „როდის დაიწერა „ევი ჭკუისაგან““ (წერილი); ი. ბაღაბაშვილი — „უვი პეტრესაგან“-ის პირველი ქართული თარგმანისა და წარმოდგენის გამო“ (წერილი); გ. ჯიბლაძე — „მერანი“ (წერილი); შ. ძიძიგური — „აკად. ნ. მარის სახელობის ინის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIV, 1944 წ.“ (ბიბლიოგრაფია); ვენერა ურუშაძე — „გვი გაჩენილად — „ინგლისელი პოეტები““ (ბიბლიოგრაფია).

№ 2 — 3

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა, 1945 წ. 23 თებერვალი, № 5, ქ. მოსკოვი.
 აღ. აბაშელი — „წითელ არმიას“, „საბჭოთა კავშირის გმირს დ. ბაქრაძეს“, „წიგნსაცემში“, „აბრეშუმის ქარხანაში“ (ლექსები); სერგო კლდიაშვილი — „გორგასლანის თასი“ (მოთხრობა); კოლაფ ნადირაძე — „მუხს“, „როს შენი დილა გამომატოცხლებს“ (ლექსები); აკაკი გაწერელია — „მოურავი“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან); სანდრო შანშიაშვილი — „დედა“ (პოემა); რადიონ ქორქია — „მზე წითლად ამოდოდა“ (მოთხრობა); კალე ბოზოხიძე — „წერილი პრუსიიდან“ (ლექსი); ბონდო კეშელაძე — „დედის სიმღერა“, „ცაცხვის ჩრდილში“ (ლექსები); გიორგი კაკაბიძე — „სიმღერა“ (მოთხრობა); პლ. ასანიძე — „აკაკი ოძრის ბაღში“ (ლექსი); ი. გრიშაშვილი — „აკაკის უცნობი პიესა“ (წერილი); აკაკი წერეთელი — „განთიადი“ (პიესა); გერონტი ქიქოძე — „აკაკი წერეთლის ლირიკა“ (წერილი); გიორგი ნადირაძე — „აკაკი წერეთელი და ხალხური მუსიკა“ (წერილი); აღ. ჭეიშვილი — „მატერული სახის დინამიკა ვეა-ფშაველას პოემებში“ (წერილი); აღ. ქუთელია — „ლ. ფიფინაძის მატერიალისტური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მარცხი““ (წერილი); სანდრო შანშიაშვილი — „რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან“ (მოგონება); სერგო კლდიაშვილი — „მოგონებანი აკაკი წერეთელზე“; ვარლამ ძიძიგური — „აკაკი წერეთელი“ (მოგონება); დავით ხუღიაშვილი — „ყრმობა“ (მოგონება); მიმომხიდეელი — „რაფელ ვეცტაძე — „მართალი ნოველები““ (ბიბლიოგრაფია); გრ. ცუ-ძე — „ი. პუშკინი — „ზღაპარი მეფის მკვდარ ძულსა და შვიდ გოლიათზე““ (ბიბლიოგრაფია); ვლ. ნორაკიძე — „კუდაგოგოკა 1. საქართველოს სსრ პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბილისი, 1944 წ.“ (ბიბლიოგრაფია).

№ 4 — 5

ამჟამად ი. ბ. ხტალისის მიმართვა ხალხისადმი.
 ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.
 ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.
 აღ. აბაშელი — „9 მაისი“ (ლექსი); ზარიტონ ვარდიშვილი — „სიბარული“ (ლექსი); კალე ბოზოხიძე — „*“ (ლექსი); კონსტ. კიკინაძე — „ძველი რვეული“ (ლექსი); ალექსანდრე ქუთათელი — „დედულეთი“ (ლექსი); ალიო მაშაშვილი — „მშის ამბობი“ (ლექსი); სანდრო შანშიაშვილი — „დედა“ (პოემა, გაგრძელება); რადიონ ქორქია — „მზე წითლად ამოდოდა“ (გაგრძელება); შაჰრუზ ჩარკვიანი — „მშის შეხვედრა დავით აღმაშენებელთან“ (ლექსი); ითარ ჩხეიძე — „პატარძალი“ (ტელედი); გიორგი ვიანელი — „ქუთაისის სიბარული“ (ლექსი); კლავდია დედუჩიანი — „მუქი“ (მოთხრობა); ადამ

მიცევილი — „მოგონება“ (ლექია, თარგმ. ვ. გორგაძისა); მურმან ლებანიძე — „ქართლ-და-რის გზაზე“ (ლექია); იოთარ ჭელიძე — „შენია“, „რადაც ახალი“, „ორნი“, „გაქრობოვება ორღობეში“ (ლექები); ვახტანგ გორგანელი — „სიმღერა“, „დაპრილი მხედარი“ (ლექები); რაზინდრანად თავარი — „ნამვალა მოვარე“ (ნოველები, თარგმ. ლ. ძიძიგურისა); აკაკი წერეთელი — „განთიადი“ (პიესა, დასასრული); ფილიპ შექვაძე — „საქმე“ (ლექია); „საქმე-ტა“ (პიესა, ვაგრძელება); პოლიო აბრამია — „სისხლიან ნაყეაღვებზე“ (ლექები); „საქმე-ტან ირმაძე“ — „ბარბარე ჯორჯაძისა“ (წერილი); პროფ. ს. დანელია — „ზოგიერთი სადაო სა-კოთბი შეცნობებანი გრიბოედოვის შემოქმედების შესახებ“ (წერილი); ალ. ქუთელია — „ლ. ფიფქაძის შატრაილისტური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მარცვლი“ (წერილი, დასასრული); დ. სელიაშვილი — „ერმოზა“ (დასასრული); ანდრო ლომიძე — „კონსტანტინე ჰიკინაძე“ — „ლექები“ (ბიბლიოგრაფია); დავით შამათია — „იოსებ ნონეშელი“ — „ლექები“ (ბიბლიოგრაფია); ავთ. იოსელიანი — „საქ. სახელმწიფო მრეხვევის მოამბე, ტ. XII—B“ (ბიბლიოგრაფია).

№ 6

„საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი“ (მოწინავე წერილი); გრიგოლ აბაშიძე — „ატენუ-რი ლექსები“: — „ატენში“, „მარანში“, „ხატობა ძველ ტაძარში“ (ლექები); აკაკი ბელია-შვილი — „ქარიშხალი“ (რომანი); ხანდრა შანშიაშვილი — „დედა“ (პოემა, დასასრული); კონსტ. სიმონოვი — „ამაყი კაცი“ (მოთხრობა, თარგმანი არისტო კუმბაძისა); კოლაუ ნადი-რაძე — „შე ისევ მასსოსს“, „ლიმილი“, „დავიწყება“ (ლექები); გიორგი შატერიაშვილი — „შეთქული ქვეყრა“, „ძველი სახლის თავზე“ (ნოველები); ალიო მაშაშვილი — „ორი ლექ-სი“; ივანე ფრანკო — „ხალხური სიმღერა“ (ლექია, თარგმ. პოლიო აბრამიასი); გიორგი წე-რეთელი — „ემინ რეჰმანი“ (წერილი); ემინ რეჰმანი — „განმეორე მე, ხევის ჭაღღმერთო!“ (ლექია, თარგმ. არახულიდან ვ. წერეთლისა); სერგო ჭილაია — „შოი არაგვისპირელი“ (წე-რილი); ნ. ნაკაშიძე — „ბავშვების პოეტა და მფეობარი ძია შოი“ (მოგონება); ილია ზუ-რაბიშვილი — „ეპიზოდი ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან“ (მოგონება); დ. შამათია — „ვრ. ჩიჭოვანი — „მოთხრობები“ (ბიბლიოგრაფია); ი. ბოცვაძე — „ვრ. აბაშიძე და ვ. ჯე-კობია — „ქართული ლიტერატურა“ (ბიბლიოგრაფია).

№ 7 — 8

„შოამაგონებელი წიგნი“ (მოწინავე წერილი); ალიო მაშაშვილი — „ლავერტი ბერისა“, „შე და ზაფხული“, „წინაპრები“, „დღო და მინძილი“ (ლექები); გიორგი ნატროშვილი — „გიორგი“, „სიზმარი“ (ნოველები); ალ. აბაშელი — „ნიკო ლორთქიფანიძე“ (ლექია); გიორ-გი კავშიძე — „ენი შოაგაგონა?“, „ისევ ის დროა“ (ლექები); აკაკი ბელიაშვილი — „ქა-რიშხალი“ (რომანი, ვაგრძელება); ი. გრიშაშვილი — „ბრძოლის გმირებს... სწავლის გმირებს“ (ლექია); კალე ბოზოშიძე — „ბოლშევიკი“ (ლექია); ალ. ჯაფარიძე — „ღიქრა“ (ლექია); რევაზ მარჯანი — „დრეფანზე ხორბალი მაქვს“, „კვეკასის ლურჯო მიტბო“, „წინდა კვირიკეს ტაძარი“ (ლექები); იოთარ ჭელიძე — „არემი“ (ლექია); ადამ მიცევილი — „მგეობრებს რუსეთში“ (ლექია, თარგმანი ვ. გორგაძისა), „ალბომში“ (ლექია, თარგმანი კ. ჰიკინაძისა); ქ. ელისაბედაშვილი — „ერმოზა“ (მოთხრობა); ამირან აფშილაძე — „სამ-შობლო“ (ლექია); ლევან გოთუა — „უხუტ ქარაენი“ (მოთხრობა); რადიონ ქორქია — „შე წითლად ამოდოდა“ (ვაგრძელება); თ. ტოტჩევი — „* * *“ (ო, ეს სამხრეთი), „* * *“ („მას-სოცე ოჭრათი დრო მოოქვილი“), „გაზაფხულის ქებილი“ (ლექები, თარგმანი შალვა აფხაი-ძისა); ფილიპ შექვაძე — „რომეო და ჯულიეტა“ (ვაგრძელება); ირიდიონ ხანთაძე — „ი. ბ. სტალინი, ენის თავისებურებანი და გამოთქმის ხერხები“ (წერილი მეორე); სერგო ჭილაია — „შოი არაგვისპირელი“ (წერილი, დასასრული); ნინო ნაკაშიძე — „ილია ჭიჭივა-ძის ვარშემო“ (მოგონება); თ. ლაზი — „ირაკლი აბაშიძე — „ლექები“ (ბიბლიოგრაფია); ავთ. იოსელიანი — „პროფ. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“ (ბიბლიო-გრაფია).

№ 9

ამანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი.

ალ. აბაშელი — „ეთი-ფშველას სტრიქონები“ (ლექია); ალიო მაშაშვილი — „ლევენდა ცთომილ ვარსკვლავზე“, „წყარო“, „ლიმილი“ „პოეზია — ენის მფლობელი“, „ლესიას“ (ლექები); კოლაუ ნადირაძე — „შე მიყვარს დილა“ (ლექია); ადგო შენგელია — „მოხუცი და ციხელი“ (ლექია); ქ. ელისაბედაშვილი — „ერმოზა“ (მოთხრობა, დასასრული); ონდრა

დისოგორსკი — „ბალადა სამკედლოს წინ“ (თარგმანი კ. კვიციანიძისა); „მეგობრული“ (თარგმანი ილია მოსაშვილისა); ვახტანგ გორგასანიძე — „ბალში“, „მოლანდებ“ (ლექსი); კლიმენტი გოგიავა — „სიზმარი“ (მოთხრობა); ბონდო კეშელავა — „პასუხი“ (ლექსი); ილ. ხიშტარია — „სიყვარული“ (ლექსი); მურმან ლებანიძე — „სივ მისადმი“ (ტექსტის წარმართვა) (ლექსები, თარგმ. ს. ფაშალიშვილისა); იოანე ვოლფგანგ გოეტე — „ია“, „მინიონ“, „განზორება“, „მთავრისადმი“, „კოშკი მთაზე“, „სამსერი“ (ლექსები, თარგმ. ხარტონ ვარდოშვილისა); უილიამ შექსპირი — „რომიო და ჯულიეტა“ (დასასრული); დიმიტრი ბენაშვილი — „ევა-ფშაველა“ (წერილი); გიორგი ჯიბლაძე — „ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი“ (წერილი); გიორგი ნადირაძე — „ონორე დე ბალზატი და ქართველი ქალი“ (წერილი); ბოდდო ემხვარი — „აფხაზთა ზრდილობის საკითხისათვის“ (წერილი); სურენ აგინანი — „ავეტაკ ისაჰიანი“ (წერილი); მიხეილ ილიარიონისძე კუტუზოვი (წერილი დაბადებიდან 200 წლისთავის გამო); დ. შამათავა — „გ. ნატროშვილი — დამსჯელის ფრონტზე“ (ბიბლიოგრაფია).


№ 10

პეტრე შარია — „დიდი ქართველი პოეტი“ (წერილი); ჰოვანეს თუმანიანი — „ბარათაშვილის საფლავთან“ (ლექსი, თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა); ვარლამ ურუული — „მოაწმინდოს დიდება“, „დაკარგული ლექსი“, „ცისფერი თვლები“ (ლექსები); მარკა ბარათაშვილი — „საფურის ჩრდილი“ (ლექსი); იოსებ ნინეშვილი — „ბარათაშვილის სურათი“ (ლექსი); ალიო ადამია — „ნაპერწყლები“, „კვაკვაძის ასულივით ბრწყინავს“ (ლექსები); ვახტანგ გორგასანიძე — „ბარათაშვილის ზღერება“ (ლექსი); ლეო ქიქელი — „ხეთონის საიდუმლოება“ (მოთხრობა); ლევან გოთუა — „გრწანისის სევეა“ (მოთხრობა); ვიქტორ კუბრაძე — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ (მოხსენება ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასე წლისთავის აღსანიშნავ თემაზე); კონსტანტინე კვიციანიძე — „ბარათაშვილის პოეტიკა“ (წერილი); გიორგი ჯიბლაძე — „ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი“ (დასასრული); ვენერა ურუშიძე — „ი. კვაკვაძის „განდევნილი“ და მარჯორი უორდრაიპი“ (წერილი); ნინო ნაკაშიძე — „ილია კვაკვაძის გარშემო“ (დასასრული); პოლიო აბრამია — „კ. კახანიძე — ბელადის ბავშვობა და ყრობა“ (ბიბლიოგრაფია); გ. სხარულიძე — „ლევან ებანოიძე — ალექსანდრე წულუკიძე, ცხოვრება და მოღვაწეობა“ (ბიბლიოგრაფია); ი. ბოცვაძე — „ურნალი „პიონერი“, 1945 წ. № 1-6“ (ბიბლიოგრაფია).

№ 11 — 12

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავი, — გ. მ. შ. ო. ტ. ვ. ი. ს. მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1945 წლის 6 ნოემბერს.

ალ. აბაშელი — „სტალინის დროშა“ (ლექსი); ირაკლი აბაშიძე — „ომის წინ“ (ლექსი); ალიო ადამია — „სტალინი იცავდა მოსკოვს“ (ლექსი); ი. გრიშაშვილი — „სტალინი, მოწმენტი ფოთში“ (ლექსი); ს. ფული — „გზა შორეული“ (ლექსი); ს. ვარდოშვილი — „აქ დაიბადა“ (ლექსი); კარლო კაღაძე — „გორი, დეცემბრის ოცდაერთს“ (ლექსი); გ. კაკაბიძე — „აქ ბელადი დაიბადა“ (ლექსი); ბ. კეშელავა — „განთიადისას“ (ლექსი); ალიო მ. შაშვილი — „ძველი მახარა“ (ლექსი); კოდარ ნადირაძე — „სტალინი“ (ლექსი); ს. შანშიაშვილი — „შენ გულმართალი, ხელმართალი ადამიანი!“ (ლექსი); გრ. ცეცხლაძე — „აფიანზე“ (ლექსი); კონსტ. კვიციანიძე — „ომის შემდეგ“ (ლექსი); შალვა დადიანი — „მეგორიობ“ (მოთხრობა); რ. ქორქია — „მზე წითლად ამოდოდა“ (მოთხრობა, დასასრული); გიორგი ლომიძე — „ომის გზებზე“ (ნარკვევი); „ეფთვარდ“ — სკოტლანდური ბალზტი ბალადა (თარგმ. ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა); ესქივე — „მიჯაჭვული პროპოტი“ (პიესა, თარგმ. ბერძნულიდან ალ. ქუთათელისა); ევგ. ლუნდბერგი — „ლეო ქიქელი“ (წერილი); ი. ტალიაძე — „საბჭოთა დემოკრატია და არჩევნები“ (წერილი); აკად. გ. ბაკრაშვილი — „დეკარისტიკა საქართველოში“ (წერილი); გ. ტყეშელაშვილი — „სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XIX საუკ. დასაწყისში“ (წერილი); მ. დუდუჩავა — „შენიშვნები არისტოტელის „პოეტიკის“ შესახებ“ (წერილი); ვ. წულუკიძე — „ქუთევი ირემიძე — ლიტერატურული შედარებანი“ (ბიბლიოგრაფია).



ლენინ-სტალინის დიადი დროშით

(ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1946 წლის 21 იანვარს —
ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 22 წლისთავისადმი მიძღვნილ სა-
ზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე)



მხატვრული ლიტერატურა

გიორგი კაჭახიძე—ლენინი (ლექსი)	18
შალვა დადიანი—მენჯი-რობუ (რომანი, გაგრძელება)	19
ალიო მაშაშვილი—ვერხვი. მკვდარი ფრინველი (ლისოგორსკიდან), ორი მთიბაევი (ლისოგორსკიდან)—ლექსები	36
ვიქტორ გაბესკირია—თხმელის ხეები (ლექსი)	37
იაკინთე ლისაშვილი—სიცოცხლისათვის (რომანი, მეორე ნაწილი)	38
შალვა ამისულაშვილი—სამნი (ლექსი)	53
ანდრო ლომიძე—სიყვარულის ძალა (მოთხრობა)	54
ალიო ადამია—მუდამ ახალი (ლექსი)	69
გრიგოლ იმედაძე—მარჯნის გვირგვინი (ლექსი)	69
თეიმურაზ ჯანგულაშვილი—ოდერიც გადავლახეთ (ლექსი)	71
ზურაბ ლორთქიფანიძე—სამი ლექსი	71
კარლო კალაძე—ერთი ღამის კომედია (კომედია ლექსად 3 მოქმე- დებად)	73
ესქილე—მიჯაჭვული პრომეთე (გაგრძელება, თარგმანი ბერძნული- დან ალექსანდრე ქუფათელის მიერ)	99

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

დემნა შენგელაია—სიცოცხლის მღერალი (წერილი)	108
გიორგი ნადირაძე—ბუნების გრძნობა ბარათაშვილის პოეზიაში (წე- რილი)	118

ბიბლიოგრაფია

დ. შამათვა—გ. ჯიბლაძე—კრიტიკული ეტიუდები	135
დოც. ავთ. იოსელიანი—„საისტორიო მოამბე“	139

8/212

66
საქართველოს
საბავშვო



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

„შ ნ ა თ ბ ი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ